

780
1978

ISSN 0134-9848
ՀԱՄԱՅՆՈՒԹՅԱՆ
ՆՈՒՅՆԱԳՐԱԿԱՆՈՒԹՅՈՒՆ



Տրտեպ

1978 4





15987

მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ
ურთიერთობათა მთავარი საკუთრივ
კოლეგია

მთავარი რედაქტორი
შოთა ნიუნიანიძე

პ. მგ. მღიზანი

ნანა ღარიბა

სარედაქციო კოლეგია:

მზია ბაქრაძე

ბაჩანა ბრეგვაძე

მაგალი თოდუა

ნოდარ კაკაბაძე

კარლო კალაძე

მისეილ კვესელავა

ზურაბ კიკნაძე

ვანუშტი კოტეტიშვილი

კონსტანტინე ლორთქიფანიძე

რომან მიმინოშვილი

ოთარ ნოდია

ნიკო ყიასაშვილი

თამაზ ჩხენკელი

«САУНДЖЕ»

литературно-художественный альманах

на грузинском языке

№ 4

1978

Главная редакционная коллегия художественного перевода и литературных взаимосвязей

Тбилиси

улица

Шалвы

Дадiani, 2



გარეკანზე: ე. ლანსერი. „ტოლსტოი“

მხატვრული რედაქტორი ლ. ცუცქერიძე. მხატვარი ა. ვართაგავა. ტექნოლოგი რ. იმნაიშვილი


გადაეცა წარმოებას 20/VII-78 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 21/VIII-78 წ. ქალაქის ზომა 70x108¹/₁₆. სააღრ.-საგამომ. თაბახი 18,85. ნაბეჭდი თაბახი 21. ტირაჟი 10.000. შეკვ. № 730.

ფასი 1 მან.

საქართველოს სსრ გამსახკომის საგამომცემლო-პოლიგრაფიული გაერთიანება „განათლების“ კომბინატი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

Комбинат издательско-полиграфического объединения «Ганатлеба» Госкомиздата Грузинской ССР, Тбилиси, ул. Марджанишвили, 5

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი



მხატვარი ბ. შარტავაძე

ესპანა



(25)

ივლისი
აგვისტო

მსოფლიო ლიტერატურის ორთვიური
ალმანახი

საქართველოს მწერალთა კავშირი

1978

შინაარსი

ლევ ტოლსტოი. მოთხრობები. კატრონი და მოჯამაბირე. თარგმნა ნოდარ ებრაღიძემ	5
რისტვის? თარგმნა ნათელა გავაშელმა	45
ბავშვობა. მეორე რედაქცია. ნაწყვეტი. „მკითხველებისადმი“.	
თარგმნა ჭუმბერ თითმერიამ	67
რა არის ხელოვნება. ნაწყვეტები სტატიიდან. თარგმნა სოსო სიგუამ	73
ფრაგმენტები დღიურიდან. თარგმნა სოსო სიგუამ	86
წერილები. თარგმნა დოდო სანიკიძემ	92
წინათქმა წამბღვარეზული გლეხთა ყოფაზე დაწერილ	
ს. ბ. სემიონოვის მოთხრობებისადმი. თარგმნა ედიშერ გიორგაძემ	112
როკუელ კენტი. სიტყვა წარმოთქმული დიდ თეატრში გამართულ	
სხდომაზე 1960 წლის 19 ნოემბერს. თარგმნა ელზა ბახტაძემ	84
ს. ბ. სემიონოვი. მემკვიდრეობა. მოთხრობა. რუსულიდან	
თარგმნა ედიშერ გიორგაძემ	113
ი. ევტუხენკო. ტოლსტოი. ნაწყვეტი პოემიდან „ყაზანის უნივერსიტეტი“.	
რუსულიდან თარგმნა თედო ბექიშვილმა	120
ლ. ზილოვი. მოთხრობები ტოლსტოიზე. რუსულიდან თარგმნა	
ედიშერ გიორგაძემ	125
თომას მანი. ტოლსტოი. გერმანულიდან თარგმნა ვიქტორ კახნიაშვილმა	131
ანატოლ ფრანსი. ლევ ტოლსტოი. ფრანგულიდან თარგმნა	
მამუკა ცეცხლაძემ	137
ივან გუნინი. ბათავისუფლება ტოლსტოისა. ნაწყვეტი. რუსულიდან	
თარგმნა ჭუმბერ თითმერიამ	138
ი. ზაიდენშეური. რ.-მ. რილკე ტოლსტოისთან. რუსულიდან	
თარგმნა ლილი მჭედლიშვილმა	149
არნესტ ჰემინგუეი. წიგნიდან „აფრიკის მწვანე ბორცვები“. თარგმნა	
ელზა ახვლედიანმა	152
გეორგ ბრანდესი. რუსული გაზეთის ერთი მივიწყებული წერილი.	
თარგმნა ელზა ბახტაძემ	154
ბ. მოტილიოვა. როლანი, ტოლსტოი, ლენინი. რუსულიდან თარგმნა	
ვაჟა ყუბუხიძემ	157
აკაკი ბაწერელია. ტოლსტოის მხატვრული მეთოდის შესავალი	170
ოტია კაჭკორია. ლევ ტოლსტოი	178
ვლადიმერ ლაკზინი. ლევ ტოლსტოი და ანტონ ჩეხოვი. რუსულიდან	
თარგმნა იოსებ ჯაბაძარმა	195
ბ. ლ. სუხოტინა-ტოლსტაია. ლევ ტოლსტოის სიკვდილის ამბავი.	
რუსულიდან თარგმნა ნანა დარჩიამ	204
ლადო ჯაფარიძე. ლევ ტოლსტოის დაკრძალვა. მოგონება	237

ქართული ბიბლიოთეკა




კატონი და მოჯამაგირე

თარგმნა ნოდარ მერაბიძემ

I

ეს იყო სამოცდაათიან წლებში, ზამთრის ნიკოლოზობის მეორე დღეს. მრევლი დღეობას იხდიდა და სოფლის მეფუნდუკე, მეორე გილდის ვაჭარი ვასილი ანდრეიჩ ბრეხუნოვი იქაურობას ვერ მიატოვებდა: ეკლესიაში დგომაც მართებდა — ეკლესიის მამასახლისი იყო, — და შინაც ნათესავ-მოკეთეებსა და ამხანაგებს უნდა დახვედროდა. მაგრამ აი, ბოლო სტუმარიც წავიდა და ვასილი ანდრეიჩი გზის თადარიგს შეუდგა, რათა დაუყოვნებლივ წასულიყო მეზობელ მემამულესთან იმ ტყის საყიდლად, რომელზეც კარგა ხანია შევაჭრებულნი იყვნენ. ვასილი ანდრეიჩი წასვლას იჩქაროდა, რადგან შიში ჰქონდა, ქალაქელი ვაჭრები ამ სარფიან საქმეში არ ჩამუხირონო. ახალგაზრდა მემამულე ტყეში ათი ათასს მხოლოდ იმიტომ ითხოვდა, რომ ვასილი ანდრეიჩი შვიდს აძლევდა. შვიდი ათასი კი ტყის ნამდვილი ფასის მესამედი თუ იყო. ვასილი ანდრეიჩი კიდევ მეტსაც დააკლებინებდა, რადგან ტყე მის მხარეში იყო, მაზრის სოფლელ ვაჭრებს კი პირი ჰქონდათ შეკრული, რომ ერთმანეთის არემარეზე ფასი არ აეწიათ ხოლმე, მაგრამ ვასილი ანდრეიჩს შეეტყო, საგუბერნიო ქალაქის ხე-ტყის ვაჭრები გორიანკინოს ტყეზე გასარიგებლად აპირებნო წამოსვლას, და გადაწყვიტა, უმაღვე გზას დასდგომოდა და მემამულესთან საქმე მოეთავებინა. ამიტომაც, როგორც კი დღეობა გადავიდა, სკივრიდან ამოიღო თავისი შვიდასი მანეთი და სამი ათასი რომ შეესრულებინა, დაუმატა ეკლესიის ის ორი ათას სამასიც, რომელიც თვითვე ჰქონდა, კარგად გადათვალა, საფულეში ჩაკეცა და წასასვლელად გაემზადა.

ნიკიტა, იმ დღეს ერთადერთი ფხიზელი მოჯამაგირე ვასილი ანდრეიჩის ხალხში, მარხილის შესაბამელად გაიქცა. იმ დღეს კი ნიკიტა იმით გადაურჩა დათრობას, რომ ლოთი იყო და აღება ღამის შემდეგ, როდესაც



სასმელში ჯუბარა და ტყავის ჩექმები მიაყიდა, დაფიცებულნი ჰქონდა, აღარ დაეღია, და მეორე თვე მიდიოდა, რაც სმაზე ხელი გაფლანკდა, არ დაუღევია, მიუხედავად იმისა, რომ დღეობის პირველ ორ დღეს ყველგან სმა ჰქონდათ გაჩაღებული და საცდური დიდი იყო.

ნიკიტა ახლოსოფლელი, ორმოცდაათი წლის გლეხი იყო. ოჯახისკაცად არ ვარგოდა, როგორც ხმა ჰქონდა დავარდნილი; თავისი ცხოვრების მეტი წილი შინ კი არა, სხვათა კარზე ჰქონდა გატარებული. ყველგან კაიკაცობით იცნობდნენ — ჯაფა არ ეზარებოდა, საქმეში სიმარჯვე და ღონე მოსდევდა, რაც მთავარია, გულკეთილი და კარგი გუნებისა იყო; მაგრამ დიდხანს ვერსად შერჩენილიყო, რადგან წელიწადში ორჯერ, ხანდახან მეტჯერაც, ლოთის ზნე მოუვლიდა და მაშინ ტანზე რაც ეცვა, იმას ხომ არაყში ყიდდა, სიშმაგეცა და ჩხუბისთავობაც სჩვეოდა. ვასილი ანდრეისაც რამდენჯერმე გაეგდო, მაგრამ ისევე აეყვანა, რადგანაც მოსწონდა მისი პატიოსნება, პირუტყვის სიყვარული და განსაკუთრებით კი — სიიაფე. ვასილი ანდრეიჩი ნიკიტას ოთხმოც მანეთს კი არ უხდიდა, რაც ასეთი მუშაკაცის ფასი იყო, არამედ ორმოცს; ამასაც ჯამაგირად როდი აძლევდა, ცოტ-ცოტას იმეტებდა და თანაც უმეტესად დუქნის ძვირი საქონლით ისტუმრებდა.

ნიკიტას ცოლი, მართა, ოდესღაც ლამაზი და მამალი დედაკაცი, სახლ-კარს ჰპატრონობდა ბიჭსა და ორ გოგოსთან ერთად და ნიკიტას კალთას არ ახევდა, შინ იცხოვრებო. ჯერ ერთი იმიტომ, რომ უკვე ოცი წელი იყო, რაც მეკასრეს ჰყვარობდა, სხვასოფლელ გლეხს, რომელიც მდგმურად ეყენათ; მეორეც იმიტომ, რომ ქმარი, ფხიზელი სანამ იყო, კაბის ქობაზე კი ჰყავდა გამობმული, მაგრამ მთვრალისა ისე ეშინოდა, როგორც ცეცხლისა. ერთხელ ნიკიტა შინ დაითრო და, ალბათ, სიფხიზლეში გამოჩენილი სისაწყლეს ცოლისთვის რომ ამოვთხვევინებინა, სკივრი გაუტეხა, უძვირფასესი დასახურავ-ჩასაცმელი ამოუღო და მორზე ნაჯახის ცემით სულ დაუნაკუწა სარაფნები და კაბები. ნიკიტას ნაშოვნი ჯამაგირი ერთიანად ცოლს ჰბარდებოდა და ნიკიტა ამაზეც ყაბულს იყო. ახლაც, დღეობამდე ორი დღით ადრე, მართამ ვასილი ანდრეიჩს მიაკითხა და წმინდა ფქვილი, ჩაი, შაქარი და ნახევარი ჩარქა არაყი გამოართვა, სულ სამი მანეთის რამე, ხუთი მანეთიც წაიღო და ამაზე ისეთ მადლობას ეუბნებოდა, თითქოს დიდი სიკეთე მიაგესო, მაშინ როცა, ჩაღის ფასადაც რომ ჰყოლოდა სახლში, ვასილი ანდრეიჩს კიდევ ოცი მანეთი მაინც მართებდა.

— ჩვენ განა რაიმე პირობა დაგვიდვია? — ეუბნებოდა ვასილი ანდრეიჩი ნიკიტას, — გჭირდება და აიღე, ჩემთან აშენდები, მე სხვებივით როდი ვარ: დაიცადეო, ეს ჯამაგირიო, ის ჯარიმაო. ჩვენ ჰალალად ვცხოვრობთ. შენ მემსახურები და არც მე დაგაგდებ უპატრონოდ.

და, ყველაფერ ამას რომ ამბობდა, ვასილი ანდრეიჩს გულწრფელად სჯეროდა, ნიკიტასთვის მადლი მიქნიაო. ასე გულდაჯერებით იცოდა ლაპარაკი და მის ფულზე დამოკიდებული ხალხი, ნიკიტათი მოყოლებული, ასევე უმაგრებდა რწმენას, ამათ კი არ ვატიყუებ, სიკეთეს ვუშვრებო.

— მე აკი მესმის, ვასილი ანდრეიჩ, რავი, გემსახურები, თავი არ მენანება შენთვის, როგორც მშობელი მამისთვის. კარგად მესმის, — მიუგებდა ნიკიტა, თუმცა ძალიან კარგად იცოდა, ვასილი ანდრეიჩი ჩემთან

მტყუანიაო, მაგრამ იმასაც გრძნობდა, რომ აზრი არა ჰქონდა მასთან ურთი-
რისების რკვევას, უნდა ვიცხოვრო, სანამ სხვა ადგილი არ გამომიჩინდება,
და რასაც მომიგდებენ, ის ავიღო.

ახლა, პატრონმა ცხენის შებმა რომ უბრძანა, ნიკიტა ჩვეულებისამებრ
ხალისიანად, ბატივით გაბაჯბაჯდა ფარდულისაკენ, ლურსმნიდან ჩამო-
ხსნა ტყავის მძიმე, ფუნჯიანი აღვირი და ლაგმის რგოლების ჩხარუნით
მიაშურა კარგამოკეტილ თავლას, სადაც ცალკე ეყენათ ის ცხენი, რომლის
შებმაც ინება ვასილი ანდრეიჩმა.

— რაო, მოიწყინე, მოიწყინე, ჩურჩუტო? — ეუბნებოდა ნიკიტა სალ-
მად მიგებებული ჩახვიხვიხების პასუხად საშუალო ტანის კოხტა, ოდნავ
გავადაქანებულ მუქქურან ულაყს, რომელიც თავლაში მარტოკა იდგა. —
ჰო, ჰო! მოესწრები, მოიცა, ჯერ წყალი დაგაღვეინო, — იგი ცხენს ზუს-
ტად იმგვარად ელაპარაკებოდა, როგორც მეტყველ არსებათ მიმართავენ
ხოლმე. კალთით გადაუბერტყა მსუქანი, შუაში ჩაღარული, მტვრით დაფა-
რული წელი. ულაყს ლამაზ ახალგაზრდა თავზე აღვირი გაუკეთა, ყურები
და კოწოლი გაუსწორა, ავშარა ჩამოაძრო და წყალზე გაიყვანა.

ქურანი ფრთხილად გამოვიდა თავლიდან, რომლის კარებთან მალლად
ეყარა ნაკელი, შეკუნტრუშდა და ტლინკი აყარა, ვითომც წიხლი უნდა
ეკრა ნიკიტასათვის, რომელიც ძუნძულით მიჰყვებოდა ჭისკენ.

— გაიხარე, გაიხარე, გადარეულო, — მილაპარაკობდა ნიკიტა, მან
იცოდა, რა სიფრთხილით ისროდა წიხლს ქურანი, რათა მხოლოდ მის გა-
ზინთულ ტყაპუჭს შეხებოდა და მისთვის კი არაფერი ევნო, და ამიტომაც
განსაკუთრებით უყვარდა ეს ოინბაზობა.

ყინულივით ცივ წყალს რომ დააძღა, ცხენმა ამოიოხრა, ერთხანს სველ
მკვრივ ბაგეებს ატოკებდა, რომელთა ბუსუსებიდან გეჯაში გამჭვირვალე
წვეთები იწურებოდა. გაშტერდა, თითქოს რაღაცას ჩაუფიქრდამო; შემდეგ
უეცრად გულიანად ჩაიფრუტუნა.


— აღარ გინდა და მოვრჩეთ, ასეც გვეცოდინება; მეტი აღარ მომ-
თხოვო. — უთხრა ნიკიტამ და სავსებით სერიოზულად და საფუძვლიანად
განუმარტა თავისი საქციელი ქურანს; იგი კვლავ ფარდულისაკენ გაიქცა
და სადავით ეზიდებოდა ახალგაზრდა გაღალღებულ ცხენს, რომელიც თამაშ-
თამაშით მისდევდა და მთელ ეზოს ჭახაჭუხს უყენებდა.

მოჯამაგირეთაგან არავინ ჩანდა. იყო მხოლოდ ერთი უცხო კაცი, დღე-
ობაზე მოსული, მზარეული ქალის ქმარი.

— მიდი, ჰკითხე, კარგო ადამიანო, — უთხრა ნიკიტამ, — რომელი მარ-
ხილის წაღება გნებავს-თქო, დიდისა თუ პატარისა?

მზარეულის ქმარი წავიდა მალალ ბალავირზე მდგარი, რკინით დახუ-
რული სახლისაკენ და მალევე მოიტანა ამბავი, პატარა მარხილის გა-
მართვა უნებებიათო. ნიკიტას უკვე ჩამოეცმია ცალული, დაედგა მოჭედ-
ილი კენი და ახლა ცალი ხელით მსუბუქი, შეღებილი ოდრიკალი მოჰქონ-
და, მეორით ცხენი მოჰყავდა და ფარდულში მდგარ ორ მარხილს უახ-
ლოვდებოდა.

— პატარაში შეაბასო, იყოს პატარა, — თქვა მან და ხელნებში ჩააყუ-
ნა გონიერი ცხენი, რომელიც ყასიდად სულ კბენას უპირებდა, და მზარე-
ულის ქმრის დახმარებით შებმა დაიწყო.



როცა თითქმის ყველაფერს მორჩნენ და სადავის გაკეთებადას აკლდა, ნიკიტამ სტუმარი დასაქმა, ფარდულიდან ნამჯა და ბელლიდან ფალასი მოიტანეო.

— ესეც ეგრე. აბა, აბა, ნუ აიჯაგრე, — ამბობდა ნიკიტა და უცხო კაცის მოტანილ ახალგანალეწი შერის ნამჯას ქელავდა, — ახლა კი მოდი, ჯვალთ დავაგოთ, ზემოდანაც ფალასი დავაფინოთ. აი ასე, ასე კარგად დაბრძანდება, — ამბობდა და თან აკეთებდა, რასაც იტყოდა, ნამჯას ზემოდან დასაჯდომის გარშემო ყოველმხრივ უკეცავდა ფალასს.

— მადლობელი ვარ, კარგო ადამიანო, — უთხრა ნიკიტამ მზარეულ ქალის ქმარს, — ორ კაცს ყველაფერი ემარჯვება, — ბოლოში რგოლით შეერთებული სადავის ტოტები ცალ-ცალ ხელში აკრიფა, კოფოზე შემოჯდა და სვლას მოწყურებული ბედაური ცხენი გაყინულ ნაკელზე ჭიშკრისაკენ დაძრა.

— ძია ნიკიტ, ძიავე, ჩემო ძიავე! — მიაძახა ეზოში დერეფნიდან გამოვარდნილმა შვიდი წლის ბიჭუნამ, რომელსაც მოკლე შავი ქურჭი, ახალი, თეთრი თექის ჩექმები ეცვა და თბილი ქუდი ეხურა. — მეც დამსვი, — იხვეწებოდა იგი და სირბილში ქურქს იკრავდა.

— აბა, აბა, გამოიქე, ჩიტო, — უთხრა ნიკიტამ, მარხილი შეაჩერა, სიხარულისაგან გაბრწყინებული, პატრონის ფერმკრთალი, გამხდარი ბიჭი დაისვა და ქურჩაზე გამოვიდა.

მესამე საათი იყო. ყინავდა — ათი გრადუსი იქნებოდა. ბურუსი წვებოდა და ქარი ქროდა. ნახევარ ცას დაბლა ჩამოწოლილი ღრუბლები ფარავდა. მაგრამ ეზოში მყუდროება იდგა. გარეთ კი ქარი უფრო მძლავრობდა. მეზობლის ფარდულის სახურავიდან თოვლს ხვეტდა, მოსახვევში კი, აბანოსთან, ბუჩი აეყენებინა. როგორც კი ნიკიტამ ჭიშკარი გამოიარა და ცხენი პარმალისაკენ შეაბრუნა, ვასილი ანდრეიჩიც გამოვიდა კარიდან. პირში პაპიროსი ეჩარა. დურა ტყავში იყო გახვეული, სარტყელი წელს ქვემოთ მაგრად ჰქონდა შემოჭერილი, მალალ პარმალზე დატკეპნილი თოვლი ჭრიალებდა ტყავგამოკერებულ თექის ჩექმებქვეშ. იგი შედგა, დალეული პაპიროსი ღრმად მოქაჩა და ფერხთით დაიგდო, ზედ დააბიჯა, ულვაშებში ბოლი გამოუშვა, მოახლოებულ ცხენს ცერად გახედა და გალაჟღავებული, გაპარსული სახის ორივე მხრივ ისე ჩაიკეცა ტყაპუჭის საყელოს კუთხეები, რომ სუნთქვისაგან ბეწვი არ დაორთქლილიყო.

— დახე, რა ყაჩაღია, მოუსწრია კიდევ! — თქვა მან, შვილი რომ მარხილზე დაინახა. ვასილი ანდრეიჩი ზარხოშად იყო სტუმრებთან ერთად შესმული არყისაგან და ამიტომაც ჩვეულებრივზე მეტად ახარებდა ყოველივე. რაც მას ეკუთვნოდა და რასაც იგი აკეთებდა. შვილის ხილვა, რომელსაც გულში ყოველთვის მემკვიდრედ იხსენიებდა, ახლა დიდ სიამეს ჰგვრიდა; თვალს ჭუტავდა, გრძელ კბილებს კრეჭდა და ისე შეჰყურებდა ვაჟი-შვილს.

ფენმძიმე, ფერმკრთალი ცოლი, რომელსაც თავშალი ისე წაეკრა, რომ მარტო თვალები უჩანდა, ვასილი ანდრეიჩის აცილებდა და ქმრის ზურგს უკან დერეფანში იდგა.

— კარგი იყო, ნიკიტა წაგეყვანა, — უთხრა მან და რიდით გამოსცდა ზღურბლს.

ვასილი ანდრეიჩმა ხმა არ გასცა, დაეტყო, რომ ნათქვამი არაფრად ებიტნავა, შუბლი შეიკრა და გადააფურთხა.

— ფული მიგაქვს, — კვლავ საწყალობლად გააგრძელა ამინდიც არ აირიოს, კარგი იქნებოდა, ღმერთმანი.

— მე რა, გზა არ ვიცი, თუ რა, აუცილებლად გამყოლი უნდა დაჭირდეს? — ჩაილაპარაკა ვასილი ანდრეიჩმა და ისევ არაბუნებრივად დაჭიმა ბაგეები, როგორც სჩვეოდა ხოლმე საქონლის პატრონებთან და მუშტრებთან საუბრის დროს, და განსაკუთრებით მკაფიოდ წარმოთქვა თითოეული მარცვალი.

— ეჰ, მაინც წაგეყვანა, ღვთის გულისათვის! — გაუმეორა ცოლმა და თავშალი მეორე მხრიდან დაიხვია.

— რას ჩამომეკიდე, აბა, სად უნდა წავიყვანო?

— რა უჭირს, ვასილი ანდრეიჩ, ეგრევე წამოვალ, — ხალისიანად უთხრა ნიკიტამ. — ოღონდ ცხენებს უჩემოდ დაუყარონ, — დაუმატა დიასახლისის გასაგონად.

— მე მივხედავ, ნიკიტა, სემიონს ვეტყვი, — მიუგო დიასახლისმა.

— მაშ, წამოვიდე არა, ვასილი ანდრეიჩ? — დაეკითხა ნიკიტა და პასუხს დაელოდა.

— რა ძალაა, დავუჯეროთ დედაბერს. ოღონდ, რახან მოდიხარ, წადი, თბილი რამე დიპლომატი ჩაიცვი, — ამოთქვა ვასილი ანდრეიჩმა, კვლავ გაიღიმა, თვალი ჩაუკრა და იღლიებსა და ზურგში გამორღვეულ, ქობასავით კალთაჩამოძენძილ, გაქონილ და ათასგან ნათრევ-ნაგდებ ქურქზე დაახედა.

— ჰეი, ძვირფასო ადამიანო, გამო, ცხენს დაუდექი! — ეზოში გასძახა ნიკიტამ მზარეული ქალის ქმარს.

— მე თვითონ, მე თვითონ დაგიჭერ! — აჭყლოპინდა ბიჭი, ჯიბიდან გათოშილი დაწითლებული ხელები ამოიღო და ტყავის ცივ სადავეებს წაეპოტინა.

— ახლა ძალიანაც კი ნუ გაიკოხტავებ მაგ შენს დიპლომატსა, მარღად შოიქეცი! — დაუყვირა და წაუქილიკა ვასილი ანდრეიჩმა.


— ახლავე, ერთი შებერვითა, მამავ ჩვენო, ვასილი ანდრეიჩ, — ჩაილაპარაკა ნიკიტამ და სწრაფად გაქუსლეს ჭვინტებით ერთმანეთისკენ მიქცეულმა მისმა ძველმა, თექისავე ლანჩადაკერებულმა ნაბდის ჩექმებმა; მან ეზო გადაირბინა და სამოჯამაგირო ქოხში შევარდა.

— აბა, არინუშკა, ღუმლიდან ჩემი ხალათი გადმომიღე — პატრონს მივყვები! — დაიძახა ნიკიტამ და ლურსმნიდან სარტყელი ჩამოხსნა.

მზარეული ქალი, რომელსაც სადილის შემდეგ გამოეძინა და ახლა ქმრისათვის სამოვარს ახურებდა, მხიარულად შეხვდა, მასაც გადაეღო ნიკიტას აფორიაქება, მასავით აფუსფუსდა, ღუმლიდან ჩამოიღო გასაშრობად დადებული მაუდის უხეირო, გაცვეთილი ხიფთანი და ფაცხაფუცხით ფერთხვა და ნაოჭების სწორება დაუწყო.

— შენა კი შენს პატრონთან გაატარებ დროს ლაღად, — უთხრა მზარეულ ქალს ნიკიტამ, რადგანაც გულკეთილობისა და თავაზის გამო ყოველთვის რაიმე უნდა ეთქვა კაცისათვის, ვისთანაც მარტო რჩებოდა.

და მან შემოირტყა ვიწრო, ჩაჭმუჭნული სარტყელი. კიდევ უფრო შე-



იგდო ისედაც ხმელი მუცელი და რაც შეეძლო ტანი შეიწურა მისი მუცელი ქურქში.

— აი ასე, — ამჯერად მზარეულ ქალს კი არა, სარტყელს უთხრა მან და მისი ბოლოები ქამარშივე ჩაიტუნა. — ასე აღარ ამოვარდები. — შემდეგ უხრები ასწი-დასწია, ხელი რომ მარჯვედ ეხმარა, ხალათი გადაიცვა, ახლა წელში დაიზნიქა რამდენჯერმე, ხელები თავისუფლად მექნებო, იდაყვებით მოთელა და თაროდან ხელთათმანები ჩამოიღო. — აჰა, ყველაფერი რიგზეა.

— შენა, სტეპანიჩი, ფეხზე გამოგეცვალა, — თორემ ჩექმები არ გივარგა.

ნიკიტა შეყოვნდა, თითქოს ენიშნაო.

— კარგი იქნებოდა... ეგრეც იოლას გავალ, შორი არაა! — და ეზოში გამოიქცა.

— არ შეგცოცვა, ნიკიტუშკა? — უთხრა დიასახლისმა, როდესაც იგი მარხილთან მივიდა.

— რის სიციფე, მთბილა კიდევ, — უპასუხა ნიკიტამ, მარხილის თავში ჩალა გაასწორა, ფეხები რომ შიგ ჩაეყო, და კარგი ცხენისათვის მოუხმარებელი შოლტი ნამჯის ქვეშ შეაცურა.

ვასილი ანდრეიჩი უკვე მარხილში იჯდა და ორ ქურქში გახვეულს მთელი საზურგე ამოევსო, მაშინვე სადავე აკრიფა და ცხენი დაძრა. ნიკიტა წინიდან მარცხენა მხარეს შეუხტა და ცალი ფეხი გარეთ გამოყო.

II

ბედაურმა ულაცმა ოდნავი ჭრიალით დაძრა მარხილი და ფიცხლად მიჰყვა სოფელში გატკეპნილ გაყინულ გზას.

— შენ სად ეკიდები? შოლტი მომე, ნიკიტა! — დაიყვირა ვასილი ანდრეიჩმა, იგი, ცხადი იყო, შეხაროდა მემკვიდრეს, რომელიც უკან კავებზე აპირებდა დადგომას. — სვირს გირვენებ შენა! გაიქე დედასთან, შე შობელძალლო.

ბიჭი ჩამოხტა. ქურანმა იორღით სვლას აურიქარა, შემდეგ ფეხი აურია და ჩორთით გაუტია.

კრესტიში, სადაც ვასილი ანდრეიჩს სახლი ედგა, ექვსი კომლი ცხოვრობდა, როგორც კი ბოლო, მჭედლის სახლს გაშორდნენ, უმაღვე ინიშნეს, რომ ქარი ბევრად უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ეგონათ. გზა თითქმის აღარ ეტყობოდა. მარხილის კვალი მაშინვე იშლებოდა და ნაგზაური მხოლოდ იმით განიჩიოდა, რომ შემალლებულად მიუყვებოდა. მთელ მინდორზე ქარბუჭი ამდგარიყო და არსად ჩანდა ის მიჯნა, სადაც მიწა და ცა ერთდება. ტელიატინოს ტყეს, ყოველთვის კარგად რომ ჩანდა, მხოლოდ ხანდახან შავად თუ დაღანდავდნენ ახვეტილი თოვლის ნაბუქში. ქარი მხარმარცხნივ უბერავდა, ქურანს დაჟინებით ერთ მხარეს უწვენდა ფაფარს მაღალ კისერზე და გვერდით უქცევდა გამოკვანძულ ხშირ ძუას. ქარის მხარეს მჯდომ ნიკიტას საყველო სახესა და ცხვირზე ეკვროდა.

— ისე ვერ მიდის, როგორც შეუძლია, — თქვა თავისი კარგი ცხენით

გაამაყებულმა ვასილი ანდრეიჩმა. — ერთხელ პაშუტინოში ამითვე წავედი, ჰოდა, ნახევარ საათში მიმიყვანა.

— რაო? — ჰკითხა ნიკიტამ, რომელსაც საყულო უშლიდა გაგონებას.

— პაშუტინოში-მეთქი. ნახევარ საათში გავედი, — დაუყვირა ვასილი ანდრეიჩმა.

— რაღა ლაპარაკი უნდა, მაგარი ცხენია! — მიუგო ნიკიტამ.

ორივე დადუმდა. მაგრამ ვასილი ანდრეიჩს ლაპარაკი სწყუროდა.

— დედაკაცს კი, ალბათ, დაუბარე, არა, მეკასრეს არ დააღვეინო? — კვლავ ხმამაღლა აძრახდა ვასილი ანდრეიჩი, რომელიც ღრმად იყო დარწმუნებული, ნიკიტას უნდა უხაროდეს ჩემისთანა მნიშვნელოვან და ჭკვიან კაცთან საუბარით, და იმდენად მოსწონდა თავისი ხუმრობა, რომ ფიქრადაც არ გაუვლია, ეს ლაპარაკი ნიკიტას შეიძლება არც სიამოვნებდესო.

ქარში ნიკიტას ყურამდე ვერ მიატანა პატრონის ნათქვამმა.

ვასილი ანდრეიჩმა ბოხი, მკაფიო ხმით გაუმეორა თავისი ხუმრობა მეკასრის თაობაზე.

— ღმერთი უშველით, ვასილი ანდრეიჩ, მე მაგ საქმის არა ვიცი რა. ჩემთვის ეგაა, რომ ბიჭი არ დამეჩაგროს, სხვა კი, ღმერთიც შეეწევა ჩემს დედაკაცს.

— ეს ეგრეა, — უთხრა ვასილი ანდრეიჩმა, — ცხენის ყიდვას თუ აპირებ საგაზაფხულოდ? — ახალ საგანზე ჩამოუგდო სიტყვა.

— ჰო, არ ამცდება, — უპასუხა ნიკიტამ, ხიფთანის საყულო გადაიწია და პატრონისაკენ გადაიხარა.

ახლა კი საუბარი საგულისხმო იყო ნიკიტასთვის და მასაც ყველაფრის მოსმენა სურდა.

— ბიჭი წამოიზარდა, თვითონ უნდა მოეკიდოს ხვნა-თესვას, თორემ სულ მოჯამაგირედ ვყრივართ, — თქვა მან.

— ჰოდა, წაიყვათ უწყინარი, ძვირს არ დაგიფასებთ, — დაუყვირა ვასილი ანდრეიჩმა, რომელიც აღგზნებული იყო და ამის გამო თავის უსაყვარლეს საქმეს, მთელი მისი გონება რომ ჰყავდა შეპყრობილი, — დალალობას დააცხრა.

— ეგებ თხუთმეტი მანეთი მოგეცათ და ცხენსაშენში ვიყიდოდი, — უთხრა ნიკიტამ. მან იცოდა, რომ უწყინარი, რომლის მისაღებასაც ვასილი ანდრეიჩი უპირებდა, დიდი-დიდი შვიდი მანეთი ღირდა, ვასილი ანდრეიჩი კი ამ ცხენს თუ მისცემდა, ოცდახუთ მანეთს უანგარიშებდა და მერმე ნახევარ წელიწადს ფულს აღარ დაანახვებდა.

— კარგი ცხენია, ისე გულით მიინდა შენთვის, თითქოს მე ვყიდულობდე. სინდისის საქმეა. ბრეხუნოვი კაცს არ აწყენინებს. დაე, ისევ მე ვიზარალო, სხვებივით კი არა ვარ. ჰალაღად მოვიქცეთ, — ჩაჰყვირა მან იმ კილოზე, რომლითაც მონუსხავდა ხოლმე საქონლის გამყიდველთაც და მუშტრებსაც. — ნაღდი ცხენია-მეთქი.

— ვნახოთ, რაც იქნება, — მიუგო ნიკიტამ, ამოიოხრა და, რა დარწმუნდა, მოსასმენი არაფერი დამრჩენიაო, ხელი უშვა საყულოს, რომელმაც მაშინვე დაუფარა ყური და სახე.

ნახევარ საათს უბრად იყვნენ. ნიკიტას ქარი უბერავდა ცალ გვერდსა და მკლავზე, სადაც სახელო გახეული ჰქონდა.



იგი იწურებოდა, პირზე აფარებულ საყელოში სუნთქავდა და არსად სიცივეს არ გრძნობდა.

— რას იტყვი, კარამიშევოზე გავიაროთ, თუ პირდაპირ წავიდეთ? — ჰკითხა ვასილი ანდრეიჩმა.

კარამიშევოს გზაზე მეტი ხალხი მიმოდიოდა, ორ რიგად კარგი სანიშნო საყეებიც მიუყვებოდა, მაგრამ შორი იყო. პირდაპირ ნაკლები მანძილი რჩებოდათ, მაგრამ გზა უვალი იყო, არც საყეები ესვა, რაც იყო, ისიც არ ვარგოდა და თოვლით იქნებოდა დაფარული.

ნიკიტა ცოტა ხანს ჩაფიქრდა.

— კარამიშევოზე შორი კია, მაგრამ კარგი სავალია, — ჩაილაპარაკა მან.

— ჰო, მაგრამ პირდაპირ პატარა ველი უნდა გავიაროთ როგორმე, გზა რომ არ აგვებნეს, მერე არა უშავს, ტყეზეა სავალი, — უთხრა ვასილი ანდრეიჩმა, რომელსაც მოკლეზე წასვლა ერჩია.

— თქვენი ნებაა, — მიუგო ნიკიტამ და კვლავ აუშვა საყელო. ვასილი ანდრეიჩი ასეც მოიქცა და ნახევარი ვერსი რომ გაიარეს, მუხის მალლა ამოშვერილ რტოსთან, რომელსაც ქარი არწევდა და აქა-იქ რამდენიმე ფოთოლიდა შერჩენოდა, მარცხნივ გაუხვიეს.

ახლა თითქმის პირქარი უბერავდა. ზემოდანაც თოვლის ფიფქები წამოყარა. ვასილი ანდრეიჩს სადავე ეპყრა ხელთ, ლოყები დაებერა და ჰაერს ქვევით, უღვაშებში უშვებდა. ნიკიტას ეყვინთებოდა. ათი წუთი ასე ჩუმად იარეს. უცებ ვასილი ანდრეიჩმა რაღაც ჩაილაპარაკა.

— რაიო? — ჰკითხა ნიკიტამ და თვალი გახილა.

ვასილი ანდრეიჩი ხმას არ იღებდა, აქეთ-იქით იხრებოდა, უკან იხედებოდა და წინაც გასცქეროდა. ცხენს ფერდებსა და კისერზე ქაფისაგან ბალანი დახუჭუჭებოდა და ნაბიჯით მიდიოდა.

— რაი გინდა-მეთქი? — გაუმეორა ნიკიტამ.

— რაი, რაი, — ბრაზიანად გამოაჯავრა ვასილი ანდრეიჩმა. — საყეები აღარ ჩანს. ალბათ გზა აგვერია.

— მაშ დააყუ და გზას გავხედავ, — თქვა ნიკიტამ, ყოჩაღად გადმოხტა მარხილიდან, ნამჯიდან შოლტი გამოაძრო და მარცხნივ, იმ მხარეს წავიდა, საითაც იჯდა.

იმ წელს დიდი თოვლი არ მოსულა და გავლა ყველან შეიძლებოდა, მაგრამ ალაგ-ალაგ მაინც მუხლამდე სწვდებოდა და ნიკიტას ჩექმის ყელში ეყრებოდა. ნიკიტა დააბიჯებდა, ფეხითა და შოლტის ტარით სინჯავდა, მაგრამ გზა არსად ჩანდა.

— აბა რა ჰქენი? — უთხრა ვასილი ანდრეიჩმა, როცა ნიკიტა მარხილთან დაბრუნდა.

— ამ მხარეს გზა არაა. იქით უნდა წავიდეთ და მოვიარო.

— აგე, წინ რაღაც შავად ჩანს, მიდი იქამდე და ნახე.

ნიკიტა იქითაც გაეშურა, მივიდა და ნახა, რაც შავად ჩანდა — შავად კი თურმე მიწა იყო მოპნეული, რომელიც ქარს მოხიაწებული მზრალი ნახნავიდან წამოვლო და თოვლი გადაეშავებინა. ნიკიტამ მარჯვენა მხარესაც იარა, მარხილთან დაბრუნდა, თოვლი ჩამოიბერტყა, ჩექმიდანაც ამოიყარა და მარხილში ჩაჯდა.

— მარჯვნივ უნდა ვიაროთ, — დაბეჯითებით თქვა. — ქარი მარცხენა ფერდში მცემდა, ახლა კი პირდაპირ თავ-ყბაში დამეძგერა, მარჯვნივ მიდი! — ჯიუტად გაიმეორა მან.

ვასილი ანდრეიჩმა დაუჯერა და მარჯვნივ გაუხვია. მაგრამ გზა არ იყო და არა. ასე იარეს ერთხანს. ქარი არ აპირებდა ჩადგომას და თოვაც მოუხშირა.

— ჩვენა, ვასილი ანდრეიჩ, ისე ვატყობ, სულ დავკარგეთ გზა-კვალი, — უცებ თითქოს კმაყოფილებითაც თქვა ნიკიტამ. — ეს რაღაა? — ჰკითხა მან და დაანახა თოვლიდან ამოჩრილი კარტოფილის ბურქები.

ვასილი ანდრეიჩმა შეაჩერა მთლად გაქაფული ცხენი, რომელსაც მძიმედ აუდიოდა სწორი გვერდები.

— რა იყო? — ჩაეკითხა იგი.

— რა და, ზახაროვკის მინდორში ვართ. აი, სად გამოვსულვართ.

— ჰაა? — შეეხმიანა ვასილი ანდრეიჩი.

— არა ვტყუი, ვასილი ანდრეიჩ, მართალს გეუბნები, — უთხრა ნიკიტამ, — მარხილსაც დააყურე — ნაკარტოფილარზე მივდივართ; აგე ბულულებიც, ფურჩი აუგროვებიათ. ზახაროვკის სანაშენოს მინდორია ესა.

— დახე, საითკენ გვივლია, — თქვა ვასილი ანდრეიჩმა. — ახლა რაღა უნდა ვქნათ?

— რა და, პირდაპირ უნდა გავსწიოთ, მეტი არაფერი, სადმე ხომ გავალთ, — მიუგო ნიკიტამ, — ზახაროვკაში თუ არა, ბატონის ხუტორს მაინც მივადგებით.

ვასილი ანდრეიჩმა დაუჯერა და ცხენი ისე მიუშვა, როგორც ნიკიტამ ურჩია. ასე კარგა ხანს იარეს. ხან უთოვლო ჯეჯილი შეხვდებოდათ და მარხილი გაყინულ კოლბოხებზე მიხრიგინობდა, ხან ნაწვერალზე გადავიდოდნენ, ხანაც მზრალ ნახნავზე, სადაც თოვლიდან ამოშვერილ აბზინდასა და ნამჯის ღერებს ქარი აცახცახებდა; ზოგჯერ თეთრად გადალესილ მინდორზე მიდიოდნენ, სადაც თოვლის მეტი აღარაფერი ჩანდა.

თოვლი ზემოდან ცვიოდა და ხანდახან მიწიდანაც მალლა იტაცებდა ქარი. ცხენი, ეტყობოდა, დაოსდა, ოფლისაგან ბალანი სულ დაუხუჭუჭდა, შეეჭირხლა და ნაბიჯით მიდიოდა. უცებ ჩაყირავდა და ჩახრამულ ალაგას თუ თხრილში ჩაეფლო. ვასილი ანდრეიჩს შეჩერება უნდოდა, მაგრამ ნიკიტამ შეუძახა.

— რას აკავენ! ჩავვარდით და უნდა ამოვიდეთ. ჰარუ, ძვირფასო, მიდი, მიდი. ჯიგრიანო! — შეეხმიანა ხალისიანად, მარხილიდან ისკუპა და თვითონაც თხრილში ჩავარდა.


ცხენმა გაიბრძოლა და უმაღვე ავარდა გაყინულ ნაყარზე. ეტყობოდა, აქ თხრილი გაეტანათ.

— მაინც სად უნდა ვიყოთ? — იკითხა ვასილი ანდრეიჩმა.

— გავიგოთ ჯერა! — მიუგო ნიკიტამ. — გაუჯავრდი. მივალთ სადმე.

— ეს გორიაჩკინოს ტყესა ჰგავს, არა? — უთხრა ვასილი ანდრეიჩმა და დაანახა რაღაც ჩაშავებული, თოვლის ფანტელებს მიღმა პირდაპირ რომ ჩანდა.

— აი, მივალთ და ვნახავთ, რა ტყეც არის, — თქვა ნიკიტამ.



ნიკიტა ხედავდა, რომ ჩაშავებული ადგილიდან წნორის ხმელი, გრძელი ფოთლები მოჭქონდა ქარს, და ამიტომაც იცოდა, აქ ტყე კი არა, სამოსახლო იქნებოდა, მაგრამ ამისი თქმა არ უნდოდა. მართლაც, თხრილის შემდეგ, ოციოდ ადლიც არ გაევილოთ, რომ წინ ხეებივით შავად დალანდეს რაღაც და უცნაური, ნაღვლიანი ხმა შემოესმათ. ნიკიტას გუმანმა არ უმტყუნა: აქ ტყე კი არ იყო, მაღალი, აქა-იქ ფოთოლაცახცახცახებული წნორები იდგნენ მწკრივად, ალბათ კალოს თხრილის გაყოლებაზე! ქარში სევდიანად მოზუზუნე ხეებს რომ მიუახლოვდა, ცხენმა უეცრად წინა ფეხები მარხილზე მალა აადგა, უკანებიც ააყოლა, ბექზე ავიდა, მარცხნივ გაუხვია და უკვე თოვლიც ვეღარ შემოსწვდა მუხლამდე. გზად გამოსულიყვნენ.

— აჰა, მივედით, — თქვა ნიკიტამ, — ოღონდ სადა ვართ, აღარ ვიცი.

ცხენი ფეხშეუშლელად გაჰყვა მინამქრულ გზას. ორმოცი ადლიც არ გაევილოთ, რომ შავად გამოჩნდა წნული საბძლის სწორი ზოლი, რომლის დაბარდნილი სახურავიდან გამუდმებით იყრებოდა თოვლი. საბძელსაც გასცდნენ, გზამ ქარის საპირისპიროდ მიუხვია და ისინი ნამქერს წაადგნენ, მაგრამ წინ ორ სახლს შორის შუკა მოჩანდა და ცხადი იყო, რომ გზა მიენამქრა და ზედ უნდა გადაევილოთ. მართლაც, ნამქერი რომ გადაიარეს, ქუჩაზე გავიდნენ. ნაპირა ეზოსთან ქარი გლეჯდა ყინვისაგან გახვევებულ გაკიდულ თეთრეულს: პერანგებს, თეთრსა და წითელს, ნიფხვებს, ფეხსახვევებსა და ქალის ქვედატანს. თეთრი პერანგი მაინც სულ გაფრენას ღამობდა და სახელოებს მიიქნევდა.

— დახე, რა ხელთუპყარი დედაკაცი ყოფილა, ანდა კვდება. ალბათ, რაკი სადღეობოდ სარეცხი ვერ ჩამოუხსნია, — თქვა ნიკიტამ, გაფრიალებულ პერანგებს რომ შეავლო თვალი.

III

ქუჩის დასაწყისში ქარი ქროდა და ნამქერიც მიეხვეტა, მაგრამ სოფლის შუაგულში მყუდროება და სითბო იგრძნეს და გულს მოეფონათ. ერთ ეზოსთან ძალლი ყუფდა, მეორესთან საიდანლაც ქუქუნაკმოსხმულმა დედაკაცმა მიიბინა და, სანამ ქოხში შევიდოდა, ზღურბლზე შეჩერდა, გამვლელთათვის თვალი რომ გაეყოლებინა. სოფლის სიღრმიდან გოგოების სიმღერა ისმოდა.

აქ თითქოს ნაკლებად იყო ქარიც, თოვლიც და ყინვაც.


— ეს ხომ გრიშკინოა, — თქვა ვასილი ანდრეიჩმა.

— სწორედ ეგაა, — დაუდასტურა ნიკიტამ.

და მართლაც გრიშკინო იყო. გამოვიდა, რომ მათ მარცხნივ შეშლოდათ გზა და რვა ვერსი სულ იმ გეზით ვერ ეართ, საითაც უნდა წასულიყვნენ, მაგრამ მაინც მიახლოებოდნენ თავიანთი მგზავრობის მიზანს. გრიშკინოდან გორიაჩკინომდე ხუთი ვერსი იყო.

შიგ სოფელში ისინი შუა ქუჩაზე მომავალ მაღალ მამაკაცს შეეჩეხნენ.

— რომელი ხარ? — დაუყვირა ამ კაცმა, ცხენი შეაჩერა და მაშინვე შეიცნო რა ვასილი ანდრეიჩი, ხელნას ჩაეჭიდა, ხელები მიაყოლა, მარხილთან მივიდა და ქიმზე ჩამოჯდა.



20
333



ტოლსტოი

ფრანგი მხატვრის პარი ლეფორის ფოტოგრაფია, 1896

ვასილი ანდრეიჩი იცნობდა ამ გლეხს, ისაის, რომელსაც მთელ იმ არემარეზე პირველი ცხენის ქურდის სახელი ჰქონდა დაგდებული.

— აჰა! ვასილი ანდრეიჩი ბრძანებულხართ! საითკენ ამგზავრებულხართ? — უთხრა ისაიმ და ნიკიტას არყის ოხშივარი შეაფრქვია.

— ჩვენა გორიაჩინოში გვინდოდა.

— ჰე, საით გამოსულხართ! მალახოვოზე უნდა გაგველოთ.

— კაცს ბევრი რამ უნდა, მაგრამ არ გამოდის, — უთხრა ვასილი ანდრეიჩმა და ცხენს თავი დაუჭირა.

— კაი ცხენი გყავთ, — თქვა ისაიმ, ქურანა შეათვალიერა და გაწაფული ხელით ზედ სახიმართან მოუჭიმა გამონასკვული ხშირი ძუა.

— ახლა ღამეს გაათევთ, არა?

— ვერა, ძმაო, აუცილებლად უნდა წავიდეთ.

— ალბათ, ასეა საჭირო. ეს ვილასია? აჰა! ნიკიტა სტეპანიჩი ყოფილა!

— მაშ ვინ იქნებოდა? — მიუგო ნიკიტამ. — ახლა კიდევ აღარ აგვერიოს გზა, კარგო კაცო.

— სადღა უნდა აგვერიოს! უკან დაბრუნდით, პირდაპირ ქურას გაჰყვით, რო გახვალთ, სულ სწორად იარეთ, მარცხნივ არ გინდათ, დიდ გზაზე რომ გახვალთ, მაშინ კი მარჯვნივ გაუხვიეთ.

— შარაზე მოსახვევი სადაა, ზამთრის გზაზე თუ ზაფხულისაზე?

— ზამთრის გზაზე. იქ რომ მიხვალთ, ბურქები იქნება, ბურქების პირდაპირ მუხის მაღალი საყუა, თავმოკაუჭებული, იქაა.

ვასილი ანდრეიჩმა ცხენი მოატრიალა და სოფელს გაუყვა.

— ეგებ ღამე მაინც აქ გაგეთიათ! — მიაყვირა უკნიდან ისაიმ.

მაგრამ ვასილი ანდრეიჩმა არ უპასუხა და ცხენი ააჩქარა. ხუთვერსიანი სწორი გზა, სადაც ორი ვერსი ტყე-ტყე უნდა ეართ, ადვილი გასავლელი ერვენა, თანაც თითქოს ქარი იკლებდა და თოვაც წყდებოდა.

კვლავ გაიარეს დატკეპნილ და ალაგ-ალაგ ახალი ნაკელისაგან გადაშავებულ თოვლიან ქურაზე, უკან მოიტოვეს სარეცხიანი ეზო, სადაც თეთრი პერანგი უკვე ცალ, გაყინულ სახელოზე კონწიალობდა, კვლავ გაუარეს გულისშემადღონებლად მოზუზუნე წნორებს და ისევ ტრამალზე გავიდნენ. ქარბუქს კი არ ეკლო, გაძლიერებულიყო კიდევ. გზა სულ მიენამქრა და მხოლოდ სვეტებით შეიძლებოდა შეტყობა, სწორად მიდიოდნენ თუ არა. მაგრამ წინ მათი დანახვაც ჭირდა, რადგან პირქარი უბერავდა.

ვასილი ანდრეიჩი თვალებს ჭუტავდა, თავს დაბლა ხრიდა, მაგრამ უფრო კი ცხენს ენდობოდა და სადავეს აძლევდა. მართლაც ცხენს გეზი არ ეშლებოდა, ფეხით გრძნობდა გზას და ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ მიუყვებოდა მოსახვევებს. ამიტომაც, თუმც უფრო უხვად ბარდნიდა და ქარიც ძლიერდებოდა, საყუები დროდადრო გზის რომელსამე მხარეს მაინც ამოიწვევებოდა ხოლმე.

ასე იარეს ათიოდე წუთს და უცბად დაინახეს, რომ ცხენის წინ ქარისაგან გადახრილ თოვლის ალმაცურ ბადეში რაღაც შავად მიდიოდა. მგზავრები ყოფილიყვნენ. ქურანა დასწეოდა მათ და ფეხებს წინ მიმავალ მარხილს ახვედრებდა.

— შემოუარე... ე-ე-ე... მიდი! — უყვიროდნენ მარხილიდან.

ვასილი ანდრეიჩმა გასწრება დაუწყო. მარხილში სამი გლეხკაცი და ერთიც დედაკაცი ისხდა. როგორც ეტყობოდა, დღეობაზე სტუმრად ნამყოფი ხალხი შინ ბრუნდებოდა. ერთი გლეხი ხმელ ტოტს სცემდა. ჩია ცხენის თოვლწაყრილ გავას. ისინი, წინ რომ ისხდნენ, ხელებს იქნევდნენ და რაღაცას გაჰყვიროდნენ. შეფუთული, თავით ფეხამდე დათოვლილი დედაკაცი ცხვირაბზუებული იჯდა მარხილის უკანა სკამზე.

— ვისები ხართ? — გადასძახა ვასილი ანდრეიჩმა.

— ა-ა-ა... ისანი! — მხოლოდ ეს გაისმა.

— ვისები-მეთქი?

— ა-ა-ა... ისინი! — რაც შეეძლო დაუყვირა ერთ-ერთმა გლეხმა, მაგრამ მაინც ვერ დააყურეს, ვისი ხალხი იყო.

— მიდი! არ ჩამორჩე! — ღრიალებდა მეორე და სულმოუთქმელად აყრიდა ჯოხს პატარა ცხენს.

— დღეობიდან მოდიხართ, არა?

— გარეკე! გარეკე! მიდი, სიომკა! გაუსწარი! მიდი!

მარხილებმა გვერდები გაჰკრეს და ლამის გამოედნენ ერთმანეთს, მაგრამ უმაღვე დასცილდნენ და გლეხების მარხილი ნელ-ნელა ჩამორჩა.

გაბანჯგვლული, ერთიანად შეფიფქული, ჩუმპიანი, დალეული ცხენი გამწარებული ქოშინებდა დაბალ ოდრიკალქვეშ, ამოდ იკრებდა უკანასკნელ ღონეს, რომ ჯოხის ცემას გაქცეოდა, ღრმა თოვლში აცა-ბაცა მიჰქონდა მოკლე ფეხები და ზევითკენ უფრო ისროდა, ვიდრე წინ. ვასილი ანდრეიჩის მხარს რამდენიმე წამით გაუსწორდა ახალგაზრდა ცხენის თავი, თევზივით მოკუმული ქვედა ბაგეთი, გაფართოებული ნესტოებითა და შიშისაგან ალურსული ყურებით, და მალევე ჩამორჩა.

— როგორ დაუგეიებია არაყს, — თქვა ნიკიტამ. — ისე მიუსიკვდილებიათ ცხენი, ტყავადლა თუ ივარგებს. აზიელებს რო იტყვიან, ეგენი არიან სწორედ.

რამდენიმე წამს ისმოდა ნაწამები ცხენის ნესტოების ქსუტუნი და მთვრალი გლეხების ყაყანი; შემდეგ ქოშინი მიჩუმდა და ყაყანიც მიწყნარდა; გარშემო უკვე აღარაფერი ისმოდა ყურებთან მოზუზუნე ქარის გარდა და ხანდახან, გადახვეტილ გზაზე მარხილის კავები თუ გაიღრჭილებდა ოდნავ.

ამ შეხვედრამ კარგ გუნებაზე დააყენა და გაამხნევა ვასილი ანდრეიჩი და მან თამამად, საყეები აღარც უღარდია, ისე გარეკა ცხენი, გზა მაინც არ შეეშლებათ.

ნიკიტას საქმე აღარ ჰქონდა და, როგორც ასეთ ღროს ნიადაგ სჩვეოდა ხოლმე, ყვინთავდა და ამით ივსებდა, რაც ძილი დაჰკლებოდა.

— არა, კიდევ ცუდად მივდივართ, — თქვა ვასილი ანდრეიჩმა.

— რაზე ატყობ?

— რაზე და საყე აღარა ჩანს. ალბათ, კიდევ ავსცდით გზასა.

— თუ ავსცდით, უნდა მოვძებნოთ, — მოკლედ მოჭრა ნიკიტამ და ერთმანეთისაკენ მიქცეული ტერფებით კვლავ მარდად წაკუნკულდა თოვლში.

დიდხანს დადიოდა, თვალს ეფარებოდა, ერთხანს გამორჩებოდა, შემდეგ კვლავ იკარგებოდა და, როგორც იქნა, დაბრუნდა.

48657



— აქ გზა არაა, ეგებ სადმე წინ იყოს, — თქვა და მარხილში ჩაჯდა.

უკვე კარგა ბინდებოდა. ქარბუქი არ ძლიერდებოდა, მაგრამ არც იკლებდა.

— იმ გლეხების ხმა მაინც მოგვწვდენოდა, — უთხრა ვასილი ანდრეიჩმა.

— ხო ხედავ, აღარ წამოგვეწვივნენ, ალბათ, შორს შევტოპეთ. შეიძლება, მათაც დაკარგეს გზა. — უპასუხა ნიკიტამ.

— საითკენ უნდა წავიდეთ? — იკითხა ვასილი ანდრეიჩმა.

— ცხენი უნდა მივუშვათ. ის გაგვიყვანს. მომე სადავე.

ვასილი ანდრეიჩმა სადავე მისცა, ეამა კიდევ, რადგანაც უკვე თავის თბილ ხელთათმანებშიც ეზრობოდა ხელები.

ნიკიტამ სადავე აკრიფა და მხოლოდ ეკავა იგი, ცდილობდა არ შეერხია მისი ტოტები და თავისი საყვარელი პირუტყვის ჭკუას შეხაროდა. მართლაც, გონიერმა ცხენმა ხან ერთ, ხან მეორე მხარეს მიმართა ცალცალი ყური და შემობრუნება დაიწყო.

— ერთი ეგაა, რო ენა არა აქვს, — თავისთვის ბუტბუტებდა ნიკიტა, — დახე, რას აკეთებს! მიდი, მიდი, აბა, შენ იცი! ეგრე, ეგრე.

ქარმა ზურგიდან დაუბერა, დასთბათ.

— რა ჭკვიანია, — განაგრძობდა ცხენის ქებას ნიკიტა. — ყირგიზული უფრო ღონიერია, მაგრამ სულელია, ამას ერთი შეხე, ყურით რასა სჩადის. არაფერი ტელეგრაფი არა სჭირდება. ერთ ვერსზე გრძნობს ყველაფერს.

ნახევარ საათსაც არ გაევილო, რომ წინ მართლაც რაღაც გამოჩნდა შავად: ტყე თუ სოფელი, მარჯვენა მხარესაც კვლავ დაინახეს საყეები, ცხადი იყო, ისევ გზაზე გამოსულიყვნენ.

— ეს ხომ ისევ გრიშკინოა, — წამოიძახა ნიკიტამ.

მართლაც, მხარმარცხნივ ისევ ის საბძელი იდგა, საიდანაც თოვლი იხვეტებოდა, შემდეგ მიჰყვებოდა ისევ ის თოკი და ზედ გაკიდული გაყინული თეთრული, პერანგები და ნიფხვები, რომლებსაც იმგვარივე დაყინებით გლეჯდა ქარი.

კვლავ შევიდნენ ქუჩაში, კვლავ მყუდროდ, თბილად და ხალისიანად იგრძნეს თავი, კვლავ გამოჩნდა ნაკელწაყრილი გზა, კვლავ მოესმათ ლაპარაკი, სიმღერა, კვლავ აყეფდა ძაღლი. იმდენად დაბინდებულყო, რომ ზოგიერთი სარკმლიდან შუქიც გამოკრთოდა.

ქუჩა ნახევრამდე რომ გაიარეს, ვასილი ანდრეიჩმა ცხენი დიდი, წაგრძელებული სახლისკენ მიაბრუნა და ჭიშკართან გააჩერა.

ნიკიტა მივიდა შეთოვლილ განათებულ სარკმელთან, რომლის შუქზე მოფარფატე ფანტელები ბრწყინავდა, და შოლტის ტარით დააკაკუნა.

— რომელი ხარ? — გამოსძახეს ნიკიტას შეხმიანების პასუხად.

— კრესტიდანა ვართ, ბრეხუნოვები, კარგო ადამიანო, — უპასუხა ნიკიტამ. — ცოტა ხნით გამოგვხედე.

სარკმელს მოსცილდნენ, ორიოდვე წუთის შემდეგ — ხმაზე ეტყობოდა, დერეფანში გამოაღეს კარი, შემდეგ გარეთა კარს გამოუგდეს ურდული და გამოჩნდა მაღალი ბერიკაცი, თეთრწვერა გლეხი, რომელსაც თეთრ სა-

გარეთ ხალათზე მოკლე ქურჭი მოესხა; იგი კარს აკავებდა, რომ ქარს არ მოეფრიალებინა; მის უკან წითელხალათიანი და ტყავისჩექმებიანი ჭაბუკი იდგა.

— შენა ხარ, განა, ანდრეიჩი? — თქვა მოხუცმა.

— გზა-კვალი აგვებნა, ძმაო, — უთხრა ვასილი ანდრეიჩმა, — გორიაჩკინოში მივდიოდით და თქვენს სოფელში გამოვედით. აქედან წავედით და კვლავ დავიკარგენით.

— დახე, როგორ აგრევიათ გზა, — თქვა მოხუცმა, — პეტრუხა, მიდი, ჭიშკარი გაუღე! — მიმართა წითელხალათიან ჭაბუკს.

— ეგ ადვილია, — უპასუხა ჯეელმა მხიარულად და დერეფანში შევარდა.

— ჩვენა, ძმაო, ღამის გათევას არ ვაპირებთ, — უთხრა ვასილი ანდრეიჩმა.

— სადღა უნდა წახვიდეთ — დაღამდა და გაითენე კიდევ.

— არ გვაწყენდა, მაგრამ უნდა წავიდე, საქმეა, ძმაო, არ შეიძლება.

— მაშ, გათბი მაინცა. სამოვარიც გვიდულს, — უთხრა მოხუცმა.

— გათბობა კი შეიძლება, — უპასუხა ვასილი ანდრეიჩმა, — ამაზე მეტად აღარც დაბნელდება, მთვარე ამოვა და გაანათებს კიდევ. რაო, შევიდეთ და გავთბეთ, მიკიტი?

— რა უშავს, გათბობა შეიძლება, — დაეთანხმა ნიკიტა, რომელიც კარგა მაგრად გათოშილიყო და ერთი სული ჰქონდა, ძვალ-რბილი გაელხო.

ვასილი ანდრეიჩი მოხუცს შეჰყვა სახლში. ნიკიტამ კი პეტრუხას მიერ გაღებულ ჭიშკარში შეიყვანა მარხილი და ჯეელის მითითებით ფარდულის ჩარდახისაკენ მიაყენა. ფარდულის კარებთან ნაკელი ეყარა და მაღალი ოდრიკალი ლატანს გამოედო. უკვე დაბუდებული ქათმები თავიანთ მამალთან ერთად უკმაყოფილოდ აკრიახდნენ და ქანდარა ჭანგებით მობლოჭეს. დამფრთხალი ცხვრები გაყინულ დრემლაზე აბაკუნდნენ და ერთ მხარეს მისხლტნენ. აწკავწკავებული ძაღლი შიშნეულად და ბრაზით, ლეკვივით გაბმულად უყეფდა უცხო კაცს.

ნიკიტა ყველას შეეხმაურა: ქათმებს მოუბოდიშა, დააშოშმინა, მეტს აღარ შეგაწუხებთო, ცხვრებს უსაყვედურა, თქვენ თვითონ არ იცით, რასა ფრთხებითო, და ცხენს რომ აბამდა, თან განუწყვეტლივ უყვავებდა ძაღლს.

— აი, ასე კარგად იქნება, — თქვა და თოვლი ჩამოიფრთხა. — დახე, რა გააბა! — დაუმატა ძაღლის თაობაზე. — აბა, გეყოფა ახლა! კარგი, გეყო, შეუტვინო, გეყო. ტყუილად თავს იტკიებ, ქურდები ხო არ მოვსულვართ, თქვენები ვართ...

— ესა, როგორც ნათქვამია, სამი შინაური ვეზირია, — თქვა ჯეელმა და ღონიერი ხელით ჩარდახქვეშ შეაგდო გარეთ დარჩენილი მარხილი.

— რაო, რა ვეზირებით? — ჰკითხა ნიკიტამ.

— ასეა დაბეჭდილი პაულსონის წიგნში. ქურდი სახლს ეპარება, ძაღლი კი ყეფს, ესა, ფხიზლად იყავით, თვალი გეჭიროსო, მამალი ყივის, — ესა, ადექით. კატა პირს იბანს, ესა, ძვირფასი სტუმარი მოდის, სამასპინძლოდ მოემზადენითო, — ღიმილით მიაყოლა ჯეელმა.

პეტრუხამ ანაბანა იცოდა, თითქმის ზეპირად ჰქონდა დასწავლილი თავისი ერთადერთი, პაულსონის წიგნი და ძლიერ უყვარდა, განსაკუთრებით

მაშინ, თუ ახლანდელივით ცოტა გადაკრულში იყო, ამბისთვის უპრიანი შეგონების თქმა.

— სწორედ ამაზე ყოფილა ნათქვამი, — უთხრა ნიკიტამ.

— გაიყინე ალბათ, ძიაკაცო? — დაუმატა პეტრუსამ.

— არც უმაგისობაა, — მიუგო ნიკიტამ, და მათ ეზოდან დერეფანი გაიარეს და სახლში შევიდნენ.

IV

ის ოჯახი, რომელსაც ვასილი ანდრეიჩი მიადგა, სოფელში ერთ-ერთი ყველაზე ღონიერი იყო. მამული ხუთ ადგილას ეკავათ და სხვაგანაც იღებდნენ მიწას იჯარით. ექვსი ცხენი დაუდიოდათ, სამი ძროხა, ორი დეკეული და ოცი ცხვარი. ოჯახიშვილები ოცდაორი სული იყვნენ: ოთხი დაცოლშვილებული ვაჟი, ექვსი შვილიშვილი, რომელთაგან მარტო პეტრუსა იყო ცოლიანი, ორი შვილიშვილის შვილი, სამი ობოლი ბავშვი და ოთხი ბავშვებიანი რძალი. ეს იყო ერთ-ერთი იშვიათი კომლი, რომელიც ჯერაც არ გაყრილიყო, მაგრამ უკვე იქაც ყრუდ დუღდა, როგორც ყოველთვის, დედაკაცებს შორის გაღვივებული განხეთქილების დვრიტა, რასაც აუცილებლად სულ მალე გაყრა უნდა მოჰყოლოდა. ორი ვაჟი მოსკოვში წყლის მზიდავად იდგა, ერთი სალდათად იყო. სახლში ახლა იყვნენ ბერიკაცი, დედაბერი, უფროსი შვილი — ოჯახს ვინც ჰპატრონობდა, მოსკოვიდან სადღეობოდ ჩამოსული მეორე ვაჟი და მთელი ჯალაბი. შინაურთ გარდა ერთი სტუმარიც იყო — მეზობელი და ნათლია. სახლში მაგიდის თავზე დიდი ლამპა ეკიდა, რომლის მკაფიო შუქი ანათებდა ჩაის ჭურჭელს, არყიან ბოთლს, საჭმელსა და აგურის კედლებს, მორთულ კუთხეს, სადაც ხატები და მათს გარშემო კი სურათები ეკიდა. ვასილი ანდრეიჩი სუფრის თავში იჯდა, შავი მოკლე ქურქიდა ემოსა, შეყინულ უღვაშებს იწუწნიდა და გადმოკარკლულ ქორისებურ თვალებს გარშემო მყოფ ხალხსა და ოთახს ავლებდა. ვასილი ანდრეიჩის გარდა მაგიდას უსხდნენ მელოტი თეთრწვერა პაპა, რომელსაც შინ ნაქსოვი თეთრი ხალათი ეცვა, მისი ვაჟები — ერთი მოსკოვიდან დღეობაზე ჩამოსული, თხელი ჩითის ხალათი მძლავრ ზურგსა და ბეჭებზე რომ გადასჭიმოდა, და მეორე — უფროსი ძმა, ახოვანი, მხარბეჭიანი, სახლ-კარს ვინც ჰპატრონობდა, და ხმელ-ხმელი მწითური გლეხი — მეზობელი.

გლეხკაცებს ესვათ და ეჭამათ, ის-ის იყო ჩაის სმას ეპირებოდნენ. სამოვარი იატაკზე იდგა ღუმელთან და უკვე გუგუნებდა. დარბაზშივე შეფიცრულ ქორედსა და ღუმელზე ბაღლები მიყუჟულიყვნენ. ერთი ქალი ტახტზე აკვანს მისჯდომოდა. დიდედა, რომლის სახე, ბაგეებიც კი, წვრილ ნაოჭებს დაექსელა, ვასილი ანდრეიჩს დასტრიალებდა.

იმ დროს, ნიკიტა რომ ქოხში შედიოდა, დედაბერს სქელი შუშის საარაყუჭიჭიქაში არაყი დაესხა და სტუმარს სთავაზობდა.

— არ დაგვძრახო, ვასილი ანდრეიჩ, უამისოდ არ იქნება, უნდა დაილოცო, — ეუბნებოდა იგი. — მიირთვი, შაგარდენო.

არყის დანახვამ და მისმა სუნმა, განსაკუთრებით ახლა, როდესაც ასე გათოშილი და დაღალული იყო, ააფორიაქა ნიკიტა. იგი შეიჭმუნა.

ქუდსა და ხიფთანზე თოვლი ჩამოიფერთხა, სახატის წინ გაჩერდა და, თითქოს ვერავის ხედავსო, სამგზის პირჯვარი გადაისახა და თაყვანისცეხატებს, შემდეგ ბერიკაცისაკენ მიბრუნდა, მდაბლად დაუკრა თავი ჯვარმას, შემდეგ მაგიდის გარშემო მსხდომთ, მერმე ღუმელთან მდგარ დედაკაცებს, ჩაილაპარაკა, „მომილოცნიაო“ და ისე დაიწყო გახდა, რომ სუფრისათვის არ შეუხედავს.

— კარგა კი დაგდებია ჭირხლი, ძიაკაცო, — უთხრა უფროსმა ძმამ, მის თოვლისაგან დაჟიებულ სახეს, თვალებსა და წვერს რომ შეხედა.

ნიკიტამ ხიფთანი გაიხადა, ერთხელაც დაფერთხა, ღუმელთან დაკიდა და მაგიდასთან მივიდა. არაყი მასაც მიაწოდეს. საშინელი ტანჯვის წუთი დაუდგა ნიკიტას: ცოტალა დააკლდა, რომ ჭიქა გამოერთმია და ყელში გადაეშვა სურნელოვანი, კამკამა სითხე; მაგრამ მან შეხედა ვასილი ანდრეიჩის, მოაგონდა ფიცი, მოაგონდა სასმელში გაყიდული ჩექმები, მოაგონდა მუკასრე, მოაგონდა ბიჭი, რომელსაც საგაზაფხულოდ ცხენის ყიდვას შეჰპირდა, ამოიოხრა და უარი უთხრა.

— არა ვსვამ, გმადლობთ უმორჩილესადა, — თქვა შუბლშეკრულმა და მეორე სარკმელთან მერხს მიუჯდა.

— ეგ რაღაა? — გაიკვირვა უფროსმა ძმამ.

— არა ვსვამ და ეგაა, — მიუგო ნიკიტამ, ისე რომ თავი არ აუწევია. თავის თხელ უღვაშსა და წვერს დასცქეროდა და ზედ ყინულის ლოლუებს ილხობდა.

— მაგას არა ჰრგებს, — თქვა ვასილი ანდრეიჩმა და არაყს მოხარული კვერი მიატანა.

— მაშ რაი დალიე, — უთხრა ტკბილმა დედაბერმა, — ალბათ ძაან შეგცივდებოდა; ქალებო, რას უტრიალებთ ამდენ ხანს მანდა?

— მზადაა, — უპასუხა უმცროსმა რძალმა, ტილო აუქნია ჩამცხრალ, დახურულ სამოვარს, ძლივს მიიტანა, ასწია და მაგიდაზე ხმაურით დადო.

ამასობაში ვასილი ანდრეიჩი ჰყვებოდა, როგორ აებნათ გზა, ორჯერ როგორ მოადგნენ მათს სოფელს, როგორ იარეს უგზოდ, როგორ გადაეყარნენ მთვრალებს. მასპინძლები ჰკვირობდნენ, უხსნიდნენ, სადა და რატომ ასცდითო გზას, მთვრალები ვინ იქნებოდნენო, და ასწავლიდნენ, საით უნდა წასულიყვნენ.

— აქედან მოლჩანოვკამდე პატარა ბაღლიც გავა, ოღონდ შარავზაზე სწორად მოუხვიოს, — ბურჩი უნდა ჩანდეს იქა. თქვენ კი იქამდე არც მისულხართ! — ეუბნებოდა მეზობელი.

— არადა, ღამე აქ გაგეთიათ. ქალებს ლოგინს გავაშლევინებ, — არწმუნებდა დედაბერი.

— დილაუთენია კი წახვიდოდით, ამას რა სჯობია, — უდასტურებდა ბერიკაცი.

— არ შეიძლება, ჩემო ძმაო, საქმეა, საქმე! — თქვა ვასილი ანდრეიჩმა. — ერთი საათით დააგვიანებ და მერე მთელ წელიწადს უნდა სდიო, — დაუმატა, როდესაც მოაგონდა ტყე და ის ვაჭრები, რომლებიც შეიძლება ამ საქონელში შესცილებოდნენ: — მივალწევთ, არა? — მიმართა ნიკიტას.

ნიკიტამ კარგა ხანს ხმა არ გასცა, თითქოს კვლავ წვერ-უღვაშის გაღლობაზე ფიქრობსო.



— კიდევ არ აგვერიოს გზა, — თქვა მან კუშტად.

ნიკიტა იმაზე იყო გაჯავრებული, რომ მას საშინლად სწყურებდა არაყი და ერთადერთი, რაც ამ სურვილს დაუცხრობდა, ჩაი იყო, მაგრამ ჯერ მისთვის არაყის შეეთავაზებინა.

— ბოლოს და ბოლოს მოსახვევამდე უნდა მივიდეთ როგორმე და მერე აღარ დავიკარგებით. ზედ სოფლამდე ტყე-ტყე უნდა ვიაროთ. — უთხრა ვასილი ანდრეიჩმა.

— თქვენ იცით, ვასილი ანდრეიჩ, თუ წასვლას იტყვით, წავიდეთ, — მიუგო ნიკიტამ, და მოწოდებული ჭიქა ჩამოართვა.

— ჩაი დავლიოთ და აბა, გავსწიოთ.

ნიკიტამ არაფერი მიუგო, მხოლოდ თავი დაუქნია, ფრთხილად დაისხა ლამბაქზე ჩაი და ორთქლს ჯაფისაგან ნიადაგ თითებდასიებული ხელები მიუშვირა გასათბობად. შემდეგ შაქრის პაწაწკინტელა ნატეხს მიაკვნიტა, მასპინძლებს თავი დაუკრა და ჩაილაპარაკა:

— გადღეგრძელოთ, — და შეისრუტა გამათბობელი სითხე.

— მოსაბრუნამდე ვინმე რომ გაგვეყვებოდეს, — თქვა ვასილი ანდრეიჩმა.

— რატომაც არა, ეგ ადვილია, — უთხრა უფროსმა ვაჟმა. — პეტრუხა შეაბამს და მოსახვევამდე მიგაცილებთ.

— მაშ, შეაბი, ჩემო ძმაო. მადლის გადახდა ჩემზე იყოს.

— ეგ რა სთქვი, შავარდენო! — უთხრა ტკბილმა ბებერმა. — ჩვენ ისე დაც გაგვიხარდება.

— პეტრუხა, წადი, ჭაკი შეაბი, — უთხრა უფროსმა ძმამ.

— ეგ ადვილია, — თქვა პეტრუხამ ღიმილით, ლურსმნიდან ქუდი ჩამოგლიჯა და შესაბმელად გავარდა.

სანამ ცხენს შეაბამდნენ, საუბარი კვლავ იმ ამბავს დაუბრუნდა, რაზეც შეუწყდათ მაშინ, როდესაც ვასილი ანდრეიჩმა მათს სარკმელს მოაყენა მარხილი.

ბერიკაცი მეზობელს მესამე შვილის აუგს ეუბნებოდა, დღეობაზე არაფერი მაახლა, თავისი ცოლისათვის კი ფრანგული ჩითმერდინი გამოუგზავნიაო.

— ირყვნება ჯეელი ხალხი, — ამბობდა ბერიკაცი.

— მერედა როგორ ირყვნება, — დასძინა ნათლიამ, — ველარას გაუგებ. ძაან ჭკვიანები გახდნენ. აგე, დემორკინმა რა ქნა — მამამისს მკლავი მიამტვრია. ესეც მეტი ჭკვისაგან სჭირთ, ალბათ.

ნიკიტა უსმენდა, პირში შესცქეროდა მოლაპარაკეთ, როგორც ეტყობოდა, თვითონაც ეხალისებოდა საუბარში ჩაბმა, მაგრამ მთელი მისი გული ისყური ჩაის წაელო და მხოლოდ თავის დაქნევითღა უკრავდა კვერს. იგი ჭიქას ჭიქაზე ცლიდა, სულ უფრო სთბებოდა და ნეტარყურობა ეუფლებოდა. საუბარი დიდხანს გაგრძელდა და სულ ერთ რამეს — გაყრის სიავეს დასტრიალებდა; და ეს სჯა, ასე ეტყობოდა, განყენებული კი არ იყო, არამედ ამ ოჯახში მოსახდენ გაყრას ეხებოდა, გაყრას, რომელსაც თხოულობდა უფროსი ვაჟი, მოღუშვით და უბრად რომ იჯდა აქვე. ჩანდა, რომ ეს საერთო სატკივარი იყო და ყველა შინაურს აწუხებდა, მაგრამ უცხო ხალხის რიდით თავიანთ გასაჭირზე არ ლაპარაკობდნენ. მაგრამ ბოლოს ბერიკაცმა

ველარ დამალა ტკივილი და ათრთოლებული ხმით აძრახდა, სანამ ცოცხალი ვარ, გაყრას არავის დავანებებო. ჩემი სახლი ღვთის მადლით ავ თვალს არ ენახვება, გავიყრებით და ყველანი გლახაკებად ვიქცევითო.

— აი მატყვევებიც ეგრე არ იყვნენ, — თქვა მუზობელმა — აშენებული ოჯახი ჰქონდათ, გაიყარნენ და აღარაფერი აბადიათ.

— შენც ეგა გწადია, — მიმართა ბერიკაცმა შვილს.

ვაჟი არაფერს ეუბნებოდა და უხერხული სიჩუმე ჩამოდგა. ეს სიჩუმე პეტრუსამ დაარღვია; ცხენი უკვე შეება, სახლში რამდენიმე წუთის წინ შემოსულიყო და ერთთავად იღიმებოდა.

— აი, პაულსონს ერთი არაკი უწერია, — თქვა მან. — მუზობელმა მამამ ვაჟებს ეზოს ცოცხი მისცა, შუაზე გადაამტვრიეთო. ერთბაშად ვერ მოერივნენ. წკნელებად დაშალეს და ადვილად დაამტვრიეს. ესეც ეგრეა, — თქვა და ღიმილმა მთელი პირი გაუპო. — მზადაა! — დაუმატა მან.

— თუ მზადაა, წავიდეთ კიდევ, — თქვა ვასილი ანდრეიჩმა. — გაყრის თაობაზე კი შენა, პაპავ, მაგრა დადექ. შენ გიშოვნია და პატრონიც შენა ხარ. მომრიგებულთან მიდი, ის წესსა და კანონზე გაატარებს.

— ეგრე გაპაპაჯორდა, ეგრე გაპაპაჯორდა, — კვლავ თავისას მოთქვამდა ბერიკაცი, — რომ ველარაფერს შეასმენ. ეშმაკი შეუჯდა პირდაპირ.

ნიკიტამ ამასობაში მეხუთე ჭიქა დაცალა, მაგრამ მაინც არ გადაუბრუნებია და ახლოს დაიდგა, ეგებ მეექვსეც დამისხანო. მაგრამ სამოვარში წყალი გათავებულიყო და დიასახლისმა აღარ დაუსხა. რალა დარჩენოდა, ნიკიტა წამოდგა, საშაქრეშივე ჩააბრუნა ყოველი მხრიდან წაკვნიტილი შაქრის ნატეხი, კალთით შეიმშრალა გაოფლიანებული სახე და ხალათის ჩასაცმელად წავიდა.

ჩაიცვა, ღრმად ამოიოხრა, მასპინძლებს მადლობა უთხრა, დაემშვიდობა და თბილი, ნათელი სასტუმრო ოთახიდან გავიდა ჩაბნელებულ ცივ დერეფანში, რომელსაც დაძგერებული ქარისაგან გუგუნე გაუდიოდა, ხოლო აძიგძიგებული კარების ჭუჭრუტანებიდან კი თოვლი შემოხვეტილიყო; და აქედან კი ბნელ ეზოს მიაშურა.

ქურჭით შემოსილი პეტრუსა თავის ცხენიანად შუა ეზოში იდგა და გაღიმებული ამბობდა პაულსონის წიგნიდან დასწავლილ ლექსს:

ქარმა გლოვით ცა დაფარა,
თოვლის ბუჭი ჰაერ ავსებს,
ხან ღრიალებს მხეცის მგვარად,
ხან კი ტირის ბალღი ხმაზე.

ნიკიტა დასტურის ნიშნად თავს უქნევდა და სადავეს ასწორებდა.

ბერიკაცმა, ვასილი ანდრეიჩი რომ გამოაცილა, დერეფანში ფანარი გამოიტანა და უნდოდა სტუმრისთვის გაენათებინა, მაგრამ ქარმა მაშინვე გაუქრო. ეზოშიც კი ეტყობოდა, ქარბუჭი უფრო გაძლიერებულიყო.

„რა ამინდია, — გაიფიქრა ვასილი ანდრეიჩმა, — მგონი, ვერც მიაღწიოს კაცმა, მაგრამ არ შეიძლება, საქმეა! თანაც გავემზადე კიდევ, მასპინძლის ცხენიც შებმულია. გავალთ, ღმერთი შეგვეწევა!“

მასპინძელი ბერიკაციც ფიქრობდა, წასვლა არ ეგებისო. მაგრამ მან ხომ ურჩია, დარჩითო, არ დაუჯერეს, და მეტის თხოვნა საჭირო აღარაა.

„მე, ალბათ, ბებერი რომ ვარ, იმიტომ მეშინია, ესენი კი მივლენ, — ფიქრობდა იგი. — ბოლოს და ბოლოს დროზე მაინც დავწვებით. დავიდარას ბას გადავრჩებით“.

პეტრუსას საფრთხე არც აფიქრებდა: მან ისე კარგად იცოდა გზა და მთელი არემარე, გარდა ამისა ახალისებდა ლექსში ნათქვამი „თოვლის ბუჩქი ჰაერ ავსებს“, რადგანაც ზუსტად გამოხატავდა, რაც ეზოში ხდებოდა. ნიკიტასთვის რომ გეკითხათ — წასვლა გულით არ უნდოდა, მაგრამ იგი დიდი ხანია მიჩვეული იყო, რომ თავისი ნება არა ჰქონოდა და მხოლოდ სხვებისათვის უნდა გაეწია სამსახური; ასე რომ წამსვლელებს არავინ დაუშალა გზაზე დადგომა.

V

ვასილი ანდრეიჩი მარხილთან მივიდა. ძლივს მიაგნო სიბნელეში, გადაფოფხდა და სადავე აიღო.

— წინ იარე! — დაუყვირა მან.

გლეხურ განიერ მარხილში მუხლებზე მდგარმა პეტრუსამ მიუშვა თავისი ცხენი. ქურანი, რომელიც უკვე კარგა ხანია ხვიხვინებდა, რადგანაც თავის სიახლოვეს ფაშატი ეგრძნო, მაშინვე გამოუდგა და ისინი ქურაზე გავიდნენ. კვლავ იმავე გზით გაიარეს სოფელზე, ჩაუარეს იმ ეზოს, სადაც ეკიდა გაყინული თეთრეული, რომელიც უკვე აღარ ჩანდა, გაუარეს იმავე საბძელს, ნამქერს თითქმის რომ დაეფარა და რომლის სახურავიდანაც განუწყვეტლივ ცვიოდა თოვლი; კვლავ მიადგნენ იმავე წნორებს, შემადონებელ ხმას რომ გამოსცემდნენ, უსტვენდნენ და ქარისაგან იზნიქებოდნენ, და კვლავ გავიდნენ თოვლის აბობოქრებულ ზღვაში. ქარი ისე მომძლავრებულიყო, რომ გვერდიდან როცა უბერავდა, მგზავრებს, როგორც იალქნებს, ისე ეხლებოდა, მარხილს ცალ მხარეს აყირავებდა და ცხენსაც იქეთ აგდებდა. პეტრუსა წინ მიდიოდა. მხიარულად უჯავრდებოდა და განიერი ჩორთით მიჰყავდა თავისი ყორხალი ფაშატი. ქურანი ფეხდაფეხ მიჰყვებოდა წინა ცხენს.

ათი წუთი ასე რომ იარეს, პეტრუსა მობრუნდა და რაღაც დაიყვირა. ქარში ვერც ვასილი ანდრეიჩმა და ვერც ნიკიტამ გაიგეს რამე. მაგრამ მიხვდნენ, მოსახვევთან მივსულვართო. მართლაც პეტრუსამ მარჯვნივ გაუხვია და ქარმა, გვერდიდან რომ ქროდა, კვლავ პირდაპირ დაუბერათ, მხარმარჯვნივ თოვლში რაღაც შავად ჩანდა. ეს ბუჩქი იყო მოსახვევში.

— აბა, კეთილად გევლოთ!

— გმადლობთ, პეტრუსა!

— ქარმა გლოვით ცა დაფარა, — შესძახა პეტრუსამ და გაუჩინარდა.

— დახე, რა მოლექსეა, — ჩაილაპარაკა ვასილი ანდრეიჩმა და სადავეები დაჰკრა ცხენს.

— ჰო, კარგი ვაჟკაცია, ნამდვილი გლეხისშვილია, — თქვა ნიკიტამ. განაგრძეს გზა.

ნიკიტა შეფუთულიყო და თავი მხრებში ჩაეძვრინა, ისე, რომ მოკლე წვერი კისერს უფარავდა. ჩუმად იჯდა და ცდილობდა არსად გაეშვა ის სითბო, რაც სახლში ჩაის ჩააყოლა. იგი ხედავდა ხელნების ორ სწორ ხაზს,

რომლებიც წამდაუწუმ ატყუებდა და გატკეპნილ გზად ეჩვენებოდა, ცხენის მოქანავე გავასა და ერთ მხარეს გადახრილ გამოკვანძულ ძუას, წინ კი მაღალ ოდრიკალს, ცხენის აღმა-დაღმა დარწეულ თაფ-კისერს და გაშლილ ფაფარს.

ვასილი ანდრეიჩი ისე მართავდა, რომ ცხენი მისსავე ჭკუაზე მიეშვა. მაგრამ ქურანი, მიუხედავად იმისა, რომ სოფელში დაისვენა, უგულოდ მიდიოდა და თითქოს გზიდანაც უხვევდა, ამიტომ ვასილი ანდრეიჩმა რამდენჯერმე თავად გაუსწორა გეზი.

„აი, მარჯვნივ საყე, აი მეორეც. მესამეც, — ითვლიდა ვასილი ანდრეიჩი, — აგე, პირდაპირ ტყეც“, — გაიფიქრა და მიაშტერდა რაღაცას, წინ რომ შავად ჩანდა. მაგრამ რაც ტყე ეგონა, მხოლოდ ბურქი აღმოჩნდა. ბურქს ჩაუარეს, კიდევ ორმოციოდე აღლი იარეს, — მეოთხე საყე კი არსად ჩანდა, არც ტყე იყო. „ახლა ტყე უნდა დაიწყოს; — ფიქრობდა ვასილი ანდრეიჩი და, არყითა და ჩაით გახურებული, არ ყოვნდებოდა, სადავეებით უჯავრდებოდა ცხენს და მორჩილი, მადლიანი პირუტყვი უჯერებდა და ხან იორღითა და ხან მოკლე ჩორთით გასწევდა იქეთ, საითკენაც ერეკებოდნენ, თუმც იცოდა, რომ იმ მხარეს როდი მიჰყავდათ, სადაც საჭირო იყო. ათი წუთი გავიდა, ტყეს კი ვერ მიატანეს და ვერა.

— ისევ დავკარგეთ გზა! — თქვა ვასილი ანდრეიჩმა და ცხენი გააჩერა.

ნიკიტა წყნარად გადმოვიდა მარხილიდან და თოვლში წაეხეტა, თან ხალათს იმაგრებდა, რადგანაც ქარი ხან ტანზე ააკრავდა ხოლმე, ხან კი უფრიალებდა და ხდიდა. ჯერ ერთ მხარეს იარა, მერე სხვა მხარეს. ერთი სამჯერ სულ მიეფარა თვალს. როგორც იქნა, დაბრუნდა და ვასილი ანდრეიჩს სადავე გამოართვა.

— მარჯვნივ უნდა წავიდეთ, — მკაცრად და დაჯერებულად თქვა მან და ცხენი შეაბრუნა.

— თუ მარჯვნივით, იარე კიდევ მარჯვნივ, — უთხრა ვასილი ანდრეიჩმა, სადავე მიაწება და დამზრალი ხელები სახელოებში შემალა.

ნიკიტას ხმა არ გაუცია.

— აბა, ძმობილო, გაიჭირვე, — შეუძახა ცხენს; მაგრამ იგი, სადავის ქნევის მიუხედავად, ნაბიჯით მიდიოდა.

თოვლი ალაგ-ალაგ მუხლამდე იდო და მარხილი ცხენის ყოველ ნაბიჯს ბიძგებით მიჰყვებოდა.

ნიკიტამ შოლტი აიღო და შემოსცხო. ცემას მიუჩვეველი ბედაური მოსწყდა, ჩორთით წავიდა, მაგრამ მაშინვე ტარებაზე და ნაბიჯზე გადავიდა. ასე იარეს ხუთი წუთი. ისე ბნელოდა და ისეთი ქარბუქი ტრიალებდა, რომ ხანდახან ოდრიკალიც კი არ ჩანდა. ასე ეჩვენებოდათ, თითქოს ზოგჯერ მარხილი არ იძვრის და მინდორი გარბის უკანო. უცებ ცხენი ერთ ადგილზე გახვედა, როგორც ეტყობოდა, წინ რაღაც საფრთხე იგრძნო. ნიკიტა კვლავ ყოჩაღად გადმოხტა, სადავე მიაგდო და წინ გავიდა, ვნახო, რას გაუჩერდაო. მაგრამ როგორც კი ცხენის წინ ნაბიჯი უნდა წაედგა, ფეხი მოუცურდა და რაღაც წკვარამში ჩასრიალდა.

— ჰო, ჰო, დადექ, — საკუთარ თავს მიმართავდა იგი, ეცემოდა, შეჩერებას ცდილობდა, მაგრამ თავი ვერსად დაიმაგრა და მხოლოდ მაშინდა გაჩერდა, როცა ფსკერზე ღრმა თოვლში ფეხებით დაეჭო.



ხრამის პირას მინამქრული თოვლი ნიკიტას ვარდნაზე ჩამოზავდა, ზედ წაუყარა და საყულოში ჩაუცვივდა.

— აბა, ეგ რაღა იყო! — საყუედურით მიმართავდა ნიკიტა მინამქრს, ხრამს და საყულოდან თოვლს იფერთხავდა.

— მიკიტ, ჰაი, მიკიტ! — უყვიროდა ზემოდან ვასილი ანდრეიჩი.

მაგრამ ნიკიტა ხმას არ იღებდა.

მას არ სცალოდა: ჯერ თოვლს იფერთხავდა, მერმე ეძებდა შოლტს, რომელიც ხრამში ჩაჩენვისას გაჰვარდნოდა ხელიდან. შოლტი რომ იპოვა, პირდაპირ იქ დააპირა აბლოტება, საიდანაც დასრიალდა; მაგრამ ზევით ასვლა არ შეიძლებოდა: ფეხს ვერ იკიდებდა; ამიტომ დაღმა დაუყვა ხეფს, რათა ზევით ასასვლელი ეპოვა. იმ ადგილიდან ათიოდე ნაბიჯს ქვემოთ ძლივს ამოფორთხდა ფერდობზე და ხრამის პირს გაჰყვა იქითკენ, სადაც ცხენი ეგულებოდა. ცხენსა და მარხილს ვერა ხედავდა, მაგრამ რადგანაც პირქარი სცემდა მათ დანახვამდე ვასილი ანდრეიჩის ყვირილი და ქურანის ჭიხვინი გაიგონა; ორივე მას უხმობდა.

— მოვდივარ, მოვდივარ, რა გაბლავლებს? — ჩაილაპარაკა მან.

მარხილს ზედ რომ წაადგა, მხოლოდ მაშინ დაინახა ცხენი და ცხენ-მარხილთან მდგომი ვასილი ანდრეიჩი, რომელიც ვეებად მოეჩვენა.

— სად ეშმაკებში დაიკარგე? უკან უნდა ვიაროთ, თუგინდ გრიშკინოში მივბრუნდეთ, — დატუქსა ნიკიტა პატრონმა.

— გაგიხარია, კარგი იყოს უკან დაბრუნება, ვასილი ანდრეიჩ, მაგრამ საითკენ ვიაროთ? აქ ისეთი ხრამია, რომ ჩავარდე — ველარც ამოხვალ. მე ისეთი ზღართანი მოვადინე, სული ძლივს ამომყვა.

— რა ვქნათ, აქ ხომ არ გავჩერდებით, სადმე ხომ უნდა წავიდეთ, — უთხრა ვასილი ანდრეიჩმა.

ნიკიტა ხმას არ სცემდა. იგი მარხილში ისე ჩაჯდა, რომ ზურგი ქარის-თვის მიეშვირა, ფეხთ დაიხადა და ჩექმებიდან თოვლი ამოყარა. ნამჯის ღერები გამოაძრო და მარცხენა ჩექმას შიგნიდან საგულდაგულოდ დაუცო ნახვრეტი.

ვასილი ანდრეიჩიც ჩუმად იყო, თითქოს ყველაფერი უკვე ნიკიტას მიანდოო. ნიკიტამ შემოსილი ფეხები მარხილში აიტანა, კვლავ ჩაიცვა ხელთათმანები, სადავეები აიღო და ცხენი ხრამის გასწვრივ მიაბრუნა. მაგრამ ასე ნაბიჯიც არ გაუვლოთ, რომ ცხენი კვლავ დადგა. ისევ ხრამს წასდგომოდა.

ნიკიტა კვლავ გადმოხობდა და კვლავ თოვლში ხეტიალს მოჰყვა. კარგა ხანს იარა. როგორც იქნა, იმის მოპირდაპირე მხრიდან გამოჩნდა, საიდანაც თოვლს გაუყვა.

— ანდრეიჩ, ცოცხალი ხართ? — დაუყვირა მან.

— აქა ვარ! — ხმა გამოსცა ვასილი ანდრეიჩმა. — რა ამბავია?

— გზა-კვალს ვერ გაიგნებ, ბნელა. რაღაც ხრამებია. კვლავ ქარს უნდა გავყვეთ.

კვლავ გაუყვნენ, კვლავ გადმოდიოდა ნიკიტა და თოვლში დააბოტებდა. კვლავ ჯდებოდა მარხილზე, კვლავ გადადიოდა თოვლში და, ბოლოს, აქლოშინებული შეჩერდა მარხილთან.

— რა არი? — ჰკითხა ვასილი ანდრეიჩმა.



— რა და, დავიძალე. ცხენიც დგება.

— მაშ რაღა ვქნათ?

— აი, ერთი დამაცადე.

ნიკიტა კვლავ წავიდა და მალევე მობრუნდა.

— მე მომაცოდლე, — უთხრა და ცხენს წინიდან მოუარა.

ვასილი ანდრეიჩი უკვე აღარას უბრძანებდა და მორჩილად ასრულებდა, რასაც ნიკიტა ეტყოდა.

— აქეთ მომყე! — დაიყვირა ნიკიტამ, სწრაფად დაუხვია მარჯვნივ, ქურანის სადავეს წაეტანა და ცხენი სადღაც ქვემოთ ნამქერისაკენ მიღრიჯა.

ცხენი ჯერ გაოჩნდა, შემდეგ ღონივრად გაიწია, რათა ნამქერს გადავლებოდა, მაგრამ ძალა აღარ იყო და თოვლში ცალუდამდე ჩაეფლო.

— გადმო! — დაუყვირა ნიკიტამ ვასილი ანდრეიჩს, რომელიც მარხილიდან გადმოსვლას არ ფიქრობდა, შემდეგ ცალ ხელნას ჩაეჭიდა და მარხილი ცხენისაკენ მოზიდა. — გიჭირს, ძმობილო? — მიმართა მან ქურანს. — მაგრამ მეტი რა ძალაა, გაიჭირვე, აბა, მიდი, მიდი ცოტაც, — გაუჯავრდა იგი.

ცხენმა გაიბრძოლა, ერთხელ, მეორედ, მაგრამ მაინც ვერ მოერია და კვლავ ჩაჯდა, თითქოს რაღაცას ფიქრობსო.

— ეგრე არ ივარგებს, ძმობილო, — ანამუსებდა ნიკიტა ქურანს. — აბა, ერთიც მიდი!

ნიკიტამ კვლავ მოზიდა ხელნა, მეორე მხარეს ვასილი ანდრეიჩიც ასე ექაჩებოდა, ცხენმა თავი გადაიქნია, შემდეგ უცებ დაიძაგრა.

— მიდი! მიდი! არ ჩაიხრჩვები. ნუ გეშინია! — დაჰკიოდა ნიკიტა.

ერთი ნახტომი, მეორე, მესამე და, როგორც იქნა, ცხენი გამოვიდა ნამქერიდან და გაჩერდა, ქოშინებდა და ტანს იბერტყავდა. ნიკიტას უნდოდა ისევ წაეყვანა, მაგრამ ვასილი ანდრეიჩს თავისი ორი ქურქის თრევით ისე შეკვროდა სუნთქვა, რომ მუხლი მოეკვეთა და მარხილზე გადაიქცა.

— სული მომათქმევინე, — უთხრა მან და შეიხსნა ის ხელსახოცი, რომლითაც სოფელში ქურქის საყელო შეეკრა.

— აღარაფერი უჭირს, იწეპი შენა, — უთხრა ნიკიტამ, — მე ჩავიყვან. — აღვირში ხელი მოჰკიდა და ცხენსა და მარხილს, რომელშიც ვასილი ანდრეიჩი იჯდა, თავქვე, ასე ათ ნაბიჯზე ჩაუძღვა, შემდეგ ცოტა შეღმართზე შეაყენა და გაჩერდა.

ადგილი, რომელიც ნიკიტამ შეაჩერა, სულ ღარტაფიც არ იყო, რომ ბექობიდან ჩახვეტილ თოვლს ისინი მიენამქრა, მაგრამ ხევის ნაპირი ქარისგან მაინც იყო დაცული. ხანდახან, წუთით, ქარი ოდნავ იკლებდა, მაგრამ ეს ცოტა ხანს გრძელდებოდა და, თითქოს შესვენება უნდა ამოიგოსო, ქარბუქი ათმაგი სიძლიერით დატრიალდებოდა, გაცოფებით გლეჯდა იქაურობას და თოვლის კორიანტელს აყენებდა. ასეთი ქარბორბალა მოვარდა იმ წუთსაც, როდესაც ვასილი ანდრეიჩმა სული მოითქვა, მარხილიდან ჩამოფოფხდა და ნიკიტასთან მივიდა სალაპარაკოდ, რა ვიღონოთო. ორივე ძალაუნებურად დაიხარა და ელოდნენ, ეს წამოქროლება რომ ჩაცხრებოდა, მერმე დაეწყოთ საუბარი. ქურანიც უგუნებოდ ლურსავდა ყურებს და თავს იქნევდა. ქარმა ოდნავ რომ იკლო, ნიკიტამ ხელთათმანე-



ბი გაიძრო, სარტყელში ჩაიტენა, ხელები დაიორთქლა და ოდრიკალიდან აღვირის ტოტის შეხსნა დაიწყო.

— რას აკეთებ? — ჰკითხა ვასილი ანდრეიჩმა.

— უნდა გამოვუშვა, მეტი რა ძალაა! გავთავდი კაცი, — თითქოს ბოდიშობსო, უპასუხა ნიკიტამ.

— რა, ველარსად გავალთ?

— ველარ გავალთ, ტყუილად ცხენს დავტანჯავთ. ხო ხედავ, ბერავი, რა დღეშია, — უთხრა ნიკიტამ და დაანახა მორჩილად მდგარი ცხენი, რომელსაც საბურველივით აუდიოდა სწორი, სველი გვერდები. — უნდა გავათენოთ, — დასძინა მან ისე. თითქოს ბაკში აპირებდა ღამის გათევას, და ცალუდის გახსნა დაიწყო.

რიკი ამოვარდა ყულფიდან.

— მერე არ დავიყინებით? — ჰკითხა ვასილი ანდრეიჩმა.

— რას იქამ? ეგებ გავიყინოთ კიდევ, უარი ხო არ გაგვივა, — თქვა ნიკიტამ.

VI

ორ ქურქში ჩამჯდარ ვასილი ანდრეიჩს თბილოდა კიდევ, განსაკუთრებით ნამქერში რომ ჯაფა დაადგა, იმის შემდეგ, მაგრამ ტანში გააყრჯოლა, როდესაც დარწმუნდა, მართლა აქ უნდა გადავიღამოთო. დასამშვიდებლად მარხილში ჩაჯდა და პაპიროსისა და ასანთის ამოღება დაიწყო.

ნიკიტა ამასობაში ცხენს უშვებდა მარხილიდან. მოუშვა გარსაკრი, სადავეები შეხსნა, ჯამბარები აუშვა, ოდრიკალი ამოაბრუნა, და ამას რომ აკეთებდა, ერთთავად ელაპარაკებოდა და გულს უმაგრებდა ცხენს.

— აბა, გამო. გამოდი, — ეუბნებოდა და ხელნებიდან გამოჰყავდა. — აი, აქ მიგაბამთ შენა. ჩალას დაგიყრი და ლაგამსაც წაგყრი, — ამბობდა იგი და თან აკეთებდა, რასაც ეტყოდა. — ცოტას გაღეჭავ და გუნებაზეც მოხვალ.

მაგრამ ქურანს. როგორც ჩანდა, ნიკიტას ლაპარაკი ვერ ამშვიდებდა; ბორგავდა, მალიმალ ფეხს ინაცვლებდა, მარხილს ეკვროდა, ქარისკენ გავით დგებოდა და თავს ნიკიტას სახელოს უსვამდა. თითქოს მხოლოდ იმიტომ, რომ ნიკიტა არ გავაწბილოო, ქურანმა ერთხელ კი მობლუჯა ჩალა, რომელიც ნესტოებთან მიუტანეს, მაგრამ მაშინვე გაიფიქრა, ახლა ამის დრო არააო, პირი უშვა და ქარმა უმაღვე გაფანტა ნამჯა, წაიღო და თოვლს შეჭრია.

— ახლა ნიშანიც დავდოთ, — თქვა ნიკიტამ. მარხილი კოფოთი ქარისკენ დააყენა, ხელნები გარსაკრით გადააბა, მალლა აზიდა და მარხილს დააკრა. — აი, როცა მიგვიჩუმქრავს, კაი ხალხი ხელნებს ინიშნებს და ამოგვთხრიან, — ასე უსწავლებიათ ძველებს.

ვასილი ანდრეიჩს კი ამ დროს ქურქი შეეხსნა, კალთებს იფარებდა და გოგირდის ღერებს ზედიზედ უსვამდა ფოლადის კოლოფზე, მაგრამ ხელები უკანკალებდა და ანთებულ ღერებს ქარი ერთიმეორის მიყოლებით უჭრობდა, ზოგს ალის აკიაფებამდე, ზოგსაც იმ წამს, პაპიროსამდე რომ

მიიტანდა. როგორც იქნა, ერთ ღერს კარგად მოედო ალი და წამით გაანათა მისი ქურქის ბეწვი, ხელი, რომლის მოხრილ საჩვენებელ თითზე ოქროს ბეჭედი აკიაფდა, ფალასის ქვევიდან ამოყრილი შვრიის ნამჯა და პაპიროსსაც მოეკიდა. მან ხარბად ერთი-ორჯერ შეისუნთქა, ბოლი გადაყლაპა, უღვაშებში გამოუშვა, კიდევ უნდოდა მოექაჩა, მაგრამ ქარმა გაღვივებული თამბაქო წაჰგლიჯა პაპიროსს და იქითკენ წაიღო, საითაც ადრე ჩალის ღერები გააფრიალა.

მაგრამ თამბაქოს ბოლის ამ რამდენიმე ყლუპმა გუნება გამოუკეთა ვასილი ანდრეიჩს.

— რახან ღამის თევია, გავათენოთ კიდევ! — მტკიცედ თქვა მან.

— დამაცა, ალამსაც გავუკეთებ. — დაუმატა და საყულოდან შეხსნილი და მარხილში დაგდებული ხელსახოცი აიღო, ხელთათმანები გაიძრო, მარხილის თავში დადგა, აიჭიმა, გარსაკრს მისწვდა და მაგრად მიაკვანძა ხელნის გვერდით.

— დახე, რა კონტადაა! — თქვა ვასილი ანდრეიჩმა, თავმომწონედ ახედა თავის ნამუშავეს და მარხილში ჩაუშვა. — ერთად კი უფრო თბილად ვიქნებოდით, მაგრამ ორთავე ვერ დავსხდებით — უთხრა მან.

— მე ადგილს ვიპოვი, — მიუგო ნიკიტამ, — ოღონდ ცხენს უნდა წავახუროთ რამე, თორე ოფლადაა გაღვრილი ეს დალოცვილი. მიმიშვი ერთი, — დაუმატა მან, მარხილთან მივიდა და ვასილი ანდრეიჩის ფერხთით ფალასი გამოაძრო.

ფალასი რომ აიღო, ორად გაკეცა. ცხენს ჯერ კისრისაკენ პალდუმი გადაუგდო, კენი ააცალა და ფალასი გადაათარა.

— ასე უფრო თბილად იქნები, ჩურჩუტო, — ეუბნებოდა იგი, ფალასზე ცხენს კვლავ კენი დაადო და პალდუმი გადმოუწია. — ჯვალო ხო არა გჭირდებათ? ცოტა ჩალაც მომეცით, — უთხრა ნიკიტამ, როცა ამ საქმეს მორჩა და კვლავ მარხილთან მივიდა.

ვასილი ანდრეიჩის ფერხთით ერთიცა და მეორეც რომ აიღო, ნიკიტამ მარხილს მოუარა და იქ თოვლში პატარა ორმო ამოთხარა, შიგ ჩალა ჩაიფინა, ქუდი ჩამოიფხატა, ხიფთანი შემოიკეცა, ზემოდან ჯვალო წამოიფარა, ჩაგებულ ნამჯაზე დაჯდა და მიეყრდნო მარხილის წითელ-ყვითლად მოხატულ საზურგეს, რომელიც ქარისა და თოვლისაგან იფარავდა.

ვასილი ანდრეიჩმა უკმაყოფილოდ გადააქნია თავი ნიკიტას საქციელზე, რაც ისევე არ დაუჯდა ჭკუაში, როგორც საერთოდ არ ეჭაშნიკებოდა გლეხური უმეცრება და სიბრიყვე, და ღამისთევის თადარიგს შეუდგა.

მან გაასწორა დარჩენილი ნამჯა, გვერდზე მისაწოლად უფრო სქლად დაიდო, სახელოებში ხელები შემალა და თავით მარხილის კოფოსკენ მიწვა, რათა ქარს არ დაეებრა.

არ ეძინებოდა. იწვა და ფიქრობდა. ფიქრით ისევ და ისევ იმას დასტრიალებდა, რაც მისი ცხოვრების ერთადერთი მიზანი, აზრი, სიხარული და სიამაყე იყო — რამდენი ფული ვიშოვნე და კიდევ რამდენის შოვნა შემიძლიაო; იმ ხალხს, ვინც თვითონ იცოდდა, რამდენი ფული ეშოვნა და რამდენი ჰქონდა, როგორ ეშოვნათ და როგორ შოულობდნენ და მეც მათსავით როგორ შემიძლია კიდევ დიდძალი ფული ვიშოვნოო. გორიარკინოს ტყის ყიდვა მისთვის უდიდესი საქმე იყო. იმედი ჰქონდა, რომ ამ ტყიდან ერთბაშად შეიძლება ათი ათასამდე მოეგო, და გონებაში დაუწყობ კიდევ


შეფასება შემოდგომით ნანახ ტყეს, სადაც ორ დესეტიანაზე სათითაოდ გადათვლილი ჰქონდა ხეები.

„მუხას მარხილის კავებად გაუშვებ. საჯარგვალე მოტეხი კიდევ სხვა იქნება. ახლა ყოველ დესეტიანაზე ოცდაათი საყენი შეშა მაინც დაცვივა, — ესიტყვებოდა თავისთავს, — დესეტიანაზე სულ ცოტა ორასი და ოცდახუთი მაინც დამრჩება. ორმოცდათექვსმეტი დესეტიანაა, ეს ორმოცდათექვსმეტი ასიანი, კიდევ ორმოცდათექვსმეტი ასიანი, ახლა ორმოცდათექვსმეტჯერ ათი, კიდევ ორმოცდათექვსმეტჯერ ათი და ორმოცდათექვსმეტი ხუთიანიც“. ხედავდა, რომ თორმეტ ათასს სცილდებოდა, მაგრამ საანგარიშოს გარეშე ვერ ჩასწვდა, ზუსტად რამდენი იქნებოდა. „ათი ათასს მაინც არ მივცემ, რვა ათასსაც ვაკმარებ. თანაც მდებლობიც უნდა გამოვაკლებინო, ცოტას მიწისმზომელს ჩავუდებ — ასი, შეიძლება ასნახევარიც მივაშავო და ხუთ დესეტიანას მდებობად ამიზომავს. რვადაც მომყიდის. სამ ათასს ახლავე ავაფარებ. არ დამისველდეს, — გაიფიქრა და მკლავით ჯიბეში საფულე მოისინჯა. — როგორ აგვერია გზა მოსახვევთან, ღმერთმა უწყის. აქ სადღაც ტყე და ქოხი უნდა იყოს. ძალღის ყეფაც უნდა მოგვწვდებოდეს. არადა, არ ყეფენ წყულები, კაცს როცა სჭირდება; — ყურზე საყულო ჩამოიწია და სმენა დაძაბა. მხოლოდ ქარის სტვენა, ხელნებში ხელსახოცის ფრიალი და მარხილის კიდევ თოვლის ფანტელების შეხლა ისმოდა. კვლავ ქურქში ჩაძვრა.

„ასე რომ მცოდნოდა, ღამეს გავითევდი იქ. თუმცა, სულ ერთია. ხვალაც მივალთ. ერთი დღე დამეკარგა და ეგაა. ასეთ ავდარში ისინიც ვერ წამოვიდოდნენ“. და მას მოაგონდა რომ ცხრაში ყასაბისაგან ჭედლების ფული უნდა მიეღო. „თვითონ უნდოდა მოსვლა; თუ არ დავუხვდი — ცოლი ფულსაც ვერ დაიტოვებს. ძაან უსწავლელია, საჭირო დახვედრა არ იცის“, — განაგრძო ფიქრი და მოაგონდა, როგორ ვერ მოახერხა მისმა ცოლმა კარგად შეხვედროდა უბნის ბოქაულს, გუშინ დღეობაზე სტუმრად რომ ჰყავდა სახლში. „რა სალაპარაკოა, დედაკაცია, სად რა უნდა ენახა? მამაჩემის დროს რა იყო ჩვენი ოჯახი? ვერაფერიშვილი მდიდარი სოფლიო გლეხები ვიყავით: საცუხველი და ფუნდუკი, — ეს იყო მთელი ჩვენი ავლადიდება. მე თხუთმეტ წელიწადში რა ვქმენი? დუქანი გავმართე, ორი სამიკიტნო, წისქვილი; მარცვლის ხარობიც ჩემია, იჯარით ორი მამული მიჭირავს, რკინით დახურული ბელლიანი სახლი მიდგას, — ამაყად იგონებდა იგი. — ისე კი აღარაა, მამაჩემის დროს რომ ვიყავით! ახლა ვისი სახელი ისმის ოლქში? ბრეხუნოვისა.

მერე ასე რადაა? იმიტომ, რომ საქმე მახსოვს. სხვებივით კი არა ვარ, მხართემოზე წოლისა და სისულელების მეტი რო არაფერი იციან. მე ღამეები არა მძინავს. ქარბუქია თუ დარი — გზაზე ვარ გაკრული. ჰოდა, საქმეც მომდევს. იმათ ჰგონიათ, ფულს ისე, თამაშით შოულობენო. არა, შენც გაიჭირვე და თავი იმტვრიე. აბა ერთი ასე გატეხე მინდვრად ღამე, ამდენი სადარდებლისაგან ღამის თავი გასკდეს, — ფიქრობდა ამაყად, — ასე ჰგონიათ, ხალხ-ქვეყანაში გამოსვლა იღბალი არისო. ავე, მირონოვებს ახლა მილიონები აქვთ. მერე რადა? იშრომე და ღმერთიც მოგცემს. ოღონდ ღმერთმა კარგად მამყოფოს და“.

და იმ აზრმა, რომ მეც შემიძლია მირონოვისებრ მილიონიანი კაცი




ქართული
ბიბლიოთეკა



ბოლსტოი

ბიუსტი. ნ. ლ. არონსონის ნამუშევარი, 1901



გავხდე, ვინც სულ ცარიელზე აშენდაო, ისე ააღელვა ვასილი ანდრეიჩი, რომ სურვილი აღეძრა, ვისმე გამოლაპარაკებოდა. მაგრამ მისაუბრე არ-სად იყო. გორიაჩკინომდე რომ მიმეღწია, აი, იქ კი დაველაპარაკებოდი მეამულეს. ჭკუასაც დავარიგებდიო.

„დახე, რას უბერავს! ისე მოგვახვეტავს თოვლს. რომ დილით ვეღარც გამოვძვრეთ!“ — გაიფიქრა, როდესაც ქარის ქროლვას მიაყურადა; ქარი მარხილს წინიდან ეხლებოდა, ზნექდა და თოვლს უშენდა. წამოდგა და მიმოიხედა. თეთრ მოლივლივე უკუნში ჩანდა მხოლოდ ქურანის ჩაშავებუ-ლი თავი, მისი ზურგი, ფალასი რომ უფრიალებდა და გამოკვანძული ხშირი ძუა; ირგვლივ კი, ყოველ მხარეს, წინ, უკან, იდგა ერთფეროვანი, თეთრად მორიალე წყვილი, რომელიც ხან თითქოს ოდნავ გაშუქდებო-და, ხან კი უფრო ჩადედედებოდა ხოლმე.

„ტყუილად დავუჯერე ნიკიტას, — ფიქრობდა იგი. — უნდა გვევლო, როგორმე გავიდოდით სადმე. გრიშკინოში მაინც მივბრუნდებოდით, ტა-რასთან გავითენებდით, ახლა იყავი აქ მთელი ღამე. ჰო, რა იქნებოდა-მეთქი კარგი? ჰო, ღმერთი გარჯას უფასებს კაცსა, მცონარები და დოყ-ლაპიები არ უყვარს. ჰო, უნდა მოვწიო!“ იგი წამოჯდა, საპაპიროსე ამო-იღო, მუცელზე დაწვა, ალს კალთები მოათარა, მაგრამ ქარი მაინც პო-ულობდა ხვრელს და ასანთის ღერებს ზედიზედ უქრობდა. ბოლოს იხერხა, ერთს მაინც გაუკიდა და გააბოლა. თავისი რომ გაიტანა, ამან ძალზე გა-ახარა. თუმცა პაპიროსი ქარს უფრო ერგო, ვიდრე მას, სამჯერ მაინც და-ეწაფა და კვლავ გახალისდა. ისევ მოიკუნტა მარხილში, ჩათბუნდა, კვლავ მოგონებებსა და ოცნებას მიეცა და სრულიად მოულოდნელად გონება და-ებინდა და რული მოერია.

მაგრამ უეცრად თითქოს რაღაც დაეძგერა და გამოაღვიძა. ქურანმა გამოაგლიჯა ღერები ჩალას, რომელზეც იწვა, თუ თავისსავე სხეულში აუბორგდა რაღაც, ეგ კი იყო, რომ გამოეღვიძა და გულმა ისე სწრაფად და მძლავრად დაუწყო ცემა, იფიქრა, ჩემს ქვეშ მარხილი ირყევიაო. თვალი გაახილა. ირგვლივ ყველაფერი უცვლელად იყო, ოღონდ თითქოს უფრო ენათლა. „რიჟრაჟდებოდა, — გაიფიქრა, — ალბათ გათენებასაც ბევრი აღარ უკ-ლია“. მაგრამ უმაღვე მიხვდა, სინათლემ მხოლოდ იმიტომ მოიმატა, რომ მთვარე ამოსულაო. წამოდგა, ჯერ ცხენს შეხედა. ქურანი ისევ ზურგით იდგა ქარისკენ და ერთიანად ცახცახებდა. თოვლით დაფარული ფალასი ერთ მხარეს გადაჰკეცოდა, პალდუმი გვერდზე მოჰქცეოდა და უფრო ცხად-ლივ მოჩანდა მისი დათოვლილი თავ-კისერი აბურძგნული კოწოლითა და ფაფრით. ვასილი ანდრეიჩი მარხილის ბოლოსკენ გადაიხარა და გადა-ხედა. ნიკიტას ისევე მოერთხა, თავიდანვე როგორც დაჯდა. ზემოდან გა-დაფარებულ ჯვალოსა და ფეხებზე ბარაქიანად დასდებოდა თოვლი. „არ გაიყინოს ეს გლეხუჭა; არაფერი აცვია. ეგეც მე უნდა მომკითხონ. რა დაბ-დურები არიან. აი ნამდვილი გაუნათლებლობა“, — გაიფიქრა ვასილი ანდრეიჩმა და დააპირა კიდევ, ცხენს ფალასს ავაცლი და ნიკიტას წავახურა-ვო, მაგრამ ადგომასა და აღება-დაფარებაზე უნდა შესცივნოდა და იმისიც შეეშინდა, ცხენი არ გაითოშოსო. „ნეტა რას წამოვიყვანე! სულ დედაკაცის სისულელე იყო!“ — გაიფიქრა ვასილი ანდრეიჩმა, მობეზრებული ცოლი რომ გაახსენდა; კვლავ ძველ ადგილას გადაწვა. „ერთხელ ბიძაჩემს მთე-

ლი ღამე თოვლში გაუთევია, — მოიგონა მან, — და არაფერი დამართნია მაგრამ სევასტიანი ამოთხარეს, — მაშინვე გაახსენდა სხვა ამბავიც, — ის მოკვდა, ისე იყო გაფშეკილი, როგორც დაკლული და გაყინული საქონლის ლეში.

გამეთია ღამე გრიშკინოში, არაფერიც აღარ მოხდებოდა“. და იგი საგულდაგულოდ შეიფუთნა, ისე რომ ბეწვის სითბო ტყუილად არ დაეკარგა და ყველგან — კისერში, მუხლებში, ტერფებთან — ჩამთბარი ყოფილიყო. თვალი მილულა და ცდილობდა კვლავ დაეძინა. მაგრამ ახლა, როგორაც არ ატანდა თავს ძალას, ძილი აღარ მოსდიოდა და, პირიქით, თავს მხნედ და ხალისიანად გრძნობდა. კვლავ დაუწყო ანგარიში ვახშსა და სესხს, მისი რომ ემართა ხალხს, კვლავ ეტრაბახებოდა და შეჰხაროდა თავის თავსა და თავის ცხოვრებას — მაგრამ ყველაფერ ამას გამუდმებით უწყვეტდა ხოლმე გულში შეპარული შიში და სინანული, რატომ გრიშკინოში არ დავრჩი ღამის გასათევადო. „სულ სხვა იქნებოდა: სითბოში მერხზე ვიქნებოდი წამოწოლილი“. რამდენჯერმე გადატრიალდა, სხვანაირად დაწვა, ცდილობდა, უფრო მარჯვედ მოკეცილიყო, რათა ქარს უკეთ მოჰრიდებოდა, რამდენსაც არ წრიალებდა, მაინც ეჩვენებოდა, კარგად ვერ მივწექიო. კვლავ წამოჯდებოდა ხოლმე, ახლა სხვა მხარეს შებრუნდებოდა, ქურქის კალთებს ფეხებზე იფარებდა, თვალს ხუჭავდა და ყურდებოდა. მაგრამ ან მაგარი მოთელილი ჩექმებით შემოსილი მოკუნტული ფეხები დაუბუყდებოდა ან სადმე ქარი შეაწუხებდა, და კვლავ თავს ემდუროდა და სინანულით იგონებდა, ხომ შემეძლო ახლა გრიშკინოში თბილ სახლში ვწოლილიყავიო, და ისევ და ისევ ტრიალებდა, იფუთნებოდა და წვებოდა.

ერთხელ ვასილი ანდრეიჩის მოეჩვენა, შორიდან მამლის ყივილი მომესმაო. გაუხარდა, საყულო გადაიწია, სმენა დაძაბა, მაგრამ რა გაფაციცებითაც არ უსმენდა, მაინც არსაით ხმა არ მოდიოდა, გარდა ქარისა, ხელნებში რომ სისინებდა და ხელსახოცს აფრიალებდა, და მარხილს მოხლილი თოვლისა.

ნიკიტა სადამოს როგორც მოირთხა, ისევე იჯდა, არც განძრეულა და არც კი შეხმაურებია ვასილი ანდრეიჩის, რომელმაც რამდენჯერმე დაუძახა. „ამას არაფერი ადარდებს, ალბათ, სძინავს“, — ვულმოკლულად გაიფიქრა ვასილი ანდრეიჩმა, როდესაც მარხილიდან გადაიხარა და ბარაქიანად დათოვლილ ნიკიტას დახედა.

ვასილი ანდრეიჩი ოცჯერ მაინც წამოდგა და ისევ დაწვა. იმედი გადაუწყდა, რომ ეს ღამე როდისმე დაილეოდა. „ახლა, ალბათ, დილამდე ბევრიც აღარ დარჩენილა, — გაიფიქრა მან ერთხელ, წამოდგა და მიმოიხედა. — მოდი, საათს დავხედავ. გადახსნისას კი შემცივდება, მაგრამ თუ გავიგე, რომ გათენებისკენ გვიქნია პირი, გუნებაზე მოვალ, შებმასაც დავიწყებთ“. ვასილი ანდრეიჩმა გულის სიღრმეში კი იცოდა, რომ ჯერ არ შეიძლება გათენდესო, მაგრამ სულ უფრო და უფრო იპყრობდა შიში, და ორივე ერთად მოუნდა — კიდევ მოეტყუებინა და კიდევ შეემოწმებინა თავისი თავი. ფრთხილად გაიხსნა მოკლე ქურქის დუგმები. უბეში ხელი შეიყო, დიდხანს აფათურა, სანამ ჟილეტამდე მიაღწევდა, ვაივაგლახით ამოიღო თავისი ვერცხლის, მინანქრისყვავილებიანი საათი და დააშტერდა.

უალოდ არაფერი ჩანდა. კვლავ პირქვე დაემხო იდაყვებსა და მუხლებზე. როგორც მაშინ უკიდებდა, ისე ამოიღო ასანთი და გაკიდება დაუწყო. ამჯერად უფრო გულისყურით შეუდგა საქმეს, თითებით მოსინჯა ისეთი ღერო, რომელსაც ყველაზე მეტი ფოსფორი ჰქონდა, და პირველი გაკვრისთანავე აანთო. ციფერბლატი ალის ქვეშ მოაქცია, დახედა და თვალს არ დაუჯერა... პირველის ათი წუთი იყო მხოლოდ. ჯერ კიდევ მთელი ღამე წინ ჰქონდა.

„ვაი, რა დიდი ღამეა!“ — გაიფიქრა ვასილი ანდრეიჩმა და იგრძნო, როგორ გააცვივა ტანში. ისევ შეიკრა ქურქი. შემოიკეტა, მარხილის კუთხისაკენ მიიკუნტა და მოემზადა, რომ მორჩილად დალოდებოდა. უცტრად ქარის ერთფეროვან მოძახილში რაღაც ახალი, ცოცხალი ხმა ჩაესმა. ეს ხმა თანაბრად ძლიერდებოდა და სრულ მკაფიოობას რომ მიაღწია, იმგვარად ვე თანდათანობით იწყო კლება. თქმა არ უნდოდა, რომ მგელი იყო. და ეს მგელი ისე ახლოს ყმუოდა, რომ ქარს მოჰყვებოდა და კარგად ისმოდა, ყბების მოძრაობით როგორ ცვლიდა თავისი ხმის ბგერებს. ვასილი ანდრეიჩმა საყელო გადაიწია და დაძაბული უსმენდა. ყურაქცვეტილი ქურანიც სმენად იქცა და მგელმა ერთი ხმა რომ ჩაათავა, ფეხები მოინაცვლა და ხიფათის ნიშნად ჩაიფრუტუნა. ამის შემდეგ არათუ ჩასთვლიმა, ვასილი ანდრეიჩმა გულიც ვეღარ დაიმშვიდა, რამდენსაც არ ცდილობდა, რომ თავის ანგარიშებზე, საქმეებზე, თავის სახელსა, ღირსეულობაზე და სიმდიდრეზე ეფიქრა, შიში სულ უფრო მეტად ეუფლებოდა და ყველა ფიქრს სძლევდა და ყველა ზრახვას უსერავდა ის აზრი, გრიშკინოში რად არ დავრჩი ღამის გასათევადო.

„დავეხსნები სულაც ამ ტყეს, უმაგისოდაც, მადლობა ღმერთს, საქმე არ მაკლია. ეჰ, გამეთია ღამე! — ეუბნებოდა თავის თავს. — თურმე მთვრალეები იყინებიან, — გაიფიქრა მან. — მე კი დავლიე“. და თავის გულ-გვამს რომ მიუგდო ყური, იგრძნო, რა ცახცახი შესდგომოდა, მაგრამ არ იცოდა, რა აკანკალებდა — სიცვივე თუ შიში. სცადა ძველებურად მიწოლილიყო და დაეძინა, მაგრამ უკვე აღარ შეეძლო ამის გაკეთება. უნდა ამდგარიყო, რაღაც მოემოქმედა, რათა ჩაეკლა ის ძრწოლა, თანდათან რომ ედებოდა და რომლის წინაშეც თავს უძლურად გრძნობდა. კვლავ ამოიღო პაპიროსი და ასანთი, მაგრამ სამი ანარჩევი ღერი დარჩენილიყო. სამივეს თავი კი მოეწვა, მაგრამ არც ერთი არ ანთებულა.

„ეშმაკსაც წაუღიხარ, წყეულო, მიწამ პირი გიყოს!“ — თვითონაც არ იცოდა, ვის გაუბრაზდა, და მოსრესილი პაპიროსი მოისროლა. ასანთის კოლოფის გადაგდებაც უნდოდა, მაგრამ ხელი შეაჩერა და ასანთი ჯიბეში ჩაიდო. ისე აფორიაქდა, რომ უკვე აღარ შეეძლო აქ დადგომა. მარხილიდან გადმოვიდა, ქარს ზურგით გაუჩერდა და წელს ქვემოთ სარტყლის მაგრად შემოჭერა დაიწყო.

„რატო დავწვე და სიკვდილს დაველოდო! ცხენზე უნდა შევჯდე და ვიარო, — უცებ გაუელვა გონებაში. — ასე ცხენი არ დავარდება. ამას, — გაიფიქრა ნიკიტაზე, — სიკვდილის არ ეშინია. რა არი ამისი ცხოვრება! სიცოცხლეს არ ენანება, მე კი, მადლობა ღმერთს, არ მაკლია, რამაც უნდა მაცხოვროს“.

და მან ახსნა ცხენი, სადავე კისერზე გადაუგდო და შეხტომა დააპირა,


მაგრამ ორი ქურქი და ჩექმები ისე ამძიმებდა, წელი ველარ აიტანა, მაშინ მარხილზე შედგა და იქიდან დააპირა გადაჯდომა. მაგრამ მარხილი მისმა სიმძიმემ შეატოკა და ეს ცდაც გაუცუდდა. როგორც იქნა, მესამედ ცხენი ახლოს მოაყენა, ფრთხილად დაადგა ფეხი მარხილის კიდეს, იმარჯვა და მუცლით გადაეკიდა ზურგზე. ასე გაწოლილმა ერთი-ორჯერ დაიქნია ტანი, წვალებით გადააჯდა ცხენს და ფეხები პალდუმის ქვედა თასმას დააბჯინა. შეტოკებული მარხილის ბიძგმა ნიკიტა გაავლიძა, იგი წამოიმართა და ვასილი ანდრეიჩის მოეჩვენა, რაღაცას ამბობსო.

— ბრიყვების ჭკუაზე ვივლი სწორედ. რა, ტყუილუბრალოდ დავიღუპოთავი? — მიაყვირა ვასილი ანდრეიჩმა, მუხლებს ქვემოთ გაფრიალებული ქურქის კალთების კეცვით ცხენი მოატრიალა და მარხილიდან იმ მიმართულებით გაუტია, საითაც ტყე და ქოხი ეგულებოდა.

VII

ნიკიტა, მას მერე, რაც ჯვალთა წაიხურა და მარხილის საზურგესთან მოკალათდა, ერთთავად გაუნძრევლად იჯდა. ყველა იმ ადამიანივით, ვინც ბუნებასთან ახლოსაა და ბევრი ჭირი უნახავს, მომთმენი იყო და შეეძლო საათობითა და დღეობით ისე უდრტვინველად ელოდნა, რომ არც გული გადალეოდა და არც სიბრაზე მორეოდა. მას ესმოდა პატრონის ძახილი, მაგრამ პასუხი არ გაუცია, რადგანაც არ უნდოდა განძრეულიყო და ხმა ამოეღო; თუმც დალეული ჩაისა და ნამქვრებში აღმა-დაღმა სიარულისაგან ჯერ კიდევ თბილად იყო, მან იცოდა, ეს სითბო დიდხანს არ გაჰყვებოდა, ხოლო მოძრაობით რომ გახურებულიყო, ძალა აღარ ეყოფოდა, რადგანაც თავს ისე დამაშვრალად გრძნობდა, როგორც დავარდნამდე მისული ცხენია ხოლმე, რომელსაც რაგინდ შოლტი დააყარონ, ბიჯის გადადგმა აღარ შეუძლია, და პატრონიც გრძნობს, სანამ არ დავასვენებ და არ ვაჭმევ, პირუტყვს არაქათი აღარ ექნებაო. გახეულჩექმიანი ფეხი გაეთოშა და ზედ ცერს ველარც გრძნობდა. მთელი სხეულიც ნელ-ნელა ეყინებოდა. თუმც გაიფიქრა, ამალამ ვერ გავადწევ ალბათ, უფრო უეჭველია, რომ ნამდვილად მოკვდებით, მაგრამ ეს აზრი არცთუ მაინცდამაინც უსიამო და შემზარავი ეჩვენა. ეს აზრი განსაკუთრებით უსიამოდ იმიტომ არ მოეჩვენა, რომ მთელი მისი ცხოვრება გამუდმებული დღესასწაული კი არა, პირიქით, — მარადი სამსახური იყო, რომელიც უკვე ღლიდა მას. განსაკუთრებით შემზარავი კი იმიტომ არ იყო ეს აზრი, რომ ვასილი ანდრეიჩისთანა პატრონების გარდა, რომელთაც აქ ემსახურებოდა, იგი ამ ქვეყანაზე ყოველთვის გრძნობდა, რომ ჰყავდა უმთავრესი პატრონი, ვინაც ამ ცხოვრებისათვის მოავლინა; და მან იცოდა, რომ მოკვდებოდა და მაინც იმ პატრონის ხელთ იქნებოდა, ხოლო ის პატრონი კი არავის დააჩაგვრინებდა მის თავს. „არ გენანება განა, რასაც მისჩვევიხარ, სადაც გიცხოვრია? ჰო, მაგრამ რას იქამ, ახალსაც უნდა მიეჩვიოს კაცი“.

„ცოდვები? — გაიფიქრა მან და მოაგონდა, რომ ლოთობდა, ფულს არაყში ფლანგავდა, ცოლს აბეზრებდა, აყალმაყალი იცოდა, ეკლესიაში არ დადიოდა, მარხვას ტეხდა, და ყველა ის უკუღმართობა გაიხსენა, რისთვისაც მღვდელი აღსარებაზე უჯავრდებოდა ხოლმე, — ვინა დავობს,



ცოდვები მაწევს, მაგრამ რა, განა მე შევყარე ისინი ჩემს თავს? ალბათ, ასეთად გავუჩინივარ ღმერთს. ცოდვებია, მა რა? სად წაუხვალ?

ასე იფიქრა ჯერ იმის თაობაზე, თუ რა მელის ამალაში, შემდეგ კი იმ მოგონებებს მიეცა, რომლებიც თავისთავად წარმოუდგნენ გონებაში. იხსენებდა მართას მოსვლას, მუშა ხალხის ღრეობას, და როგორ უარობდა თვითონ არაყს. ხან კი იგონებდა ტარასის სახლში მისვლას, გაყრაზე სჯაბაასს, ხანაც ფიქრობდა თავის ბიჭსა და ქურანზე, რომელსაც ახლა ფალასი ათბობსო, ხანაც თავის პატრონს გაიხსენებდა, მისი კვანწალით მარხილს ჭრიალი რომ გაუდიოდა. „ახლა, ალბათ, თვითონაც აღარ ეხალისება, რომ წამოვიდა, — ფიქრობდა იგი. — მისი ცხოვრების პატრონს სიკვდილი არ ენდომება. ჩვენსავით კი არაა“. და ყველა ეს მოგონება ერთმანეთს ჩაეხლართა, აირია მის გონებაში და ნიკიტამ ჩაიძინა.

როდესაც ვასილი ანდრეიჩმა ცხენზე შეჯდომისას მარხილი შეატოკა და საზურგე, რომელსაც ვერდნობოდა, გამოეცალა და ზურგშიც კავმა გაკრა, ნიკიტამ გამოიღვიძა და თავისდაუნებურად იძულებული გახდა გვერდი შეეცვალა. ძლივს გამართა ფეხები, თოვლი ჩამოიბერტყა, წამოდგა და მაშინვე მთელ სხეულში საშინელმა სიცივემ დაუარა. მიხვდა, რაც ხდებოდა, და მოინდომა, რომ ვასილი ანდრეიჩს ცხენისათვის უკვე გამოუსადეგარი ფალასი დაეტოვებინა, მე გადავიფარებო, და ეს მიაძახა კიდევ.

მაგრამ ვასილი ანდრეიჩი არ შეჩერებულა და ქარბუქში გაუჩინარდა.

მარტო რომ დარჩა, ნიკიტა ერთი წუთით დაფიქრდა, რა უნდა ვიღონო. ატყობდა, იმის თავი არ ჰქონდა, რომ სოფელ-ბინა ეძებნა. ძველ ნაალაგარზე დაჯდომაც უკვე აღარ შეიძლებოდა — თოვლი წაჰყროდა. არც იმის იმედი ჰქონდა, მარხილს შევეფარებო, რადგანაც წასახურავი არაფერი ებადა, ხოლო ქურქი და ხიფთანი უკვე სრულებით აღარ ათბობდა, ისე სციოდა. თითქოს პერანგის ამარა ყოფილიყოს. გული ჩაეწურა, „ღმერთო, მამაზეციერო!“ აღმოხდა მას და აზრმა, რომ მარტო კი არა ვარ, ვილაცას ესმის ჩემი და არ დამაგდებსო, დაამშვიდა. ერთი ამოიოხრა, თავიდან ჯვალთ არ მოუშორებია, ისე ავიდა მარხილზე და პატრონის ნაწოლზე მოიკეცა.

მაგრამ მარხილშიც ვერ გათბა. ჯერ მთელი სხეული აუკანკალდა, შემდეგ კანკალმა გაუარა და თანდათან უბნელდებოდა გონება. კვდებოდა თუ ძილი ერეოდა — აღარ იცოდა, მაგრამ გრძნობდა. რომ ერთისა და მეორისთვისაც თანაბრად იყო გამზადებული.

VIII

ამასობაში ვასილი ანდრეიჩი ქუსლებისა და საღავის ცემით ცხენს იქითკენ მიერეკებოდა, საითკენაც ტყე და საყარაულო ქოხი ეგულებოდა რატომღაც. თოვლი თვალეში ეხლებოდა, ქარს თითქოს მისი შეჩერება ეწადა, მაგრამ იგი წინ იყო გადახრილი, გამუდმებით იკეცავდა ქურქის კალთებს კეხთან, რომელიც ჯდომას უშლიდა, და სულმოუთქმელად უჯავრდებოდა ცხენს. ქურანს თუმცა უჭირდა, მაგრამ მაინც მიდიოდა იორღით იქით, საითკენაც მხედარს სურდა. ასე იარა ხუთი წუთი, რო-

გორც ვასილი ანდრეიჩს ეგონა, სულ პირდაპირ; ვერაფერს ხედავდა ცხენის თავისა და თეთრი უდაბნოს გარდა და არაფერი ესმოდა ცხენის ყურებთან და თავისი ქურქის საყელოსთან ჩამოქროლილი ქარის წივილის მეტი.

უცებ მის წინ რაღაც შავად დაჩნდა. გული სინარულით აუჩქროლდა, ამ ჩაშავებულს მიაშურა და იქ უკვე ხედავდა სოფელში მდგარი სახლების კედლებს. მაგრამ ეს შავი რაღაც უძრავად როდი იდგა. ერთთავად ირხეოდა და სოფელი კი არა, მიჯნაზე თოვლში ამოშვერილი ქარაძენძის ბურქი იყო, რომელსაც ქარი, მის ტოტებში სტვენით რომ გადიოდა, ერთ მხარეს ზნექდა და აცახცახებდა. და, რატომღაც უწყალო ქარის მიერ ნაწამები ქარაძენძის დანახვამ შეაძრწუნა ვასილი ანდრეიჩი და უმაღვე ააჩქარებინა ცხენი. ის კი ველარ შეატყო, რომ ქარაძენძის ბურქისკენ როცა გამოსწია, სრულიად შეცვალა ადრინდელი მიმართულება და ახლა ცხენს სულ სხვა მხარეს ერეკებოდა, მაგრამ მაინც ასე ეგონა, იქითკენ მივდივარ, სადაც საყარაულო ქოხი უნდა იდგესო. მაგრამ ცხენი მარჯვნივ იწევდა და ამიტომ იგი ერთთავად მარცხნივ უღრეჯდა კისერს.

წინ კვლავ შავად დაჩნდა რაღაც. გაუხარდა, ახლა კი ნამდვილად სოფელი უნდა იყოსო. მაგრამ კვლავ ქარაძენძიანი მიჯნა აღმოჩნდა. კვლავ ისეთივე გამწარებით ირხეოდა ხმელი ჯაგნარი და ვასილი ანდრეიჩს რატომღაც თავზარს სცემდა. მაგრამ ბურქები ხომ იგივე იყო, — მათ მახლობლად ცხენის ნავალიც მიუყვებოდა, რომელსაც ქარი თოვლს აყრიდა. ვასილი ანდრეიჩი შეჩერდა, გადმოიხარა, დააცქერდა. ეს ოდნავ მიჩუმქრული ცხენის ნაკვალევი არავისი არ შეიძლებოდა ყოფილიყო, თუ არ მისივე საფერხესი. თქმა არ უნდოდა, რომ წრე შემოევლო და თანაც სულ პატარა ადგილზე. „დავიღუბები ასე!“ — გაიფიქრა მან, მაგრამ, გულში შიში რომ არ ჩასდგომოდა, უფრო ფიცხლად გაუჯავრდა ცხენს და თან თეთრ, თოვლიან სივრცეს აშტერდებოდა; ხანდახან იქ გაშუქებული წერტილები ელანდებოდა, რომლებიც, კარგად რომ დააცქერდებოდა, უმაღვე იკარგებოდნენ. ერთხელ მოეჩვენა, თითქოს ძაღლის ყეფა თუ მგლების ყმუილი მოესმა, მაგრამ ეს ხმები იმდენად სუსტი და ბუნდოვანი იყო, რომ დაეჭვდა, მართლა ესმოდა რაიმე, თუ ეჩვენებოდა, და შეჩერდა, დაძაბულმა მიაყურადა.

უეცრად რაღაც ამაზრზენი გამაოგნებელი ყვირილი გაისმა მის ყურებთან და ფეხქვეშ ყველაფერი აუტრიალდა და შეერყა. ვასილი ანდრეიჩმა ცხენს კისერზე მოხვია ხელი. მაგრამ ცხენსაც უცახცახებდა კისერი და ეს უცნაური ყვირილი უფრო შემზარავად გაისმა. ვასილი ანდრეიჩი რამდენიმე წამს გონს ვერ მოეგო და ვერ გაიგო, რა ხდებოდა. არადა ის მოხდა, რომ ქურანმა, თავისთავის გასამხნეველად თუ მშველელის მოსახმობად, დაიჭიხვინა თავისი ომახიანი კრიალა ხმით. „ფუი, შე ვერანაჲ! რა შემაშინა წყეულმა!“ — ჩაილაპარაკა ვასილი ანდრეიჩმა. მაგრამ შიშის ნამდვილი მიზეზიც რომ გაიგო, მაინც ველარ შეძლო მისი დაოკება.

„უნდა გონს მოვეგო, დინჯად მოვიქცე“, — ეუბნებოდა თავის თავს და ამავე დროს ვერ შოშმინდებოდა, ერთთავად მიერეკებოდა ცხენს და ვერ ამჩნევდა, რომ უკვე შურგქარი სცემდა და პირქარში აღარ მიდიოდა. სხეული იქ, სადაც ქურქი ვერ იფარავდა და კეხს ეხებოდა, განსაკუთრე-

ბით ნაბიჯით სიარულის დროს, ეყინებოდა და სტკიოდა, ხელ-ფეხი უცახცახებდა, სუნთქვა ეკვროდა. ხედავდა, რომ იღუპებოდა ამ საზარ თოვლიან უდაბნოში, და ხსნის იმედი არსაით ჰქონდა.

უცებ ცხენი გამოეცალა, სადაც ჩაიქცა, ნამქერში ჩაფლულმა გაიბრძოლა და გვერდზე წაქცევა იწყო. ვასილი ანდრეიჩი გადმოეშვა ცხენიდან და ამ დროს ცალ მხარეს გადმოუცურდა პალდუმი, რომელსაც ფეხით ებჯინებოდა, და გვერდზე მოუქცია კეხი, ჩახტომისას რომ ებლაუჭებოდა. როგორც კი ვასილი ანდრეიჩი გადმოხტა, ცხენმა იმარჯვა, წინ გაიწია, გადახტა ერთხელ, მეორედ, კვლავ დაიჭიხვინა. ფალასი და პალდუმი აითრია, თვალს მიეფარა და ვასილი ანდრეიჩი მარტოკა დატოვა ნამქერში. ვასილი ანდრეიჩი გაეკიდა, მაგრამ თოვლი ისე ღრმა იყო და ქურქები ისე ამძიმებდა, რომ ორივე ფეხით მუხლს ზემოთ ეფლობოდა; ოციოდე ნაბიჯის შემდეგ გული ამოუვარდა და გაჩერდა. „ტყე, ჭედილები, იჯარა, დუქანი, სამიკიტნოები, რკინით დახურული სახლი და ბელელი, მემკვიდრე, — გაიფიქრა მან, — ეს ვის ანაბარა უნდა დარჩეს? ეს რა ხდება? არა, არ შეიძლება!“ — გაუელვა თავში და რატომღაც მოაგონდა ქარისაგან აცახცახებული ქარაძენძი, რომელსაც გვერდით ორჯერ გაუარა, და ისეთი საშინელების გრძნობა დაეუფლა, რომ უკვე აღარ სჯეროდა იმის სინამდვილე, რაც მის თავს ხდებოდა. „სიზმარი ხომ არაა ეს ყოველივე?“ — გაიფიქრა და გაღვიძება მოინდომა, მაგრამ რაღა უნდა გაჰღვიძებოდა? ეს იყო ნამდვილი თოვლი, რომელიც სახეში სცემდა, დაფლვას უპირებდა და უხელთათმანოდ დარჩენილ მარჯვენას უზრობდა, ეს იყო ნამდვილი უდაბნო, სადაც ახლა მარტო დარჩენილიყო იმ ქარაძენძივით და გარდაუვალ, დაუხანებელ და უაზრო სიკვდილს ელოდა.

„გლახაკთა სიმდიდრეო, უბრალოთა სიკვდილისა დამხსნელო, დიდო მღვდელთმოდვარო ნიკოლოზ, მეოხ გვეყავ ჩვენ“, — გაახსენდა გუშინდელი წირვა, ლოცვების კითხვა, წმინდანის შავი სახე მოჭედოდა ხატზე და სანთლები, ამ ხატისთვის რომ ყიდდა იგი, მაშინვე უკან რომ მოჰქონდათ და მათ, ოდნავ თავმომწვართ, კვლავ ყუთში ინახავდა. და სწორედ ამ ნიკოლოზ სასწაულმოქმედს შეევედრა, მიხსენიო, და პარაკლისის გადახდა და სანთლების ანთება აღუთქვა, მაგრამ მაშინვე ცხადლივ მიხვდა, რომ მოჭედოდა ხატის, სანთლების, მღვდელის, წირვა-ლოცვას — ყველაფერი ეს ძალზე საჭირო და მნიშვნელოვანი იყო იქ, ეკლესიაში, მაგრამ აქ ვერაფერს უშველიდა და იმ გუშინდელ სანთლებს, წირვა-ლოცვასა და მის ახლანდელ უბედურებას შორის არ იყო და არც შეიძლებოდა რაიმე კავშირი ყოფილიყო. „არ უნდა გავტყდე, — გაიფიქრა მან. — ცხენის კვალს უნდა მივყვე, თორემ ამასაც გადაასწორებს, — გაუელვა გონებაში, — ცხენი გამიყვანს, შეიძლება დავიჭირო კიდევ. ოღონდ ფაციფუცი არ გვინდა, თორემ გული ამომივარდება და სულ დავიღუპები“. მაგრამ მიუხედავად განზრახვისა — დინჯად ევლო, მაინც გაიქცა, წამდაუწუმ ეცემოდა, დგებოდა და კვლავ თოვლში ვარდებოდა. ცხენის ნაკვალევი იმ ადგილებში, სადაც ღრმა თოვლი არ იდო, ძლივსღა ეტყობოდა. „დავიღუპე, — გაიფიქრა ვასილი ანდრეიჩმა, — კვალის დამეკარგება და ცხენსაც ვეღარ დავიწევი“. მაგრამ იმავე წუთს, წინ რომ გაიხედა, რაღაც შავად დაინახა. არადა, ქურანი იყო, და მარტო ქურანი კი არა, მარხილიცა და ხელსახოციანი ხელნაც. ქუ-

რანი, გვერდზე მოქცეული პალდუმითა და ფალასით, ძველ ადგილას კი არ გაჩერებულყო — ხელნებთან ახლოს მიმდგარიყო და თავს იქნევდა, რადგანაც ფეხში ჩახლართული ალვირის ტოტი ძირს ეზიდებოდა. თურმე ვასილი ანდრეიჩი იმავე ღარტაფში ჩავარდნილიყო, რომელშიც ისინი ნიკიტასთან ერთად ჩაეფლნენ, და ცხენს უკან, მარხილთან მოჰყავდა, ხოლო ის ადგილი, სადაც ცხენიდან გადმოხტა, მარხილს ორმოცდაათი ნაბიჯით თუ იქნებოდა დაშორებული.

IX

იქამდე რომ მიატანა, ვასილი ანდრეიჩი ჩაეჭიდა მარხილს, დიდხანს იდგა ასე უძრავად და ცდილობდა დამშვიდებულყო და სული მოეთქვა. ნიკიტა ძველ ადგილზე აღარ დაუხვდა, მაგრამ მარხილში იწვა რაღაც, რომელიც უკვე თოვლს დაეფარა, და ვასილი ანდრეიჩი მიხვდა, ნიკიტა იქნებოდა. ვასილი ანდრეიჩის შიშმა უკვე სრულიად გადაუარა და თუ რაიმე აძრწუნებდა, მხოლოდ ის საშინელება იყო, რომელიც ცხენზე განიცადა და განსაკუთრებით კი მაშინ იწვნია, როდესაც ნამქერში მარტო ჩარჩა. ახლა ყველაფერი უნდა ელონა, რათა მის გულს აღარ გაჰკარებოდა ასეთი შიში, ხოლო რომ არ გაჰკარებოდა, რაღაც უნდა ეკეთებინა, რაიმეთი უნდა დაესაქმებინა თავისთავი. ამიტომაც პირველი, რაც მოიმოქმედა, ის იყო, რომ ქარისკენ ზურგით დადგა და ქურქი შეიხსნა. შემდეგ, ცოტა სული რომ მოითქვა, თოვლი გადმოიფერთხა ჩექმებიდან, მარცხენა ხელთათმანიდან, მარჯვენა უიმედოდ იყო დაკარგული და, ალბათ, უკვე ღრმად ეგდო თოვლქვეშ; შემდეგ მან კვლავ დაბლა და მაგრად შემოიჭირა სარტყელი, ისე როგორც მაშინ იკრავდა, როდესაც დუქნიდან გამოდიოდა, რათა გლეხების მიერ ურმებით მოტანილი ხორბალი ეყიდა, და სამოქმედოდ გაემზადა. პირველი საქმე, რაც გამოუჩნდა, ის იყო, რომ ცხენისთვის ფეხი აეშვა. ვასილი ანდრეიჩმა ასეც გააკეთა, ალვირის ტოტი გამოაცალა, ქურანი კვლავ ძველ ადგილზე დააბა და უკნიდან მოვლა დააპირა, რათა ცხენისათვის პალდუმი, კეხი და ფალასი გაესწორებინა; მაგრამ ამ დროს დაინახა, რომ მარხილში რაღაც შეინძრა და წაყრილი თოვლიდან ნიკიტას თავი ამოჩნდა. ნიკიტა უკვე იყინებოდა, გაჭირვებით წამოიმართა, ჩაჯდა და რაღაც უცნაურად, თითქოს ბუზებს იგერიებდნო, ცხვირწინ ხელის ქნევას მოჰყვა; ხელს იქნევდა და რაღაცას ამბობდა, როგორც ვასილი ანდრეიჩს მოეჩვენა, მას უხმობდა. ვასილი ანდრეიჩი ფალასს შეეშვა და მარხილთან მივიდა.

— რა იყო? — ჰკითხა მან. — რას ამბობ?

— ვკვდები-ები მე, რა იყო და, — ძლივს, ნაწყვეტ-ნაწყვეტად აღმოთქვა ნიკიტამ. — ჩემი ნაშოვარი ბიჭს მიე, ან დედაკაცს, სულ ერთია.

— აბა რა არი, რა გემართება, გაიყინე განა? — ჰკითხა ვასილი ანდრეიჩმა.

— ვიცი, სიკვდილმა მიწია... შემინდე, ქრისტეს გულისათვის... — თქვა ნიკიტამ საწყალობლად, და კვლავ ისე იქნევდა ხელებს, თითქოს ბუზებს უქმევდნო.

ვასილი ანდრეიჩი ნახევარ წუთს ხმაამოუღებლად და უძრავად იდგა,

შემდეგ უეცრად ისეთივე სიმტკიცით, როგორც სარფიანი გარიგების დროს იცოდა ხოლმე ხელის დაკვრა, ნაბიჯი უკან გადადგა, ქურქის სახელოები აიკეცა. მიდგა და ორივე ხელით თოვლის გაცლა დაუწყო ნიკიტასა და მარხილს. თოვლი რომ გადაუბერტყა, ვასილი ანდრეიჩმა აჩქარებით შეიხსნა სარტყელი, ქურქი გადაიღელა, ნიკიტას ხელი ჰკრა და ზედ გადააწვა ისე, რომ მარტო ქურქით კი არ ჰფარავდა მას, არამედ მთელი თავისი თბილი, გახურებული სხეულითაც. ხელებით ქურქის კალთები მარხილის ფერდებსა და ნიკიტას წორის ჩატენა, მუხლებში ქობა ამოიგო და ასე პირდაღმა იწვა, თავით მარხილის კოფოს მიყრდნობილი, ვასილი ანდრეიჩი. და უკვე არც ცხენის მოძრაობის ჩქამი ესმოდა, არც ქარბუქის ბუბუნი, მხოლოდღა ნიკიტას სუნთქვას უსმენდა. ნიკიტა ჯერ გაუნრძეველად იწვა დიდხანს, შემდეგ ღრმად ჩაისუნთქა და შეირხა.

— აი ეს არი, შენ კი ამბობ — ვკვდებით. იწექი, ჩათბი, ჩვენ ასე ვიცით... — დაიწყო ვასილი ანდრეიჩმა. მაგრამ შემდეგ, რამაც ძალზე გააოცა, ენა ჩაუვარდა, რადგან თვალზე ცრემლი მოადგა და ქვედა ყბა აუკანკალდა. დადუმდა და მხოლოდღა იმას ყლაპავდა, რაც ყელში ებჯინებოდა. „დიდი შიში ვჭამე, ალბათ სულ დავგლახდი“, — გაიფიქრა თავის თავზე. მაგრამ ამ სიგლახეს არათუ თაკილობდა, რალაც უჩვეულო, ჯერეთ განუცდელ სიხარულს ჰგვრიდა იგი.

„ასე ვიცით ჩვენ“, — თავის თავს ეუბნებოდა იგი, გულაჩვილებული და დიდი სიმშვიდით გათანგული კარგა ხანს იწვა ასე უხმოდ. თვალებს ქურქის ბეწვით იმშრალებდა და მუხლებქვეშ იგებდა ქურქის მარჯვენა კალთას, რომელიც ქარს დაჟინებით გვერდზე გაჰქონდა.

მაგრამ მას ძლიერ მოსწყურდა ვინმესთვის გამოეთქვა თავისი სიხარული.

— მიკიტა! — თქვა მან.

— კარგადა ვარ, მთბილა, — მოესმა ქვემოდან.

— ასე, ძმაო, მე ლამის დავიღუპე. შენც გაიყინებოდი, და მეც...:

მაგრამ კვლავ აუკანკალდა ყბები, თვალები კვლავ ცრემლით ავესო და ვეღარ შეძლო სიტყვის გაგრძელება.


„არა უშავს რა, — გაიფიქრა. მე ჩემთვის ხომ ვიცი, რაც ვიცი“.

და იგი დადუმდა. ასე იწვა დიდხანს.

მას თბილოდა. ქვემოდან ნიკიტა ათბობდა, ზემოდან კი ქურქი, მხოლოდ ხელ-ფეხი ეზრობოდა თანდათან, რადგანაც ხელებით ნიკიტას ქურქის კალთებს უგებდა გვერდებში, ხოლო ფეხებზე კი ქარი წამდაუწუმ ხდიდა ტყავს. განსაკუთრებით უხელთათმანო მარჯვენა ხელი ეყინებოდა. მაგრამ აღარ დარდობდა თავის ხელ-ფეხს და მხოლოდ იმაზე ფიქრობდა, როგორმე თბილად ჰყოლოდა მის ქვეშ მწოლიარე გლეხი.

მან რამდენჯერმე გახედა ცხენს, დაინახა, რომ ზურგი მოშიშვლებოდა და ფალასი და პალდუმი თოვლში ეთრეოდა; იცოდა, რომ უნდა ამდგარიყო და ცხენისთვის მიეხედა, მაგრამ ვერ გაებედა, ერთი წუთით მაინც მიეტოვებინა ნიკიტა და გაეწყვიტა ის სიხარული. რომელიც თვითონ მას დაუფლებოდა. ახლა არავითარ შიშს აღარ გრძნობდა.

„ფიქრი ნუ გაქვს, ვერ დამისხლტება“, — ისევე თავმომწონედ მიმართავდა თავის თავს იმის თაობაზე, რომ გლეხკაცი თბილად მეყოლებოდა,




ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა




ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

ნახევრული მუცელი
„აღმოსავლური“



საქართველოს
საქართველოს



ე. ლაშვილი

ჰაჯი-მურადი



ეროვნული
ბიბლიოთეკა



დ. პლასონიძე

ძინა ეროვნული
„კაზაკები“

როგორც თავისსავე ნაყიდ და გასაღებულ საქონელზე იცოდა და-
პარაკი.

ასე იწვა ვასილი ანდრეიჩი ერთი, ორი. სამი საათი, მაგრამ იგი ვერ
გრძნობდა, როგორ გადიოდა დრო. ჯერ მის თავში კვლავ ირეოდნენ
ქარბუქის, თვალწინ მოქანავე ხელნებისა და ოდრიკალდადგმული ცხენის
მორჩვენებანი, და ქვეშ მწოლიარე ნიკიტაც აგონდებოდა: მერე ამათ შეერ-
ივნენ ზმანებანი დღეობისა, ცოლისა, ბოქაულისა, სანთლების ყუთისა და
კვლავ ნიკიტასი, რომელიც ამ ყუთქვეშ იწვა. შემდეგ ეჩვენებოდნენ გლე-
ხები — ზოგი მუშტარი და ზოგი საქონლის გამყიდველი, თეთრი კედლები
და რკინით დახურული სახლები, რომელთა ქვეშ ნიკიტა იწვა; მერმე ეს
ყველაფერი ერთმანეთში აიზილა, ერთიდან მეორეში გადაიღვარა და, რო-
გორც ცისარტყელას ფერები შეირწყმება ხოლმე ერთ ნათელ შუქად, ისე
ექცა ყველა ეს მორჩვენება რაღაც ერთ უსახო ზმანებად და ჩაიძინა კიდევ-
დიდხანს უძინა, უსიზმრო ძილი ჰქონდა, მაგრამ დილით კვლავ ზმანებანი
ეწვივნენ. ეზმანა, თითქოს სანთლების ყუთთან დგას და ტიხონის დედა-
კაცი მოსულა, რომ მისგან ნიკოლოზობისთვის ხუთკაპიკიანი სანთელი
იყიდოს, და მას უნდა, აილოს სანთელი და მისცეს, მაგრამ ხელები ვერ აუ-
წევია, რადგან ჯიბეებში აქვს ჩაჭედული, უნდა, რომ ყუთს შემოუაროს,
მაგრამ ფეხი ვერ გადაუდგამს, ხოლო კალთები — ახლები, დარეცხილე-
ბი — ქვის იატაკს მიდუღებია და ვერც ისინი დაუძრავს და ვერც ფეხი
ამოულია. და უცებ სანთლების ყუთი სანთლების ყუთი კი აღარაა, ლო-
გინია, და ვასილი ანდრეიჩი თავის თავს ხედავს სანთლების ყუთზე პირ-
დალმა მწოლიარეს, ანუ თავისსავე ლოგინში წევს საკუთარ სახლში. წევს
ლოგინში და ვერ ამდგარა, არადა უნდა ადგეს, რადგანაც ახლა გამოუვლის
ივან მატვეიჩი, ბოქაული, და ერთად უნდა წავიდნენ, რომ ან ტყე ივაჭრონ,
ანდა ქურანს პალდუმი გაუსწორონ. და იგი ცოლს ეკითხება: „რაო, მიკოლაფ-
ნა, არ შემოუვლია?“ — „არა, ეუბნება, არ შემოუვლია“. და ესმის, რომ ჭიშ-
კარს ვილაცის მარხილი მოადგა. ალბათ, იგია. არა, ჩაიარა. „მიკოლაფნა,
ჰაი, მიკოლაფნა, რაო, კიდევ არა ჩანს?“ — „არა ჩანს“. და იგი წევს ლო-
გინზე, კვლავ ვერ წამომდგარა და იმგვარადვე ელის და ეს ლოღინი საშინე-
ლიც არის და სიხარულის მომგვრელიც. და უცებ დგება სიხარულის ფაში:
მოვიდა იგი, ვისაც ელოდა, ოღონდ ბოქაული კი არაა, ივან მატვეიჩი, არა-
მედ ვილაც სხვა კაცია, მაგრამ სწორედ ის არის, ვისაც ელოდა. ჰოდა, მო-
სულა იგი და ეძახის. და ვინც ეძახის, სწორედ ის არის, რომელმაც მოუხ-
მო და უბრძანა, რომ ნიკიტას გადასწოლოდა. და ვასილი ანდრეიჩის უხა-
რია, რომ იგი მოვიდა მის წასაყვანად. „მოვდივარ!“ — გახარებული ყვი-
რის და ეს ყვირილი აფხიზლებს. იგი იღვიძებს; იღვიძებს, მაგრამ ის კაცი
აღარაა, რაც დაძინებამდე იყო. ადგომა სწადია — და არ შეუძლია, ხე-
ლის განძრევა სურს — არ შეუძლია, ფეხისა — ესეც აღარ შეუძლია.
ხვდება, რომ სიკვდილი სწვევია, და ესეც ოდნავ არ აღონებს. და აგონ-
დება, რომ მის ქვეშ ნიკიტა წევს, გათბა და ცოცხალიაო. და ვასილი
ანდრეიჩის ეჩვენება, რომ თვითონაა ნიკიტა, ხოლო ნიკიტა კი — იგია, და
ჩემი სიცოცხლე ჩემში კი აღარაა — ნიკიტაშიაო. ყურს იმახვილებს და
ნიკიტას სუნთქვა, სუსტი ხვრინვაც კი ესმის. „ნიკიტა ცოცხალია. მაშ
მეც ცოცხალი ვარ“, — ზარ-ზეიმით ეუბნება თავის თავს.

და მას ახსენდება ფულები, დუქანი, სახლი, ყიდვა, გაყიდვა და მირონოვების მილიონები: ახლა უჭირს იმის გაგება, რატომ მისდევდა ეს კაცი, რომელსაც ვასილი ბრეხუნოვი ერქვა. ყველაფერ იმას, რასაც ადრე აკეთებდაო. „რას იზამ, მან ხომ არ იცოდა საქმის თავიდათავი, — ასე ფიქრობს ვასილი ბრეხუნოვზე. — არ იცოდა და ახლა ვიცი მე, აწ უკვე შეცდომა არ მომივა. ახლა ვიცი“. და კვლავ მოესმის იმის ძახილი, ვინაც ერთხელ უკვე მოუხმო. „მოვდივარ, მოვდივარ!“ — სიხარულით, ნეტარებით აღმოთქვამს მთელი მისი არსება. და გრძნობს, რომ განთავისუფლდა და ამიერიდან აღარაფერი აბრკოლებს მას.

და უკვე ვერას ხედავდა და არა ესმოდა რა ამქვეყნად ვასილი ანდრეიჩს.

ირგვლივ კვლავინდებურად ზუოდა ქარი, კვლავ თოვლ-ბუქის კორიანტელი იდგა და ფიფქი ეფინებოდა მკვდარი ვასილი ანდრეიჩის ქურქსა და ერთიანად აცანცანებულ ქურანს, თოვლიდან ოდნავ ამოჩენილ მარხილს და მის ძირში უკვე მკვდარი პატრონის ქვეშ მწოლიარე თბილად შენახულ ნიკიტას.

X

ცისკრის პირზე ნიკიტამ გაიღვიძა. იგი კვლავ ზურგში დატრიალებულმა სუსხმა გამოაფხიზლა. ესიზმრა, რომ წისქვილიდან პატრონის ფქვილი მოჰქონდა საზიდრით, ღელესთან ბოგირზე ვერ შეაყენა და საზიდარი ლამში ჩაეფლო. და ხედავს, რომ თვითონ საზიდრის ქვეშ შემძვრალა, წელში იმართება და ურმის ამოგდება უნდა. მაგრამ საკვირველი ამბავია! საზიდარი არ იძვრის, ზურგზე დაეკრა, და აღარც აწევა შეუძლია და აღარც ისა, რომ გამოეცალოს. მთელი წელი ჩაუქცია. თანაც ძალზე ცივია! მეტი გზა არაა, როგორმე უნდა გამოძვრეს. „გეყოფა, ჰო, — ეუბნება ვილაცას, რომელიც საზიდრით ზურგზე აწვება, — ტომრები გადმოიდე!“ მაგრამ საზიდარი სულ უფრო ცივდება და ისევ აწვება. და უცებ რაღაც ბედითი ბრახუნი ისმის, იღვიძებს და ყველაფერს იხსენებს. ცივი ურემი თურმე მკვდარი, გაყინული პატრონი ყოფილა, რომელიც თავზე დასწოლია. დაბრახუნებით კი ქურანმა ჰკრა ორჯერ ფლოქვი მარხილს.

— ანდრეიჩ, ჰეი, ანდრეიჩ! — ფრთხილად ეძახის პატრონს ნიკიტა, რომელსაც უკვე გულმა უგრძნო, რაც მომხდარიყო, და წელში გამართვას ცდილობს.

მაგრამ ანდრეიჩი ხმას არ იღებს, და გაქვავებული ცივი მუცელი და ფეხები საწონებივით დამძიმებია.

„გათავებულა, სასუფველი დაუმკვიდროს!“ — ფიქრობს ნიკიტა.

იგი თავს ატრიალებს, წინ ხელით თოვლს თხრის და თვალს ახელს. გათენებულა; ისეთივე სტვენით გადის ქარი ხელნებში და იმგვარადვე აყრის თოვლს, განსხვავება ისღაა, რომ მარხილს კი აღარ ეხლება, არამედ უხმაუროდ, სულ უფრო მალლით ეფინება მარხილსა და ცხენს, და არც მოძრაობის ჩქამი და არც სუნთქვა აღარ ისმის ცხენისა. „ისიც გაიყინა ალბათ“, ფიქრობს ნიკიტა ქურანზე. და მართლაც, მარხილს რომ ფლოქვე-

ბი მიახეთქა, რამაც ნიკიტა გააღვიძა, ეს უკვე ზეზეურად გაყინული ქუჩის სიკვდილისწინა გაბრძოლება იყო.


„ღმერთო, მამაზეციერო, მეც მეძახი, ალბათ, — თავისთვის ამბობს ნიკიტა. — იყავნ ნება შენი. მეშინია, მაგრამ კაცი ორჯერ არ მოკვდება, ერთს კი ვერ ასცდება. ოღონდ მალე მაინც მოვიდეს სიკვდილი...“ და მან კვლავ მოხარა მკლავი, თვალი დახუჭა და გაყურდა, სავსებით დარწმუნებული, ახლა კი მართლა და საბოლოოდ ვკვდებიო.

მეორე დღეს, უკვე სამხრობის ჟამს, გლეხებმა ნიჩბებით ამოთხარეს ვასილი ანდრეიჩი და ნიკიტა გზიდან სამოცი ადლისა და სოფლიდან ნახევარი ვერსის დაშორებით.

თოვლს მარხილი დაეფარა, მაგრამ ხელნები და ზედ შებმული ხელსახოცი კიდევ ჩანდა. ქურანს მუცლამდე სწვდებოდა თოვლი, ფალასი და პალდუმი ჩამოვარდნოდა, სულ გადათეთრებული იდგა და უსიცოცხლო თავი გაქვავებული ყანყრატოსთვის მიეხრჩინა. ნესტოებზე ყინულის ლოლუები ჩამოჰკიდებოდა, თვალები შესჭირხლოდა და თითქოს ცრემლები მიჰყინოდა ზედ. ერთ ღამეში ისე დაეყარა ხორცი, რომ ცარიელა ძვალი და ტყავი დარჩენილიყო. ვასილი ანდრეიჩი გაყინული დაკლული საქონლის ლეშივით იყო გახვეებული და როგორც ჰქონდა ფეხები გაჩაჩხული, ისევე ააგლიჯეს ნიკიტას. გადმოკარკლული ქორისებრი თვალები ჩაჰყინოდა და გაღებული პირი, შეკრეჭილ ულვაშქვემოთ, თოვლით ამოვსებოდა. ნიკიტა კი ცოცხალი იყო, თუმც ვრთიანად მოყინულიყო. ნიკიტა რომ მოასულიერეს, დარწმუნებული იყო, — უკვე მოკვდი და რაც ახლა ჩემს თავს ამბავია, ამ ქვეყანაზე კი არა, იმქვეყნად ხდებაო. როცა გაიგონა ყაყანი გლეხებისა, რომლებმაც იგი ამოთხარეს და გაყინული ვასილი ანდრეიჩი ააცალეს, ჯერ გაოცდა, საიქიოშიც რომ ისევე ყვიროდნენ გლეხები და სხეულიც ისეთივე დარჩენილიყო, მაგრამ რა მიხვდა, ჯერ კიდევ ამქვეყნადა ვარო, ეს ამბავი კი არ გაეხარდა, ეწყინა, მით უფრო, როცა იგრძნო, ორივე ფეხის თითები დამზრალი მქონიაო.

საავადმყოფოში ნიკიტა ორ თვეს იწვა. სამი თითი მოაჭრეს, ხოლო სხვები მოურჩა და მას კვლავ შეეძლო მუშაობა და კიდევ ოც წელიწადს გააგრძელა ცხოვრება — ჯერ მოჯამაგირედ იდგა, შემდეგ კი, სიბერეში — ყარაულად. მხოლოდ ამ წელიწადს მიიცვალა შინ; როგორც თვითონ სურდა, თავით ხატები ეკიდა და ხელში თაფლის სანთელი ეჭირა. სიკვდილის წინ თავის დედაკაცს შენდობა სთხოვა და თავის მხრივაც მეკასრის ამბავი აპატია. გამოეთხოვა ბიჭსაც, შვილიშვილებსაც და მოკვდა ისე, რომ გულწრფელად უხაროდა, თავისი სიკვდილით შვილსა და რძალს სამადლო ლუკმაპურის საფიქრალისაგან რომ ათავისუფლებდა, და თვითონ კი, ამ წუთისოფლით გაბეზრებული, უკვე მართლა გადადიოდა იმ სხვა ცხოვრებაში, რომელიც დღითიდღე უფრო გასაგები და მიმზიდველი ხდებოდა მისთვის. უკეთესად არის იქ, თუ უარესად, სად გამოიღვიძა მან ამ ნამდვილი სიკვდილის შემდეგ? გულს დააკლდა, თუ იქ სწორედ ის პოვა, რასაც ელოდა? — ამას მალე შევიტყობთ ყველანი.

საქართველოს
საქართველოს



მხატვარი ბ. შარტავაძე

რ ი ს თ ვ ი ს ?

თარგმნა ნათელა ბავაშვილი

I

ოთხას ოცდაათი წლის გაზაფხულზე პან იანჩევსკის
 საგვარეულო მამულ როჟანეკში გარდაცვლილი მეგობრის
 დედისერთა ვაჟიშვილი იოზეფ მიგურსკი ეწვია. იანჩევსკი, სამოცდახუთი
 წლის შუბლმალაღი, მხარბეჭიანი და მკერდგანიერი მოხუცი, რომლის
 მოყავისფრო-წითურ პირისახეს გრძელი, თეთრი უღვაში დაჰფენოდა,
 პოლონეთის მეორე დაყოფისდროინდელი პატრიოტი გახლდათ. ჭაბუკობი-
 სას იგი მიგურსკის მამასთან ერთად კოსტიუშკოს რაზმში მსახურობდა
 და მთელი თავისი პატრიოტული სულისკვეთებით სძულდა აპოკალიფსუ-
 რი მეძავი (ასე ეძახდა იგი ეკატერინე II-ს) და მისი ბილწი, მოღალატე
 საყვარელი პონიატოვსკი და ისევე სწამდა რეჩი პოსპოლიტის აღდგენა,
 როგორც სჯეროდა, რომ ყოველ ღამეს უეჭველად დღე მოჰყვებოდა. რვაას
 თორმეტში იანჩევსკი თავისი სათაყვანებელი ნაპოლეონის არმიასი პოლკს
 მეთაურობდა. მისმა დაღუპვამ გული დასწყვიტა. მაგრამ ნაკუწ-ნაკუწ
 დაფლეთილი პოლონეთის სამეფოს კვლავ აღდგენის იმედი მაინც არ და-
 უკარგავს. ალექსანდრე I თანახმობით ვარშავაში სეიმის გახსნამ მის
 იმედს ფრთები შეასხა, მაგრამ „წმინდა კავშირი“, რეაქცია მთელ ევრო-
 პაში და კონსტანტინეს ხუმტურიანობა უშლიდა ხელს დიდი ხნის ნალო-
 ლიანები ოცნების აღსრულებას. 25 წლიდან იანჩევსკი სოფელში დასახლ-
 და და როჟანეკიდან ფეხი აღარსად გაუდგამს. მისი მთავარი საზრუნავი
 იყო მეურნეობა, ნადირობა და კითხვა გაზეთების და წერილების, რომელ-
 თა მეშვეობითაც ადევნებდა თვალყურს თავისი სამშობლოს პოლიტიკურ
 მოვლენებს. ცოლად გადარიბებული აზნაურის ღამაში ასული ჰყავდა,
 თუმცა ეს იანჩევსკის მეორე ქორწინება იყო და თან უიღბლოც. არ უყვარ-
 და და არც პატისა სცემდა მეუღლეს, მოყირჭებოდა და უგულოდ, უხეშად
 ეპყრობოდა, იტყოდით, თავისი შეცდომისა და საბუდისწერო ქორწინები-
 სათვის ჯავრს მასზე იყრისო. მეორე ცოლთან შვილი არ ჰყოლია, პირ-
 ველისაგან კი ორი ქალიშვილი დარჩენოდა: უფროსი, ვანდა, სოფლის



ერთფეროვნებით თავგაბეზრებული კალმით ნახატი, მედიდური მზეთუნახავი, და უმცროსი, ალბინა, მამის ნებიერი, თხელი, ცქრიალა, ქერაკულულებიანი და ბრიალაციისფერთვალა გოგონა.

ალბინა თხუთმეტი წლისა იყო, იოზეფ მიგურსკი რომ ესტუმრათ. იგი ადრეც, სტუდენტობის დროსაც ჩადიოდა ხოლმე ვილნოში, სადაც ოჯახი ზამთრობით ცხოვრობდა, ამჯერად კი მოწიფული, ყველა ამქვეყნიურ საქმეთაგან თავისუფალი ვაჟკაცი წარუდგა იაჩევსკებს, რომელთა უფროს ქალიშვილს თავგამოდებით ეარშიყებოდა. ახალგაზრდა მიგურსკის ჩამოსვლამ როჟანეკის ბინადარნი ძალზედ გაახარა. მოხუცს იუზია მიგურსკის დანახვამ მეგობარი და საკუთარი სიჭაბუკე გაახსენა, თან ყმაწვილი ისეთი გატაცებითა და ისე იმედიანად ლაპარაკობდა პოლონეთსა და უცხოეთში მომხდარ რევოლუციურ გამოსვლებზე (იგი ახლახან დაბრუნებულიყო უცხოეთიდან), რომ მისი გული საბოლოოდ მოინადირა. პანი იაჩევსკაია სტუმარმა იმიტომ გაახარა, რომ მოხუცი უცხოეთთან უფრო თავშეკავებული ხდებოდა და უწინდებურად აღარ ილანძლებოდა. ვანდამაც გაიხარა, რადგან ღრმად სწამდა, მიგურსკი სწორედ მისი ხელის სათხოვნელად იყო ჩამოსული. უარის თქმას არ აპირებდა, მაგრამ როგორც თვითონ ამბობდა, მზად იყო: *lui tenir la dragée haute*¹. სხვების სიხარულს აყოლილი ალბინაც უზომოდ მხიარულობდა. მთელ ოჯახს სჯეროდა, რომ მიგურსკი ვანდას დასანიშნად იყო ჩამოსული; ასე ფიქრობდა ყველა — დაწყებული უფროსი იაჩევსკითა და დამთავრებული მოხუცი გადია ლუდვიკათი, თუმცაღა ამაზე კრინტი არც ერთს არ დაუძრავს.

სალაპარაკო რაღა იყო. მიგურსკი მართლაც ამ განზრახვით ჩამოვიდა, მაგრამ ერთ კვირასაც არ გაეგლო, რაღაცით შეცბუნებული და გულამღვრეული ისე წავიდა, ნიშნობაზე სიტყვაც არ დასცდენია. მისმა მოულოდნელმა გამგზავრებამ ყველა გააოცა, რადგან საბაბი ალბინას გარდა არავინ უწყობდა. გოგონა კი მიხვდა, რომ ამ უცნაური გაქცევის მიზეზი თვითონ იყო. ალბინას თვალს არ გამოჰპარვია, მიგურსკი მთელი კვირა მხოლოდ მასთან რომ იყო განსაკუთრებით აღვზნებული და მხიარული, თუმცა, როგორც ბაღს, ისე ექცეოდა — ეხუმრებოდა, აწვალებდა, მაგრამ ალბინა ქალური გუმანით გრძნობდა, რომ ეს არ იყო უფროსის დამოკიდებულება. ბავშვისადმი, არამედ მამაკაცისა — ქალისადმი. ამას იგი მაშინ მიხვდა, როცა ოთახში ყოველი შესვლისას მიგურსკი მოსიყვარულე მზერასა და ალერსიან ღიმილს შეაგებებდა ხოლმე. ნათლად ვერ წარმოედგინა, რა ხდებოდა, მაგრამ ყურადღება სიამოვნებდა და უნებურად ისე ირჯებოდა, რომ ვაჟისათვის თავი მოეწონებინა. მიგურსკის კი ყველაფერი მოსწონდა, გოგონას რაც უნდა ეკეთებინა. ამიტომ ალბინა მასთან განსაკუთრებით ხალისიანი იყო, მგზნებარე. ვაჟს სიამოვნებდა, როცა ალბინა ულამაზეს მწევარს სირბილში ეჯიბრებოდა, როცა ძალღი ეტორღიალებოდა და კრიალა, აყირმიზებულ ღაწვებს ულოკავდა; მოსწონდა, როცა გოგონასულ უბრალო რამეზეც კი გულიანად კისკისებდა; მოსწონდა, როცა ალბინას თვალები უცინოდა, თავი კი ისე ეჭირა, თითქოს ქსენძის მოსაწყენ ქა-

¹ გაეწვალებინა, რათა უფრო ამაღლებულიყო მის თვალში (ფრანგ.).

დაგებას მთელი არსებით განიცდისო; მიგურსკი აღტაცებას ვერ ფარავდა, როცა გოგონა საოცარი სიზუსტითა და ირონიით ხან მოხუცად იხსენიებდა, ხან ლოთ მეზობელსა და ხანაც თვით მას, მიგურსკის ბაძავდა ხოლმე მიხრობდა მოხრასა და ლაპარაკში. რაც მთავარია, მიგურსკის ხიბლავდა და ანცვიფრებდა ამ ციციქნა არსების ყველაფრით აღტაცებისა და აღფრთოვანების უნარი, თითქოს ეს-ესაა ჩასწვდა სიცოცხლის მშვენიერების სიდიადეს და მით ხარობსო. მიგურსკის უსაზღვროდ აჯადოებდა გოგონას გამორჩეული ხალისიანობა, რასაც კიდევ უფრო ის აორკეცებდა, რომ ალბინა გრძნობდა, რამდენად სიამოვნებდა ვაჟს მისი მხიარულება. ჰოდა, იმასაც მიხვდა, ვანდას დასანიშნად ჩამოსული მიგურსკი რატომ წავიდა სიტყვის უთქმელად. თუმცა საიდუმლო არავისთვის გაუნდვია, ის კი არადა, საკუთარ თავსაც არ უტყდებოდა, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც სწამდა, უფროსი დის ხელის სათხოვნელად ჩამოსულმა მიგურსკიმ უმცროსი და რომ შეიყვარა. გოგონა გაოცებას ძლივს მალავდა — ლამაზ, განათლებულ და ჭკვიან ვანდასთან თავს არარაობად თვლიდა, მაგრამ სიმართლეს სად გაექცეოდა, თან სიხარულის დაფარვაც უჭირდა, რადგან მიგურსკი თავდაც უსაშველოდ შეუყვარდა იმგვარი სიყვარულით, პირველად და ერთადერთხელ რომ ეწვევა ადამიანს სიცოცხლეში.

II

ზაფხულის მიწურულს გაზეთებმა როჟანეკს პარიზის რევოლუციის ამბავი აუწყა. ამას კვალდაკვალ ვარშავაში მოსალოდნელი არეულობის ცნობა მოჰყვა. ახლა იაჩევსკი კონსტანტინეს მკვლელობასა და რევოლუციის დაწყებას ელოდა გულისფანცქალით. როგორც იქნა, ნოემბერში ბელვედერზე თავდასხმისა და კონსტანტინე პავლეს ძის გაქცევაზე დაირხა ხმა და მალე ისიც ცნობილი გახდა, რომ სეიმმა რომანოვების დინასტიას ტახტი ჩამოართვა და ხლოპიცკი გამოაცხადა სრულუფლებიან დიქტატორად. ამიერიდან პოლონეთი თავისუფალი იყო. მართალია, ამბოხებას როჟანეკამდე ჯერ არ მოუღწია, მაგრამ მის შესახვედრად დიდი და პატარა მოუთმენლად ემზადებოდა. მოხუცი იაჩევსკი თავის ოდინდელ ნაცნობსა და ახლანდელი ამბოხების ერთ-ერთ სულისჩამდგმელთან აწარმოებდა მიმოწერას, გადაცმულ ებრაელ-შუამავლებს ღებულობდა, ოღონდ არა საოჯახო, არამედ რევოლუციის საჭიროებისათვის და ყოველ წუთს მზად იყო, როგორც კი შესაფერისი ჟამი დაჰკრავდა, აჯანყებულთ შეერთებოდა. პანი იაჩევსკაია ახლა ყველაზე მეტად, ვიდრე ოდესმე, მეუღლის კეთილდღეობაზე ზრუნვაში ათენ-ალამებდა, რითაც მოხუცი კიდევ უფრო გადაიმტერა. ვანდამ ვარშავაში მეგობარს ბრილიანტის სამკაულები გაუგზავნა, რომ მათი საფასური რევოლუციური კომიტეტისათვის შეეწირა. ალბინას გონება კი მთლიანად მიგურსკიზე ფიქრს მოეცვა. მამისაგან გაეგო, იოზეფი რომ დვერნიცკის რაზმში ჩარიცხულიყო და ახლა ამ რაზმზე ცნობებს აგროვებდა. მიგურსკიმ ორი წერილი გამოგზავნა. პირველით იტყობინებოდა: ჯარში გამამწესესო. მეორე, თებერვლის დამლევს გამოგზავნილ წერილში კი აღფრთოვანებული ყვებოდა სტოჩეკთან პოლო-

ნელები გაბარჯვებაზე. „Zwyciestwo Polaków i kleska Moskali! Wiwat!“ ასე ამთავრებდა წერილს. ალბინა სიხარულით აღარ იყო. რუკას ჩაჰკირკიტებდა და ანგარიშობდა, საბოლოოდ სად და როდის უნდა გაენადგურებინათ მოსკალები, გადაფითრებული ცახცახებდა, სანამ მამამისი ახალმიღებულ საფოსტო პაკეტს გახსნიდა ხოლმე. ერთხელ დედინაცვალმა იმ დროს შეაღო მისი ოთახის კარი, როცა შარვალსა და კონფედერატკაში² გამოწყობილი სარკის წინ ტრიალებდა. მამაკაცურად გადაცმულ ალბინას შინიდან გაპარვა განეზრახა, რათა პოლონეთის ჯარს შეერთებოდა. დედინაცვალმა საიდუმლო არ შეუნახა და მამასთან დაასმინა. მამამ, თუმცა თანაგრძნობა და აღტაცება ძლივს დაფარა, სასტიკად დატუქსა და გააფრთხილა, ომში წასვლის სულელური ფიქრი თავიდან ამოეგდო. „ქალის ვალია სამშობლოსათვის თავგანწირულთა სიყვარული და ნუგეშისცემა“, — ასე უთხრა შვილს. ჯერ შენ მამას სჭირდება შემწედ და ჭირისუფლად, მერე კი მეუღლისა და ოჯახის ბურჯი უნდა გახდეო. იცოდა მშობელმა, როგორ აეჩუყებინა შვილისთვის გული. თან სიტყვა საკუთარ უიღბლობასა და მარტოობაზე გადაუკრა და შუბლზე აკოცა. გოგონა გულში ჩაეკრა, ცრემლი ნამალევად მოიწმინდა და შეჰპირდა, მის უკითხავად ნაბიჯს არსად გადადგამდა.

III

მხოლოდ იმგვარ უბედურება გამოვიდა ხალხს, რაც პოლონელებმა გამოიარეს სამშობლოს დაყოფის შემდეგ, როცა მისი ერთი ნაწილი საძულველ გერმანელთა, ხოლო მეორე — კიდევ უფრო საძულველი მოსკალების ძალაუფლების ქვეშ მოექცა, შეუძლია გაიგოს ის აღტაცება, პოლონელებმა რომ განიცადეს 30—31 წლებში, როცა განთავისუფლებისათვის ბრძოლას უექველად სასიკეთო პირი დაეტყო. თუმცაღა სიხარული ნაადრევი გამოდგა. ძალთა მეტისმეტმა უთანასწორობამ რევოლუციას კვლავ დამარცხება არგუნა წილად. კვლავ ხვედრს უაზროდ დამორჩილებული ათათასობით რუსი წაასხეს პოლონეთს და ხან დიბირის, ხანაც პასკევიჩისა და თვით უმაღლესი განმგებლის — ნიკოლოზ I-ის მეთაურობით, თვითონაც რომ არ იცოდნენ რისთვის, მიწა დააღებეს საკუთარი და თანამოძმეთა სისხლით, დაიმორჩილეს, მოდრიკეს ქვეყანა და საჯიჯგნად ისეთ უგბილ და უგვანო კაცუნებს მიუგდეს, ვისაც თავისუფლებაც და პოლონეთიც ფეხებზე ეკიდათ, ოღონდაც საკუთარი პატივმოყვარეობა და მედიდურობა დაეკმაყოფილებინათ.

ვარშავა დაეცა; განადგურდა ცალკეული რაზმები. ასობით, ათასობით ხალხი დახვრიტეს, წკვებლის ქვეშ ამოხადეს სული, გადაასახლეს. მათ შორის იყო ახალგაზრდა მიგურსკიც, რომელსაც მამული ჩამოართვეს, თვითონ კი ურალსკში, სასაზღვრო ბატალიონის ჯარისკაცად გაამწესეს.

იარევესკები 1832 წლის ზამთარს ვილნოში ატარებდნენ, რადგან მო-

1 გაუმარჯოს პოლონელებს, სიკვდილი მოსკალებს! ვაშა! (პოლონ.).

2 პოლონური ოთხკუთხა და ფოჩიანი ერთვნიული ქუდი (პირველად კონფედერატები იხურავდნენ).

ხუცი გულმა შეაწუხა. აქ მიიღეს ციხესიმაგრეიდან მიგურსკის გამოგზავნილი წერილი. იწერებოდა: რაც არ უნდა საშინელი იყოს ჩემი ხვედრი, არაფერს ვნანობ, რადგან სამშობლოსათვის ბრძოლა წმიდათაწმიდა ვალია და თუკი კვლავ საჭირო გახდება, მზად ვარ უყოყმანოდ გავწირო სიცოცხლე ჩვენი ბედკრული პოლონეთისთვისო. მოხუცს, რომელიც წერილს ხმამაღლა კითხულობდა, ამ ადგილას გული ამოუჯდა და კარგა ხანს ხმა ვეღარ ამოიღო. კითხვა ვანდამ განაგრძო: როგორიც არ უნდა ყოფილიყო ჩემი გეგმები და ოცნებები თქვენთან ბოლო სტუმრობისას, რომელიც ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ნათელ მოგონებად დარჩება, ახლა აღარც მინდა და უფლებაც აღარ მაქვს მათზე ვილაპარაკო, — იწერებოდა მიგურსკი.

ვანდამ და ალბინამ ამ სიტყვების მნიშვნელობა თავისებურად გაიგეს, მაგრამ კრინტი არც ერთს დაუძრავს. წერილის ბოლოს მიგურსკი ყველას მოიკითხავდა და, სხვათა შორის, ალბინას კვლავ სახუმარო კილოთი ეკითხებოდა, მწევრებს კიდევ თუ ეჯიბრები სირბილში, ან შინაურებს ისევ თუ დასცინიო. მოხუცს ჯანმრთელობას უსურვებდა, დიასახლისს — საოჯახო საქმეებში კეთილდღეობას, ვანდას — ღირსეულ მეუღლეს და ალბინას — უწინდებურ სიხალისეს.

IV

მოხუცი იაჩევსკის ჯანმრთელობა დღითიდღე უარესდებოდა და 1833 წელს მთელი ოჯახი საზღვარგარეთ გადავიდა საცხოვრებლად. ბადენში ვანდამ მდიდარი პოლონელი ემიგრანტი გაიცნო და მალე ცოლადაც გაჰყვა. მოხუცს სააქაო პირი აღარ უჩანდა და 1833 წელს უცხოეთში, ალბინას ხელზე დალია სული. ცოლი ახლოსაც არ გაიკარა და უკანასკნელ წუთებშიც არ აპატია მისი შერთვით დაშვებული შეცდომა. პანი იაჩევსკაია და ალბინა სოფელში დაბრუნდნენ. ალბინას ყოველდღიური ფიქრი და ოცნება მიგურსკის დასტრიალებდა. გოგონას თვალში ვაჟი უდიდესი გმირი იყო და წამებული, ჰოდა გადაწყვიტა სიცოცხლე მისთვის შეეწირა. საზღვარგარეთ წასვლამდე, ჯერ მოხუცის დავალებით სწერდა წერილებს, მერე კი, რუსეთში დაბრუნებულმა, დამოუკიდებლად განაგრძო წერა და თვრამეტი წლისა შესრულდა თუ არა, დედინაცვალს გამოუცხადა, ურალსკში მივდივარ, მიგურსკის ცოლად უნდა გავყვეო. დედინაცვალმა მიგურსკი გაჰკიცხა, იმ ვაჟბატონს თავისი გაჭირვებული მდგომარეობის გამოსასწორებლად უნდინხართ შენცა და შენი სიმდიდრეცო. გულმოსულმა ალბინამ თავი ვეღარ შიკავა და უხეშად მიახალა, მხოლოდ შენ შეგეძლო ასეთი უზნეობა დაგეწამებინა ადამიანისათვის, რომელმაც ყველაფერი გაწირა თავისი ხალხის საკეთილდღეოდო. მიგურსკი, პირიქით, უარზეა და მსხვერპლს არ ღებულობს, მაგრამ მე მტკიცედ გადავწყვიტე, ცოლად გავყვე და ახლა, ქვეყანა რომ დაიქცეს, აზრს ვერავინ შემაცვლევინებსო. ალბინა სრულწლოვანი იყო და ფულიც ჰქონდა — სამასი ათასი ზლოტი, რომელიც განსვენებულმა ბიძამ უანდერძა თავის ორ ძმისწულს. ასე რომ, მისი შეჩერება აღარაფერს შეეძლო.

1833 წლის ნოემბერში ალბინა აცრემლებულ სახლეულობას სიკვდილმისჯილივით დაემშვიდობა და მოხუცებული, ერთგული გადია



ლუდვიკას თანხლებით მამის დანატოვარი, სახელდახელოდ შეკეთებული ეტლით, ბარბაროსული მოსკოვისაკენ მიმავალ უცნობ დასუსტულ გზას დაადგა.

V

მიგურსკი, ნაცვლად ყაზარმისა, ცალკე ბინაში ცხოვრობდა. ნიკოლოზ პავლეს ძე მითხროვდა, რომ პატივყრილ პოლონელებს იმგვარადვე ეწვინიათ ჯარისკაცული ცხოვრების სისასტიკე და დამცირება, როგორსაც მაშინ რიგითი ჯარისკაცები განიცდიდნენ; მაგრამ იმ უბრალო ადამიანთა უმრავლესობა, რომელთაც მისი განკარგულება უნდა შეესრულებინათ, მშვენივრად გრძნობდა გაძევებულთა მძიმე ხვედრსა და, მიუხედავად იმისა, რომ იცოდნენ თვითნებობისთვის რაც მოელოდათ, შეძლებისდაგვარად არღვევდნენ კიდევ ამ წესებს. თითქმის უწიგნურ ნაჯარისკაცებს, ახლა კი მიგურსკის ბატალიონის მეფაურს ყოფილი მდიდრის დამცირება გულთან მიჰქონდა, ებრალებოდა იგი, პატივსა სცემდა და დროდადრო შეღავათებსაც უწევდა. არც მიგურსკი გამოდგა უმადური და სამაგიეროდ სიკეთის გადასახდელად თეთრბაკენბარდებიანი პოდპოლკოვნიკის ვაჟებს, რომელთაც კორპუსისათვის ამზადებდნენ, მათემატიკასა და ფრანგულ ენაში ამეცადინებდა.

ურალსკში გადმოსახლებიდან უკვე შვიდი თვე გასულიყო და მიგურსკის უდიდამო, მოსაწყენი და უსიხარულო ცხოვრება მალე აუტანელი გახდა. გარდა ბატალიონის მეთაურისა, რომლისაგანაც თავი მაინც შორს ეჭირა, მხოლოდ ერთ უბირ, გაქნილსა და თევზით მოვაჭრე პოლონელს იცნობდა. ყველაზე მეტად კი ხელმოკლეობამ შეაწუხა. მამულის ჩამორთმევის შემდეგ უსახსროდ დარჩენილმა გადანახული ოქროს ნივთების გაყიდვას მიჰყო ხელი.

გაძევებული მიგურსკის ერთადერთი და უდიდესი სიხარული ალბინასთან მიმოწერა იყო. როჟანეკში გაცნობილი გოგონას პოეტური და ბავშვური სახე სამუდამოდ ჩარჩა გულში და ახლა, გადასახლებაში იგი უფრო მიმზიდველი და საყვარელი ეჩვენებოდა. თავის ერთ-ერთ ადრინდელ წერილში ალბინა სხვათაშორის ეკითხებოდა, რას ნიშნავს შენი მოწერილი სიტყვები: „როგორიც არ უნდა ყოფილიყო ჩემი გეგმები და ოცნებებიო...“ ვაჟმა უპასუხა, ახლა დაუფარავად გამოგიტყდები — ჩემი ოცნება იყო, ცოლად შემერთეო. გოგონამ მისწერა, მიყვარხარო. ვაჟმა უპასუხა, არ უნდა მოგეწერა, რადგან ფიქრიც კი მტანჯველია იმაზე, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო, მაგრამ ახლა შეუძლებელიაო. გოგონამ მისწერა, ეგ ახლაც ადვილი შესაძლებელია, თანაც სულ მალე აღსრულდებაო. ვაჟმა კვლავ უპასუხა, მსხვერპლს ვერ მივიღებ, რადგან ჩემს აწინდელ მდგომარეობაში ეგ უსინდისობა იქნებოდა. ამის შემდეგ მიგურსკიმ ორი ათასი ზლოტი მიიღო. ბეჭედსა და ნაწერზე მიხვდა, ალბინას გამოგზავნილი რომ იყო და გაახსენდა, რომელიდაც წერილში მხიარულად რომ აღუწერა, როგორ შოულობდა კერძო გაკვეთილებით სახარჯო თანხას. ფული სხვა კონვერტში ჩადო და უკან გაგზავნა, თან ალბინას სთხოვა, ჩვენს წმინდა ურთიერთობას ფულით ნუ შებღალავო. მე ყველაფერი სამყოფად მაქვს და თან უბედნიერეს კაცად

ვთელი თავს, რადგან შენნაირი მეგობარი მყავსო. მიწერ-მოწერა სწორედ აქ შეწყდა.

ნოემბრის ერთ დღეს მიგურსკი პოდპოლკოვნიკთან იჯდა და ბიჭებს ამეცადინებდა, როცა მოახლოებული ზანზალაკების წკრიალი გაისმა და მალე სადარბაზოსთან საფოსტო მარხილის კავებქვეშ თოვლი აჭრაჭუნდა. ბავშვები წამოცვივდნენ და კისრისტეხით გავარდნენ მოსულთა სანახავად. მიგურსკი ოთახში დარჩა და მოთმინებით ელოდა ბავშვების დაბრუნებას, მაგრამ კარი გაიღო და დიასახლისმა შემოჰყო თავი.

— პან, ვილაც ბატონები გკითხულობენ, — უთხრა მიგურსკის, — თქვენი მხრის ხალხი ჩანს, მგონი პოლონელები უნდა იყვნენ.

მიგურსკისათვის რომ გეკითხათ, შესაძლებლად თვლი თუ არა ალბინას ჩამოსვლასო, გიპასუხებდათ — წარმოუდგენელიაო. გულის სიღრმეში კი მაინც ელოდა. სისხლი თავში აუვარდა და სუნთქვაშეკრული გავიდა წინკარში, სადაც სქელუა, ჩოფურა დედაკაცი თავსაფარს იხსნიდა. მეორე ქალი ამ დროს დიასახლისის ოთახში შედიოდა. ნაბიჯის ხმა რომ მოესმა, უკან მოიხედა. მოციმციმე, შორიშორს ჩადგმულ ცისფრად მოკიაფე თვალების დანახვაზე მიგურსკი გახევდა და აღარ იცოდა, რა ექნა, როგორ შეხვედროდა ან მისალმებოდა. „იუზია!“ შესძახა ალბინამ, ღაწვებშეფაკლული კისურზე ჩამოეკიდა და ტირილნარევი სიცილით ჩაეკრა გულში.

როდესაც ალბინას ვინაობა და ჩამოსვლის მიზეზი გაიგო, პოდპოლკოვნიკის კეთილმა ცოლმა სტუმარი ქორწილამდე თავის სახლში დააბინავა.

VI

სულგრძელმა პოდპოლკოვნიკმა მთავრობის ნებართვა მიიღო, ორენბურგიდან ქსენდი გამოიწვია და ახალგაზრდებს ჯვარი დაწერეს. ხელისმომკიდებად პოდპოლკოვნიკის მეუღლე და გადასახლებული პოლონელი ბოზოვსკი ჰყავდათ. მიგურსკის ერთ-ერთ მოწაფეს ხატი მიჰქონდა.

ალბინას, როგორ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, თავდავიწყებით უყვარდა ქმარი, მაგრამ სულ არ იცნობდა და მხოლოდ ახლა სწავლობდა მის ხასიათსა და ზნეს. თავისთავადაც მიხვდებით, რომ ცოცხალ ადამიანში ბევრი ისეთი უფერული და არაპოეტური აღმოაჩინა, რაც სულაც არ ჰქონდა მისი ოცნებითა და წარმოსახვით შექმნილ გმირს, მაგრამ სწორედ იმიტომაც, რომ იგი სულიან-ხორციანად ადამიანი იყო, ქალმა მას იმდენი უბრალო და კარგი თვისება შენიშნა, რაც განყენებულ სახეს არ შეიძლებოდა ჰქონოდა. ნაცნობებისა და მეგობრებისგან ბევრი სმენოდა ქმრის საბრძოლო სიმამაცეზე და ისიც გაეგონა, რა სულგრძელად გადაიტანა ქონებისა და თავისუფლების დაკარგვა. ამიტომაც ესახებოდა იგი გმირად, ხოლო მისი ცხოვრება — ამალღებულად და რაინდულად. სინამდვილეში ეს მუდამ პირში ჩიბუხგაჩრილი, უჩვეულო ძალ-ღონის ვაჟკაცი ერთი უწყინარი, თვინიერი კრავი აღმოჩნდა და ყველაზე კეთილი ხუმარა, რომელსაც ბავშვური ღიმილით გაპობილი მგრძნობიარე ბაგე და ქერა, კოხტა წვერ-ულვაში კიდევ უფრო სანდომიანსა ხდიდა.

მიგურსკიმაც მხოლოდ ახლა გაიცნო ალბინა და მხოლოდ ახლა შეიცნო იგი ქალად. ქორწინებამდე გაცნობილი ქალებით არ შეიძლებოდა




მას ქალი სცოდნოდა. ალბინას ქალურობამ კი მხოლოდ გააოცა და საერთოდ ქალზე იმედიც გაუცრუვდებოდა, რომ მისადმი, არა როგორც ქალისადმი, არამედ საკუთრივ ალბინასადმი, ნაზი და კეთილშობილური გრძნობებით არ ყოფილიყო განმსჭვალული. ალბინა-ქალისადმი იგი ალერსიანი იყო და ოდნავ დამცინავ შემწყნარებლობას იჩენდა. ხოლო კერძოდ ალბინასადმი, რომელმაც დაუმსახურებელი ბედნიერება მიანიჭა, არა მარტო ფაქიზ სიყვარულს ამჟღავნებდა, აღტაცებას ვერ ფარავდა მისგან გაღებულ მსხვერპლის გამო, რის საზღაურსაც, როგორც თვითონ ამბობდა, ვერასოდეს გადაიხდიდა.

მიგურსკები ბედნიერები იმითაც იყვნენ, რომ დიდი სიყვარულის გარდა, ზამთარში, თითქოსდა უცხო მხარეში გადაკარგული ორი გზაბნეულივით, გათოშილები ერთურთს ათბობდნენ. მათ ხალისიან ცხოვრებას კიდევ უფრო ამხიარულებდა ქალბატონისადმი მონურად ერთგული და თავდადებული, ბუზღუნა, სასაცილო, მთელ საკაცეთზე ერთდროულად შეყვარებული გადია ლუდვიკა. ყველაზე მეტად მიგურსკები მაინც ბავშვებმა გაახარათ. წლისთავზე ბიჭუნა შეეძინათ, წელიწად-ნახევრის შემდეგ კი — გოგონა. ბიჭი დედის ალი-კვალი იყო: იგივე თვალები, სიანცე და მიხრამოხრა; გოგონა კი ჯანმრთელ, ლამაზ მხეცუნას ჰგავდა.

უბედურები კი მიგურსკები იმიტომ იყვნენ, რომ ვერაფრით შეგუბოდნენ სამშობლოსაგან დაშორებას და თავიანთ დამამცირებელ ხვედრს, რასაც განსაკუთრებით მტკივნეულად ალბინა განიცდიდა. მისი იუზია, გმირი, ადამიანობის იდეალი, ყოველი ოფიცრის წინ უნდა გაჭიმულიყო, იარაღი ბეჭზე აეკრა, საყარაულოდ ევლო და უფროსების ნებას უდრტვინველად დამორჩილებოდა.

თან პოლონეთიდანაც გულისმომწყვლელი ცნობები მოდიოდა. თითქმის ყველა ახლო ნათესავი და მეგობარი ან გადაასახლეს, ანდა მამულჩამორთმეულნი უცხოეთში გადაიხვეწნენ. არც მიგურსკებისთვის უჩანდა მომავალს სასიკეთო პირი. ყველა თხოვნა მიგურსკის შეწყნარებასა და სიდუხჭირის შემსუბუქებაზე, ანდა ოფიცრად გამწესებაზე, ამათ აღმოჩნდა. ნიკოლოზ პავლეს ძე ხშირ-ხშირად მართავდა ადღუმებს, ესწრებოდა სამხედრო წვრთნასა და გაუთავებელ ბალ-მასკარადებს, ნიღბებს თვალებს უწყურავდა, იყო თუ არა საჭირო, მთელ რუსეთში — ჩუგუევიდან ნოვოროსიისკში და პეტერბურგიდან მოსკოვში დაჯირითობდა, ხალხს შიშის ზარს სცემდა, ცხენებს სიქას აცლიდა და თუ რომელიმე გულადი გაბედავდა და შეწყნარებასა სთხოვდა გადასახლებული დეკაბრისტებისა, ანდა პოლონელებისა, რომლებიც შუშბრაღებლად იტანჯებოდნენ სამშობლოს სიყვარულისთვის, რასაც თვითონ ხოტბას ასხამდა, მკერდს წინ გამოზნექდა, უტყვ მზერას რომელიმე საგანს მიაციებდა და გამოსცრიდა: „იმსახურონ. ჯერ ადრეა!“ თითქოს მართლა სცოდნოდა, როდის იყო ადრე და როდის — ღროული. და ყველა მასთან დაახლოებული პირი — გენერლები, კამერჰერები და მათი ჯალაბი — გულაჩუყებულნი ქედს ხრიდნენ ამ უდიდესი ადამიანის უჩვეულო შორსმჭვრეტელობისა და სიბრძნის წინაშე.

ისე კი, მიგურსკების ცხოვრებაში სასიხარულო მეტი იყო, ვიდრე — სავალალო.




20
1933



ლ. ნ. ტოლსტოი
მხატვარი მ. ვ. ნოსტროვი, 1907

ლორთქიანი
სა-ბეჭდო
-ში დამუშავდა



ასე იცხოვრეს ხუთ წელიწადს. მაგრამ უეცრად საშინელი უბედურება დაატყდათ თავზე. ჯერ გოგონა ჩავარდა ლოგინად, მერე, ორ დღესაც არ გაევილო, ბიჭი გახდა ავად. სამი დღე სიცხით იწვოდა (ახლომახლოში ექიმი არ იყო) და მეოთხე დღეს სული დალია. ორი დღის შემდეგ გოგონაც გარდაიცვალა.

ალბინამ ურალში მხოლოდ იმიტომ არ დაიხრჩო თავი, რომ ძრწოლვით წარმოიდგენდა ხოლმე ქმრის სასოწარკვეთილებას, ცოლის სიკვდილს რომ გაუმეღავნებდნენ. მაგრამ სიცოცხლეს მძიმე ტვირთად დააწვა მხრებზე. უწინ ყოველთვის ხალისით სავსემ და საქმიანმა, ყველა საზრუნავი ლუდვიკას შიანდო, თვითონ კი გარინდებული იჯდა საათობით, ხმაგაკმენდილი მიშტერებოდა ამოჩემებულ წერტილს, მერე მოულოდნელად წამოიჭრებოდა, სენაკისხელა ოთახში შევარდებოდა და გულამომჯდარი, უსიტყვოდ ქვითინებდა, თავსლა აქნევდა და დასამშვიდებლად შემოსულ ქმარს და გადიას ეხვეწებოდა, მარტო დამტოვეთო. ზაფხულობით ბავშვების საფლავზე გადიოდა და გულდათუთქული ფიქრობდა გარდასულზე. ყველაზე მეტად ის აწამებდა, ბავშვებს რომ ქალაქში ეცხოვრათ, სადაც ექიმის გამოძახება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, აუცილებლად გადამირჩებოდნენო. „რისთვის? რისთვის? — ფიქრობდა იგი. — არც მე და არც ჩემს ქმარს სხვისი არა გვინდა რა, ოღონდაც იუზიას ეცხოვრა ისე, როგორც დაიბადა, როგორც მისი წინაპრები ცხოვრობდნენ, მეც მასთან ვყოფილიყავი და ჩვენი პაწიების სიყვარულით გვეცოცხლა. უცებ კი რა ხდება? — ჩემს იუზიას აწამებენ, სადღაც ასახლებენ, მე კი ყველაზე სანუკვარსა და ძვირფასს მართმევენ. რატომ? რისთვის?“ — ამას შესჩიოდა ალბინა დღენიადაგ კაცსაც და ღმერთსაც. მაგრამ განა რა პასუხს შეეძლო მისი დამშვიდება.


არადა, უპასუხოდ მათ ყოფნას სიცოცხლე არ ეთქმოდა. და ალბინას სიცოცხლეს ერთ ადგილას გაიყინა. უწინ თავისი ქალური გემოვნებით და სიფაქიზით, უცხო მხარეში გადახვეწილი, მაინც ახერხებდა ცხოვრების გალამაზებას, ახლა კი ყოველი დღე სატანჯველად ექცა. მისი დარდით უღვთოდ განაწამებმა მიგურსკიმაც აღარ იცოდა, რით ენუგეშებინა.

VII

მიგურსკებისათვის ამ ძნელბედობის ჟამს ურალსკში გადასახლებული ქსენძის, სიროცინსკის მეთაურობით მოწყობილი გრანდიოზული აჯანყებისა და გაქცევის მონაწილე პოლონელი როსოლოვსკი ჩამოვიდა.

როსოლოვსკი, ყოფილი მათემატიკის მასწავლებელი, მიგურსკისა და სამშობლოს თავისუფლებისათვის თავდადებული ათასობით გაციმბირებული პოლონელის მსგავსად, ამბოხებაში გარევისათვის გაწკებლეს და ურალსკში, მიგურსკის ბატალიონის ჯარისკაცად გაამწესეს. იგი ერთი აწოწილი, ხმელ-ხმელი, მხრებში მოხრილი, ღაწვებდამდნარი და შუბლმაღალი კაცი იყო.

ჩამოსვლის პირველ საღამოსვე, მიგურსკებთან ჩაის სმისას, როსოლოვსკი დინჯი, დარბაისლური ხმით მოჰყვა, რისთვისაც დასაჯეს ასე სასტიკად. სიროცინსკის მთელს ციმბირში საიდუმლო ორგანიზაცია ჩა-



— ნეტა ასე დაწვრილებით რა გაყოლებთ! მხეცები, მხეცები არიან! —
შესძახა მიგურსკიმ, ჩიბუხი მოისროლა, სკამიდან წამოხტა და სწრაფად
გავიდა ჩაბნელებულ საძილე ოთახში. გაქვავებულ ალბინას ჩალუსკუმე-
ბული კუთხისათვის გაეშტერებინა თვალი.

VIII

მეორე დღეს, სამხედრო წვრთნიდან შინ დაბრუნებული მიგურსკი,
ცოლის გამოცოცხლებულმა სახემ გააოცა; ალბინა უწინდელივით თვა-
ლებგაბრწყინებული შეეგება და უმაღვე საძინებელ ოთახში შეუძღვა.

— მისმინე, იუზია.

— გისმენ, რაო?

— მთელი ღამე როსოლოვსკის ნაამბობზე ვფიქრობდი და მივხვდი:
ასე ცხოვრება აღარ შემიძლია, აღარ მინდა! აქ დარჩენას სიკვდილი მი-
ჩვენია.

— აბა, რა ვქნათ?

— გავიქცეთ.

— გავიქცეთ? კი მაგრამ, როგორ?

— ყველაფერი ავწონ-დავწონე. ყური მიგდე.

და ქმარს იმღამინდელი ნაფიქრალი გადმოუშალა: ერთ საღამოს ში-
ნიდან გახვალ, ურალის ნაპირზე მაზარას და ანდერძის წერილს დატო-
ვებ, — თავს ვიხრჩობ-თქო. თვითმკვლელობაში ეჭვი არავის შეეპარება და
გვამს დაუწყებენ ძებნას, თან ყველას შეატყობინებენ მომხდარ ამბავს.
მე კი ისე დაგმალავ, ძეხორციელმა ვერ გიპოვოს. ერთი თვის შემდეგ,
როცა ყველაფერი მიწყნარდება, დროს ვიხელთებთ და გავიქცევით.

პირველ წუთებში მიგურსკის ეს აზრი განუხორციელებლად მოეჩვენა,
მაგრამ დღის ბოლოს, როცა ალბინა უფრო მეტის გულმოდგინებითა და
გატაცებით ცდილობდა მის დარწმუნებას, აღარ გაჯიუტებულა. თან უფ-
რო იმიტომაც დათანხმდა, რომ ჩავარდნის შემთხვევაში მხოლოდ თვი-
თონ ისჯებოდა, წარმატება ბავშვების გარდაცვალების შემდეგ სიცოცხლე-
ზე ხელჩაქნეულ ალბინას ათავისუფლებდა.

განზრახვა როსოლოვსკისა და ლუდვიკას გაუმხილეს და დიდი ფიქრისა
და განსჯის შემდეგ გაქცევის საბოლოო გეგმა შეიმუშავეს. თავდაპირველი
ჩანაფიქრის მიხედვით, როგორც კი დამხრჩვალად სცნობდნენ, მიგურსკი
მარტო, ფეხით უნდა დადგომოდა გზას და მერე ეტლით გასულ ალბინას
შეხვედროდა დათქმულ ადგილას. ასეთი იყო პირველი ჩანაფიქრი. მაგრამ,
როცა როსოლოვსკიმ ბოლო ხუთი წლის მანძილზე ციმბირიდან გაქცევის
უამრავი ჩაფუშული შემთხვევა გაიხსენა (ამ ხნის განმავლობაში მხოლოდ
ერთადერთ იღბლიანს გაედწია სამშვიდობოზე), ალბინამ მეორე გეგმა
წამოაყენა. ეტლში დამალული იუზია მასთან და ლუდვიკასთან ერთად
იმგზავრებდა სარატოვამდე. სარატოვიდან კი ვოლგის სანაპიროს დაუყ-
ვებოდა გადაცმული, დათქმულ ადგილას დაქირავებულ ნავში ჩაუჯდებო-
და ცოლს და გადიას, ვოლგით ყველანი ასტრახანში ჩავიდოდნენ და ბო-
ლოს კასპიის ზღვით სპარსეთში გააღწევდნენ. ამჯერად გეგმა ყველამ
მოიწონა, მათ შორის შეთქმულების სულისჩამდგმელმა როსოლოვსკიმაც.

მაგრამ მთავარ სიძნელეს ეტლში მიგურსკის დამალვა წარმოადგენდა, რათა მთავრობა არ დაეჭვებულყო. როცა ერთ დღეს, სასაფლაოდან მობრუნებულმა ალბინამ გულისტკივილით დაიჩივლა, ძალიან მიმძიმს ბავშვების აქ დატოვებამ, როსოლოვსკი ჩაფიქრდა და უთხრა:

— გამოითხოვეთ ბავშვების კუბოების წაღების ნებართვა, მე მგონია, უარს არ გეტყვიან.

— არა, არ მინდა, არ მინდა! — შესძახა ალბინამ.

— გამოითხოვეთ! ამაზეა ყველაფერი დამოკიდებული. ერთ დიდ ყუთს შევკრავთ, მაგრამ შიგ კუბოების ნაცვლად იოზეფს დავმალავთ.


ალბინამ სწრაფად უარყო ეს აზრი, რადგან არ ესიამოვნა ბავშვების ხსოვნა ასეთი ტყუილით შეებღალა, მაგრამ, როცა მიგურსკი როსოლოვსკის ხალისით დაეთანხმა, აღარც თვითონ გაჟინიანებულა.

ასე რომ, საბოლოო გეგმა ასეთნაირად ჩამოყალიბდა: მიგურსკი უნდა ცდილიყო, უფროსები თვითმკვლევლობაში დაერწმუნებინა, როგორც კი მისი სიკვდილი დადასტურდებოდა, ალბინა მთავრობას სამშობლოში დაბრუნებისა და ბავშვების ცხედრების თან წაღების ნებას გამოსთხოვდა, რის შემდეგაც საფლავს ვითომ გათხრიდნენ, მაგრამ კუბოებს ადგილზევე დატოვებდნენ, მათ ნაცვლად კი ყუთში მიგურსკის ჩასვამდნენ და ყუთს ტარანტასზე მიამაგრებდნენ. ასე ჩააღწევდნენ სარატოვამდე. სარატოვში ნავში გადასხდებოდნენ, იუზიას ყუთიდან გამოიყვანდნენ და კასპიის ზღვისაკენ დაუყვებოდნენ. იქიდან სპარსეთში ან თურქეთში გადავიდოდნენ და ნანატრ თავისუფლებასაც ეღირსებოდნენ.

IX

ლუდვიკას სამშობლოში გამგზავრების საბაბით მიგურსკებმა პირველ რიგში ტარანტასი შეიძინეს და ისეთი ყუთის შეკვრაზე დაიწყეს ზრუნვა, რომელშიც თუნდაც მოკრუნჩხული უნდა ჩატყულიყო მიგურსკი და თან სწრაფად, შეუმჩნევლად შეძრომა-გამოძრომაც შესძლებოდა. ყუთის ტარანტასზე მოსარგებად სამიფენი: ალბინა, როსოლოვსკი და თავად მიგურსკი შრომობდნენ. განსაკუთრებით დიდი იყო როსოლოვსკის ღვაწლი, როგორც ხელმარჯვე დურგლისა. ყუთი იმგვარად იყო გაკეთებული, რომ ეტლის ძარაზე მიამაგრებისას მჭიდროდ ეკვროდა მას, თან ძარას მიტყუპებული კედელი იხსნებოდა და მისი გამოღება საკმარისი იყო, ადამიანი ნახევრად ტარანტასის და ნახევრად ყუთის ძირზე წოლილიყო. გარდა ამისა, ყუთის კედლები ალაგ-ალაგ დახვრიტეს, რათა კაცი უჭაეროდ არ მოგუდულიყო. ყუთს ზემოდან და გვერდებზე ჩეჩობს გადააფარებდნენ და თოკებითაც შეჭკრაფდნენ. შიგ შესვლა და გამოსვლა ტარანტასში გაკეთებული საჯდომიდან შეიძლებოდა.

როგორც კი ყუთი გაამზადეს, ჯერ კიდევ მიგურსკის გაუჩინარებამდე, მთავრობა რომ წინდაწინ შეემზადებინა, ალბინა პოდპოლკოვნიკთან მივიდა და განუცხადა: ჩემი ქმარი ისეთმა სასოწარკვეთილებამ შეიპყრო, რამდენჯერმე თავის მოკვლა დააპირა, ძალიან მეშინია და გთხოვთ, ერთი-ორი დღე სამსახურიდან დაითხოვოთ. დიდად გამოადგა ალბინას დრამატული ხელოვნებისადმი მიდრეკილება. მისმა დამწუხრებულმა სახემ



ისე შეძრა პოდპოლკოვნიკი, ქალს ყოველმხრივი დახმარება აღუთქვა. ამის შემდეგ შეთხზა მიგურსკიმ წერილი, რომელიც ურალის ნაპირზე დატოვებული მაზარის სახელოსპირში უნდა ეპოვათ, და დათქმულ დღეს, უფრო სწორად, საღამოს, მდინარისაკენ წავიდა. როგორც კი შებინდდა, მაზარა ქვაზე დადო და სახლში ქურდულად მიბრუნდა. სამალავი წინასწარ ჰქონდათ შეგულებული სხვენზე, რომელიც ბოქლომით იკეტებოდა. მოგვიანებით ალბინამ ლუდვიკას პირით პოდპოლკოვნიკს შეუთვალა, ოცი საათის წინ შინიდან გასული იოზეფი აღარ გამოჩენილაო. დილით ქმრის წერილი მიუტანეს და თვალცრემლიანმა და უსაზღვროდ შეჭირვებულმა უმაღვე პოდპოლკოვნიკს მიაშურა.

ერთი კვირის თავზე ალბინამ სამშობლოში გამგზავრების ნება ითხოვა. მიგურსკის ქვრივის სახეზე აღბეჭდილმა მწუხარებამ საერთო სიბრაღული გამოიწვია. ყველა თანაუგრძნობდა ამ უბედურ ცოლსა და დედას. როცა თანხმობა მიიღო, ახლა ბავშვების ცხედრების წაღების ნებართვა გამოითხოვა. ასეთმა გულჩვილობამ უფროსები, ცოტა არ იყოს, გააოცა, მაგრამ ქალს უარი მაინც არ უთხრეს.

მეორე დღეს, როცა ეს თანხმობაც მიიღეს, შებინდებისას როსოლოვსკი, ალბინა და ლუდვიკა დაქირავებული ფორნით სასაფლაოზე წავიდნენ და თან კუბოების ჩასაწყობი ყუთიც წაიღეს. ბავშვების საფლავთან ალბინა მუხლებზე დაეშვა, ილოცა, სწრაფად წამოდგა და როსოლოვსკის შუბლშეკრული მიუბრუნდა:

— თქვენ გააკეთეთ რაც საჭიროა, მე კი არ შემიძლია, — თქვა და განზე გადგა.

როსოლოვსკიმ და ლუდვიკამ საფლავის ქვა გადასწიეს და მიწა ისე მოჩიჩქნეს, კაცს გათხრილი ჰგონებოდა. როცა ყველაფერს მორჩინენ და ყუთი მიწით აავსეს, ალბინას დაუძახეს და სახლში მიბრუნდნენ.

გამგზავრების დათქმული დღეც დადგა. განხარებულ როსოლოვსკის გამარჯვებაში ეჭვიც აღარ ეპარებოდა. ლუდვიკა სამგზავრო ღვეზელებს აცხობდა და წამდაუწუმ თავის საყვარელ გამოთქმას იმეორებდა: *Jak mame Kocham*¹. შიშისა და სიხარულისგან ლამისაა გული გამისკდესო, — ამბობდა საბრალო. მიგურსკის სხვენიდან თავისდაღწევა ხომ უხაროდა (თვეზე მეტი დაჰყო სხვენში), მაგრამ ამაზე უფრო ალბინას გამოცოცხლება და ხალისიანი მიხრა-მოხრა ახარებდა. თითქოს აღარც გადატანილი მწუხარება ახსოვდა და აღარც მოსალოდნელი საშიშროება და რამდენჯერაც ქმრის სანახავად სხვენზე აირბენდა, ბალღივით გაციისკროვნებული სახე ყოველთვის უბრწყინავდა.

განთიადის სამ საათზე კაზაკი მოვიდა გასაცვილებლად, ხოლო მეეტლე-კაზაკმა სამი ცხენი მორეკა. ალბინა და ლუდვიკა ძალღიანად ნოხით მოგებულ ტარანტასში რბილ ბალიშებზე დასხდნენ. კაზაკი და მეეტლე კოფოზე წამოსკუპდნენ. გლეხურ სამოსში გამოწყობილი მიგურსკი ტარანტასის ძარაში იწვა.

ქალაქს გასცდნენ თუ არა, ბაშკირულმა მუხლმაგარმა, დაუჭედავმა ცხენებმა ტარანტასი მკვირცხლად გააქროლეს შარშანდელი ვერცხლისფერი

¹ დედას გეფიცები (პოლ.).

ვაციწვერათი დაფარულ, უსასრულო ტრამალზე გაკლავნილ, ვით პრიალა, დატკეპნილ გზაზე.

რიყის ქვასა-
ნიბლირთეკა

X


იმედისა და აღტაცებისაგან ალბინას ლამის სუნთქვა შეჰკვროდა. მოძალებული გრძნობების გასაზიარებლად დროდადრო, თავშეკავებული ღიმილით, ლუდვიკას ხან კოფოზე მჯდარი კაზაკის განიერ მხრებზე მიანიშნებდა, ხანაც ტარანტასის ძარაზე. ლუდვიკა დარბაისლურად, თვალდაუხამხამებლად გასცქეროდა უსაზღვრო შორეთს და ძლივსდასანახად თუ შეარხევდა მიმჭკნარ ბაგეებს. უღრუბლო დღე იდგა. ყოველმხრივ უსასრულო და უკაცრიელი, განთიადის მზის აღმაცერი სხივებით აზიმზიმებული, ვერცხლისფერი ვაციწვერათი მოფენილი ტრამალი გადაშლილიყო. მხოლოდ გადალესილი გზის ხან აქეთ, ხან იქითა მხარეს თრითინების ნაყარი მიწის ბორცვაკები მოჩანდა მრავლად. უკანა თათებზე დასკუბებული მოთვალთვალე მხეცუნა მოახლოებულ საფრთხეს ყურისწამლები სტვენით ამცნობდა თანამოდმეთ და თავადაც სოროში მიძვრებოდა. იშვიათად თუ შემოხვდებოდათ ხორბლეულით დატვირთული კაზაკთა ალალი, ანდა ცხენოსანი ბაშკირები, რომელთაც გამცილებელი კაზაკი გაბედულად გადაუგდებდა ხოლმე ბაშკირულ სიტყვებს. ყოველ სადგურზე დასვენებული, მაძლარი ცხენები ხვდებოდათ და არყის გადასახუსხად ალბინას გაცემული ათშაურიანებიც საკმარისი იყო, მეეტლეებს, მათივე თქმით, ჩაფრებივით დაუზოგავად ეჭვნებინათ ცხენები.

პირველ სადგურზევე, როგორც კი ძველმა მეეტლემ ცხენები გარეკა, ახალი კი ჯერაც არ ჩანდა და კაზაკიც ეზოში შევიდა, ალბინა უკან გადაიხარა და ქმარს ჰკითხა, როგორ ხარ, ხომ არაფერი გინდაო.

— მშვენივრად ვარ, არაფერი არ მინდა. ორ დღე-ღამეს თავისუფლად გავძლებ აქ.

სალამოს ერთ დიდ სოფელს, დვრგაჩის მიაღწიეს. ქმარს რომ ხელ-ფეხი გაეშალა და სუფთა ჰაერი გადაეყლაპა, ალბინა, საფოსტო სახლის ნაცვლად, კერძო სადგომში დაბინავდა, კაზაკს ფული მისცა და უმაღვე კვერცხისა და რძის საყიდლად გაგზავნა. ტარანტასი საჩიხქვეშ იდგა, ეზოში ბნელოდა. ალბინამ ლუდვიკა სათვალთვალოდ დააყენა, თვითონ ქმარი გამოიყვანა, აჭამა და კაზაკის მობრუნებამდე კვლავ სამალავში შეუშვა. მალე ცხენების მოსაყვანად კაცი გაგზავნეს და ისევ გზას გაუდგნენ. ალბინას თანდათან მოემატა მხნეობა და მხიარულებას ვეღარ მალავდა. ლუდვიკას, კაზაკისა და ტრეზორკას მეტს ვის უნდა გამოლაპარაკებოდა და ისიც მათთან ერთობოდა.

ლუდვიკას, თუმც გონჯი იყო და ულამაზო, მამაკაცთან უბრალო გამოლაპარაკებისასაც კი მისი სასიყვარულო მზერა ელანდებოდა და ახლაც ეჭვით იგივე მიაწერა მათ გამცილებელს, გულკეთილ ურალელ კაზაკს, რომელსაც საოცრად ნათელი, ალერსიანი ცისფერი თვალები ჰქონდა და ორივე ქალისადმი უსაზღვრო მზრუნველობას იჩენდა. გარდა ტრეზორკასი, რომელსაც სკამქვეშ ცხვირის შეყოფასა და დაყნოსვას უკრძალავდნენ, ალბინა ახლა ლუდვიკას სასაცილო კვლუცობითაც ერთობოდა. მოსა-



ლოდნელი საშიშროებისა და მოახლოებული გამარჯვების განცდით, უჩვეულო თბილი ამინდითა და ტრამალის ჰაერით გაბრუებული ქალი ყმაწვილურ აღფრთოვანებასა და სიხარულს ველარ იოკებდა. მიგურსკის კარგად ესმოდა მისი საუბარი და, საკუთარი სიძაბუნის მიუხედავად (ცხელოდა და წყურვილი ახრჩობდა), ცოლის სიხარულით თვითონაც ბედნიერი იყო.

მეორე საღამოს ნისლში რაღაც გამოკრთა. ეს იყო სარატოვი და მდინარე ვოლგა. ტრამალის უსაზღვროებას მიჩვეული თვალებით კაზაკი ვოლგასაც ხედავდა და ანძებსაც, თან ცდილობდა ლუდვიკასთვისაც დაენახებინა რამე. ვხედავ, ვხედავო, გაიძახოდა გადია. ალბინამ, მართალია, ვერაფერი გაარჩია, მაგრამ განგებ, ქმრის გასაგონად, მაინც ხმამაღლა თქვა:

— სარატოვი, ვოლგა, — და თითქოს ტრეზორკას ველაპარაკებით, ქმარს დაწვრილებით აუწერა ყველაფერი, რაც ირგვლივ ჩანდა.

XI

ალბინა ვოლგის მეორე მხარეს, სარატოვის გარეუბან პოკროვსკოეში გაჩერდა. იმედი ჰქონდა, ღამით ქმართან მოლაპარაკებას და ყუთიდან მის გამოყვანასაც მოახერხებდა. მაგრამ გაზაფხულის იმ მოკლე ღამეს კაზაკი ტარანტასს არ მოსცილებია და იქვე, ფარდულქვეშ მდგარ ცარიელ ფორანში იჯდა ფეხმოუცვლელად. ალბინას ბრძანებით, არც ლუდვიკა გადმოსულა ტარანტასიდან და სრულიად დარწმუნებული, რომ კაზაკი მისი გულისთვის არ სცილდებოდა იქაურობას, თვალებს აფახულებდა, იცინოდა და ჩოფურა სახეზე წამდაუწუმ ცხვირსახოცს იფარებდა. ალბინა კი ამაში სამხიარულოს ველარაფერს ხედავდა და თანდათან მღელვარება იპყრობდა; ვერ მიმხვდარიყო, რამ მიაჯაჭვა კაზაკი ტარანტასს.

იმ ღამეს ალბინა ოთახიდან რამდენჯერმე გამოვიდა, აქოთებული შუშაბანდი გაიარა და პარმაღზე გავიდა. კაზაკი ისევ ცარიელ ფურგონზე იჯდა და ფხიზლობდა. გარიჟრაჟისას, როცა მამლებმა გაიღვიძეს და ეზოდან ეზოში ყივილით შეეხმიანენ ერთმანეთს, ალბინამ ძლივსღა მოახერხა ქმართან გამოლაპარაკება. ფურგონში გაშხლართული კაზაკი ამჯერად ხვრინავდა. ალბინა ტარანტასთან ფეხაკრეფით მივიდა და ყუთს ხელი ჰკრა.

— იუზიო! — პასუხი არ იყო. — იუზიო, იუზიო! — შეშინებულს ხმამაღლა დასცდა.

— რაო, საყვარელო, რა მოხდა? — ნამძინარევი ხმით გამოსძახა მიგურსკიმ.

— რატომ არ მპასუხობდი?

— მეძინა, — ჩაილაპარაკა და ქალი მიხვდა, იუზია იღიმებოდა, — გამოვიდე? — ჰკითხა ცოლს.

— არა, კაზაკი აქ არის, — უთხრა ალბინამ და მძინარეს გადახედა.

და მოხდა საოცრება! კაზაკი ხვრინავდა, ხოლო კეთილი, ცისფერი თვალები ღია ჰქონდა და ქალს უყურებდა. როგორც კი მათი მზერა ერთმანეთს შეხვდა, კაზაკმა თვალები დახუჭა.

„მომეჩვენა თუ მართლა ეღვიძა? — თავისთავს ჰკითხა ალბინამ, —



„სუველიადის მეუფება“, დაიდა პარიზში, 1888 წ.
ფრანგი მხატვრის ალრენ მარის გრავიურა.



არა, ნამდვილად მომეჩვენა, — გაიფიქრა და ისევ ქმარს მიუბრუნდა.

— ცოტაც მოითმინე, გშია?

— არა, მოწვევა მინდა.

ალბინამ კვლავ კაზაკს გადახედა. ჩანდა ეძინა. „მომეჩვენა“, — თავი დაიმშვიდა ქალმა.

— გუბერნატორთან მივდივარ.

— აბა, შენ იცი...

ალბინამ ჩემოდნიდან კაბა ამოიღო და ოთახში შევიდა გადასაცმელად.

თავის საუკეთესო, სამგლოვიარო კაბაში გამოწყობილი ალბინა ვოლგის გადაღმა გავიდა. სანაპიროზე ეტლი დაიქირავა და გუბერნატორთან წავიდა. ლამაზი, ტკბილად მომღიმარი პოლონელი ქვრივი, რომელიც მშვენივრად ლაპარაკობდა ფრანგულად, ძალიან მოეწონა ხანდაზმულ, თუმცა ჯერაც ჭარმაგ გუბერნატორს. ქალს ყველაფრის ნება დართო და სთხოვა, ხვალაც მობრძანდით, ცარიცინის ქალაქისთავთან ბრძანებას გაგატანთო. საქმის წარმატებითა და გუბერნატორის გულკეთილობით ფრთაშესხმული ალბინა ნავსადგურისაკენ მოუკირწყლავ ქუჩას გაჰყვა. მზე შუბისტარზე ამოწვერილიყო და ადიდებული მდინარის აფორეჯებულ ზედაპირზე აღმაცურ სხივებს ათამაშებდა. გაღმა-გამოღმა ფერდობებზე ღრუბელივით შეფენილიყო თეთრად გადაპენტილი, სურნელოვანი ვაშლის ხეები. სანაპიროდან ანძების ტყე და ნიაფქართ დარხეული ქათქათა იალქნები მოჩანდა. ალბინა მეეტლეებს გამოელაპარაკა, ასტრახანამდე ნავის დაქირავება თუ შეიძლებაო და უცებ ათიოდე როხროხა, მხიარულმა მენავემ ნავი და სამსახური შესთავაზა. ერთ მენავეს, რომელიც სხვებზე მეტად მოეწონა, იქვე გაურიგდა და მისი ნავის ნახვაც ისურვა. ნავი აფრიანი იყო და ქარის დახმარებითაც შეეძლოთ ცურვა. მენავე უქარო ამინდისთვისაც შემზადებული აღმოჩნდა — ნავში ორი ბრგე, მხიარული, მზეს მიფიცხებული მენიჩბურლაკი ესვა. ენაწყლიანმა და გულკეთილმა ლოცმანმა ქალბატონს უჩინა, ტარანტასს ნუ დატოვებთ, ბორბლები მოვხსნათ და ნავში ჩავდგათო. „ისიც დაეტევა და თქვენც მოხერხებულად დასხდებით. თუ ღმერთმა ამინდი მოგვცა, ასტრახანში ხუთიოდ დღეში ჩავსრიალდებით“.

ალბინა მენავეს მოურიგდა და პოკროვსკოეში, ლოგინოვის სასტუმრო-ბაკებში მისვლა უბრძანა, რათა ტარანტასიც ენახა და ბეც მიეღო. საქმე ისე აეწყო, ალბინა უკეთესს ვერც ინატრებდა. აღტაცებული და ბედნიერი ქალი ვოლგის მეორე მხარეს გადავიდა, მეეტლე გაისტუმრა და ბაკებისაკენ ფეხით გაემართა.

XII

ოცდაათოთხმეტი წლის დანილო ლიფანოვი, წარმოშობით სტრელეცკო უმეტიდან იყო. მისი კაზაკური სავალდებულო სამსახურის ბოლო თვე იწურებოდა. შინ ჰყავდა პუგაჩოვის მომსწრე, ოთხმოცდაათი წლის მოხუცი პაპა, რძალი, ძველი სარწმუნოებისათვის გაციმბირებული უფროსი ძმის ცოლი, ორი ძმა, ცოლი, ორი გოგონა და ორი ბიჭი. მამა ფრანგებთან ომში დაეღუპა. ასე რომ ოჯახში უფროსი თვითონ იყო. ეზოში თექვსმეტი

ცხენი და ორი უღელი ხარი ებათ, ყოველწლიურად კი თხუთმეტ მეთასედზე თესავდნენ ხორბლეულს. დანილომ ჯერ ორენბურგში იმსახურა, მერე ყაზანში და ახლა დღე-დღეზე ელოდებოდა ვადის დასრულებას. მტკიცედ სწამდა მამაპაპური შეგონებანი — არ ეწეოდა, არ სვამდა და ერისკაცებთან ერთად ჭამდა საერთო ჭურჭლიდან და დადებულ ფიცს არაფრით არ ტეხდა. ყველა საქმეში დინჯი და თადარიგიანი დანილო მთავრობის დავალებების შესასრულებლად ძალ-ღონეს არ ზოგავდა და სანამ ისე არ გააკეთებდა, როგორც თვითონ ესმოდა, არ მოისვენებდა. ამჯერად ეს ორი პოლონელი ქალი სარატოვამდე ისე უნდა ჩაეყვანა, გზაში ცუდი არაფერი შემთხვევოდათ, აუჩქარებლად, ცუდლუტობისა და ღლაბუცის გარეშე ევლოთ და სარატოვში, როგორც წესი და რიგი მოითხოვდა, მთავრობისათვის ჩაუბარებინა. როგორც ნაბრძანები ჰქონდა, დანილომ ქალები სარატოვამდე სწორედ ისე ჩაიყვანა. წესიერი, გულკეთილი დედაკაცები ჩანდნენ და თუმცა პოლონელები იყვნენ, უკადრისი მათთვის არაფერი შეუმჩნევია. მაგრამ აქ, პოკროვსკოეში, ტარანტასს რომ გვერდით ჩაუარა, ფინია სკამზე შეხტა, დაიწკმუტუნა და კუდი ააქიციანა. უცებ ძარადან დანილოს ადამიანის ხმა შემოესმა. მოხუცმა პოლონელმა, როგორც კი ტარანტასზე შემხტარ ძალს მოჰკრა თვალი, რაღაცით შეშინებულმა ტრეზორკა ხელში აიტაცა და იქაურობას გაარიდა.

„აქ რაღაც ამბავია“, — გაიფიქრა კაზაკმა და თვალთვალი დაიწყო. როცა ალიონზე ახალგაზრდა პოლონელი ქალი კარში გამოვიდა, დანილომ თავი მოიმაძინარა და ყუთიდან ახლა ცხადად გაიგონა მამაკაცის ხმა. დილაუთენია მილიციაში წავიდა და განაცხადა: პოლონელი ქალები, რომლებიც მე მყავს ჩაბარებული, რაღაც უკეთურ საქმეს სჩადიან, მიცვალებულთა ნაცვლად ყუთით ცოცხალი ადამიანი მოჰყავთო.

როდესაც აღტაცებული და განხლისებული ალბინა, დარწმუნებული, რომ სამშვიდობოზე გავიდნენ და რამდენიმე დღეში თავისუფლებას იზეიმებდნენ, სასტუმრო-ბაკებს მიუახლოვდა და ალაყაფთან კოხტა, ორცხენა ეტლი და ორი კაზაკი დაინახა, გაოცდა. იქვე უამრავი ხალხი ირეოდა და ეზოში იცქირებოდა.

იმედითა და ძალ-ღონით სავსე ქალს თავში აზრადაც არ მოსვლია, რომ ამ ეტლს და თავშეყრილ ხალხს მასთან ჰქონდა რამე საერთო. ეზოში შესულს თვალი ჯერ ფარდულისაკენ გაექცა, სადაც ტარანტასი ეგულებოდა და იქ მოგროვილი ხალხი დაინახა თუ არა, სწორედ იმ წუთას ტრეზორკას გაავებული ყეფაც მოესმა. მოხდა ყველაზე საშინელი, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო. ტარანტასის წინ მზეზე ალაპლაპებული ღილებითა და ნახევარსამხრეულებით გაწყობილ, გაკრიალებულ მუნდირსა და ლაქის ჩექმეებში გამოწყებილი წარმოსადეგი, შავქილვაშიანი კაცი იდგა და ხმაჩახლეჩილი, მბრძანებლური კილოთი რაღაცას ამბობდა. მის წინ კი, ორ ჯარისკაცს შუა, გლეხურ სამოსში გამოწყობილი, აბურდულ თმაში თივაგაჩრილი იუზია იდგა და ჯერაც ბურანში მყოფი, მხრებს იჩეჩავდა. ბალანაშლილი ტრეზორკა, რომელიც აზრზე არ იყო, რომ ამ უბედურების მიზეზი თვითონ გამხდარიყო, გაბოროტებული უყეფდა პოლიცმეისტერს. ალბინას დანახვაზე მიგურსკი შეკრთა, მისვლა დააპირა, მაგრამ ჯარისკაცებმა შეაჩერეს.

— არაფერია, ალბინა, არაფერი! — ჩაილაპარაკა და ცოლს მშვიდი ღიმილი შეაგება.

— აგერ, ქალბატონიც მობრძანდა! — შესძახა პოლიცმეისტერმა. — ერთი აქეთ მობრძანდით. ეს თქვენი ბავშვების კუბოებია? კან? — უთხრა ალბინას და თვალთ მიგურსკიზე ანიშნა.

ალბინას ხმა არ ამოუღია, გულზე ხელი წაეველო და ქმარს თავზარდაცემული მისჩერებოდა.

როგორც სიკვდილისწინა და, საერთოდ, ცხოვრებაში გადამწყვეტ წუთებში ხდება, ქალს თვალისდახამხამებაში უამრავმა აზრმა და გრძნობამ გაუელვა, მაგრამ საკუთარი უბედურება ვერა და ვერ დაეჯერებინა. პირველი გრძნობა უკვე დიდი ხანია გამოეცადა — ეს იყო შელახული სიამაყის გრძნობა, როდესაც მის უმამაცეს ქმარს უხეში, ველური ადამიანები ამცირებდნენ და თავის ნება-სურვილზე ათამაშებდნენ. „როგორ ბედავენ ამ უკეთილშობილესი კაცის ასე გაქელვას!“ მეორე გრძნობა იყო მომხდარი უბედურების შეგნება, რამაც თავისი ცხოვრების უმთავრესი უბედურება — ბავშვების სიკვდილი გაახსენა. და მაშინვე წამოტივტივდა კითხვა: რისთვის? რისთვის წამართვეს ბავშვები? ამ კითხვამ კიდევ ახალი კითხვა გამოიწვია: რისთვის იტანჯება და იღუპება ადამიანთა შორის ყველაზე კეთილშობილი კაცი, მისი იუზია? ახლადა მიხვდა, რა სამარცხვინო სასჯელი ელოდა მის ქმარს და რომ ყველაფრის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ თვითონ იყო.

— თქვენი რა არის? ქმარია? — გაუმეორა პოლიცმეისტერმა კითხვა.

— რისთვის, რისთვის? — შესძახა ალბინამ, ისტერიულად გადაიხარხარა და ტარანტასიდან ძირს გადმოდგმულ ყუთზე დაუცა. ქვითინით მხრებადაგაგებული და ცრემლით სახედანამული ლუდვიკა ალბინას მიუახლოვდა.

— ქალბატონო, საყვარელო ქალბატონო! ღმერთმანი, აგერ ნახავ, არაფერიც არ იქნება, — ეუბნებოდა და მხარზე უაზროდ უსვამდა ხელს.

მიგურსკის ბორკილები დაადეს და წაიყვანეს. ალბინა ფეხზე წამოიჭრა და უკან დაედევნა.


— მაპატიე, მაპატიე, — მისძახოდა ქმარს, — ჩემი ბრალია, სულ ჩემი ბრალია.

— იქ გაარჩევენ, ვისი ბრალია, თქვენი ჯერიც დადგება! — გამოსცრა პოლიცმეისტერმა და ქალი ხელით მოიშორა.

მიგურსკი მდინარეზე გადაიყვანეს, ალბინა ანგარიშმიუცემლად მიჰყვებოდა უკან და დასამშვიდებლად ადევნებულ ლუდვიკას არც უსმენდა.

კაზაკი დანილო ლიფანოვი მთელი ამ ხნის განმავლობაში ტარანტასთან იდგა და შუბლშეკრული ხან პოლიცმეისტერს და ალბინას შეხედავდა, ხანაც თავის ფეხებს ასტერდებოდა.

როგორც კი მიგურსკი წაიყვანეს, ტრეზორკა დანილოს მიეტმასნა და კუდის ქიცინს მოჰყვა. კაზაკი უცებ ტარანტასს მოსწყდა, ქუდი მოიშვილა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მიწას დაანარცხა, ტრეზორკას წიხლი ჰკრა და სამიკიტნოში წავიდა, არაყი მოითხოვა, მთელი დღე და ღამე სვა, რაც ჯიბეში ედო და ტანზე ემოსა, ყველაფერი არაყში მიახარჯა და მხოლოდ მეორე ღამეს, როდესაც თხრილში გაიღვიძა, თავიდან ამოიგდო შტანჯვე-



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა



ლ. ნ. ტოლსტოი თიბავს
მხატვარი ნ. ბ. რიპინი, 1880

ბ ა ვ უ ვ ო ბ ა

თარგმნა ჯუმაგარ თითოერიამ

მეორე რედაქცია

(ნ ა წ ყ ვ ე ტ ი)

ერთ ფრანგულ რომანში ავტორი (ვისი სახელიც დიდად ცნობილია), როდესაც ბეთჰოვენის ერთი სონატის შთაბეჭდილებას აღწერს — მეო, იმ დროს, ლაჟვარდის ფრთებიან ანგელოზებს, ოქროსსვეტებიან სასახლეებს, მარმარილოს შადრევნებს ვხედავო, ჩემს თვალწინ ყველაფერი ბრწყინავს და ბარჩხალებსო, ერთი სიტყვით, მთელ თავის ფრანგულ წარმოსახვას ძაბავს, ოღონდ კი, როგორმე, რაღაც მშვენიერის ფანტასტიკური ხატი დაგვიხატოს. სხვისი სხვამ ბრძანოს, მაგრამ მე, ამ უსაშველოდ გრძელ აღწერას რომ ვკითხულობდი, იმასღა ვგრძნობდი, თუ როგორ ატანდა თავს ძალას ფრანგი ავტორი, ოღონდ კი როგორმე, როგორმე წარმოესახა და აღეწერა ის თვალმახარა სურათები. მე კი ამ აღწერებმა ბეთჰოვენის ის სონატა სულაც ვერ გამახსენეს, რაღა სონატა, ვერც ანგელოზები და სასახლეები დავლანდე ვერაფრით. სავსებით ბუნებრივი ამბავი გახლავთ, იმიტომ, რომ არც ლაჟვარდისფრთება ანგელოზები და არც ოქროსსვეტებიანი სასახლეები ჩემს დღეში არ მინახავს. თუნდაც რომ მენახა ყოველივე ეს, — რაც ძნელი დასაშვებია, — სონატა მაინც არ გამახსენდებოდა. ამდაგვარი აღწერები საზოგადოდ ბევრია, მით უმეტეს — ფრანგულ ლიტერატურაში.

უცნაური ჩვევა აქვთ ფრანგებს — თავიანთი შთაბეჭდილებები სურათების მეოხებით სურთ გადმოსცენ. მშვენიერი, ლამაზი სახის დახატვა უნდათ და იტყვიან — „ამა და ამ ქანდაკებას ჰგავდაო“, ესა და ეს პეიზაჟი ამა და ამ მხატვრის ამა და ამ ნახატს ჰგავდაო, ესა და ეს ჯგუფი ამა და ამ ოპერის ან ამა და ამ ბალეტის ამა და ამ სცენას გვახსენებსო და ა. შ. თვით გრძნობების გადმოცემასაც კი სურათის მეოხებით ცდილობენ. მშვენიერი სახე, ბუნება, ცოცხალი მასა ნებისმიერ ქანდაკებას, პანორამას, სურათს და დეკორაციას სჯობს ყოველთვის.

ჩემი წარმოსახვა ისე უნდა აღაგზნონ, ისე უნდა მომართონ, რომ




მშვენიერის იდეალს ჩაგწვდე, ამის სანაცვლოდ მიბაძვის ვაზობენ.

მაგრამ უფრო საკვირველი ისაა, რომ როცა რაიმე მშვენიერის აწერა, დახატვა სურთ, ყველაზე ხშირად ამ ასაწერ საგანს ძვირფას ნივთებს ადარებენ. დიდ ლამარტინს, ვისი ამაღლებული სულიც მთელი ქვეყნიერებისთვის ცნობილი გახდა მას აქეთ, რაც თავისი „აღსარებები“ გამოსცა (ამ გამოცემით დიდმა გენიოსმა ერთი გასროლით ორი კურდღელი მოჰკლა — თავისი დიადი სულის უსანუკვარესი იდუმალებანიც გაუმჟღავნა მთელ ცისქვეშეთს და იყიდა პატარა მამულიც, რომლის ყიდვაც ასე გულით ეწადა), დიან, ამ დიდ ლამარტინს, რომელიც აღწერს, თუ რას განიცდიდა იგი შუაგულ ზღვაში, ნავში, მარტოკა ჩარჩენილი, როცა მისი, განწირული კაცის, სიცოცხლე და სიკვდილი ერთი ფიცრითღა იყო გამიჯნული, უნდა გვითხრას, ნიჩბებს მომწყდარი წვეთები ზღვაში წკაპუნით ეშვებოდა და ის წვეთები მშვენიერი იყო, და გვეუბნება, ეს წვეთები იმ მარგალიტებივით მშვენიერი იყო, ვერცხლის ტაშტში წკრიალით რომ ცვივიანო. ამ ფრაზის წაკითხვის უმაღ ფიქრით სამოახლო ოთახში აღმოვიჩნდი და თვალწინ დამიდგა ხელებწაკაპიწებული მოახლე, რომელიც თავისი ქალბატონის სამკაულებს რეცხავდა, რამდენიმე მარგალიტი ხელიდან გაუვარდა და ვერცხლის ტაშტზე დაეცა, მაგრამ თვით ზღვა და მთელი ის სურათი, რომელიც პოეტის ნებით, თვალწინ ეს-ესაა დამიდგა, გაქრა — მე უკვე დამავიწყდა ის.

ლამარტინს, გენიალურ ლამარტინს, ჩემთვის რომ ეთქვა, რა ფერის იყო ის წვეთები, როგორ მოლივლივებდნენ ნიჩბის სველ ზედაპირზე, როგორი წკაპუნით ცვიოდნენ წყალში და იქ რანაირ პატარა ბუშტებს ბურცავდნენ, ჩემი წარმოსახვა მისას გაჰყვებოდა, მაგრამ ვერცხლის ტაშტის ხსენებამ სულ სხვაგან, შორს წამიყვანა. შედარება ერთ-ერთი ყველაზე ბუნებრივი, წყალი რომ არ გაუვა, ის საშუალებაა რაიმეს აღწერისათვის, ოღონდ, აუცილებელია, რომ ის ძალზე ზუსტი იყოს და თავის ადგილზე იხმარებოდეს, თორემ, სხვაგვარად, სავსებით საწინააღმდეგო შედეგს მივიღებთ. „სამრეკლოს თავზე მთვარე ჰგავდა წერტილს ასო „i“ თავზე“ — აი, უადგილო შედარების ნიმუში, თუმცა იგიც იმავე დიდ ლამარტინს ეკუთვნის.

წარმოსახვა ისეთი ცქაფი, ფრთამსუბუქი რამ გახლავთ, მასთან ძალზე ფრთხილად ყოფნა გვმართებს. ერთი უხეირო შედარება, ერთი ბრუნდე სახე საკმარისია, რომ ასობით შესანიშნავი, ზუსტი შედარებით მოხდენილი შთაბეჭდილება გააქროს. სჯობია, ავტორმა თავისი ნაწარმოებიდან ათი მშვენიერი შედარება, აღწერა ამოაგდოს, ვიდრე თუნდაც ერთი უხეირო შედარება ჩატოვოს. საერთოდ, შედარებებით, განსაკუთრებით კი ძვირფას საგნებთან შედარებებით გატაცება, ვგონებ, სხვებზე მეტად ფრანგებს ჩვევიათ, თუმცა, არც ჩვენ და არც გერმანელები არა ვართ ამისგან მთლად დაზღვეულნი; იმის თქმა კი გვმართებს, ამგვარი გატაცება ინგლისელებს ყველაზე ნაკლებად ახასიათებთ. ფირუზისფერი თვალებით, ბრილიანტივით თვალებით, ოქროსფერი და ვერცხლისფერი თმებით, მარჯნისფერი ტუჩები, ოქროსფერი მზე, ვერცხლისფერი მთვარე, იაგუნდის ზღვაო და ა. შ. წარამარა გვხვდება. გულზე ხელი დაიდეთ და თქვით, ამის მსგავსი რამ თუ

შეგხვედრიათ სინამდვილეში? მთვარის შუქზე ზღვაში ნიჩბის წვერიდან მოწყაპუნე წვეთები უფრო სახიერია, ვიდრე მარგალიტები, რომლებიც ტაშტში წკრიალით ეცემა და არც წვეთები ჰგავს მარგალიტებს, არც ზღვა — ტაშტს. ძვირფას თვლებთან შედარებას კი არ ვკრძალავ, ოღონდ, უხდა გვახსოვდეს — შედარება ზუსტი უნდა იყოს, თორემ, თავისთავად, ვერავითარი ოქრო, ფირუზი, ბრილიანტი, მარგალიტი უფრო უკეთ და ნათლად ვერ წარმოსახავს ჩემთვის იმ საგანს, რომლის ჩვენებაც გვსურს. მარჯნისფერი ტურები არასოდეს მინახავს, აი, აგურისფერი კი მინახავს. ფირუზისფერი თვლები არ შემხვედრია, ლილისფერი ან საწერი ქალაღდისფერი — რამდენიც გნებავთ. შედარება ან მხოლოდ იმისთვის იხმარება, რომ უარესი საგანი უკეთესს დავუყენოთ გვერდით, რითაც იმის თქმა გინდა, რომ ასაწერი, დასახატი საგანი კარგი რამაა, ან იმისთვის, რომ არაჩვეულებრივი საგნის ჩვეულებრივ საგანთან შედარებით უფრო ნათელი წარმოდგენა შევიქმნათ ამ არაჩვეულებრივ საგანზე.



ბ ა ვ შ ვ ო ბ ა

მეორე რედაქცია. „მკითხველებისადმი“

(ნ ა შ ყ ვ ე ტ ი)

ხარკს ვუხდი ყველა მწერლისთვის საერთო სისუსტეს — წინასწარი სიტყვით მივმართავ მკითხველს. წინასწარი სიტყვით უმეტესწილად იმიტომ მიმართავენ მკითხველს, რომ მათი კეთილგანწყობა მოიპოვონ, მოწყალე თვალთ მოახედონ ისინი თვისკენ. მეც მინდა გითხრათ რამდენიმე სიტყვა, მკითხველო, ოღონდ რა მიზნით? ვერ გეტყვით, ღმერთმანი, რას ვესწრაფვი — თავად განსაჯეთ. ნებისმიერი ავტორი — ამ სიტყვის უფართოესი გაგებით — როცა რამეს წერს, აუცილებლად წარმოიდგენს, თუ როგორ შემოქმედებას მოახდენს მისი ნაწერი მკითხველზე. თუ მინდა გავიაზრო, რა შთაბეჭდილებას შექმნის ჩემი თხზულება, მე მხედველობაში უნდა ვიყოლიო ერთი, გარკვეული ჯურის მკითხველი. როგორღა გავიგებ მოეწონებათ თუ არ მოეწონებათ ჩემი ნაწერი, თუკი გარკვეული ტიპის მკითხველი არ მიდგას თვალწინ? ერთს ერთი ადგილი შეიძლება მოეწონოს, მეორეს — მეორე და ისიც კი, რაც ერთს მოსწონს, შეიძლება მეორეს არ მოეწონოს. ნებისმიერმა გულახდილმა აზრმა, რაც არ უნდა მცდარი იყოს იგი, ნებისმიერმა ნათლად გადმოცემულმა ფანტაზიამ, როგორი ტვინის ჭყლეტაც არ უნდა

იყოს იგი, შეუძლებელია ერთი ვინმეს გული მაინც არ შეატოკოს, რაკი ეს აზრი, ეს ფანტაზია შეიძლებოდა ვილაცის თავში დაბადებულიყო, აუცილებლად იქნება ისეთი ვინმეც, ვის სულშიც ეს აზრი, ეს ფანტაზია გამომდინარეობს. ამიტომაც ადამიანს შეიძლება მოსწონდეს ესა თუ ის ნაწარმოები, მაგრამ შეიძლება მასში თავიდან ბოლომდე ყველაფერი არ მოსწონდეს.

როცა ადამიანს მთლიანად მოსწონს ნაწარმოები, ვფიქრობ, თავისებურ სრულქმნილებასთან გვაქვს საქმე. ამ სრულქმნილების მისაღწევად, — ნებისმიერი ავტორი კი სწორედ სრულქმნილებას ესწრაფვის, — ჩემის აზრით, ერთი რამაა საჭირო: ცხადი წარმოდგენა უნდა შეიქმნა შენი მომავალი მკითხველის ჭკუა-გონებაზე, უნარსა და მისწრაფებებზე.

ამიტომ ჩემს საუბარს თქვენთან თქვენივე აღწერით დავიწყებ, მკითხველო. თუკი თქვენ დაადგენთ, რომ არ ჰგავხართ ჩემგან აღწერილ მკითხველს, აჯობებს არც წაიკითხოთ ჩემი თხზულება — სხვა რამ, თქვენი ხასიათის შესატყვისი მოძებნეთ წასაკითხად. მაგრამ თუკი თქვენ ზუსტად ისეთი კაცი ხართ, როგორაც ჩემი მკითხველი წარმომისახავს, დაბეჯითებით მჯერა, რომ სიამოვნებით წამიკითხავთ, მით უმეტეს, ყოველი კარგი ადგილის წაკითხვისას იმის გაფიქრება, რომ თქვენ, თქვენ შთამაგონებდით და მიფარავდით სისულელეთაგან, რომელთა დაწერაც მე შემიძლო, სიამოვნებას მოგვკრით.

იმისთვის, რომ ჩემგან რჩეული მკითხველების რიცხვში მოხვდეთ, თქვენგან მცირე რამესლა ვითხოვ: თქვენ უნდა იყოთ მგრძნობიარენი, ანუ უნდა შეგეძლოთ გულით შეიბრალოთ გამოგონილი გმირი, რომელიც თქვენ შეიყვარეთ და რამდენიმე კურცხალი ცრემლიც კი წამოგცვივდეთ მისი გულისთვის, უნდა შეგეძლოთ მისი სიხარულით გახარება და ამის არ უნდა გრცხვენოდეთ; თქვენ უნდა გიყვარდეთ თქვენი მოგონებები; რელიგიური ადამიანი უნდა იყოთ; ჩემი თხზულების კითხვისას ისეთ ადგილებს უნდა ეძებდეთ, გულს რომ შეგიძრავთ და არა სასაცილოს; თქვენ შურის გამო არ უნდა გძულდეთ მაღალი წრე, თუკი თავად მას არ ეკუთვნით, არამედ მშვიდად და მიუკერძოებლად უნდა მოეკიდოთ მას — თუ თქვენ ამისთანა კაცი ხართ, ჩემთა რჩეულთა შორის მიგულვიხართ. და, რაც მთავარია, თქვენ უნდა იყოთ გამგები კაცი, ერთი იმათთაგანი, ვისი გაცნობაც მაშინვე დამანახებს, რომ ჩემი გრძნობებისა და მიმართებების განმარტება ზედმეტია, ვხედავ, ისედაც მიგებთ და ჩემი სულის ყოველი ჩქამი თქვენს სულსაც ატოკებს. ძნელია და შეუძლებლადაც კი მიმაჩნია ადამიანების დაყოფა ჭკვიანებად, ბრიყვებად, კეთილებად, ბოროტებად, მაგრამ მათი გამგებ და გაუგებელ ადამიანებად დაყოფა კი შეიძლება — ეს ჩემთვის ისეთი მკვეთრი ხაზია, რომ მას ჩემდაუნებურად ყოველთვის ვავლებ იმ ადამიანებს შორის, რომლებსაც ვიცნობ. გამგები ადამიანების მთავარი ნიშანი ისაა, რომ მათთან ურთიერთობა სასიამოვნოა — მათთვის რაიმეს ახსნა, რაიმეს განმარტება არ მჭირდება, შემძლია სავსებით დამშვიდებულად მოვახსენო თუნდაც ყველაზე ბუნდოვანი სიტყვებით გამოთქმული საკუთარი აზრები. არსებობს ისეთი ფაქიზი, თვალთ შეუმჩნეველი გრძნობადი ურთიერთობები, რომელთა შესატყვისი ცხადი, ნათელი ცნებები არ არსებობს, მაგრამ მათი ძალზე კარგად, ზედმიწევნით გაგება კი შეიძლება. ამ გრძნობებსა და ურთიერთობებზე მინიშნებებითა და

პირობითი სიტყვებითაც თავისუფლად შეიძლება ელაპარაკო გამგებ ხალხს. მაშ, ასე, ჩემი უმთავრესი პირობა გაგებაა. ახლა უკვე თქვენ მოგმარ-თავთ, თქვენ, ჩემთვის გამოკვეთილ მკითხველთ, თან მოტყუებას ვითხოვ. რომ აქა-იქ ჩემი ფრაზა მოუხეშო და დუნე იქნება, — წინასწარ დარწმუნებული ვარ, ამ მიზეზს როცა მოგახსენებთ, შემიწყნარებთ. ადამიანს ორგვარად შეუძლია იმღეროს: დაყენებული ხმითაც და გულიდან, მკერდიდან ამოსული ხმითაც. ხომ მეთანხმებით, რომ დაყენებული, დამუშავებული ხმა მკერდისმიერ ხმაზე გაცილებით უფრო მოქნილია. მაგრამ იგი ნაკლებად ათრთოლებს სულის სიმებს და პირიქით — მკერდისმიერი ხმა უფრო უხეშია, მოუქნელი, მაგრამ უფრო გვხვდება გულზე. პირადად მე რაც შემეხება, თავქარიანულ მელოდიაშიც კი მთელი გულით ამოთქმული თუნდაც ერთი ნოტა რომ გავიგონო, უნებლიეთ ცრემლი მადგება თვალზე. ლიტერატურაშიც ასევეა: შეგიძლია წერო თავით ან წერო გულით. როცა თავით წერ, სიტყვები თვინიერად მოგდევნ და რიწკინით ლაგდებიან ქალღმერთს. ხოლო როცა გულით წერ, თავში იმდენი აზრი რიალებს, იმდენი სახე გიტრიალებს თვალწინ, გულში იმდენი მოგონება ირევა, რომ სათქმელს ლაღად, მწყობრად ვერ ამბობ, მოუქნელი, უხეში ფრაზები გრჩება ხელთ.

შესაძლოა მე ვცდებოდე, შესაძლოა, მაგრამ ყოველთვის კი ვცდილობდი შევჩერებულიყავი, როცა თავით წერას ვიწყებდი და ვცდილობდი მხოლოდ გულით მეწერა...


1852 წ.



ბოლსტოი
იტალიელი მოქანდაკე ტრაპასნი
გორელიეფი (მარმარილო)



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა



ბოლსტოი

შვედი მხატვარი ბასელ ტალბერგი, ოფორტი, 1961

თარგმნა სოსო სიბუაძე

რა არის ხელოვნება?

(ნაწყვეტები)

ადამიანთა უმრავლესობას, რომლებიც არათუ ჭკვიანებად ითვლებიან, არამედ მართლაც ჭკვიანები არიან, რომლებსაც ძალუბრით ჩასწვდნენ უძნელეს მეცნიერულ, მათემატიკურ, ფილოსოფიურ მსჯელობებს, ძალზე იშვიათად შეუძლიათ იმ სრულიად მარტივი და ცხადი ჭეშმარიტების გაგება, რაც ცხადყოფს, რომ მათ მიერ ამა თუ იმ საგანზე ზოგჯერ წვალებით შემუშავებული მსჯელობა, რომლითაც ისინი ამყობენ, რომელსაც ისინი სხვებს ასწავლიდნენ, რომლითაც თავიანთი ცხოვრება მოიგვარეს — ეს მსჯელობა შეიძლება მცდარი გამოდგეს. ამიტომ ნაკლებ ვიმედოვნებ, რომ ჩვენს საზოგადოებაში ხელოვნებისა და გემოვნების გადაგვარების დამამტკიცებელი საბუთები ვინმემ სარწმუნოდ მიიჩნიოს ან მსჯელობის საგნად გახადოს. მაგრამ მაინც ბოლომდე მინდა ვთქვა, რა გარდუვალ დასკვნამდე მიმიყვანა ხელოვნების საკითხის კვლევა. ვირწმუნე: თითქმის ყველაფერი, რაც ხელოვნებად ითვლება, არათუ ნამდვილი და კარგი ხელოვნებაა, საერთოდაც არ არის ხელოვნება. იგი ყალბია და მიმსგავსებული. მე ვიცი, ეს დებულება ძალზე უცნაური და პარადოქსული ჩანს, მაგრამ თუ ვაღიარებთ, რომ ხელოვნება ადამიანის ისეთი მოღვაწეობაა, რომლის მეშვეობით ერთი ადამიანი მეორეს გადასცემს თავის გრძნობებს, რომ იგი მშვენიერების სამსახური ან იდეის გამოვლენაა, მაშინ უთუოდ უნდა დაუშვათ ეს დებულება. სოლო თუკი ხელოვნება ისეთი მოღვაწეობაა, რომლის მეოხებითაც ერთი ადამიანის მიერ განცდილი გრძნობა შეგნებულად გადაეცემა მეორეს, მაშინ აუცილებლად უნდა ვაღიაროთ, რომ ყველაფერი, რასაც მაღალი კლასების ხელოვნებას ვუწოდებთ, ყველა ის რომანი, მოთხრობა, დრამა, კომედია, სურათი, ქანდაკება, სიმფონია, ოპერა, ბალეტი, რომლებიც ხელოვნების ნაწარმოებად ითვლებიან, ასე ათასისაგან ერთიც კი ძლივს წარმოქმნილა ავტო-

რის განცდილი გრძნობისაგან. ყოველივე დანარჩენი ფაბრიკული ნაწარმოებია, ნაყალბევი ხელოვნება, სადაც სესხება, მიბაძვა, შთაბეჭდილების მოხდენისა და გართობის სურვილი ცვლის გრძნობით დამუხტვას. ხოლო ჭეშმარიტი ხელოვნების ქმნილებათა რაოდენობა რომ ამ ნაყალბევთა რაოდენობას ისევე შეეფარდება, როგორც ერთი ასი ათასს, შეიძლება შემდეგი გამოთვლით დავამტკიცოთ: სადაც ამოვიკითხე, რომ პარიზში 30.000 მხატვარი ცხოვრობსო. ალბათ ამდენივეა ინგლისში, გერმანიაში, რუსეთსა და იტალიაში თუ სხვა პატარა სახელმწიფოებში. ასე რომ ევროპაში დღესდღეობით 120.000 მხატვარი-ფერმწერი იქნება. როგორც ჩანს, მუსიკოსიც და მწერალიც ამდენივეა. თუ ეს 300.000 კაცი წელიწადში სამ ნაწარმოებს დაწერს (ზოგიერთები კი ათსაც და მეტსაც წერენ), მაშინ ყოველწლიურად მივიღებთ ხელოვნების მილიონამდე ნაწარმოებს. ახლა რამდენია ბოლო ათ წელიწადში და მთელ იმ დროში შექმნილი, რაც მაღალი კლასების ხელოვნება გამოეყო ხალხურ ხელოვნებას? როგორც ჩანს, მილიონობით. მაგრამ არის კი ხელოვნების ისეთი დიდი მცოდნე, ვისაც არათუ უნახავს ყველა ეს ყალბი ნაწარმოები, არამედ სმენია მათ არსებობაზე? ნურაფერს ვიტყვით მშრომელ ხალხზე, რომელსაც ამ ნაწარმოებებზე წარმოდგენაც არა აქვს. მაღალი კლასების ადამიანებს არ შეუძლიათ იცოდნენ ხელოვნების ამ ნაწარმოებთა თუნდაც მეათასედი და ისიც არ ახსოვთ, რაც უნახავთ. ყველა ეს ნაწარმოები ხელოვნების ქმნილებად ითვლება, მაგრამ შთაბეჭდილებას ვერ აღუძრავს ვერავის, მხოლოდ უსაქმურ ხალხს თუ გაართობს და მერე უკვალოდ გაქრება. ამაზე ჩვეულებრივ ასე ამბობენ: არ ყოფილიყო ეს აურაცხელი წარუმატებელი ცდა, არც ხელოვნების ჭეშმარიტი ქმნილებანი იქნებოდაო. მაგრამ ამნაირი მსჯელობა ხომ იმ საბაზის პასუხს მიაგავს, რასაც იგი იტყოდა ხალხის საყვედურზე, შენი პური არაფრად ვარგაო: თუ პური არ ჩავარდა, ისე ცხობას ვერ ვისწავლიო. მართალია, სადაც ოქროა, იქ ქვიშაც ბევრია, მაგრამ ეს სრულიადაც არაა იმის გამართლება, რომ ბევრი სისულელე ვილაპარაკოთ, რათა რაღაც ჭკვიანური წამოგვცდეს.

ჩვენ გარშემორტყმული ვართ მხატვრულად მიჩნეული ნაწარმოებებით. ერთმანეთის მიყოლებით იბეჭდება ათასობით ლექსი, ათასობით პოემა, ათასობით რომანი, ათასობით დრამა, ათასობით სურათი, ათასობით მუსიკალური პიესა. ყველა ლექსი აღწერს სიყვარულს, ბუნებას ან ავტორის სულიერ მდგომარეობას, ყველა იცავს ზომასა და რითმას, ყველა დრამა და კომედია ჩინებულად არის დადგმული და ნათამაშევი მშვენივრად განსწავლული მსახიობებით; ყველა რომანი თავებად იყოფა, ყველგან აღწერილია სიყვარული, ნაჩვენებია ეფექტური სცენები და მართალი ცხოვრებისეული წვრილმანები. ყველა სიმფონიას გააჩნია allegro, andante, scherzo და დასასრული, შედგება მოდულაციისა და აკორდებისაგან და ასრულებენ ფრიად განსწავლული მუსიკოსები; ყველა სურათი ოქროს ჩარჩოში ზის, რელიეფურად გამოხატავს სახეებსა და სხვადასხვა საგნებს. მაგრამ ხელოვნების ამ ასეულობით ათას ნაწარმოებს შორის არის ერთი, რომელიც არათუ ცოტათი უკეთესია სხვებზე, არამედ ისე განირჩევა მათგან, როგორც ბრილიანტი მინისაგან. ამ ერთს ვერავითარი ფულით ვერ იყიდი, იმდენად ძვირფასია, მეორე არათუ უფასურია, არამედ უარყოფითი თვისებაც მოეპოვება, იმიტომ რომ ხალხს ატყუებს და გემოვნებას ურყვნის. ხოლო გადაგვარებული და ატროფირებული გრძნობის ადამიანისათვის გარეგნულად ისინი სავსებით ერთნაირნი არიან.

მხატვრული ქმნილების გამოცნობას კიდევ უფრო ის აძნელებს, რომ ყალბი ნაწარმოები გარეგნული ღირსებით არათუ ჩამოუვარდება, არამედ ხშირად აღემატება კიდევ ნამდვილს. ხშირად ნაყალბევი უფრო გვანცვიფრებს, ვიდრე ნამდვილი და შინაარსითაც უფრო საინტერესოა. როგორ მოვიქცეთ? როგორ ვიპოვოთ ის ერთადერთი იმ ათეულობით ათას ნაწარმოებში, რომლებიც თითქოსდა განგებ გარეგნულადაც არაფრით განირჩევა ნამდვილს დამსგავსებული თხზულებებისაგან?

შეურყვნელი გემოვნების კაცისთვის, მუშისა და არაქალაქელისთვის ეს ისევე ადვილია, როგორც ტყესა და მინდორში ცხოველისთვის უტყუარი გეშით ათას კვალში იმ ერთადერთი კვალის მიგნება, რომელიც მას სჭირდება. ასევეა ადამიანიც, თუ შეურყვნელია მისი ხასიათის ბუნებრივი თვისება; იგი ათას საგანში ამოარჩევს ხელოვნების ჭეშმარიტ ნიმუშს, რომელიც მას სჭირდება, რადგან გადაედება ხელოვანის მიერ განცდილი გრძნობა. მაგრამ ეს არ ეხება იმ ადამიანებს, რომელთაც აღზრდამ და ცხოვრებამ გემოვნება გაუფუჭეს და გრძნობები გადაუგვარეს. მხატვრული ნაწარმოების შეფასებისას ისინი ხელმძღვანელობენ მსჯელობითა და შესწავლით. ეს კი საბოლოოდ თავგზას უბნევს მათ. ასე რომ ჩვენი საზოგადოების უმრავლეს ნაწილს სრულიად არ შეუძლია განასხვავოს ხელოვნების ნიმუში მისი ყველაზე უსუსური მიბაძვისაგან. ადამიანები საათობით სხედან კონცერტებზე და თეატრებში, უსმენენ ახალ კომპოზიტორთა ნაწარმოებებს, თავს მოვალედ თვლიან წაიკითხონ ახალი და ცნობილი რომანისტების რომანები, დაათვალიერონ სურათები, რომლებიც ან იმას ასახავენ, რაც მათთვის გაუგებარია, ან იმას, რასაც თვითონ უკეთ ხედავენ სინამდვილეში. რაც მთავარია, ისინი ამით აღტაცებული რჩებიან და სჯერათ, რომ ეს ყველაფერი — ხელოვნების საგანია. იქვე კი ხელოვნების ნამდვილ ნაწარმოებებს არათუ უყურადღებოდ, არამედ უპატივცემლოდაც ჩაუვლიან მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი არ ითვლება მათ წრეში ხელოვნების საგნად.

ამ დღეებში სერიზოზიდან ფრიად დაღონებული ვბრუნდებოდი. სახლს რომ მივუახლოვდი, ქალების სიმღერა მომესმა. ისინი ფერხულს ცეკვავდნენ ჩემი გათხოვილი ასულის პატივსაცემად, რომელიც ჩვენთან იყო ჩამოსული. ეს სიმღერა, სიმღერისას დროდადრო შეკივლება, ნაწნავების მიწაზე ცემა ისეთ სიხარულს გამოხატავდა, ისეთ მხნეობასა და ენერგიას, რომ თვითონაც ვერ შევამჩნიე, როგორ განვიმსჯვალე ამ გრძნობით, მხნედ გავემართე სახლისაკენ და სავსებით გამხიარულებული და გახალისებული შევედი სახლში. შინაურებიც ჩემებრ აღგზნებული დამხვდნენ ამ სიმღერით. იმავე საღამოს ერთი მშვენიერი მუსიკოსი გვეწვია, რომელიც განთქმული იყო კლასიკური და განსაკუთრებით ბეთჰოვენის მუსიკის შესრულებით. მან დაგვიკრა ბეთჰოვენის სონატა opus 101.

საჭიროდ მიმაჩნია შევნიშნო იმათ საყურადღებოდ, ვინც ჩემს მსჯელობას ბეთჰოვენის ამ სონატაზე იმას მიაწერს, თითქოს მე იგი ვერ გავიგე, რომ ბეთჰოვენის ეს სონატა თუ მისი უკანასკნელი ხანის შემოქმედება მე, მუსიკის ძველ მოტრფიალეს, ისევე მესმის, როგორც მათ. მე ჩემს თავს დიდხანს ისე განვაწყობდი, თითქოს მიყვარდა ეს უფორმო იმპროვიზაციები, ბეთჰოვენის უკანასკნელი პერიოდის ნაწარმოებებს რომ ახასიათებთ. მაგრამ საკმარისი იყო მეტი სიდიდით მოვკიდებოდი ხელოვნებას, შემედარებინა ბეთჰოვენის უკანასკნელი პერიოდის ნაწარმოებთაგან მოგვრილი შთაბეჭდილება იმ სასიამოვნო, ნათელი და ძლიერ მუსიკალური შთაბეჭდილებისთვის, რასაც მანიჭებდა, მაგალი-

თად, ბახის (მისი არიები), ჰაიდნის, მოცარტის, შოპენის მელოდიები, როდესაც ეს მელოდიები გართულებული და ზედმეტად გაპრანჭული არ იყო, — ან თუნდაც თვით ბეთჰოვენის პირველი პერიოდის შემოქმედებისათვის, ხოლო რაც მთავარია, იტალიური, ნორვეგიული, რუსული, უნგრული უბრალო, ნათელი და ძლიერი ხალხური სიმღერებისთვის, რომ ჩემში მყისვე გამქრალიყო ბეთჰოვენის უკანასკნელი პერიოდის ნაწარმოებების მიერ ხელოვნურად გამოწვეული და რამდენადმე გაურკვეველი, თითქმის აგადმყოფური გაღიზიანება.

როცა სტუმარმა დაკვრა დაამთავრა, მიუხედავად საერთო მოწყენილობისა, დანსწრებმა, როგორც ჯერ არს, გულმოდგინედ შეაქეს ბეთჰოვენის ღრმააზროვანი ნაწარმოები. არც იმის გახსენება დავიწყნიათ, რომ აი, ადრე არ ესმოდათ კომპოზიტორის ეს უკანასკნელი პერიოდი, მაშინ როცა ის ყველაზე უკეთესია. ხოლო როდესაც თავს ნება მივცე შემედარებინა იმ ქალების სიმღერით განცდილი შთაბეჭდილება ამ სონატისათვის, ბეთჰოვენის მოტრფიალებმა მხოლოდ დამცინავად გაიღიმეს და საჭიროდ არ ჩათვალეს ამგვარ უცნაურ აზრებზე ეპასუხათ.

ქალების სიმღერა კი ჭეშმარიტი ხელოვნება იყო, რომელიც გადმოგვცემდა გარკვეულ და ძლიერ გრძნობას, ხოლო ბეთჰოვენის 101 სონატა — მხოლოდ წარუმატებელი ცდა ხელოვნებისა. ის არ შეიცავს არავითარ გარკვეულ გრძნობას და ამიტომაც არც არავისზე მოქმედებს.

ჩემი ამ ნაშრომისათვის მე ამ ზამთარს დიდი გულმოდგინებით წავიკითხე მთელ ევროპაში ცნობილი და ქებული ზოლას, ბურჟეს, ჰიუსმანსის, კიპლინგის რომანები და მოთხრობები. სწორედ იმხანად ხელთ ჩამივარდა საბავშვო ყურნალში დაბეჭდილი სავსებით უცნობი მწერლის მოთხრობა იმაზე, თუ როგორ ემზადებიან ღარიბი ქვრივის ოჯახში სააღმშრებლად. მოთხრობის შინაარსი ასეთია: დედამ ძლივს იშოვა თეთრი ფქვილი, გადმოყარა მაგიდაზე მოსაზელად და ვიდრე საფუარის მოსატანად წავიდოდა, ბავშვებს დააბარა, სახლიდან ფეხი არ გადგათ, ფქვილს უყარაულეთო. დედა წავიდა. ამ დროს მეზობლის გოგობიჭები ყივილ-ხივილით მოაწყდნენ ფანჯარას და ბავშვებს მოუხმეს ქურაში სათამაშოდ. მათ დაავიწყდათ დედის დანაბარები, გაიქცნენ ქურაში და თამაშით გაერთნენ. დედამ საფუარი რომ მოიტანა, დაინახა, კრუხს ფქვილი მაგიდიდან ძირს გადაეფანტა და წიწილებს თითქმის სულ აეკენკათ. გამწარებულმა დედამ დატუქსა შვილები. ბავშვები აღრიალდნენ. მაშინ დედას შეეცოდა ისინი, მაგრამ თეთრი ფქვილი მეტი არა ჰქონდა და ამიტომ გადაწყვიტა გაცრილი შავი პურის კულიჩი გამოეცხო, წავსვა კვერცხის ცილა და ირგვლივ კვერცხები შემოეწყო. „Черный хлебушка — калачу дедушка“, ეუბნება დედა ბავშვებს ამ ანდაზას იმის სანუგეშოდ, რომ კულიჩი თეთრი ფქვილისა არ იქნება. სასოწარკვეთილ ბავშვებს უეცრად სიხარული ეუფლებათ, სხვადასხვა ხმაზე იმეორებენ ანდაზას და მეტი ხალისით ელოდებიან ნამცხვარს.


ზოლას, ბურჟეს, ჰიუსმანსის, კიპლინგის და სხვათა რომანებისა და მოთხრობების კითხვას, რომელთაც ამალეღვებელი სიუჟეტები აქვთ, ერთხელაც არ ავუღელვებოვარ, მაგრამ ყოველთვის კი მწყინდა ამ ავტორებისა, ისევე როგორც გეწყინება ხოლმე იმ კაცისა, ვინც იმდენად გულუბრყვილოდ ჩაგთვლის, არც დაგიმალავს, რა ფანდით აპირებს შენს შეპყრობას. პირველივე სტრიქონებიდან ხვდები ავტორისეულ განზრახვას და ყოველი წვრილმანი ზედმეტი და მოსაწყენი ხდება. რაც მთავარია, იცი, რომ ავტორს სხვა არავითარი გრძნობა, გარდა

იმისა, რომანი თუ მოთხრობა დაეწერა, არა აქვს და არცა ჰქონია. ამიტომ არავითარი მხატვრული შთაბეჭდილება არ გექმნება. ხოლო იმ უცნობი ავტორის მოთხრობას ბავშვებსა და წიწილებზე ვეღარ მოვწყდით, იმიტომ რომ მყისვე განვიმსჯვალე იმავე გრძნობით, რაიც უთუოდ განიცადა და გადმოგვცა ავტორმა.

ჩვენ გვყავს მხატვარი-ფერმწერი ვასნეცოვი. მან დახატა კიევის ტაძრის ხატები. მას ყველა აქებს, როგორც რაღაც ქრისტიანული ხელოვნების უმაღლესი სახეობის ფუძემდებელს. ამ ხატებზე იგი ათეული წლობით მუშაობდა. გადაუხადეს ათეული ათასობით და მაინც ხატები მიმბაძველთა მიბაძვის მიბაძვაა, რომელთაც გრძნობის არავითარი ნაპერწკალი არ მოეძევებათ. იმავე ვასნეცოვმა დაასურათა ტურგენევის მოთხრობა „დედა მწყერი“ (ამ მოთხრობაში აღწერილია, თუ როგორ მოკლა პატარა ბიჭის თვალწინ მამამ დედა მწყერი და როგორ შეებრალა ბიჭს იგი). სურათზე მბინარე ბიჭი ხატია, ოდნავ რომ წამოსწევია ზედა ტუჩი, ხოლო ზემოთ, როგორც სიზმარი, დედა მწყერი ჩანს. ეს სურათი ხელოვნების ჭეშმარიტი ნაწარმოებია.

ინგლისის Academy-ში გვერდიგვერდ ორი სურათია: ერთი გამოხატავს წმ. ანტონის ცთუნებას, I. C. Dalmas. წმინდანი მუხლმოყრილი ლოცულობს. უკან დგანან შიშველი ქალი და რაღაც მხეცები. ეტყობა, მხატვარს ძალიან მოსწონს ქალი, ხოლო ანტონი არაფრად ენაღვლება და მისი ცთუნებაც აშინებს კი არა — უდიდეს სიამოვნებას ჰგვრის. ამიტომ თუ ამ სურათში არის ხელოვნება, ის ძალიან საძაგელია და ყალბი. ამავე წიგნში გვერდით მოთავსებულია Langley-ს პატარა სურათი: მათხოვარი ბიჭუნა ვიღაც სულგრძელ დიასახლისს შეცოდებია და შინ შეუყვანია. ბიჭს შიშველი ფეხები მოუკუნტავს და ჭამს. დიასახლისი უცქერის, ალბათ ფიქრობს, საჭმელი კიდევ დავუმატო თუ არაო. ხოლო შვიდი წლის გოგონას კალამი ლოყაზე მიუდვია და ყურადღებით, დინჯად უყურებს მშიერ ბიჭს. ალბათ პირველად ახლა მიხვდა, რა არის სიღარიბე და კაცთა უთანასწორობა და პირველად ახლა შეეკითხა თავის თავს: რატომაა, მე რომ ყველაფერი მაქვს, ეს კი ფეხშიშველა და მშიერიო? გოგონას თან უხარია და თან სიბრაღულსა გრძნობს. მას უყვარს ყმაწვილიცა და სიკეთეც... გრძნობ, რომ მხატვარსაც უყვარს ეს გოგონა და იმასაც ატყობ — თუ რა უყვარს ამ პატარას. ეს ნაკლებად ცნობილი მხატვრის სურათი ხელოვნების ჭეშმარიტად მშვენიერი ნაწარმოებია.

მასხოვს, ვუყურებდი როსის ჰამლეტის როლში. თვით ტრაგედია და მთავარი როლის შემსრულებელი მსახიობი ჩვენს კრიტიკოსებს დრამატული ხელოვნების უკანასკნელ სიტყვად მიაჩნიათ. მაგრამ მე თვით დრამის შინაარსმაც და წარმოდგენამაც ისეთი ტანჯვა განმაცდევინა, რასაც ხელოვნებას მინსგავსებული ყალბი ნაწარმოები განგვაცდევინებს ხოლმე. ამას წინათ წავიკითხე ერთი მოთხრობა ვოგულების თეატრზე. დამსწრეთაგანი ასე აგვიწერს წარმოდგენას: ორ ვოგულს — ერთ დიდსა და მეორე პატარას — ირმის ტყავი აცვია. ერთი ფურირემს ანსახიერებს, მეორე — ნუკრს. მესამე ვოგული მონადირეა, იგი მშვილდითაა აღჭურვილი და თხილამურებზე დგას, მეოთხე ვოგული ვითომ ჩიტია, რომელიც ირმებს მოსალოდნელ ხიფათს აცნობებს. მონადირე დედა ირმისა და ნუკრს მისდევს. ირმები გარბიან სცენიდან და ხელახლა შემოდიან. ეს წარმოდგენა ვოგულთა პატარა იურტაში ხდება. მონადირე თანდათან უახლოვდება დევნილთ. ნუკრს უკვე არაქათი გამოსცლია და დედას ეკვრის. ფურირემი ჩერდება, რათა სული მოითქვას. მონადირე მიასწრებს და მიზანში ამოიღებს.



ამ დროს ჩიტი აწრიპინდება და ირემს საშიშროებას აცნობებს. ირემები გარბიან. მონადირე ისევ დაედევნება, დაეწევა და ისარს სტყორცნის. ისარი ნუგრს მოხვდება, მას სირბილი აღარ შეუძლია და დედას ეტმასნება. დედა კი ჭრილობას ულოკავს. მონადირე მშვილდს მეორედ მოზიდავს. მაყურებლები, როგორც დამსწრე აგვიწერს, გაირინდებიან, ხალხში მძინე ოხვრა და ტირილი ისმის. ამ აღწერით მე ვიგრძენი, რომ ეს ხელოვნების ჭეშმარიტი ნაწარმოები იყო.

რასაც ახლა ვამბობ, ალბათ უაზრო პარადოქსად ჩათვლიან, რამაც შეიძლება მხოლოდ გაოცება გამოიწვიოს. მაგრამ მე მაინც არ ძალმიძს არა ვთქვა: ჩვენი წრის ხალხს, რომელთაგან ერთნი თხზავენ ლექსებს, მოთხრობებს, რომანებს, ოპერებს, სიმფონიებს, სონატებს, ხატავენ ყოველნაირი ყაიდის სურათებს, ძერწავენ ქანდაკებებს, მეორენი უსმენენ, უყურებენ ამას, მესამენი აფასებენ, აკრიტიკებენ ყველაფერს, კამათობენ, მსჯელობენ, ზეიმობენ, ერთმანეთს ძეგლს უდგამენ და ასე ხდება თაობიდან თაობამდე, — აი, სწორედ ამ ხალხს, მცირეოდენი გამონაკლისით, შემოქმედსაც, მაყურებელსაც, კრიტიკოსსაც, არასოდეს, გარდა ბავშვობისა და ყრმობისა, არ განუცდია ყველა უბრალო ადამიანისა და ბავშვისათვისაც კი ნაცნობი გრძნობა — აინთო სხვისი გრძნობებით, გაიხარო სხვისი სიხარულით, ინალვლო სხვისი ნალველით, ეზიარო სხვა ადამიანის სულს, რაიც შეადგენს ხელოვნების არსს. ამიტომაც ამ ხალხს არამცთუ არ შეუძლია ჭეშმარიტი ხელოვნება ყალბისაგან განასხვავოს, არამედ მშვენიერ ხელოვნებად მუდამ ყველაზე სუსტსა და ნაყალბეს მიიჩნევს, ნამდვილ ხელოვნებას კი ვერ შეამჩნევს, რადგანაც ყალბი ყოველთვის ზიზილ-პიპილებითაა შემკობილი, ნამდვილი კი სადაა და მოკრძალებული.


* * *

როცა მომავლის ხელოვნებაზე ლაპარაკობენ, გულისხმობენ მეტისმეტად დახვეწილ ახალ ხელოვნებას, რომელიც თითქოსდა შეიქმნება საზოგადოების ერთი კლასის ხელოვნებისაგან. მაგრამ ასეთი ხელოვნება არ შეიძლება არსებობდეს და არც მომავალში იქნება. ჩვენი ქრისტიანული სამყაროს მაღალი კლასების ხელოვნება ჩიხში მოექცა. ამ გზას, რომელსაც იგი ადგა, წასასვლელი არსადა აქვს. ეს ხელოვნება, რაკილა მან მთავარ მოთხოვნას ანუ რელიგიური ცნობიერებით წინამძღოლობას გადაუხვია, სულ უფრო და უფრო განსაკუთრებული გახდა და ამიტომაც სულ უფრო და უფრო დამახინჯდა, არარად იქცა. მომავლის ხელოვნება არ გააგრძელებს დღევანდელ ხელოვნებას. იგი აღმოცენდება სულ სხვა საფუძველზე, რომელსაც არაფერი ექნება საერთო იმასთან, რითაც ხელმძღვანელობს მაღალი კლასების დღევანდელი ხელოვნება.

მომავლის ხელოვნება, ანუ ის ნაწილი ხელოვნებისა, რომელიც გამოეყოფა ხალხში გავრცელებულ მთელ ხელოვნებას, როდი იქნება მდიდარი კლასების მხოლოდ ზოგიერთი ადამიანისათვის მისაწვდომ გრძნობათა გადაცემა, როგორც ეს ახლაა, არამედ ეს იქნება ხელოვნება, რომელსაც სულს უდგამს ჩვენი დროის ადამიანთა უმაღლესი რელიგიური ცნობიერება. ხელოვნებად ჩაითვლება მხოლოდ ის ნაწარმოები, რომელიც გადმოსცემს ადამიანთა ძმური ერთიანობის გრძნობებს, ანდა ისეთ ზოგადსაკაცობრიო გრძნობებს, ადამიანთა გაერთიანება რომ შეეძლებათ. მხოლოდ ეს ხელოვნება იქნება გამორჩეული, დასაშვები, მოწონებული, გავრცელებული. ხოლო ხელოვნება, რომელიც ასახავს ადამი-

ანთა მიერ უკვე განცდილ და გამოვლენილ, ჩამორჩენილი რელიგიური მოძღვრებიდან გამომდინარე ავხორც, პატრიოტულ, საეკლესიო გრძნობებს, ცრუმორწმუნე შიშს, სიამაყესა თუ პატივმოყვარეობას, საკუთარი ერის ფშირებით აღტაცებას, ჩაითვლება მავნე ხელოვნებად და მას გაჰკიცხავს საზოგადოებრივი აზრი. სხვა დანარჩენი ხელოვნება კი, რომელიც მხოლოდ რამდენიმე ადამიანისათვის მისაწვდომ გრძნობებს გადმოგვცემს, იმდენად უმნიშვნელოდ ჩაითვლება, რომ არც მოწონებისა და არც გაკიცხვის ღირსი იქნება. ხელოვნების შემფასებელი გახდება არა მდიდარი ადამიანების ცალკეული კლასი, როგორც ეს ახლა არის, არამედ მთელი ხალხი. ნაწარმოები რომ მოწონებულ, აღიარებულ და გავრცელებულ იქნას, მან უნდა დააკმაყოფილოს არა ზოგიერთთა მოთხოვნილება, ერთნაირ და ხშირად არაბუნებრივ პირობებში რომ იმყოფებიან, არამედ მოთხოვნილება ყველა ადამიანისა, ფართო მასებისა, რომლებიც ბუნებრივ შრომით პირობებში იმყოფებიან. ჰოდა, ხელოვანი იქნება არა ის, ვინც მთელი ხალხის მცირე ნაწილს, გამონაკლისს შეადგენს, ანუ მდიდართა კლასს ეკუთვნის, ან მათთან ახლოს მდგომია, არამედ ხალხის წიაღიდან გამოსული ყოველი ნიჭიერი ადამიანი, ვისაც ექნება უნარი და მიდრეკილება მხატვრული შემოქმედებისადმი. მაშინ მხატვრული შემოქმედება ყველა ადამიანისათვის მისაწვდომი გახდება ჯერ ერთი იმიტომ, რომ მომავლის ხელოვნება აღარ მოითხოვს იმ რთულ ტექნიკას, რომელიც ასახიჩრებს ჩვენი დროის ხელოვნების ნაწარმოებს და თანაც დიდი დაძაბვა და დრო სჭირდება; იგი მოითხოვს სულ საპირისპირო რამეს — სიცხადეს, უბრალოებას და სისხარტეს. ეს კი გემოვნების აღზრდით და არა მექანიკური სავარჯიშოებით შეიძინება. მეორეც იმიტომ, რომ მხატვრული შემოქმედება გასაგები იქნება ხალხისათვის, ვინაიდან ნაცვლად დღევანდელი, მხოლოდ ზოგიერთისთვის ხელმისაწვდომი პროფესიული სკოლებისა, პირველდაწყებით სახალხო სკოლებში ყველა ისწავლის მუსიკასა და ფერწერას (სიმღერასა და ხატვას) წერა-კითხვის თანასწორად. ასე რომ ყოველ ადამიანს, რომელიც შეითვისებს ფერწერისა და მუსიკის საფუძვლებს და იგრძნობს მისწრაფებას ხელოვნების რომელიმე დარგისადმი, შეუძლია სრულყოფილი თავისი ცოდნა; და მესამეც იმიტომ, რომ მთელი ძალა, რომელიც დღეს ყალბ ხელოვნებას ეწირება, გამოყენებული იქნება ჭეშმარიტი ხელოვნების მთელ ხალხში გასავრცელებლად.

ბევრს ჰგონია, თუ არ იქნება საგანგებო მხატვრული სკოლები, ისე ხელოვნების ტექნიკა დაქვეითდებაო. ის მართლაც დაქვეითდება, თუ ტექნიკად ჩავთვლით ხელოვნების იმგვარ გართულებას, რომელიც დღეს ღირსებად მიაჩნიათ. მაგრამ თუ ტექნიკას ვუწოდებთ ხელოვნების სიცხადეს, მშვენიერებას, სისადავეს, სისხარტეს, მაშინ ტექნიკა კი არ დაქვეითდება, როგორც ამას გვიჩვენებს ხალხური შემოქმედება, ასგზის უფრო სრულყოფილი გახდება, თუნდაც ნუ იქნება საგანგებო სკოლები და ნუ შეასწავლიან სახალხო სკოლებში ხატვისა და მუსიკის საფუძვლებს. იგი იმიტომ იქნება სრულყოფილი, რომ ყველა გენიალური მხატვარი, რომელიც ახლა უჩინარია, ხელოვნების მონაწილე გახდება და ყოველგვარი რთული ტექნიკური სწავლების გარეშე, მხოლოდ და მხოლოდ ჭეშმარიტი ხელოვნების ნიმუშების წყალობით მოგვცემს ნამდვილი ხელოვნების ახალ ქმნილებებს, რომლებიც, როგორც ყოველთვის, ხელოვანისათვის ტექნიკის საუკეთესო სკოლა იქნება. ყოველ ჭეშმარიტ შემოქმედს დღესაც ცხოვრება ასწავლის დიდი ოსტატების მაგალითებზე და არა სკოლა. მაშინ კი, როცა ხელოვნების შემქმნელნი ხალხის ყველაზე ნიჭიერი შვილები იქნებიან, როცა



მხატვრული ნიმუშებიც უფრო მეტი და უფრო გასაგები იქნება, სსკგზის მეტ ნაყოფს მისცემს ხელოვანს ის სწავლება, რასაც იგი მიიღებს საზოგადოებაში გავრცელებული კარგი ხელოვნებისაგან, ვინემ სკოლა, სადაც იგი აღარ ისწავლის.

ასეთი იქნება ერთი განსხვავება მომავლის ხელოვნებისა დღევანდელისაგან. მეორე განსხვავება ის იქნება, რომ მომავლის ხელოვნების შემქმნელი არ იქნებიან პროფესიონალი შემოქმედნი, რომლებიც თავიანთ ოსტატობაში გასამრჯელოს იღებენ და ხელოვნების გარდა სხვა არაფრით არიან დაკავებულნი. მომავლის ხელოვნება შეიქმნება მთელი ხალხის მიერ, შეიქმნება მხოლოდ იმ ადამიანთა მიერ, რომლებიც იგრძნობენ ამგვარი მოღვაწეობის აუცილებლობას.

ჩვენში ფიქრობენ: ხელოვანი უკეთ იმუშავებს და მეტსაც გააკეთებს, თუ მატერიალურად იქნება უზრუნველყოფილი. ეს აზრი ერთხელ კიდევ ამტკიცებს იმას, თუკი ეს მტკიცება ზედმეტი არაა, რომ რაც ჩვენში ხელოვნებად ითვლება, ხელოვნება კი არაა, მისი მიმსგავსებაა. სავსებით მართალია, რომ წალებისა თუ ფუნთუშების წარმოებისათვის ძალზე ხელსაყრელია შრომის განაწილება, რომ მეწაღე თუ მეფუნთუშე, რომელიც თვითონ არ იმზადებს სადილს და არ იმარაგებს შეშას, მეტ წაღას შეკერავს და მეტ ფუნთუშას გამოაცხობს, ვიდრე მაშინ, როცა სადილი და შეშა ექნებოდათ საზრუნავი. მაგრამ ხელოვნება ხელობა როდია, იგი შემოქმედის მიერ განცდილი გრძნობების გადმოცემაა. გრძნობა ადამიანს შეიძლება დაეხადოს მხოლოდ მაშინ, როცა იგი ისე ცხოვრობს, როგორც ყველა. ამიტომ ხელოვანის მატერიალურად უზრუნველყოფა მისი ნაყოფიერების ყველაზე დამლუპველი პირობაა, ვინაიდან როცა შემოქმედს წაართმევ საშუალებას, ისევე ებრძოდეს ბუნებას თავისი და სხვათა სიცოცხლის შესანარჩუნებლად, როგორც სხვა ადამიანები, ამით წაართმევ შესაძლებლობას განიცადოს ადამიანებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი და ჩვეული გრძნობები. ხელოვანის ნაყოფიერებას ისე არაფერი ღუპავს, როგორც სრული უზრუნველყოფა და ფუფუნება, რომელშიც ჩვეულებრივ იმყოფება ჩვენი საზოგადოების ხელოვანი.

მომავლის ხელოვანი იცხოვრებს ადამიანთა ჩვეულებრივი ცხოვრებით, თავის საარსებო სახსარს შრომით იშოვის. იგი შეეცდება თავისი დიდი სულიერი ძალის ნაყოფი რაც შეიძლება მეტ ადამიანს უწილადოს, რამეთუ მისი სიხარული და ჯილდო რაც შეიძლება მეტი ადამიანებისთვის თვისი გრძნობების გადაცემაა. მომავლის ხელოვანი ვერც გაიგებს, როგორ შეიძლება შემოქმედმა, ვისთვისაც ყველაზე დიდი სიხარული მისი ნაწარმოების ხალხში გავრცელებაა, განსაზღვრულ ფასად გაყიდოს იგი.

ვიდრე ვაჭრებს არ განოასაძლებენ ტაძრიდან, ხელოვნების ტაძარი ტაძარი არ იქნება. მომავლის ხელოვნება განდევნის მათ.

ამიტომაც ამ ხელოვნების შინაარსი, ჩემი წარმოდგენით, სრულიადაც არ იქნება დღევანდელის მსგავსი. მომავლის ხელოვნება აღარ იქნება გამოხატვა იმ განსაკუთრებული გრძნობებისა, როგორიცაა პატივმოყვარეობა, ნაღველი, ავხორცობა, რაიც გასაგებია და საინტერესო მხოლოდ იმ ხალხისათვის, რომელმაც ძალადობით გაითავისუფლა თავი ადამიანისათვის ჩვეული შრომისაგან. იგი იქნება გამოხატველი იმ ადამიანის გრძნობებისა, ვინც ყველასათვის ჩვეული ცხოვრებით ცხოვრობს, იმ გრძნობებისა, რომლის საწყისია ჩვენი დროის რელიგიური ცნობიერება ან ყველასათვის გასაგები განცდანი.

ჩვენი წირის ადამიანებს, რომლებსაც არ განუცდიათ, ან არ ძალუბთ თუ

არა სურთ განიცადონ ის გრძნობები, მომავლის ხელოვნებას რომ შექმნის, ჰგონიანთ, რომ იმ განსაკუთრებით დახვეწილ ხელოვნებასთან შედარებით, რომელიც თაც ახლა ისინი არიან გართული, მომავლის ხელოვნების შინაარსი ფორმად დასაზღვრები იქნება. „რა შეიძლება ახალი გამოხატო მოყვასისადმი ქრისტიანულ სიყვარულში? ხოლო ყველა ადამიანისათვის გასაგები გრძნობები განა უმნიშვნელო და ერთფეროვანი არაა?“ ფიქრობენ ისინი. მაშინ როცა ჭეშმარიტად ახალი გრძნობა შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ რელიგიური, ქრისტიანული გრძნობა იყოს და ამასთან კიდევ ყველასათვის გასაგები გრძნობებიც. ჩვენი დროის რელიგიური ცნობიერებიდან წარმომდგარნი გრძნობები, ქრისტიანული გრძნობები, დიახაც უსასრულოდ ახალია და მრავალფეროვანი. ოღონდ არა იმ აზრით, როგორც ამას ზოგიერთები ფიქრობენ, რათა გამოსახონ ქრისტე და სახარების ეპიზოდები, ან ახალ ფორმაში გაიმეორონ ერთობის, თანასწორობის, სიყვარულის ქრისტიანული ჭეშმარიტება, არამედ იმ აზრით, რომ ყველა ძველი, ჩვეულებრივი და ყოველნაირად განცდილი ცხოვრებისეული მოვლენები ყველაზე ახალ, მოულოდნელ და ამაღელვებელ განცდებს იწვევს, როგორც კი ქრისტიანული რწმენით შეხედავს მათ კაცი.

განა ძველი არაა ცოლ-ქმრული ურთიერთობა, მშობლებისა და შვილების დამოკიდებულება, ადამიანთა მიმართება თანამემამულეების, უცხო ტომის, თავდასხმის, თავდაცვის, საკუთრების, მიწისა და ცხოვრებისადმი? მაგრამ როგორც კი ადამიანი ამ მოვლენებს ქრისტიანული რწმენით შეხედავს, მაშინვე უსასრულოდ მრავალფეროვანი, ყოვლად ახალი, რთული, ამაღელვებელი გრძნობები წარმოიქმნება.

ზუსტად ასევე კი არ დავიწროვდება, არამედ განიცრცობა მომავალი ხელოვნების შინაარსი, რომელიც გადმოგვცემს ყველაზე უფრო ცხოვრებისეულ და ყველასათვის გასაგებ გრძნობებს. უწინდელ ხელოვნებაში ღირსებად ითვლებოდა მხოლოდ იმ გრძნობების გადმოცემა, რომლებიც სჩვეოდა განსაკუთრებული მდგომარეობის ადამიანებს და ისიც მაშინ — თუ იქნებოდა შესრულებული ყველაზე დახვეწილი, უმრავლესობისათვის მიუწვდომელი საშუალებით. ხალხური შემოქმედების უზარმაზარი სამყარო — ხუმრობანი, ანდაზები, გამოცანები, ცეკვა-სიმღერები, საბავშვო გასართობები, მიბაძვანი ხელოვნების ღირსეულ საგნად არ იყო მიჩნეული.

მომავლის ხელოვანმა უნდა შეიგნოს, რომ შეთხზვა ზღაპრისა და სიმღერისა, რომელიც გულში ჩასწვდება, შაირებისა და გამოცანისა, რომელიც გაართობს, ხუმრობისა, რომელიც გააცინებს, სურათისა, რომელიც გაახარებს ათეულობით თაობას ან მილიონობით ბავშვსა და მოზრდილს — გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია და სასარგებლო, ვიდრე შეიქმნას რომანი და სიმფონია ან დაიხატოს სურათი, მდიდარი კლასების ზოგიერთ ადამიანს მცირე ხნით რომ მიიზიდავს და მერე კი სამუდამოდ დავიწყებული იქნება. ხელოვანის ეს ყველასათვის გასაგები და უბრალო გრძნობების სამყარო უზარმაზარია და ჯერჯერობით თითქმის ხელუხლებელი.

ასე რომ, მომავლის ხელოვნება კი არ გაღარბდება, პირიქით, შინაარსით უსაზღვროდ გამდიდრდება. ზუსტად ასევე მომავლის ხელოვნების ფორმაც ამჟამინდელზე უარესი კი არა, გაცილებით უკეთესი იქნება, ოღონდაც არა ტექნიკის დახვეწისა და გართულების თვალსაზრისით, არამედ იმით, რომ სხარტად,



უბრალოდ, ნათლად და გადაჭარბების გარეშე გადმოსცემს იმ გრძნობას, რაიც განიცადა ხელოვანმა და რისი გამოსატყვაც სურდა.


მახსოვს, როცა ერთხელ ცნობილ ასტრონომს ვესაუბრებოდი, რომელიც საჯარო ლექციებს კითხულობდა ირმის ნახტომის ვარსკვლავთა სპექტრულ ანალიზზე, ვუთხარი, რომ კარგი იქნებოდა მისთვის ჩვეული ცოდნითა და ოსტატობით წაეკითხა საჯარო ლექცია კოსმოგრაფიის მხოლოდ ყველასათვის ნაცნობ საკითხებზე, რადგან მსმენელთა შორის ირმის ნახტომის ვარსკვლავთა სპექტრულ ანალიზს ცოტა თუ გაიგებდა, მეტადრე ქალები, რომლებმაც ისიც კი არ იციან, როგორ დგება დღე და ღამე, ზამთარი და ზაფხული. ჭკვიან ასტრონომს გაეღიმა და მიპასუხა: „დიახ, ეს კარგი იქნებოდა, მაგრამ ძალიან ძნელია. უფრო იოლია წაიკითხო ლექცია ირმის ნახტომის სპექტრულ ანალიზზე“.

ხელოვნებაშიც ასევეა; გაცილებით იოლია დაწერო პოემა კლეოპატრას დროზე ან დახატო სურათი რომის გადამბუგველ ნერონზე, შეთხზა მუსიკა თუ ოპერა შტრაუსისა ან ვაგნერის მიმსგავსებით, ვიდრე მოყვე უბრალო ამბავი ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ან ფანქრით დახატო სურათი, მაყურებელი რომ ააღელვოს ან გააცინოს, ან შეთხზა ოთხტაქტიანი უბრალო ჰანგი, ყოველგვარი აკომპანიმენტის გარეშე, განწყობილება რომ გადმოსცეს და მსმენელს დაახსომდეს.

„ჩვენი განვითარების დონე შეუძლებელს ხდის მივუბრუნდეთ პირველყოფილს, — ამბობენ ჩვენი დროის შემოქმედნი, — არ შეიძლება დღეს დაიწეროს ისეთი რამ, როგორცაა იოსებ მშვენიერის ამბავი, როგორცაა ოდისეა; გამოითალოს ისეთი ქანდაკება, როგორცაა ვენერა მილოსელი, შეიქმნას ისეთი მუსიკა, როგორცაა ხალხური სიმღერები“.

და მართლაც ჩვენი დროის ხელოვანთათვის ეს შეუძლებელია, მაგრამ მომავლის ხელოვანს ეს არ შეეხება. მისთვის უცნობი იქნება ტექნიკური სრულყოფით გარყვნა, რაიც ფარავს უშინაარსობას. ის არ იქნება პროფესიონალი ხელოვანი, არ მიიღებს გასამრჯელოს თავისი მოღვაწეობისათვის და შემოქმედებას მხოლოდ მაშინ მიეცემა, როცა იგრძნობს ამის დაუოკებელ შინაგან მოთხოვნილებას.

ასე სავსებით განსხვავებული იქნება მომავლის ხელოვნება იმისაგან, რაც ახლა ხელოვნებად ითვლება, როგორც შინაარსით, ისე ფორმით. მომავლის ხელოვნების შინაარსი ის გრძნობა იქნება, რომელიც ადამიანებს გაიტაცებს ერთობისაკენ, მისი ფორმაც ყველასათვის გასაგები გახდება. ამიტომაც ხელოვნების იდეალი იქნება არა მხოლოდ ზოგთათვის მისაწვდომი განსაკუთრებული გრძნობები, არამედ ყველასათვის გასაგები და ჩვეული, არა ბუნდოვანი და გაუგებარი ფორმები, არამედ სხარტი, ცხადი და სადა. და მხოლოდ მაშინ, როცა ხელოვნება ასეთი გახდება, ის აღარ იქნება ხალხის გამართობი და გამრყენელი, როგორც დღეს, აღარ დაიხარჯება მასზე საუკეთესო ძალები, იგი გადაიქცევა იმ იარაღად, რომელიც რელიგიურ ქრისტიანულ ცნობიერებას გონებისა და განსჯის სამყაროდან გრძნობების სამყაროში გადაიყვანს, რისი მეოხებითაც ხალხს მიუახლოებს იმ სრულყოფასა და ერთიანობას, რასაც მას კარნახობს რელიგიური ცნობიერება.



ქართული
ენების ინსტიტუტი

L'ILLUSTRATION

SAMEDI 1 FÉVRIER 1870



ბოლნისი

ფრანგი მხატვრის პერი ტირიას გრავიურა

თარგმნა ელზა ბახტაძემ

სიტყვა წარმოთქმული დიდ თეატრში გაერთიანულ სსსრ-ში 1960 წლის 19 ნოემბერს

თითქმის ნახევარი დეკადის წინა გზა გამოვიარე მე, ამერიკელმა, რათა მოკლე, მაგრამ გულიდან წამოსულ სიტყვაში უკვდავი ტოლსტოისთვის მიშეგო ის დიდი აღტაცება, რასაც აგერ თითქმის ნახევარი საუკუნეა გულით ვატარებ.

იქნებ შეძლოთ და წარმოიდგინოთ, როგორი ვიქნებოდი მე ამ ორმოცდაათიოდე წლის წინათ — ეს-ეს არის წამოჩიტილი ყმაწვილი კაცი, აღსავსე მაღალი იდეალებით ცხოვრებაზე და ადამიანთა ბედ-იღბალზე. რომ იცოდეთ, რა მშვენიერი წარმოედგინა ამ ყმაწვილს ეს ქვეყანა! რა სხივდანიანობით ბედნიერებით გარემოსილი ეჩვენებოდა ადამიანები, არადა, რაოდენი ტანჯვითა და ვაებით არის სავსე წუთისოფელი! გაბსოვდეთ, ახალგაზრდები განსაკუთრებულად განიცდიან უსამართლობას, მახლობელთა ბედუკუდმართობას, ცხოვრების სიძნელეებს. სიყმაწვილიდანვე ვემსხვერპლე ხელოვნებას და ამიტომაც ჯერ კიდევ მაშინ ბევრს ვფიქრობდი მის მიზანსა და დანიშნულებაზე, თვით ცხოვრების მიზანზეც და აი, ერთხელ... — ახლა კი ნება მიბოძეთ, ის წლები მეხსიერებაში აღვიდგინო, გაგკადნიერდე და რამდენიმე წლის წინ დაწერილი ავტობიოგრაფია მოვიშველიო:

„ერთხელ თაროდან კვლავ გადმოვიღე წიგნი „რა არის ხელოვნება?“ ჩავუჯექი, ვკითხულობ და უცებ თითქოს რაღაცის გამოთქმის სურვილი დამებადა, თითქოს რომელიღაც ღვთაება ალაპარაკდა ჩემს არსებაში და ის ქაოსი, რაც აქამდე ჩემს ტვინს, გულსა და სინდისს დაუფლებოდა, სრულად განაქრო და ჩამოყალიბებულ, გონიერ და მიზანდასახულ ადამიანად მაქცია“.

„ჩვენს დროში ხელოვნების დანიშნულებაა — გონების სფეროდან გრძნობის სფეროში გადარგოს ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ ადამიანთა კეთილდღეობა მათ ერთიანობაშია და დღევანდელი ძალადობის ქვეყანაში დაამკვიდროს ის ღვთიური, ე. ი. სიყვარულის საუფლო, რაც ჩვენ, ყველას, კაცობრიობის უწმინდეს და უმთავრეს მიზნად მიგვაჩნია.“


იქნებ მომავალში მეცნიერებამ კიდევ ახალ უმაღლეს იდეალებს აზიაროს ხელოვნება, რომელიც თავის მხრივ ეცდება ხორცი შეასხას ამ იდეალებს. მაგრამ დღესდღეობით ხელოვნების დანიშნულება ნათელი და განსაზღვრულია — ქრისტიანული ხელოვნების ვალია, ძმური ერთიანობა დაამკვიდროს ადამიანთა შორის“.

მე უკვე სრულად შევიცანი, რომ ხელოვნების არსი ადამიანის, როგორც საზოგადოებრივი ერთეულის, არსებობის პირობებთან უწყვეტ კავშირში მდგომარეობს და ცოდნის გასაღრმავებლად კვლავ მივმართე ჩემს მოძღვარს ტოლსტოის. მისი რჩეული თხზულებების ორტომეულში წამოჭრილმა საზოგადოებრივმა, ზნეობრივმა თუ რელიგიურმა საკითხებმა საბოლოოდ ჩამოაყალიბა და ნათელი მოჰფინა იმ აზრებს, რაც გამიღვიძა ტრაქტატმა „რა არის ხელოვნება?“ გულწრფელად ვუჭერდი მხარს ხალხისადმი ტოლსტოის მხურვალე მოწოდებას, ეცხოვრათ ძმურად და მშვიდობიანად; სრულად, უსიტყვოდ მიჰყოლოდნენ ქრისტეს მოძღვრებას — „ვინც შრომობს, მხოლოდ ის არის სამაგალითო კაცთა შორის“.

მას შემდეგ ექვსი ათეული წელი გავიდა და თუმცა ამ ხნის მანძილზე ძალიან დავსორდი ტოლსტოისეულ სახარებას და ჩვენი მშობლიური რელიგიის ლოცვის სიტყვებით რომ ვთქვა, „ვიქ-მოდი იმას, რაც არ უნდა მექმნა და არ ვიქმოდი იმას, რაც უნდა მექმნა“, მაინც ტოლსტოისეული არაერთი ზნეობრივი დოგმატი აღმოჩნდა წინასწარმეტყველური და ჩვენი დროისათვის შესაფერისი, რამეთუ დღეს მთავარი მიზანი არა მხოლოდ ხელოვნებისთვის, არამედ ადამიანის სულის ყოველი გამოვლენისთვის არის სწორედ ადამიანთა „ძმური ერთიანობის“ დამკვიდრება.

ტოლსტოის „ქრისტიანული“ მორალი რაც არ უნდა მიუღებელი იყოს რევოლუციური გარდაქმნებისთვის, მაინც არის აწ უკვე ყველასათვის ახლობელი კომუნისტური საზოგადოების მორალური კოდექსის პირველსახე.

ამგვარად, მე ახლა ქებას ვასხამ არა მსოფლიოში სახელგანთქმულ მწერალს, არამედ მართოსულ, ზოგჯერ დაშვირებულსა და თითქმის დაფიწყებულ „ქრისტიანულ“ მორალისტს ლევ ტოლსტოის. ქედს ვიხრი წინასწარმეტყველ ლევ ტოლსტოის წინაშე, ვინც მშვიდობასა და ხალხთა შორის ძმობას ქადაგებდა. დროა, დედამიწის ხალხებმა ისმინონ და გულის კარი გაუღონ მის მოძღვრებას! დაე, დიდ ტოლსტოის უკვდავ ძეგლად ედგას მშვიდობა მთელს მსოფლიოში!



ტოლსტოი

როკუელ კენტის ნახატი (იტალიური ფანქარი, თეთრა). 1968

ფრაგმენტები დღიურიდან

თარგმანა სოსო სივუაძე

1893 წელი

3 ნოემბერი. იასნაია პოლიანა. უკვე მეორე თუ მესამე კვირაა მაშასთან¹ ერთად ვცხოვრობთ. ძალიან კარგად ვართ. იგი სავსებით დამშვიდდა. ლიოვა² საზღვარგარეთ მიემგზავრება. კარგად ვერაა. „Le salut est en vous“³ გამოვიდა. დავამთავრე წერილი რელიგიაზე. დავწერე „ტულონი“, მაგრამ არ ვაგზავნი. ამ დღეებში ცოტას ვფიქრობდი და რასაც ვფიქრობდი, ისიც არ ჩამიწერია. ჩავნიშნე მხოლოდ შემდეგი:

... იცხოვრე ისე, თითქოს ეს შენი სიცოცხლის უკანასკნელი საათი იყოს. მაშინ ყველაზე მთავარის გაკეთებას მოასწრებ და ამასთან ერთად საკუთარ საქმესაც უსასრულოდ განაგრძობ.

ნურასოდეს იფიქრებ, თითქოს არავინ გიყვარს, ან არავის უყვარხარ. ამით მხოლოდ დაირღვევა მარადიული სიყვარული შენსა და ხალხს შორის. შენ უნდა ეცადო იმის აღმოფხვრას, რაც ხელს უშლის ხალხთან ამ მარადიულ კავშირს.

დღეს 1893 წლის **22 დეკემბერია**. თვეზე მეტია, რაც მოსკოვში ვიმყოფები და არაფერი დამიწერია. საძაგელ გუნებაზე ვარ. მიჭირს თავის დაძლევა. მინდა რაიმე გმირული მოვიმოქმედო. მინდა დარჩენილი სიცოცხლის დღენი ღვთის სამსახურს შევწირო. მაგრამ ღმერთს არ ვუნდივარ. და მე ვდრტვინავ. ეს წიგნებით ვაჭრობა. ეს უნებობრივი ჭუჭყი. ეს ფუსფუსი. არ ძალმიძს სევდის დაძლევა. მინდა ვეწამო, მინდა ჭეშმარიტებას ვყვიროდე, რომელიც შანთივით მწვავს.

ამ ხანებში ბევრი რამ მოხდა. ჯერ ერთი, რომ აქ ჩამომიყვანეს. სონია ისე იტანჯებოდა, ისე იქანცებოდა, როგორც მისი წერილიდან ჩანდა, რომ ავდექი და ჩამოვედი. მეორე, ეს-ეს არის ამიელის⁴ წიგნისათვის წინასიტყვა დავწერე. მესამე, ვაგრძელებ „ტულონზე“ მუშაობას⁵. მე იგი მიმძიმს, მაგრამ ვერ მივატოვებ. დავწერე კიდევ იგავეები, ოღონდ არ დამიმთავრებია. ლიოვასაგან კარგი წერილები მოგვდის. ეს ძალიან გვახარებს. გოგონებს არა უშავთ რა. მაშა მედიცინას ემსახურება, ტანია — ფერწერას. ამ დღეებში აქ იყო მუსიკოსი შორი. ვისაუბრეთ მუსიკაზე. მე პირველად გავერკვიე ხელოვნების, მათ შორის დრამატული ხელოვნების ჭეშმარიტ მნიშვნელობაში. ეს ყველაზე მთავარია, რასაც ამ დღეებში ვფიქრობდი.

1 მაშა — ლ. ტოლსტოის ქალიშვილი.

2 ლიოვა — ლ. ტოლსტოის ვაჟი.

3 ფრანგული თარგმანი ტრაქტატისა — „ღვთაების მეუფება თქვენში“, რომელიც პარიზში გამოვიდა ასეთი სათაურით — „ხსნა თქვენში“.

4 იგულისხმება ანრი ფრედერიკ ამიელის დღიურები.

5 თავდაპირველი სახელწოდება ანტიმილიტარისტული სტატისა — „ქრისტიანობა და პატრიოტიზმი“.


1894 წელი

გრინევა. უკვე თვე და ორი დღეა, რაც არაფერს ვწერ. დღეს 1894 წლის 24 იანვარია. გრინევა. ილუშას სახლში ვართ. ის კი საზღვარგარეთაა. ამ თვემ მძიმედ განვლო. მხოლოდ „ტულონს“ ვწერდი. საქმე ცოტა წინ წავწიე, მაგრამ საერთო მდგომარეობა მაინც მძიმეა. მნიშვნელოვანი ამბები. 1) სამი კვირის წინათ წერილი დავწერე ხილკოვსა და მის ბავშვებზე. პასუხს ველოდი და გახარებული ვიყავი ჩემი თავისუფლებით. ვერ იყო კარგი წერილი. საკუთარი დამოუკიდებლობის შეცნობა უფრო ჭარბობს, ვიდრე სიყვარულისა. 2) მუშაობისას, როცა წყალი მიმქონდა, ყინულზე დავეცი და მკერდში რაღაც მეტკინა. მას შემდეგ სისუსტე და სიკვდილის სიახლოვე უფრო საგრძნობი გახდა. 3) სულელი ვითარებაა ნატურალისტთა ყრილობაზე, რაც მე ძალიან არ მესიამოვნა. 4) მახრჩობს უაზრო, ნებიერი, ყალბი მოსკოვური ცხოვრება და განსაკუთრებით ცოლთან ურთიერთობის გაწყვეტა. მან ვერ შეძლო, შემდეგ კი არ მოინდომა ჩემი გაეგო. ეს ცოდვა მასაც ტანჯავს და მეც, უფრო მეტად მას. კარგი გოგონები მყავს. კიდევ ისინი და ლიოვა მამხიარულებენ. ლიოვა ბოლო ბარათში ჯავრობს ჩემზე, ჩემი საბაგელი ცხოვრების გამო, რომელსაც ბავშვებისათვის ზიანი მოაქვს. ვგრძნობ, რომ დამნაშავე ვარ. მაგრამ დამნაშავე ადრე ვიყავი. ახლა უკვე ვერაფერს გავაწყობ. რძალი სონია მარტო დარჩა. ჩვენ გადავწყვიტეთ მასთან მივსულიყავით. ისევ უნდა იწვალო, თავი მოაწყინო.

ღმერთო, მიშველე, მასწავლე, როგორ ვზიდო ეს ჯვარი. მე მზად ვიყავ სახრჩობელასთვის, საპყრობილესთვის, იმ ჯვრის საზიდად, მე რომ ვიცოდი. ეს კი სულ სხვა — ახალი რამაა და მე არ ვიცი, როგორ ვზიდო იგი. მისი სიახლე და მთავარი თავისებურება ისაა, რომ მე უნებლიეთ, იძულებით სალოსის მდგომარეობაში აღმოვჩნდი. ჩემი სიცოცხლით უნდა დავღუპო ის, რისთვისაც ვცხოვრობ, უკუფუბიძგო ხალხს იმ ჭეშმარიტებისაგან, რომლის ახსნა სიცოცხლეზე მეტად მიღირს. ეტყობა, აუტანელი ვარ. არ შემიძლია გავგლიჯო ის საზიზღარი აბლაბუდა, რომელიც მბორკავს. არა იმიტომ, ძალა არ შემწევს, არამედ ზნეობრივად არ შემიძლია. მე მეცოდება ის ობობები, ამ ქსელს რომ ქსოვდნენ. არა, მთავარი ისაა, რომ სულელი ვარ: არ მაქვს ჭეშმარიტი რწმენა და სიყვარული ღმერთისადმი — ჭეშმარიტებისადმი. მაგრამ ამ დროს ვინ მიყვარს, თუ არა ღმერთი — ჭეშმარიტება?

1909 წელი

12 იანვარი. ბევრი ვიფიქრე სამუშაოზე. ასე წერა — „იყო ნათელი საღამო, იდგა სურნელი“... არ შემიძლია. მე ხელთ მომცეს რუპორი და ვალდებული ვარ მას დავეუფლო, იმით ვისარგებლო. რაღაც მომაფიქრდა, არ ვიცი, გამომივა თუ არა. მინდა ვწერო ფორმის გარეშე, არა წერილი, მსჯელობა თუ მხატვრული ნაწარმოები, არამედ გამოვთქვა, ამოვანთხიო ის, რაც ძლიერ მალეღვებს. მე კი მაწამებს და მტანჯავს ჩვენი მდგომარეობის საშინელება და გამრყენელობა. მინდა ის დავწერო, რაც უნდა გამეკეთებინა.



4 თებერვალი. წავიკითხე არცბაშევი. ნიჭიერია, მაგრამ ეტყობა იგივე და-უდევრობა, უხეირო ლიტერატურული აღწერით გამოწვეული, განსაკუთრებით ბუნების აღწერისას. დიდი თუ პატარა ტალანტები პუშკინიდან და გოგოლიდან მოყოლებული ასე მუშაობენ: „აჰ, არ ვარგა, რაც შეიძლება უკეთ უნდა გაკეთდეს“. დღეს კი გაიძახიან: „ეჰ, არ ღირს, ასეც გამოდგება“.

არცბაშევს არამცთუ ტალანტი აქვს, აზრებიც გააჩნია. სამწუხაროდ, ცხოვრებისეულ საკითხებს ყველა ეს ხალხი და მათ შორის ისიც არაზუსტად, ქარაფ-შუტულად იცნობენ, და რაც წარსულის დიდ მოაზროვნეებს გაუკეთებიათ, იმის მიმართ საოცარ უვიცობას იჩენენ. ამგვარი მწერლები ხშირად თავიანთი გამბედაობისა და სიბრძნის წყალობით კადრულობენ ნაკლებად დაეჭვდნენ იმ ამბებში, რასაც მათი წრე აღიარებს და არც ის იციან, რომ არამცთუ მათი ეჭვები, არამედ ყველაფერი, რაც ამ ეჭვებიდან გამომდინარეობს, დიდი ხანია ნაფიქრი და გარკვეულია. ასე რომ ამ საკითხებში ამერიკას ვერავინ აღმოაჩენს... მოთხრობა „სისხლი“ მშვენიერია. კარგია „გოლოლობოვიც“, „კუპრიანი“ დამძიმებულია იმის დაუდევარი აღწერით, რაც ავტორმა არ იცის.

25 თებერვალი. ვკითხულობდი V. Hygo-ს. პროზა მშვენიერია, მაგრამ ლექსების ატანა არ შემიძლია.

5 მარტი. გოგოლს უზარმაზარი ნიჭი აქვს. მშვენიერი და ნაზი გული, მაგრამ მხდალი, გაუბედავი ჭკუა.

მისი ნიჭის საუკეთესო ქმნილებაა „ეტლი“, მისი გულის საუკეთესო ნაწარმოები — ზოგიერთი წერილთაგანი.

მორჩილება დაწესებული ცრურელიგიური მოძღვრებისადმი ეკლესიასა თუ სახელმწიფოში — ეს იყო მთელი მისი შემოქმედების ყველაზე დიდი უბედურება. კარგი იქნებოდა, რომ უბრალოდ ეცნო ყოველივე არსებული. ის კი ამას ამართლებდა, ამართლებდა არა თვითონ, არამედ სლავიანოფილი სოფისტების შემწეობით. თვითონ სოფისტი იყო და საკმაოდ ბალღური რწმენის სოფისტი. სურდა თავისი მხატვრული შემოქმედებისათვის რელიგიური მნიშვნელობა მიენიჭებინა — წერილი „რევიზორის“ შესახებ, „მკვდარი სულების“ მეორე ნაწილი და ა. შ. ამან კი გაუუარესა და დაუბნია აზრთა წყობა.

როცა თავის ნიჭს მიენდობა, მაშინ მშვენიერ, ჭეშმარიტ მხატვრულ ნაწარმოებს წერს. როცა ზნეობრივ-რელიგიურს მიჰყვება კვალად, მაშინაც კარგია და სასარგებლო. მაგრამ როგორც კი მოინდომებს თავის მხატვრულ ქმნილებებს რელიგიური მნიშვნელობა შესძინოს, საშინელი და საზიზღარი მონაჩიხი გამოუდის. ასეა „მკვდარი სულების“ მეორე ნაწილში და სხვ.

ყოველივე ამის მიზეზი კი ის განსწავთ, რომ ხელოვნებას მისთვის უცხო მნიშვნელობას მიაწერს.

23 აპრილი. წავიკითხე „საფეხურები“. უცნაური ენაა. ამისი თვითონაც უნდა გეშინოდეს. არარუსული, გამოგონილი, ბუნდოვანი, ხელოვნური, პირობითი და უსარგებლო სიტყვები, რომლებიც აზრის ახალ, ნაგულისხმევ ელფერს აღნიშნავენ. ეს სიტყვები შეიძლება საჭირო იყოს მხოლოდ მაშინ, როდესაც უსარგებლოზეა ლაპარაკი. ეს სიტყვები გამოიყენება და აზრი აქვს მხოლოდ მაშინ, როცა მკითხველს გამოცნობის სურვილი ექნება და თან წაემძღვარება ასეთი დამატება: „შენთვის ხომ გასაგებია, მე და შენ ხომ გვესმის ეს“.

9 მაისი. სადამოს ვკითხულობდი... კუპრინს. ძალიან ცუდია, ტლანტი. ასეთი სიბილწე არავის სჭირდება.

23 ივნისი. დროა გავიგოთ, რომ ხალხის სამსახური თუ გვინდა, უნდა იმუშაო grand monde-სათვის¹, მუშა ხალხისათვის და ის იყოლიო თვალწინ, როცა წერ.

23 ივლისი. წავიკითხე მშვენიერი მოთხრობა სიკვდილით დასჯაზე.

4 სექტემბერი. ხელოვნების ნაწარმოები მხოლოდ მაშინ არის ჭეშმარიტი, როდესაც ადამიანს მისი ალქმისას ჰგონია და არა მარტო ჰგონია, სინაარულსაც განიცდის, რომ ასეთი მშვენიერი რამ შექმნა. ეს უფრო მეტი ძალით მუსიკაში იგრძნობა. არსად ისე არ ჩანს ხელოვნების არსი, გაერთიანების მნიშვნელობა, როგორც აქ. ხელოვანის „მე“ ერწყმის ყველა ერთად გაერთიანებულ აღმქმელის „მეს“.

10 სექტემბერი. სალამოს ანდრეევს ვკითხულობდი. იგივე შთაბეჭდილებაა, ფრიად გარკვეული. ადრეული მოთხრობები კარგია, გვიანდელი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს.

14 ოქტომბერი. ვკითხულობდი ანდრეევს და საგულისხმო არაფერი დამამახსოვრდა... დავამთავრე ანდრეევი. მნიშვნელი უზომოდ დიდია მრიცხველზე?²...


ხელოვნების ნაწარმოები მხოლოდ მაშინაა ჭეშმარიტი, როდესაც აღმქმელს არ ძალუძს წარმოიდგინოს სხვა რამ, გარდა იმისა, რასაც ხედავს, რაც ესმის და გაეგება, როცა აღმქმელს ისეთი გრძნობა ეუფლება, თითქოს ეს ყველაფერი არაერთხელ განუცდია, ეს ყველაფერი დიდი ხანია იცოდა, ოღონდ არ შეეძლო გამოეთქვა, და აი ახლა უთხრეს. მთავარი ისაა, რომ, რაც მას ესმის, ხედავს ან გაეგება, სწორედ ისე უნდა იყოს, როგორც აღიქვამს და არა სხვაგვარად. თუ აღმქმელი გრძნობს, რომ ხელოვანის მიერ ნაჩვენები სხვაგვარადაც შეიძლება გამოიხატოს, ეს უკვე აღარ არის ხელოვნება.

არსებობს ორმაგი ხელოვნება: მუსიკა, დრამა, ნაწილობრივ — ფერწერა, სადაც აზრი — ხელოვნების ამოცანა — და შესრულება ერთმანეთს სცილდება. მუსიკაში კომპოზიცია და შესრულება, დრამაში — პიესის თხზვა და შესრულება, ნაწილობრივ ფერწერასა და პლასტიკურ ხელოვნებაში — ჩანაფიქრი და შესრულება. საერთოდ კი ილუსტრირება. სწორედ ამ ორმაგ ხელოვნებაში ყველაზე მეტად გვხვდება სიყალბე: ერთის მხრივ, მცდარი, უმნიშვნელო აზრი და მეორეს მხრივ — მუსიკოსთა, მსახიობთა ან მხატვართა მშვენიერი შესრულება. ეს განსაკუთრებით შეეხება დრამასა და მუსიკას. არიან დრამატურგები (მათ მიეკუთვნება ანდრეევიც) და კომპოზიტორები, რომელნიც არად აგდებენ შინაარსს, სიდიადეს, სიახლეს, დრამის ან მუსიკალური ნაწარმოების სიმართლეს და თავიანთ ქმნილებებს შესრულების ოსტატობას უმორჩილებენ.

19 ოქტომბერი. წავიკითხე „რუსული აზრი“, „თეთრი ცხენი“, „არყის ხე“³ და ლექსები. გადაუჭარბებლად უნდა ითქვას — საგიჟეთია. მე კი ამ მკითხველთა და მწერალთა შეხედულებებს დიდად ვაფასებ. სირცხვილია, ლევ ნიკოლაევიჩი!

10 ნოემბერი. სალამოთი გორკის ვკითხულობდი. კარგად იცნობს შავრაზმელ ხალხს. ენაც მშვენიერია. ხალხურ კილოკავსაც მიმართავს. მაგრამ ფსიქო-

¹ დიდი საზოგადოება (ფრანგ.).
² ტოლსტოი ხშირად აღარებდა ადამიანს წილადს, რომლის მრიცხველი პიროვნების ჭეშმარიტი ღირსება იყო, ხოლო მნიშვნელი — მისი აზრი საკუთარ თავზე.
³ „რუსულ აზრში“ დაბეჭდილი იყო ა. რობინის მოთხრობა „თეთრი ცხენი“, ფ. სოლოგუბის „არყის ხე“, ა. ბლოკის ლექსები და სხვ.



ლოგია სავსებით თვითნებურია და გაუმართლებელი. თავის გმირებს შიშვერს ჰეროიკულ გრძნობებს, აზრებს და მეტიხმეტად უზნეო გარემოს ასახავს. თანაც მეტიხმეტი მოწიწებით ეკიდება მეცნიერებას...

1910 წელი

- 11 თებერვალი. გადავიკითხე დოსტოევსკი — ის არ არის, რასაც ველოდი.
- 25 მარტი. ძალიან ძლიერია კოროლენკოს სტატია სიკვდილით დასჯაზე.
- 26 მარტი. სალამოთი ვკითხულობდი კოროლენკოს სტატიას. მშვენიერია. თავი ვერ შევიკავე და ავტირდი. კოროლენკოს წერილი მივწერე.
- 21 აპრილი. ანდრეევი ჩამოვიდა. ნაკლებ საინტერესოა, მაგრამ სასიამოვნო, კეთილი მოქცევა აქვს. სიდიინჯე აკლია.
- 22 აპრილი. მერე ვისაუბრე ანდრეევთან. ცხოვრებას სერიოზულად არ ეკიდება და, სხვათა შორის, ზედაპირულად ეხება მას.
- 1 ივნისი. ჩერნიშევსკის ვკითხულობდი. ფრიად ყურადსაღებია იმ ადამიანთა მოურიდელები და უხეში გაკიცხვა, რომლებიც მისგან განსხვავებულად ფიქრობენ.
- 16 ივნისი. ვკითხულობდი კუპრინს. ძალიან ნიჭიერია. „წითელა“ არ გამოუვიდა, მაგრამ სახეები ნათელია, უბრალო, მართალი....
- 21 ივნისი. ორლენიევმა ნიკიტინი წაიკითხა. ჩემთვის უცხოა.
- 8 ივლისი. Mille-ს მოთხრობა „Repos hebdomadaire“¹ მშვენიერია.
- 10 ივლისი. წავიკითხე სალომონის² უაზრო, გაბლენძილი სტატია „Retour de l'enfant prodigue“ და მილის წარმტაცი მოთხრობა.
- 6 აგვისტო. კოროლენკო ჩამოვიდა. ძალიან სასიამოვნო, ჭკვიანი და კარგად მოლაპარაკე კაცია.
- 7 აგვისტო. კოროლენკო დილით სასეირნოდ მივიპატიჟე და კარგად ვისაუბრეთ. ის ჭკვიანია, მაგრამ მეცნიერებას ბრმად ემორჩილება.
- 20 სექტემბერი. კუპრინსკის³ წიგნი ძალიან კარგი იქნებოდა, გადამლაშებული რომ არ იყოს.
- 29 სექტემბერი. რა საშინელი გონებრივი საწამლავია თანამედროვე ლიტერატურა, განსაკუთრებით ხალხიდან გამოსული ახალგაზრდებისათვის. ჯერ ერთი, ისინი მეხსიერებას იტენიან იმ მწერლების ბუნდოვანი, თვითდაჯერებული, უაზრო ლაყბობით, რომლებიც თანამედროვეთათვის წერენ. ამ ლაყბობის ყველაზე დამახასიათებელი და მავნე თვისება ის არის, რომ მთლიანად შედგება სულ სხვადასხვა, ყველაზე ახალი თუ ძველი მწერლების მინიშნებებისა და ციტატებისაგან. ციტირებულია პლატონი, ჰეგელი, დარვინი, რომლებზეც მწერლებს წარმოდგენაც არა აქვთ, ხოლო იქვე მოტანილია გორკის, ანდრეევის, არციბაშე-

1 პ. მილი. ნაწყვეტი მისი ერთ-ერთი მოთხრობიდან.
 2 შ. სალომონი — ფრანგი მთარგმნელი.
 3 ფ. კუპრინსკი — „ომის საშინელება“.

ვის თუ სხვათა სიტყვები, რომელთა შესახებ არც ღირს იქონით რაიმე შეხედულება. მეორეც, ეს ლაყბობა იმითაც მავნებელია, რომ თავში აღარც ადგილი რჩებათ და არც თავისუფალი დრო აქვთ ამ ახალგაზრდებს გაეცნონ ათი, ასო თუ ათასი წლის წინანდელ მწერლებს, რომლებმაც გამოცდას გაუძლეს.

1 ოქტომბერი. მე ისევ წავიკითხე მოპასანი. „ოჯახი“ — დიდებულია.

2 ოქტომბერი. ... ღამით ძალიან კარგად, ნათლად ვფიქრობდი იმაზე, თუ რა კარგი იქნებოდა მხატვრულად გამომეხატა მთელი უხამსობა იდუარა და ჩინოვნიკთა კლასებისა, მუშა გლეხობისა და მათ შორის — თუნდაც თითო-თითო სახე სულიერად ცოცხალი ადამიანისა, შეიძლებოდა ქალისაც და კაცისაც. ო, რა კარგი იქნებოდა მართლა. თანაც როგორ მიზიდავს ეს ამბავი. რა დიდი ნაწარმოები შეიძლება ყოფილიყო. ჰოდა, ვფიქრობ ამაზე ისე, რომ შედეგები არ მიგულისხმია, ისე როგორც ყოველი ნამდვილი საქმისა თუ ნამდვილი მხატვრული ნაწარმოების შექმნისას უნდა ხდებოდეს. ო, რა კარგი იქნებოდა. გუშინ მოპასანის მოთხრობის კითხვამ აღმიძრა ეს სურვილი — გამომეხატა ცხოვრების უხამსობა, როგორც მე ვიცნობ მას, ხოლო ღამით მომაფიქრდა ამ უხამსობის გარემოში შემეყვანა სულიერად ცოცხალი ადამიანი. ო, რა კარგია!

12 ოქტომბერი. ... ვკითხულობდი დოსტოევსკის. კარგი აღწერები აქვს, თუმცა ხელს უშლის გაჭიანურებული, ნაკლებად სასაცილო ხუმრობები. საუბარიც აუტანელია, ყოველად არაბუნებრივი.

18 ოქტომბერი. ვკითხულობდი დოსტოევსკის და გამაოცა მისმა დაუდევრობამ, ხელოვნურობამ, ნაძალადეობამ.

19 ოქტომბერი. ბოლომდე ჩავიკითხე, ჩავათვალიერე კარამაზოვების პირველი ტომი. ბევრი რამ კარგია, მაგრამ ბევრიც შეუსაბამო. დიდი ინკვიზიტორი და ზოსიმეს გამომშვიდობება...


□

ნ ე რ ი ლ ე ბ ი

თარგმნა დოდო სანიკიძემ

„ესპერანტისტებს“

მოწყალო ხელმწიფენო!
მივიღე თქვენი წერილები და შევეცდები, როგორც ძალმიძს, აღვასრულო თქვენი სურვილი, ე. ი. გამოვთქვა ჩემი აზრი საერთო-სახალხო ენის იდეაზე და იმაზე, თუ რამდენად შეესატყვისება ესპერანტოს ენა ამ იდეას.




ის გარემოება, რომ ადამიანები ილტვიან ერთი სამწყსოს შესატყნველად, რომელსაც სათავეში ერთი მწყემსი უდგას გონიერებისა და სიყვარულისა და რომ საამისოდ ერთ-ერთი ყველაზე უახლოესი წინა-საფეხური სწორედ ხალხთა ურთიერთგაგება უნდა იყოს, ეჭვს არ იწვევს. იმისათვის კი, რომ ადამიანებმა ერთმანეთს გაუგონ, საჭიროა ან ყველა ენა თავისთავად შეირწყას ერთ ენად (რაც, თუ ოდესმე მოხდა, დიდი ხნის შემდეგ მოხდება), ან ყოველი ენა ისე გავრცელდეს, რომ არა მარტო ყოველი ნაწარმოები ითარგმნოს ყოველ ენაზე, არამედ ყოველი ადამიანი ფლობდეს იმდენ ენას, რომ თითოეულს შეეძლოს ამა თუ იმ ენაზე სხვებთან ურთიერთობა, ანდა ყველამ ერთი ენა აირჩიოს, რომელსაც ყოველი ხალხი აუცილებლად შეისწავლის, ან კიდევ (როგორც ვოლაპუკისტები გვთავაზობენ) სხვადასხვა ხალხმა შექმნას ერთი საერთაშორისო, გაადვილებული ენა და ყველამ ეს ენა შეისწავლოს. სწორედ ეს არის ესპერანტისტების იდეა. ვგონებ, ეს ბოლო ვარაუდი ყველაზე უფრო გონივრულია და, რაც მთავარია, ყველაზე უფრო ადვილად განსახორციელებელი.

ასე ვპასუხობ თქვენს პირველ კითხვას. მეორე კითხვაზე — რამდენად აკმაყოფილებს ესპერანტოს ენა საერთაშორისო ენის მოთხოვნებს — გადაწყვეტილად ვერაფერს გეტყვით. საამისოდ უფლებამოსილი არ გახლავართ. ერთი, რაც ვიცი, ისაა, რომ ვოლაპუკი მეტად ძნელი მეჩვენა, ესპერანტო კი პირიქით, მეტად ადვილი, ისეთი, როგორც ნებისმიერ ევროპელს მოეჩვენებოდა (ვგონებ, ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობისათვის, ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით, ე. ი. იმისათვის, რომ გავაერთიანოთ ჩინელები, აფრიკელი და ა. შ. ხალხები, საჭირო გახდება სხვა ენა, ევროპული კაცობრიობისათვის კი ესპერანტო მეტისმეტად იოლია). იგი იმდენად იოლია შესასწავლად, რომ ექვსი წლის წინათ მიღებულ ესპერანტოს გრამატიკასა, ლექსიკონსა და ამ ენაზე დაწერილ სტატიებზე არაუმეტეს ორი საათის მეცადინეობა დამჭირდა და ისე ავითვისე, წერისა რა მოგახსენოთ, კითხვით კი თავისუფლად ვკითხულობდი.

ყოველ შემთხვევაში, მსხვერპლი, რასაც ჩვენი ევროპული სამყაროს წარმომადგენელი გაიღებს, რათა რაღაც გარკვეული დრო შესწიროს ესპერანტოს შესწავლას, ისე უმნიშვნელოა, ხოლო შედეგი, რასაც ამით მივიღებთ, თუნდაც მარტო ევროპელებმა და ამერიკელებმა — ყველა ქრისტიანმა — შეისწავლონ ეს ენა, ისე დიდზე დიდია, რომ არ შეიძლება ცდა დააკლოს კაცმა. მე მუდამ იმ აზრისა ვიყავი, რომ არ არსებობს ენების ცოდნაზე უფრო ქრისტიანული მეცნიერება, იმ ცოდნაზე, რომელიც რაც შეიძლება მეტ ადამიანთან ურთიერთობისა და ერთობის საშუალებას იძლევა.

არაერთგზის მინახავს, როგორ გადამტერებია ხალხები ერთმანეთს მარტო-ოდენ იმის გამო, რომ მექანიკური დაბრკოლება შეხვედრიათ ურთიერთგაგების გზაზე. სწორედ ამიტომ, ესპერანტოს შესწავლა და მისი გავრცელება უცილობლად ქრისტიანული საქმეა, რომელიც ხელს შეუწყობს უფლის სასუფევლის დამკვიდრებას, იმ საქმეს, რაც ადამიანის მთავარ და ერთადერთ დანიშნულებას შეადგენს.

(1874 წ. აპრილის 27)



ალექსანდრე III-ს*

(1881 წ. მარტი. იასნაია პოლიანა)

თქვენო საიმპერატორო უდიდებულესობავ!

მე, ერთი პატარა, უცნობი და სუსტი, რიოში კაცი წერილს ვწერ რუს იმპერატორს და ვურჩევ, რა უნდა გააკეთოს ამ ყველაზე რთულ, მძიმე პირობებში, რაც კი ოდესმე ყოფილა. ვგრძნობ, რა უცნაურად, ურიგოდ, უტიფრად ვიქცევი, მაგრამ მაინც ვწერ. თანაც გულში ვფიქრობ: დავწერ, მაგრამ ვის სჭირდება ჩემი წერილი, არც წაიკითხავენ, ანდა წაიკითხავენ და დაასკვნიან, რომ ეს საზიანოა და დანსჯიან ამის გამო. აი, ყველაფერი, რაც შეიძლება მოხდეს. და ამაში არაფერი იქნება ისეთი, რისი მონანიებაც მომიწევს. მაგრამ თუ არ დავწერე და შემდეგ გავიგე, რომ არავინ უთხრა მეფეს ის, რისი თქმაც მე მიხლდა, ხოლო მეფე მაშინ, როცა უკვე აღარაფრის შეცვლა აღარ იქნება შესაძლებელი, გაიფიქრებს და იტყვის: „ეს რომ დროზე ვინმეს ეთქვა ჩემთვის!“ — ეს თუ მოხდა, მაშინ მარად სანანებელი მექნება, რომ არ დავწერე ის, რასაც ვფიქრობდი, ამიტომაც ვწერ თქვენს უდიდებულესობას იმას, რასაც ვფიქრობ.

ერთი ყრუ სოფლიდან ვწერ და დანამდვილებითაც არაფერი ვიცი. ის, რაც ვიცი, ვიცი გაზეთებიდან და ყურმოკრული ამბებიდანაც და. ალბათ არაფრის-მთქმელ წვრილმანებს ვწერ იმაზე, რაც საერთოდ არ არსებობს. მაშინ, ღვთის გულისათვის, მაპატიეთ ეს თავდაჯერებულობა და გწამდეთ, იმიტომ კი არ ვწერ, დიდი წარმოდგენისა ვიყო საკუთარ თავზე, მხოლოდ იმიტომ, რომ ისე ბრალიანი ვარ ყველას წინაშე, ახალი დანაშაულისა მეშინია, თუკი არ გავაკეთებ იმას, რაც შემეძლო და რაც უნდა გამეკეთებინა.

ჩემს წერილს არ ექნება ის ტონი, როგორცაც საერთოდ იწერება წერილები ხელმწიფისადმი — ყალბი მჭევრმეტყველებითა და პირმოთნეობით შეფერილი, რაიც მარტოოდენ აბუნდოვანებს გრძნობებსაც და აზრებსაც; უბრალოდ მოგწერთ, როგორც ადამიანი ადამიანს.

ჭეშმარიტი გრძნობები ჩემი თქვენდამი პატივისცემისა, როგორც ადამიანისა და მეფისადმი, უფრო თვალსაჩინო იქნება ამ სამკაულთა გარეშე.

მამათქვენი, რუსთა ხელმწიფე, უამრავი სიკეთის მქნელი და კაცთათვის მუდამაც სიკეთის მოსურნე, მოხუცი, გულმოწყალე კაცი, უღვთოდ დაასახიჩრეს და მოკლეს პირადმა მტრებმა კი არა, მტრებმა საგანთა არსებულ რიგისა. მოკლეს თითქოსდა კაცობრიობის კეთილდღეობისათვის.

ამჟამად თქვენ ბრძანდებით მის ადგილას და თქვენს წინაშე ის მტრები

* დიდხანს მოგზაურობდა ეს წერილი... ლევ ნიკოლოზის ძემ იგი ჯერ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე სტრახოვის მეშვეობით გადასცა კ. პ. პობედონოსცევს, თან პირადი თხოვნაც დააყოლა ამ მნიშვნელოვანი დავალების შესრულების თაობაზე. პობედონოსცევმა წერილი სტრახოვს დაუბრუნა უარით, ხელმწიფეს ვერ გადავცემო. მაშინ სტრახოვმა პროფესორ კ. ბესტიუჟევ-რიუმინის მეშვეობით ტოლსტოის წერილი გადასცა დიდ თავადს სერგეი ალექსანდრეს ძეს, რათა ალექსანდრე III-სათვის გადაეცა. წერილი გადასცეს მეფეს, მაგრამ მისი შემდგომი ბედის შესახებ არაფერია ცნობილი.

(პ. ი. ბირიუკოვი, „ლევ ნიკოლოზის ძე ტოლსტოი“, ტ. II).

არიან, რომელთაც ცხოვრება მოუწამლეს მამათქვენს და მოკლეს იგი. ისინი თქვენი მტრებიც არიან, რაკილა მამათქვენის ადგილი გიჭირავთ. იმ თავიანთი მოჩვენებითი საერთო კეთილდღეობისათვის, რასაც ისინი ჰემიებენ, ალბათ თქვენს მოკვლასაც განიზრახავენ.

ამ ხალხის მიმართ, როგორც მამათქვენის მკვლელთა მიმართ, ცხადია, შურისძიების გრძნობა გიძევთ გულში, თანაც შიშის გრძნობა იმ მოვალეობისა გამო, რაც თქვენ უნდა იტვირთოთ. უფრო თავზარდამცემი მდგომარეობის წარმოდგენა შეუძლებელია, თავზარდამცემისა იმიტომ, რომ შეუძლებელია არსებობდეს ბოროტების ამაზე უფრო ძლიერი საცთური. „მტრები მამულისა, ხალხისა, საძაგელი ბიჭბუჭები, უღვთო მხეცები, რომლებიც მყუდროებას ურღვევენ, ცხოვრებას უწამლავენ ჩემზე მონდობილ მილიონობით ადამიანს, მამაჩემის მკვლელნი! სხვა რა უნდა ვუყო მათ, თუ არა ის, რომ გავწმინდო ამ კეთროვანთაგან რუსეთის მიწა, გავსრისო ისინი, ვითარცა საზიზღარნი ქვეწარმავალნი? ამას მოითხოვს არა ჩემი პირადი გრძნობა, არა შურისძიება მამის მკვლელობისათვის, ამას მოითხოვს ჩემი მოვალეობა, ამას მოითხოვს ჩემგან მთელი რუსეთი“.

სწორედ ამ ცდუნებაშია თქვენი მდგომარეობის მთელი საშინელება. ვინაც



„აღდგომა“.
ჩეხი მხატვრის
იან იანკოვსკის
ილუსტრაცია

ბოლსტოი და მეფე
 უცნობი მხატვრის კარიკატურა

Politiska karrikatyren för dagen



Tolstoj och tsaren.

არ უნდა ვიყოთ ჩვენ, მეფენი თუ მწყემსნი, ჩვენ ადამიანები ვართ, ქრისტეს მოძღვრებით განათლებულნი.

არაფერს ვამბობ თქვენს, როგორც მეფის, მოვალეობებზე. მეფის მოვალეობათა უწინარესი ადამიანის მოვალეობანია — იგი ღიბოდ უნდა ედოს მეფის მოვალეობებს, მასთან უნდა იყოს თანაზიარი.

უფალი არ მოგკითხავთ მეფის თუ მეფურ მოვალეობათა აღსრულებას, — ადამიანურ მოვალეობათა აღსრულებას მოგკითხავთ. სავალალოა თქვენი მდგომარეობა, მაგრამ სწორედ ამიტომ არის საჭირო ქრისტეს მოძღვრება, მან უნდა გვიწინამძღვროს ცთუნებათა იმ საზარელ ჟამს, ადამიანს რომ წილად ხვდომია. თქვენ ყველაზე უფრო საშინელი საცთური გერგოთ, მაგრამ რაც არ უნდა საზარე იყოს იგი, ქრისტეს მოძღვრებით მაინც დაირღვევა: ცთუნებათა მთელი ბადე, რაც თქვენს ირგვლივ არის მოზარდნილი, მტვერივით განქარდება, თუ კაცი ღვთის ნებას აღასრულებს.

მათე. 5, 43: გესმა, რამეთუ თქმულ არს: შეიყუარო მოყუასი შენი და მოძულ მოძერი შენი; მე კი გეუბნებით თქვენ: შეიყვარეთ მტრები თქვენი... გააღმერთეთ მოძულენი თქვენი... და იქნებით ძენი მამისა თქვენისა ცისიერისა.



მათე. 5, 38: გესმა, რამეთუ თქმულ არს: თუალი თუალისა წილ და კბილი კბილისა წილ... მე კი გეუბნებით: ნუ უძალიანდებით ბოროტს.

მათე. 18, 22: არა გეტყვი შენ ვიდრე შვიდ გზისამდე, არამედ ვიდრე სამეოც და ათ შვიდ გზის. „არ შეიძულო მტერი, განადიდე იგი, ნუ აღუდგები ბოროტებას, პატიება ნუ მოგწყინდება“ — ეს ადამიანისადმი არის თქმული და ყოველ ადამიანს ძალუმს მისი აღსრულება. და არავითარ მეფურ თუ სახელმწიფოებრივ მოსაზრებას არ ძალუმს ამ მცნებათა დარღვევა.

მათე. 5, 19: უკუეთუ ვინმე დახსნეს ერთი მცნებათა ამათგანი უმცირესთა და ასწავოს ესრეთ კაცთა, უმცირეს ეწოდოს მას სასუფეველსა ცათასა; ხოლო რომელმან ყოს და ასწავოს, ამას დიდ ერქუას სასუფეველსა ცათასა.

მათე. 7, 24: ყოველმან, რომელმან ისმინნეს სიტყუანი ესე ჩემნი, და ყვნეს იგინი, ვამსგავსო იგი კაცსა გონიერსა, რომელმან აღაშენა სახლი თვისი კლდესა ზედა. (25). და გარდამოხდა წვიმაჲ, მოვიდეს მდინარენი, ქროდეს ქარნი. და ეკუთნეს სახლსა მას, და არა დაეცა, რამეთუ დაფუძნებულ იყო კლდესა ზედა. (26). და ყოველმან, რომელმან ისმინნეს სიტყუანი ესე ჩემნი და არა ყვნეს იგინი, ემსგავსოს იგი კაცსა ცოფსა, რომელმან აღაშენა სახლი თვისი ქვიშასა ზედა. (27). და გარდამოხდა წვიმაჲ, მოვიდეს მდინარენი, ქროდეს ქარნი და ეკუთნეს სახლსა მას, და დაეცა. და იყო დაცემა იგი მისი დიდ ფრიად.

ვიცი, რომ ერთი კნინი და უბადრუკი, ცთუნებით აღსავსე კაცი ვარ, ათასწილ დიდი ცთუნებებით, ვიდრე თქვენ დაგატყდათ თავს, ჭეშმარიტებასა და სიკეთეს კი არა, მუდამ საცთურს მივსდევდი და სიშლევე და უტიფრობაა, რომ მე, ამ ბოროტებით აღვსილმა კაცმა, მოგთხოვოთ ის სიძლიერე სულისა, რომელსაც მაგალითი არა აქვს, მოგთხოვოთ, რომ თქვენ, რუსთა მეფემ და მოსიყვარულე შვილმა, მამის სიკვდილის შემდგომ, გარეშეთა ზეგავლენით მიუტევოთ მკვლელთა და ბოროტის წილ კეთილი მიაგოთ, ოღონდ არ ძალმიძს არ მქონდეს ეს სურვილი, არ შემიძლია არ დავინახო, რომ მიტევებისაკენ გადადგმული ყოველი თქვენი ნაბიჯი სიკეთისაკენ გადადგმული ნაბიჯია, ხოლო ყოველი ნაბიჯი დასჯისაკენ — ნაბიჯია ბოროტებისაკენ. ამის დაუნახაობა არაფრით არ ძალმიძს. მაგრამ სიმშვიდის წუთებში, ცთუნებათაგან თავდახსნილს, ჩემთვის როგორც მიმიედება და მთელი ძალებით სულისა მსურს სიყვარულის და სიკეთის გზის არჩევა, იგივე მსურს თქვენთვის და არ შემიძლია არ ვიმედოვნებდე, რომ თქვენც ისეთივე სრულყოფილებისაკენ მიდრეკებით, როგორითაც მამა თქვენი მორჩმულა ცათა შინა, რომ აღასრულებთ უდიადეს საქმეს მსოფლიოში — დასძლევთ ცთუნებას; და თქვენ, ხელმწიფეო, ქრისტეს მოძღვრების აღსრულების უდიადეს მაგალითს მისცემთ სამყაროს — მიაგებთ კეთილს ბოროტის წილ.

„მი აცეთ კეთილი ბოროტის წილ, ნუ უძალიანდებით ბოროტს, შე უნდეთ ყველას“.

ეს და მხოლოდ ეს უნდა აკეთოთ. ესაა ნება ღვთისა. შეგწევთ თუ არა საამისო ძალა, ეს სხვა საკითხია. მაგრამ მხოლოდ ეს უნდა ვსურდეთ, მხოლოდ ამისკენ უნდა ისწრაფოდეთ, მხოლოდ ეს უნდა ჩათვალოთ სათნოებად და იცოდეთ, რომ ყველა მოსაზრებანი ამის წინააღმდეგ — ცთუნებანია და სატყუარი და. რომ ეს ყოველივე უნიადაგოა, მერყევი და ზნელი.

მაგრამ გარდა იმისა, რომ ყოველი ადამიანი თავის ცხოვრებაში უნდა ხელმძღვანელობდეს და არც შეიძლება არ ხელმძღვანელობდეს სხვა რაიმეთი, თუ


არა ამ გამოსატყულებით ღვთის ნებისა, ამასთან ერთად. თქვენი ცხოვრებისათვის (და თქვენი ხალხისათვის) უფლის მცნებათა აღსრულება არის ყველაზე გონივრული ქმედებაც.

„ჭეშმარიტება და სიკეთე მუდამ ჭეშმარიტება და სიკეთეა, მიწაზეც და ზეცაშიაც. მივუტევოთ კაცობრიობისა და საღვთო სჯულის წინაშე ყველაზე უსაშინელეს დამნაშავეებს“. — ბევრს ეს, მეტი თუ არა, იდეალიზმად, უგუნურებად მოეჩვენება, ბევრსაც — ბოროტგანმზრახველობად. ისინი იტყვიან „მივუტევოთ კი არა, უნდა გავწმინდოთ ეს სიღამძლე, ცეცხლი უნდა შევუნთოთ“. მაგრამ საკმაოა, გულწრფელად ვალაპარაკოთ ისინი, რომლებიც ამას იტყვიან თავიანთი აზრისა და სიზღეგის დასამტკიცებლად, რომ ბოროტგანმზრახველობა მათ მხარეს აღმოჩნდეს.

ასე, 20 წლის წინათ გაჩნდა რადაცინაირი ბუდე ადამიანთა, ძირითადად ახალგაზრდებისა, რომელთაც სძულთ საგანთა არსებული რიგი და მთავრობა. ამ ადამიანებს წარმოდგენილი აქვთ რადაც სხვაგვარი რიგი საგანთა, ანდა სულაც არაფერი აქვთ წარმოდგენილი და ყოველგვარი უღვთო, არაადამიანური საშუალებებით — სანძრებით, ძარცვით, მკვლელობით ანგრევენ საგანთა არსებულ რიგს. 20 წელია ებრძვიან ამ ბუდეს და, როგორც საძმრე როფი, იგი გაბუდმებით წარმოქმნის ახალ მოღვაწეებს და აქამდე ეს ბუდე არათუ განადგურდა, კიდევ იზრდება, ეს ხალხი უკვე ისეთ მკაცრ და თავხედურ, ისეთ საზარელ საქმეებს აკეთებს, რომ აფერხებს სახელმწიფო ცხოვრების მიმდინარეობას.

ისინი, ვისაც ამ წყლულის წინააღმდეგ ბრძოლა გარეგანი, ზედაპირული მკურნალობით სურდათ, ორი სახის საშუალებას იყენებდნენ: ერთი იყო მუწუკის ხელალებით მოკვეთა, დასჯის სიმკაცრე, მეორე — თავის ნებაზე მიშვება ავადობისა, ან მისი წარმართვა. ეს იყო ლიბერალური ზომები, რასაც უნდა დაემოშმინებინა აფორიაქებული ძალები და დაეცხრო მტრულ ძალთა შემოტევა.

იმ ადამიანთათვის, რომლებიც მატერიალური მხრიდან უყურებდნენ საქმეს, არ არსებობს სხვა გზა — ან ალკვეთის გადამჭრელი ზომები, ან ლიბერალური შეღავათი. რა ხალხიც არ უნდა შეიკრიბოს და სადაც არ უნდა შეიკრიბოს იმაზე მსჯელობისათვის, თუ რა უნდა გაკეთდეს ამჟამინდელ ვითარებაში, ვინც არ უნდა იყვნენ ისინი, სასტუმრო ოთახში შეკრებილი ნაცნობები, სათათბიროს თუ წარმომადგენელთა კრების წევრები, თუკი ისინი ილაპარაკებენ იმაზე, თუ რისი ქმნაა საჭირო ბოროტების აღსაკვეთად, თავს ვერ დააღწევენ ამ ორ თვალსაზრისს: ან ალკვეთა — სიმკაცრე, სიკვდილით დასჯა, გადასახლება, პოლიცია, ცენზურისმიერი შევიწროება და ა. შ., ან ლიბერალური წაქეზება — თავისუფლება, სასჯელის რბილი ზომები, წარმომადგენლობითობაც კი, კონსტიტუცია, კრებები. ხალხს კიდევ ბევრი ახალი რამის თქმა შეუძლია როგორც ერთი, ისე მეორე რიგის ღონისძიებათა წვრილმანებზე, ბევრ რამეში ერთი და იგივე ბანაკის წარმომადგენლებიც ვერ შეთანხმდებიან, დაიწყებენ კამათს, მაგრამ ვერც ერთნი და ვერც მეორენი თავს ვერ დაიხსნიან — ერთნი კვლავ განაგრძობენ ბოროტების ძალდატანებითი ალკვეთის საშუალებათა ძიებას, ხოლო მეორენი ალკვეთის კი არა, შექმნილი მღელვარებისათვის გზის მიცემის ღონისძიებებს დასახავენ. ერთნი სნების განკურნებას შეუდგებიან თვით სნების საწინააღმდეგო მკვეთრი საშუალებებით, მეორენი კი სნებას არც დაუწყებენ წამლობას, ოღონდ შეეცდებიან შეუქმნან ორგანიზმს ყველაზე ხელსაყრელი, ჰიგიენური პირობები, იმ იმედით, რომ ავადობა თავისთავად განიკურნება. სავსე-




ბით შესაძლებელია, რომ ერთნიცა და მეორენიც მრავალ ახალ წინადადებას იტყვიან, მაგრამ ვერას იტყვიან გზიანს, რადგანაც ისინი უკვე იყო გამოყენებული და ვერც ერთმა, ვერც მეორემ ვერათუ განკურნა ავადმყოფი, რაიმე გავლენაც კი ვერ მოახდინა მასზე. ავადობა უფრო და უფრო გართულდა და აქამდე მოვიდა. ამიტომაც მიმაჩნია, რომ არ შეიძლება პოლიტიკურ საქმეებთან მიმართებით ღვთის ნების აღსრულებას ასე გადაჭრით დავარქვათ მეოცნებობა და სიშლეგე. ამ აღსრულებას, ამ წმიდათაწმიდას, კიდევ რომ შევხედოთ როგორც ცხოვრებისეულ, საერო ბოროტების წინააღმდეგ მიმართულ საშუალებას, მაშინაც კი არა ჯერ არს მისი სიძულვილი, მას შემდეგ, როცა ნათელია, რომ ყოველმა ცხოვრებისეულმა სიბრძნემ ვერაფერს უშველა და არც ძალუბს შველა. ავადმყოფს ხან ძლიერი წამლებით მკურნალობდნენ, ხანაც სულ არ აძლევდნენ ამ წამლებს, თავის ნებაზე მიუშვებდნენ და არც ერთმა, არც მეორე წესმა არ უშველა, სულ უფრო და უფრო ცუდად ხდებოდა. გვაქვს კიდევ ერთი საშუალება — წამალი, რაზედაც არაფერი იციან ექიმებმა, მეტად საოცარი წამალი. რატომ არ უნდა გამოვცადოთ იგი? ერთი მთავარი უპირატესობა, რაც ამ წამალს უცილობლად აქვს ყველა სხვასთან შედარებით, ისაა, რომ ყველა სხვა საშუალება უკვე გამოიყენეს, მაგრამ უშედეგოდ, ეს კი ჯერ არასოდეს გამოიყენებიათ.

მასების კეთილდღეობის სახელმწიფოებრივი აუცილებლობის სახელით უკვე მოსინჯეს შეეზღუდათ, გადაესახლებინათ, სიკვდილით დაესაჯათ დამნაშავენი, მასების კეთილდღეობის იმავე სახელმწიფოებრივი აუცილებლობის სახელით მოსინჯეს თავისუფლების მინიჭებაც, მაგრამ ყველაფერი ისევე დარჩა. მაშ, რატომ არ უნდა ვცადოთ და ღვთის სახელით აღვასრულოთ მარტოოდენ საღვთო სჯული ისე, რომ არც სახელმწიფო გვეფიქრებოდეს და არც მასების კეთილდღეობა? უფლის სახელით, საღვთო სჯულის აღსრულების სახელით არ შეიძლება იქმნას ბოროტება.


მეორე და ასევე უეჭველი უპირატესობა ამ ახალი საშუალებისა ისაა, რომ ის ორი წინანდელი საშუალება თვით თავიანთი არსით იყო მიუღებელი: ერთი მდგომარეობდა ძალმომრეობასა და სიკვდილით დასჯაში (რა სამართლიანიც არ უნდა იყოს ეს ღონისძიებანი, ყველამ იცის, რომ ეს ბოროტებაა), მეორე კი არცთუ ჭეშმარიტ, ნებაზე მიშვებულ თავისუფლებას წარმოადგენდა. მთავრობა ერთი ხელით იძლეოდა ამ თავისუფლებას, ხოლო მეორეთი იჭერდა მას. ამ ორი საშუალების გამოყენება, რა სასარგებლოც არ უნდა ჩანდეს ისინი სახელმწიფოსათვის, ცუდი იყო მათთვის, ვის მიმართაც გამოიყენებოდა. ახალი წამალი კი ისეთია, რომ არა მარტო ნიშნეულია ადამიანის სულისათვის, ამავე დროს უდიდეს სიხარულსა და ნეტარებასაც ანიჭებს მას.

მიტევება და ბოროტების წილ სიკეთის ქმნა თავისთავად სიკეთეა, ამიტომაც იმ ორი ძველი საშუალების გამოყენება უნდა სძაგდეს ქრისტიანულ სულს, სინანულით უნდა აღავსებდეს მას, მიტევება კი უდიადეს ნეტარებას ანიჭებს მიმტევებელს.

მესამე უპირატესობა ქრისტიანული შემწყნარებლობისა, მავნე ელემენტთა დათრგუნვასთან ან მათს წარმართვასთან შედარებით, ახლანდელ დროს ეხება და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. თქვენნი და რუსეთის ახლანდელი მდგომარეობა ისეთია, როგორც ავადმყოფის მდგომარეობაა კრიზისის ჟამს. ერთმა მცდარმა ნაბიჯმა, არასაჭირო ანდა მავნე წამალმა შეიძლება სამუდამოდ დაღუპოს ავადმყოფი. ზუსტად ასევე მცდარია ამჟამად მარტოოდენ ერთი ან მე-



მათივე სიყვარული და სიძულადობა
და სხვა მრავალმხრივი მახასიათებელი
საქმის დასრულება და მოხდა,
(განსაკუთრებით იმის დასრულება,
"The American Guardian")



ეს არაა მხოლოდ მხარე... ჩემთვის ეს მათი ხეობაა.

ბოლშევიკი და ნიკოლოზ II. მხატვარ ბარბის კარიკატურა



ორე აზრით მოქმედება: ბოროტების წილ სიკვდილით დასჯას, მკაცრ შურისძიებას ან წარმომადგენელთა გამოძახებას შეუძლია დააბრკოლოს მთელი მომავალი. ამჟამად, დამნაშავეთა გასამართლებისა და განსჯის ამ ორ კვირაში, გადანიდგმის ნაბიჯი, რომელიც გზაჯვარედინის სამ გზათაგან ერთს ამოირჩევს: ბოროტების ბოროტებით აღმოფხვრისა თუ ლიბერალური შემწყნარებლობის გზა, უკვე ორივე ნაცადია და უვარგისი. არის ახალი გზაც — მეფის, ვითარცა ადამიანის მიერ უფლის ნების ქრისტიანული აღსრულების გზა.

ხელმწიფო! რაღაც ავბედით, ამაზრზენ გაუგებრობათა გამო რევოლუციონერებს საშინელი სიძულვილი გაუჩნდათ თქვენი მამისადმი — სიძულვილი, რამაც ისინი მხეცურ მკვლელობამდე მიიყვანა. ეს სიძულვილი შეიძლება მასთან ერთად იქნას დამარხული. რევოლუციონერებს შეეძლოთ — თუმც უსამართლოდ — განესაჯათ იგი, ათეულობით თავისიანთა დაღუპვისათვის. მაგრამ თქვენ სუფთა ხარტ მთელი რუსეთისა და მათ წინაშე. თქვენს ხელებს სისხლი არა სცხია. უდანაშაულო მსხვერპლი ხარტ თქვენივე მდგომარეობისა. თქვენ სუფთა და წრფელი ხარტ საკუთარი თავისა და ღვთის წინაშე, მაგრამ თქვენ გზაჯვარედინზე დგახართ. რამდენიმე დღეც და, თუ გაიმარჯვებენ ისინი, ვინაც ამბობს და ფიქრობს, თითქოს ქრისტიანული ჭეშმარიტება მარტოოდენ ლაპარაკშია გამოსადეგი, სახელმწიფოებრივ ცხოვრებას კი სისხლის დაღვრა და სიკვდილის სუფევა სჭირდება, თქვენ სამუდამოდ დატოვებთ სიწმინდისა და ღმერთთან თანაზიარობის ამ უნეტარეს მდგომარეობას და დაადგებით სახელმწიფოებრივ აუცილებლობათა ბნელ გზას, რომელიც ყველაფერს, საღვთო სჯულის დარღვევასაც კი ამართლებს.

დამნაშავეებს თუ არ მიუტევებთ და დასჯით, იმას გააკეთებთ, რომ ასეულებს სამს და ოთხს გამოგლეჯთ, — ბოროტება კვლავ წამოიზრდება, თქვენ კი სამარადისოდ ხელიდან გაუშვებთ წამს, რაც საუკუნეზე ძვირფასია, წამს, როცა შეგეძლოთ აღსრულება უფლის ნებისა და არკი აღსრულებთ იგი. სამუდამოდ გაეცლებით იმ გზაჯვარედინს, სადაც შეგეძლოთ ბოროტის წილ კეთილი აგერჩიათ, და სამუდამოდაც ჩაეფლობით იმ ბოროტ საქმეებში, რაიც სახელმწიფო სარგებლობად იწოდება. მათე. 5, 25.

მიუტევეთ, ბოროტის წილ კეთილი მიაგეთ ბოროტმოქმედთა და ასეულობით დამნაშავიდან ათეულები გადმოვლენ — თქვენს მხარეს ან იმათ მხარეს კი არა, გადმოვლენ ეშმაკიდან ღმერთისაკენ. ათასობით, მილიონობით ადამიანს სიხარული მოიცავს და გული მოუღებება, როცა დაინახავენ ტახტიდან გარდამოვლენილ მაგალითს სიკეთისა, რაც მოკლული მამის შვილმა ქმნა ამ მისთვის მძიმე ჟამს.

ხელმწიფო! თქვენ რომ ასე მოქცეულიყავით — მოგესმით ისინი, მიგეცათ მათთვის ფული, გაგეგზავნათ სადმე ამერიკაში, დაგეწერათ მანიფესტი და ზედ ეს სიტყვები წაგეწერათ: ხოლო მე გეტყვით თქვენ, შეიყვარეთ მტერნი თქვენი — არ ვიცი, სხვები რას იზამდნენ, მე კი, ერთი ცუდი ქვეშევრდომთაგანი, უკვე თქვენი ძალი, თქვენი მონა ვიქნებოდი. გულაჩვილებით ვიტირებდი, როგორც აწ ვტირი მუდამ, როცა თქვენი სახელი მესმის. თუმცა რას ვამბობ — არ ვიცი, სხვები რას იზამდნენო. სწორედღაც ვიცი, რა მძლავრად იჩქეფებდა მთელს რუსეთში სიკეთე და სიყვარული ამ სიტყვებისმიერი.

ქრისტეს ჭეშმარიტებანი ხალხის გულში ცოცხლობენ, მარტოოდენ ისინი ცოცხლობენ და მარტოოდენ ამ ჭეშმარიტებათა გამო გვიყვარს ჩვენ ხალხი.




საქვეყნოდ აღიარეთ, მეფეო, ეს ჭეშმარიტებანი, სიტყვით კი არა, საქმით. მაგრამ იქნებ ეს მხოლოდ ოცნებაა და არაფრის გაკეთება არ შეიძლება? თუმცა სიმართლეა, რომ 1) უფრო სარწმუნოა იმ საშუალებათა წარმატება, რაც ჯერ არასოდეს უცდიათ, ვიდრე იმათი, რაც სცადეს და უვარგისი გამოდგას; რომ 2) ასეთი საქმე უეჭველად კარგია იმისთვის, ვინც მას აღასრულებს; რომ 3) თქვენ ამჟამად გზაჯვარედინზე დგახართ და ეს ერთადერთი წამია, როცა შეგიძლიათ ღვთისნიერად მოიქცეთ, და თუ ამ წამს ხელიდან გაუშვებთ, უკვე ველარასოდეს მოიბრუნებთ მას — თუმცა ეს ყოველივე სიმართლეა, მაგრამ მაინც იტყვიან: ეს შეუძლებელიაო, ამას თუ იზამ, სახელმწიფოს დალუპავო.

მაგრამ დავუშვათ, ადამიანები მიეჩვივნენ იმაზე ფიქრს, თითქოს ღვთიური ჭეშმარიტებანი მარტოოდენ სულიერი სამყაროს ჭეშმარიტებებია და ცხოვრებისეულს ვერ მიესადაგებიან. დავუშვათ, მკურნალნი იტყვიან: ჩვენ ვერ მივიღებთ ამ თქვენს წამალს, თუმცა ჯერ არც გამოგვიცდია და თავისთავად არც მაგნეა; ისიც მართალია, რომ ახლა კრიზისი გვიდგას, მაგრამ მაინც ვიცით — ეს არ არის საჩვენო წამალი და ცუდის მეტს არას მოგვიტანსო. იტყვიან: ქრისტიანული მიტევება და ბოროტის წილ კეთილის მიგება დიანაც კარგია ყოველი ადამიანისათვის, ოღონდ არა სახელმწიფოსათვის, სახელმწიფო მმართველობასთან ამ ჭეშმარიტებათა მისადაგება სახელმწიფოს დალუპავსო.

ხელმწიფეო, ეს ხომ სიცრუეა, უბოროტესი, მზაკვრული სიცრუე — თითქოს საღვთო სჯულის აღსრულება დალუპავს ხალხს. თუ იგი ხალხისათვის საღვთო სჯულია, მაშინ ყოველთვის და ყველგან საღვთო სჯულია და სხვა რამ კანონი არცაა უფლის ნების გარე. არ არსებობს უფრო მკრეხელური სიტყვა, ვიდრე თქმა ამისა: არ ვარგაო საღვთო სჯული. მაშინ ის არცაა საღვთო სჯული. მაგრამ დავუშვათ, დავივიწყეთ, რომ საღვთო სჯული ყოველთა კანონთა უპირატესია და მუდამ მისაღებია, — დავივიწყოთ ეს. კარგი: საღვთო სჯული უვარგისია და თუ მას აღვასრულებთ, უფრო დიდი ბოროტება გვექნება. თუკი ვაპატიებთ დამნაშავეთ, ყველას გავათავისუფლებთ ციხიდან და გადასახლებიდან, ამით უფრო მეტი ბოროტება წარმოიქმნება. კი მაგრამ, რატომ? ვინა თქვა ეს? რით დაამტკიცებთ ამას? მარტოოდენ თქვენი სიმხდალით. სხვა საბუთი არა გაქვთ. გარდა ამისა, თქვენ არცა გაქვთ უფლება უარყოთ რაიმე საშუალება, რაკი ყველასათვის ცნობილია, რომ თქვენი საშუალებანი უვარგისი გამოდგა.


ისინი იტყვიან: ყველას გაუშვებთ და ატყდება სისხლისღვრა, რამეთუ როცა ცოტას ათავისუფლებენ, ცოტა არეულობა ხდება, როცა ბევრს — ბევრი. ასე მსჯელობენ რევოლუციონერთა შესახებ, მათზე ისე ლაპარაკობენ, როგორც ვინმე ყაჩაღებზე, ბანდაზე, რომლებიც ერთად შეყრილან და თუკი ყველას დაიჭერ, ყველაფერი მოგვარდება. მაგრამ საქმე სულაც არაა ასე: რაოდენობა კი არაა მთავარი, ან ის, რაც შეიძლება მეტი გაწყვიტო ან გადაასახლო ისინი — დვრიტა უნდა მოსპო მათი, სხვა დვრიტა უნდა მისცე. რანი არიან რევოლუციონერები? ესაა ხალხი, რომელსაც საგანთა არსებული რიგი სძულს, უვარგისად მიაჩნია იგი და რაღაც სხვა საფუძველი წარმოუდგენია საგანთა მომავალი რიგისა, რომელიც უკეთესი ჰგონია.

მათი დახოცვით, განადგურებით არ შეიძლება მათთან ბრძოლა. მათი რაოდენობა კი არ არის მთავარი, არამედ მათი აზრები. თუ ბრძოლაა, სულიერი ბრძოლაა საჭირო. მათი იდეალია — საერთო დოვლათი, თანასწორობა, თავისუფლება. მათთან ბრძოლისათვის ისეთი იდეალის წამოყენებაა საჭირო, მათს



იდეალზე დიადიც იყოს და თან ამ იდეალსაც შეიცავდეს თავისთავში. ახლა მათ ფრანგები, ინგლისელები, გერმანელებიც ებრძვიან და ასევე უშედეგოდ.

მარტოოდენ ერთი იდეალია, რომლის დაპირისპირებაც შეეძლება მათთვის. სწორედ ის, რომელიც თავად სწამთ, მაგრამ ვერ კი გაუგიათ და ასე შეურაცხყოფენ, — ის იდეალი, თავისთავში მათს იდეალსაც რომ შეიცავს — სიყვარულის, პატიებისა და ბოროტის წილ სიკეთის მიგების იდეალი. მარტოოდენ ერთ სიტყვას პატიებისას და ქრისტიანული სიყვარულისას, მაღალ ტახტზე თქმულსა და აღსრულებულს, ქრისტეს სუფივეის გზას, რომელსაც თქვენ შეუდგებით, შეუძლია გააცამტვეროს ის ბოროტება, რაც ღრღნის რუსეთს. ვითარცა ცვილი ცეცხლის წინაშე, დადნება ყოველგვარი რევოლუციური ბრძოლა ხელმწიფის წინააღმდეგ, ვინაც საღვთო სჯულს აღასრულებს.



თბილისელ ქალიშვილებს

1885 წ. (?)

თქვენ მეკითხებით, საქმეებიო. გარდა ჩვენი, ყველასათვის საერთო საქმისა — ვეცადოთ და შევამციროთ ის შრომა, რითაც სხვები ცხოვრებას გვიადვილებენ, თავიანთ მოთხოვნილებებს იზღუდავენ და საკუთარი ხელებით აკეთებენ იმას, რისი გაკეთებაც შეგვიძლია ჩვენთვისაც და სხვისთვისაც, — ყველა იმას, ვინც ცოდნას ეუფლება, სხვა საქმეცა აქვს: ყველას გაუზიაროს ეს ცოდნა, დაუბრუნოს იგი ხალხს, ვინაც აღგვზარდა. აი, მეც სწორედ ამ საქმეზე მივიდნა ხელი.


არიან მოსკოვში გამომცემელი, რომლებიც ხალხურ წიგნებს, ანბანს, არითმეტიკას, ისტორიას, კალენდარებს, სურათებს, მოთხრობებს სცემენ. მიუხედავად იმისა, ვარგა თუ არ ვარგა, ეს წიგნები აურაცხელი იყიდება, იყიდება მხოლოდ იმიტომ, რომ მყიდველიც ამასაა ნაჩვევი და გამყიდველებიც ამაზე დახელოვნებულან...

საქმე, რასაც მე ვთავაზობთ, ასეთია: აიღებთ ერთ ან რამდენიმე ამნაირ წიგნს — ანბანს, კალენდარს თუ რომანს (განსაკუთრებით მოთხრობაა მისახედავი: არაფრად ვარგა, არადა უამრავი იყიდება), წაიკითხავთ და შეასწორებთ, ანდა სულაც გადააკეთებთ.

თუ გაასწორებთ ბეჭდვითს შეცდომებს, უაზრობებს, გეოგრაფიულ თუ ისტორიულ უზუსტობასა და გაუგებრობას, რაც კი წიგნებში შეგხვდებათ — ისიც სასარგებლო იქნება, რაკი, რა უვარგისიც არ უნდა იყოს წიგნი, გაყიდვით მაინც გაიყიდება, სარგებლობა კი ის იქნება, რომ ნაკლებ აბდაუბდას წაიკითხავს ხალხი. თუ, ამასთანავე, კიდევც ამოაგდებთ სულელურ და უზნეო ადგილებს, შეცვლით ისეთებით, რომ აზრი არ დაირღვეს — მით უკეთესი. თუკი იმავე სათაურითა და იმავე ფაბულის გამოყენებით თქვენს საკუთარ, კარგი შინაარსის მოთხრობას ან რომანს შეადგენთ, ეს ხომ კარგი იქნება და კარგი.

ამასვე გეტყვით კალენდრების, ანბანის, არითმეტიკის, ისტორიის, სურათების თაობაზე. მაშასადამე, თუ მოგწონთ ეს სამუშაო, ის სფერო ამოირჩიეთ, სადაც, თქვენი აზრით, უკეთ შესძლებთ მუშაობას, და მომწერეთ თქვენი პასუხი. ძალიან ვისურვებდი, რომ დათანხმებოდით ამ ჩემს წინადადებას.

სამუშაო, უეჭველია, სასარგებლოა. სარგებლობის ხარისხი კი დამოკიდებული იქნება იმ სიყვარულზე, რასაც ამ საქმეში ჩააქსოვთ.



ბრავ. ს. ა. ტოლსტაიას

(იასნაია პოლიანა, 1897 წ. ივნისის 8)

ბვირფასო სონია!

უკვე კარგა ხანია მაწამებს შეუსაბამობა ჩემს ცხოვრებასა და რწმენას შორის. მე ვერ გაიძულებდით შეგეცვალათ თქვენი ცხოვრება, თქვენი ჩვეულებანი, რასაც მე თვითონ მიგაჩვიეთ, აქამდე თქვენგან წასვლაც არ შემეძლო, რაკი ვფიქრობდი, სანამ ბავშვები პატარები იყვნენ, მოვაკლებდი მათ იმ თუნდაც მცირე გავლენას, რაც მათზე მქონდა და ამით თქვენ დაგალონებდით; იმ ცხოვრების განგრძობა კი, როგორც ეს 16 წელი ვცხოვრობდით — ხან რომ გებრძოდით და გაღიზიანებდით, ხანაც თვით ვერ ვალწევდი თავს იმ გავლენებსა და ცთუნებებს, რომელთაც მივეჩვიე და რომლებითაც გარემოსილი ვარ — უკვე მეც აღარ შემეძლია, ამიტომაც გადავწყვიტე ახლა გავაკეთო ის, რისი გაკეთებაც დიდი ხანია მეწადა: უნდა წავიდე სახლიდან, ჯერ ერთი იმიტომ, რომ რაც წლები მემატება, სულ უფრო და უფრო მიმბიძგის ეს ცხოვრება, სულ უფრო და უფრო მინდა განმარტოება, მეორედაც იმიტომ, რომ ბავშვები გაიზარდნენ და უკვე აღარაა საჭირო ჩემი ზეგავლენა, თანაც ყველას გაქვთ უფრო თქვენეული ცხოველი ინტერესები, რაც ჩემს არყოფნას შეგიძსუბუქებთ.

მთავარი კი ისაა, როგორც 60 წელს მიღწეული ინდუსები მიდიან ხოლმე ტყეში, როგორც ყოველ ხანდაზმულ, მორწმუნე კაცს სურს თავისი ცხოვრების ბოლო წლები მიუძღვნას ღმერთს და არა ოხუნჯობას, კალამბურებს, ჭორებს, ჩოგბურთს, მეც ასევე, 70 წელში გადამდგარ კაცს, მთელი ჩემი გულითა და სულით მწყურია ეს სიმშვიდე, რათა სრული თანხმობა თუ არა, მქენჯნელი უთანხმოება მაინც არ მქონდეს ჩემს ცხოვრებასა და ჩემს რწმენას, ჩემს სინდისს შორის.

აშკარად რომ მოგქცეულიყავი ასე, ამას მოჰყვებოდა ხვეწნა-მუდარა, კიცხვა, კამათი და იქნებ დავმდრკალიყავი, ვერ აღმესრულებინა ჩემი გადაწყვეტილება, რომელიც უცილობლად უნდა აღსრულდეს. ამიტომ პატიებას გთხოვთ, გეთაყვა, თუკი ჩემმა საქციელმა ტკივილი მოგაყენათ. მთავარია, შენმა გულმა მომიტევოს, სონია, შენი ნებით გამიშვი, ნუ დამიწყებ ძებნას, ნუ იღარდებ და ნურც გამკიცხავ.

ჩემი შენგან წასვლა სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს შენით უკმაყოფილო ვიყავი. მე ვიცი, რომ შენ არ შეგეძლო, სწორედ რომ არ შეგეძლო და არ შეგიძლია ჩემსავით ხედავდე და გრძნობდე, ამიტომაც არ შეგეძლო და არ შეგიძლია შეიცვალო ცხოვრება, მსხვერპლი გაიღო იმისათვის, რაც არ გესმის. ამიტომაც არ გამტყუნებ, პირიქით, სიყვარულითა და მაღლიერებით ვიხსენებ ჩვენი ერთობლივი ცხოვრების 35 ხანგრძლივ წელიწადს, განსაკუთრებით პირველ ნახევარს ამ დროისა, როცა შენ, ჩვეული დედობრივი თავგანწირვით, მტკიცედ ეზიდებოდი იმას, რისთვის მოწოდებულადაც თვლიდი თავს. შენ ჩემთვის და ქვეყნისთვის გაიღე ის, რისი გაღებაც შეგეძლო. უხვად გაეცი დედობრივი სიყვარული და თავგანწირვა და არ შეიძლება ამის დაუფასებლობა. მაგრამ ჩვენი ცხოვრების ბოლო პერიოდში — ბოლო 15 წელიწადში ერთმანეთს დავშორდით. არ შემიძლია ვიფიქრო, რომ მე ვარ ბრალეული, რაკილა ვიცი: ჩემი თავისთვის, ხალხისთვის კი არ გადავსხვაფერდი, არამედ იმიტომ, რომ სხვაგვარად არ ძალმიძდა. ვერ დაგადანაშაულებ, თუკი არ გამომყვევი, პირიქით, შენი მაღლიერი ვარ, სიყვარულით გიგონებ და მუდამაც სიყვარულით მოგიგონებ ყოველივე იმისათვის, რაც კი მომიძღვენი.

მშვიდობით, ძვირფასო სონია.

შენი მოსიყვარულე

ლევ ტოლსტოი.

(კონვერტზე: „თუ ამ წერილის თაობაზე ჩემი საგანგებო განკარგულება არ იქნა, ჩემი სიკვდილის შემდეგ გადაეცეს ს. ა.-ს“)¹.

□

N N—ს

(1902 წ.)

ასეთი კითხვა — აქვს თუ არა, საერთოდ, ადამიანს უფლება თვითმკვლელობისა, არასწორი კითხვაა. ამ უფლებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. კითხვა შეიძლება მარტოოდენ იმისა, არის თუ არა თვითმკვლელობა გონივრული ან ზნეობრივი (გონივრული და ზნეობრივი კი ყოველთვის ერთმანეთს თანხვდება)? არა, არ არის გონივრული ისევე, როგორც გონივრული არ არის ყლორტის მოჭრა მცენარეზე, რომლის მოსპობაც გინდა: მცენარე არ დაიღუპება, ოღონდ არასწორად გაიზრდება. სიცოცხლე შეუმუსვრელია — დროისა და სივრცის მიღმა დგას. ამიტომაც სიკვდილს მარტოოდენ ფორმის შეცვლა ძალუძს მისი, შეუძლია შეწყვიტოს მისი გამოვლინება ამ სამყაროში. და თუ ამ სამყაროში სიცოცხლე შეწყდება, არ ვიცი, ჯერ ერთი, უფრო სასამო იქნება თუ არა მისი გამოვლინება სხვა სამყაროში, და მეორეც — ამით ჩემს თავს ვართმევ საშუალებ-

¹ წერილი მხოლოდ ტოლსტოის სიკვდილის შემდეგ იპოვეს.

ბას, შევიცნო და შევიძინო ჩემი (?) ყველაფერი, რისი შეძენაც ამ სამყაროში შემეძლო. გარდა ამისა, და რაც მთავარია, იმიტომ არ არის გონივრული — თუ ხელგყოფ სიცოცხლეს, რაკილა უამური მეჩვენება იგი, ამით ვამტკიცებ, რომ მცდარი აზრისა ვარ ჩემი სიცოცხლის დანიშნულებაზე, თუმცა კი ვიცი, რომ მისი დანიშნულება, ერთის მხრივ — საკუთარი თავის სრულქმნაა, მეორეს მხრივ — მსახურება იმ საქმისა, მთელი სამყაროული ცხოვრებით რომ აღესრულება. აი, ამიტომაც არ არის თვითმკვლელობა ზნეობრივი: ადამიანს ბოძებული აქვს მთელი თავისი სიცოცხლე და ბუნებრივ სიკვდილამდე ცხოვრების შესაძლებლობა მარტოოდენ იმ პირობით, თუ ემსახურება სამყაროს ცხოვრებას, ის კი, სარგებლობს რა სიცოცხლით, რაკილა იგი მისთვის საამოა, უარს ამბობს ამ სიცოცხლით სამყაროს მსახურებაზე, როგორც კი სიცოცხლე უამური მოეჩვენება, თუმცა კი, ყველა ვარაუდით, ეს მსახურება იწყებოდა ზუსტად იმ დროიდან, როცა სიცოცხლე უამური ეჩვენა. თავდაპირველად ყველა საქმე მართლაც უამური ჩანს. ოპტიკის უდაბნოში 30 წელიწადზე მეტ ხანს იწვა დამბლადაცემული ბერი, რომელსაც მხოლოდ მარცხენა ხელი ემორჩილებოდა. ექიმის თქმით, დიდ ტანჯვაში უნდა ყოფილიყო, მაგრამ ბერი არამცთუ უჩიოდა რაიმეს, არამედ განუწყვეტლივ პირჯვარს იწერდა, შესცქეროდა ხატებს, უღიმოდა, თავის მაღლიერებას გამოსატავდა ღვთისადმი, მაღლიერებასა და სიხარულს სიცოცხლის იმ ნაპერწკლისათვის, რაც კიდევ ბჭუტავდა მის სხეულში. ათი ათასობით მნახველი აკითხავდა და მეტად ძნელი წარმოსადგენია ყველა ის სიკეთე, რასაც ეს დავარდნილი, საძრაობას მოკლებული ადამიანი ჰფენდა ქვეყანას. ალბათ, ამ კაცმა უფრო მეტი სიკეთე გასცა, ვიდრე სხვადასხვა დაწესებულებაში მომუშავე ათასობით ჯანმრთელმა ადამიანმა, რომლებსაც ეგონათ, ქვეყანას ვემსახურებითო. სანამ ადამიანს პირში სული უდგას, კიდევ შეუძლია საკუთარი თავის სრულქმნა და ქვეყნის სამსახური. ოღონდ ქვეყნის სამსახური კაცს მხოლოდ მაშინ შეუძლია, როცა სრულქმნილებისაკენ ილტვის, და სრულქმნილებაც მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, როცა ქვეყანას ემსახურები.

□

ჰენრიკ სენკევიჩს

(1907 წ. დეკემბრის 27. იასნაია პოლიანა)

ძვირფასო ჰენრიკ სენკევიჩი!

ასე უცნაურად¹ იმიტომ მოგმართავთ, არ მინდა ვიხმარო უამური, თითქმის მტრული „მოწყალეო ხელმწიფე“, ან ასევე დამაშორებელი „Monsieur“, თანაც

¹ 1907 წელს ლევ ტოლსტოიმ მიიღო ჰენრიკ სენკევიჩის წერილი, რომელიც აცნობებდა პრუსიის მთავრობის მიერ გალიციელ პოლონელთა შევიწროების ამბებს და მოუწოდებდა, პროტესტი განეცხადებინა ამის თაობაზე. სენკევიჩის წერილი ფრანგულად იყო დაწერილი და იწყებოდა სიტყვით „Monsieur“.



მსურს ამ წერილით ის უშუალო, მეგობრული თანადგომა გამოვხატო, რასაც თქვენდამი ვგრძნობ მას შემდეგ, რაც წავიკითხე თქვენი ნაწარმოებები: „ბოლანეცკების ოჯახი“, „დოგმატის გარეშე“ და სხვა, რისთვისაც მადლობას ვიძღვნით. იგივე მიზეზი მიბიძგებს, მოგწეროთ ჩემს ენაზე, რომელზედაც უფრო მიადვილდება ნათლად და ზუსტად გამოთქმა აზრისა.

საქმე, რაზედაც თქვენ მწერთ, ჩემთვის ცნობილია და მან გამოიწვია არა გაოცება ან აღშფოთება ჩემი, არამედ დასტური ჩემთვის უცვილობელი იმ ჭეშმარიტებისა — როგორი პარადოქსალურიც არ უნდა მოეჩვენოს ეს სახელმწიფოსაგან ჰიპნოზირებულ ხალხს, — რომ მოძალადე მთავრობების არსებობამ თავისი დრო მოჭამა...

წარმართულ სამყაროში შეიძლებოდა ყოფილიყო კეთილი ხელისუფალი მარკუს ავრელიუსი, მაგრამ ჩვენს საქრისტიანოში გასული საუკუნის ხელისუფალნიც კი — ყველა ფრანგი ლუდოვიკო თუ ნაპოლეონი... ყველა ფრიდრიხი, ჰენრიხი თუ ელიზავეტა, გერმანელი თუ ფრანგნი, — მიუხედავად მეხოტბეთა მთელი მცდელობისა, ჩვენს დროში ვეღარაფერს შთავგავგონებენ, გარდა სიძულვილისა...

ხალხს კი არა, სახელმწიფოებრივი ძალადობის იმ ცრურწმენას უნდა ვებრძოლოთ, რაც ასე შეუთავსებელია ქრისტიანული სამყაროს ადამიანთა თანამედროვე ზნეობრივ შეგნებასთან და ყველაზე მეტად უშლის ხელს ჩვენი დროის კაცობრიობას იმ ნაბიჯის გადადგმაში, რისთვისაც დიდი ხანია მზადაა...


რაც შეეხება საქმის წვრილმანებს, რაზედაც თქვენ მწერთ — პრუსიის მთავრობა პოლონელ გლეხ-მიწათმოქმედთა გაძარცვისათვის ემზადებაო, აქაც უფრო მეტად ის ადამიანები მეცოდება, ვინც ამ ძარცვას აპირებს და აღასრულებს კიდევ, ვიდრე ისინი, ვისაც ძარცვავენ. ესენი ont le beau zole¹ გახლავთ — სხვა მიწაზეც და სხვა პირობებშიაც ისეთები დარჩებიან, როგორებიც იყვნენ, მძარცველები კი მართლაც საბრალონი არიან, საბრალოა ყველა, ვინც კი მძარცველთა ნაციას, სახელმწიფოს მიეკუთვნება და მასთან სოლიდარობას გრძნობს. მე ვფიქრობ, ახლა ყოველი ზნეობრივი, გულისხმიერი ადამიანისათვის უეჭველია არჩევანი: თავის მთავრობასთან სოლიდარულ პრუსიელად ყოფნა ჯობს, თუ საკუთარი ბუდიდან გაძევებულ პოლონელად.

აი, ესაა ჩემი აზრი იმის თაობაზე, რაც ხდება ან მზადდება ამჟამად პოზნანში — თუ უშუალოდ საქმეზე გამოთქმული აზრი არა, ის შეხედულებანი მაინც, რაც ამ ამბავმა გამოიწვია ჩემს გულში. მაკატიეთ, თუ წერილი არ პასუხობს იმას, რაც ჩემგან გასურდათ. თუკი ჩემი წერილი არ გამოგადგებათ, ნაგვის ყუთში ჩააგდეთ, ანდა ისე გამოიყენეთ, როგორც საჭიროდ ჩათვლით.


ყოველ შემთხვევაში, მოხარული ვარ, რომ თქვენთან ურთიერთობის საშუალება მომეცა.

თქვენი მოყვარული და თანამოკალმე

ლევ ტოლსტოი



¹ საუცეთესო როლში (ფრანგ.).



ქართული
წიგლმწიობის
კავშირები



მ. ლანსობი

„პაპი-მურაბი“

„რუსკიე ვედომოსტის“ რედაქციას

(1909 წ. აგვისტოს 6 რუსული კალიანა)



გუშინ, საღამოს 10 საათზე, ჩვენს სახლს მუნდირიანი კაცები მოადგნენ და მოითხოვეს ჩემი თანაშემწე ნიკოლაი ნიკოლაევიჩი გუსევი.

ნიკოლაი ნიკოლაევიჩი ჩავიდა მათთან და როგორც კი გამობრუნდა, გვითხრა: სამაზრო პოლიციის უფროსი და უბნის ბოქაული ჩამოსულან ჩემს დასაჭერად და პერმის გუბერნიის ჩერდინის მაზრაში, კრაპივენის ციხეში მიპირებენ წაყვანასო.

იმდენად უცნაური იყო ჩემთვის ეს ცნობა, რომ საქმის არსის გასაგებად ჩავედი ძირს, მოსულეებთან, და ვთხოვე მათ, აეხსნათ ჩემთვის აქ მოსვლისა და ასეთი მოთხოვნის მიზეზები.

ერთმა მათგანმა, ბოქაულმა, ჩემი კითხვის პასუხად, ჯიბიდან მომცრო ქალაქი ამოიღო და საზეიმო მოწიწებით წამიკითხა ამ ქალაქში დაწერილი გადაწყვეტილება შინაგან საქმეთა მინისტრისა, რომ მისდამი რწმუნებული რუსი ხალხის კეთილდღეობისათვის, 384-ე თუ კიდევ რომელიღაც მუხლის თანახმად (თუმცა ეტყობოდა, რომ იმისათვის, რასაც ისინი ჩადიოდნენ, სულაც არ იყო საჭირო რაღაც მუხლების მომიზეზება), ნ. ნ. გუსევი რევოლუციური გამოცემების გავრცელებისათვის უნდა დაეპატიმრებინათ და გადაესახლებინათ მარტოოდენ შინაგან საქმეთა მინისტრისათვის ცნობილ და გასაგებ რაღაც მოსაზრებათა თანახმად — მაინცდამაინც პერმის გუბერნიის ჩერდინის მაზრაში და, იმავე მოსაზრებათა თანახმად — მაინცდამაინც ორი წლის ვადით.

მოვისმინე რა შინაარსი ამ ქალაქისა, მის აღმსრულებლებთან შემდგომი საუბარი ამოდ მივიჩნიე და ზემოთ ავედი, რათა გამოვთხოვებოდი ნიკოლაი ნიკოლაევიჩს, ჩამეზარებინა მისგან ყველა ის საქმე, რასაც იგი აწარმოებდა, როცა მუშაობაში მეხმარებოდა.

აქ ვნახე მთელი ჩვენი სახლეული და სტუმრები, რომლებიც უჩვეულოდ აელეღებინა მომხდარ ამბავს, რაც მოულოდნელად დაატყდა თავს ყველასათვის საყვარელ და პატივდებულ ნიკოლაი ნიკოლაევიჩ გუსევს.

მარტოოდენ თვით ნ. ნ. გუსევი, მიზეზი ამ მღელვარებისა, მხიარულად და მშვიდად იყო და მისთვის დამახასიათებელი სიკეთით, თავის თავზე კი არა, სხვებზე მზრუნველი, საჩქაროდ აწესრიგებდა ჩემს საქმეებს, რადგან გასამგზავრებლად მომზადებისათვის ნახევარ საათზე მეტი დრო არ მისცეს.

ყოველ ჩვენთაგანს გაგონილი და წაკითხული აქვს ათასობით ასეთი განკარგულება თუ მათი აღსრულება, მაგრამ როცა ასეთი რამ ახლობელ ადამიანებს, თანაც ჩვენს თვალწინ დაატყდებათ თავს, აი, მაშინაა იგი განსაკუთრებით თავზარდამცემი. ამიტომაც იმან, რაც გუსევს დაემართა, უჩვეულოდ შემზარა; შემზარა შეუსაბამობამ გუსევის პიროვნებისა იმ მკაცრ ზომასთან, რაც მის წინააღმდეგ გამოიყენეს, ასევე შემზარა აშკარა უსამართლობამ, რითაც ცდილობდნენ გაემართლებინათ ესოდენ მკაცრი ზომა, რაც მთავარია, ამ ზომის მიზანშეუწონლობამ როგორც გუსევის მიმართ, ისევე, უფრო მეტად, ჩემს მიმართ, ვისკენაც, კერძოდ, მიმართული იყო ეს ზომა.

შეუსაბამობა იმისა, რომ ღამით, მოულოდნელად შეიპყრო კაცი, მაშინვე წაიყვანო და ციხეში ჩააგდო (ყველამ იცის, რას წარმოადგენს ახლა რუსეთის ციხეები, პატიმრებით პირთამდე გავსილნი); შემდეგ გაგზავნო ბადრაგით, ჩახ-

მახზე შეყენებული თოფიანი კაცის ზედამხედველობით 2000-ზე მეტ ვერსზე, სადღაც ქალაქიდან 400 ვერსით დაშორებულ ჯურღმულში — გუსევის სადმში — ზომის შეუსაბამობა განსაკუთრებით თავზარდამცემი იყო.

უნდა გენახათ, როგორ აცილებდა გუსევის ყველა შინაური და ამ სადამოს ჩვენს სახლში შემთხვევით შეკრებილი ნაცნობობა. ყველას, მოხუცი იყო თუ ყრმა, ბავშვი თუ მსახური, ყველას ერთადერთი გრძნობა ჰქონდა ამ ადამიანი-სადნი, პატივისცემისა და სიყვარულის გრძნობა, და მეტნაკლებად შეოკებული სიბუღვილის გრძნობა იმათ მიმართ, ვისი ბრალიც იყო ყველაფერი, რაც ამ კაცს თავს დატყდომოდა.

გუსევის რომ ვემშვიდობებოდით, ავტირდი, მაგრამ ამ მისმა უბედურებამ კი არ ამატირა — გუსევის შებრალება არ შემეძლო, რაკი ვიცოდი, იმ სულიერი ცხოვრებით ცხოვრობდა, როცა არავითარ გარე ზემოქმედებას არ ძალუძს წაართვას ადამიანს ჭეშმარიტი ბედნიერება; გრძნობამორეული ავტირდი, როცა დავინახე, რაოდენ მტკიცედ, თითქმის მხიარულად შეხვდა თავის ხვედრს გუსევი.

და ამ ადამიანს — კეთილს, სათნოს, სამართლიანს, ყოველგვარი ძალადობის მტერს, ყველასადმი მსახურების უანგარო მოსურნეს, — ამ ადამიანს იჭერენ ღამით, კეტავენ ტიფიანების ციხეში და ასახლებენ სადღაც, ისეთ ადგილას, რომელიც თვით გამსახლებელთათვის მხოლოდ იმიტომ არის ცნობილი, რომ ადამიანის სიცოცხლისათვის ყველაზე უფრო უამრად ადგილად ითვლება.

უფრო საოცარი იყო ის საბაბი, რის გამოც დაიჭირეს, ციხეში ჩასვეს და ალბათ უნდა გადაასახლონ კიდევც გუსევი. საბაბი კი ისაა, თითქოს იგი ავრცელებდა რევოლუციურ წიგნებს, მაგრამ გუსევი მთელი ამ ხნის — ორი წლის განმავლობაში, რაც ჩემთან ცხოვრობდა, არამცთუ არ ავრცელებდა რაიმე რევოლუციურ წიგნს, არამედ არც არასოდეს ჰქონია და არც კითხულობდა მათ, ყოველთვის უარყოფითად ეკიდებოდა ამგვარ წიგნებს. და თუ მაშინ, როცა ჩემს დავალებებს ასრულებდა, ფოსტით აგზავნიდა და არიგებდა რაღაც წიგნებს, ის რევოლუციური კი არა, ჩემი წიგნები იყო. ჩემს წიგნებს კი, თუმცა იქნებ ხალხს უამრად და უვარგისი მოეჩვენოს ისინი, არამც და არამც არ შეიძლება ვუწოდოთ რევოლუციური, რადგან იქ ერთობ გარკვეული სახითაა უარყოფილი ყოველგვარი რევოლუციური მოძრაობა, რის გამოც ამ წიგნებს ერთთავად კიცხავს და დასცინის ყოველი რევოლუციური ორგანო. ასე რომ, გუსევისათვის რევოლუციური წიგნების გავრცელების დაბრალება არა მარტო მცდარია, ამასთანავე ყოველგვარ საფუძველს მოკლებულიც.

რაც შეეხება გუსევის გადასახლების შეუსაბამობას თვით მის მიმართ, თუკი იგი საშიშ ადამიანად ითვლება, ამაზე ლაპარაკიც სირცხვილია, რადგან ამკარაა, რომ არ არის არავითარი საფუძველი იმისა, რატომ გახდება საშიში ადამიანი უფრო ნაკლებად საშიში სადღაც, ჩერდინის მაზრაში, სადაც ვერავინ მიადევნებს თვალს მის საქმიანობას, ვიდრე რუსეთის შუაგულში, სადაც მას ყველა დაინახავს.

თითქოს პირიქით უნდა იყოს — ადამიანები, მოწყვეტილნი თავიანთ გარემოს, გასამრჯელოს მოკლებულნი, გაბოროტებულნი ამ განდევნითა და შეერთებულნი ასევე გაბოროტებულ სხვა გადასახლებულლებთან, უფრო მეტად საშიშნი უნდა იყვნენ, ვიდრე ისინი არიან თავ-თავიანთ ადგილზე — მაგრამ ამაზე არავინ ფიქრობს. ასეა დადგენილი და ასევე სრულდება. იმაზე კი, კარგია



თუ ცუდი, სასარგებლოა თუ საზიანო ეს ყველაფერი, როგორც იმართვის, ვისთვისაც კეთდება, ასევე საზოგადოებისათვის — კვლავ არავინ ფიქრობს. ადამიანები მსახურობენ, საამისო ხელფასს იღებენ და იმას აკეთებენ, რის კეთებაც ევალებათ. იმაზე ფიქრით კი, რას გამოიწვევს მათი ეს მოღვაწეობა და სამართლიანია თუ არა იგი, თავს არც ზემდგომნი იტკივებენ, არცა ქვემდგომნი.

„ასეა საჭირო და ვაკეთებთ. ხოლო თუ ზოგჯერ შევცდებით, რა ვუყოთ. ისედაც უამრავი საქმე გვაქვს. შევცდით, ახლა რაღა ვქნათ. მეტად დასანანიია...“

სწორედ ისევე, ფეხზე რომ ფეხს დაგადგამენ და მერე ბოდიშობენ: „გვაპატიეთ, გეთაყვა, უნებლიეთ მოგვივიდა“.

აი, სწორედ ესაა ყველაზე მეტად საზარელი....

ეს იმ უაზრობასა და სიმკაცრეზე მოგახსენეთ, რაც გუსევის მიმართ მოხდა. ხოლო ჩემს მიმართ მიღებული ამ ზომის შეუსაბამობა კიდევ უფრო განსაცვიფრებელია.

მარტო იმაში ხომ არაა საქმე, რომ ყველა მავნე ელემენტს, რომლებიც უნდა გაისრისოს, სხვათა შორის ტოლსტოიც განეკუთვნება, რაღაც თავისი გამოგონილი ქრისტიანობის სულელური ქადაგებითა და უაზრო წინაღუდგომლობით. მთელ მის ამ ყბედობას, რასაკვირველია, არავითარი სერიოზული მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ იგი აღაშფოთებს ხალხს, როცა ქადაგებს იმას, რაც თქმულ არს: არა ჰკლავ, და რაღაცას მსჯელობს მიწის საკუთრების უკანონობაზე და ა. შ.

სწორედ ამიტომ, რაღაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა შევწყვიტოთ ეს ამბავი. ყველაზე იოლი იქნებოდა. გაგვესამართლებინა ტოლსტოი, ანდა ისევ იმ საგანგებო მუხლებით, რომლებითაც ახლა ვხელმძღვანელობთ, ჩაგვესვა ციხეში ხუთიოდე წლით — იქვე მოკვდებოდა და ჩვენც მოვისვენებდით. ეს თავისთავად ყველაზე უფრო მოსახერხებელი იქნებოდა. მაგრამ საზღვარგარეთ, სადაც არ უწყიან მისი მოძღვრების მთელი ამაოება, ისე, როგორც ჩვენ ვუწყით, ცოტა რაღაც მნიშვნელობა მიაწერეს ამ მოძღვრებას, ჰოდა, გუსევივით მისი გაგზავნა კრაპივენის ციხეში. მაინც როგორღაც უხერხულია. ამიტომაც ერთადერთი, რაც შეგვიძლია და რასაც დიდი მონდომებით, განუხრელად გავაკეთებთ, ისაა, რომ ზიანი და უსიამოვნება მივაყენოთ ყველა მის მახლობელ ადამიანს. ასე რომ, თუ არ მოგყვებს — თრევითაო, მაინც ვაიძულებთ და ჩავაჩუმებთ.

ასე უნდა ემსჯელათ ადამიანებს, რომლებმაც გააძევეს ჩერტკოვი და ასახლებენ გუსევის, რაკი ჩერტკოვის გაძევებისა და გუსევის გადასახლების მიზანი არაფრით არ შეიძლება ყოფილიყო ის, რომ ტულის გუბერნიიდან მოსკოვის გუბერნიაში გადაეტანათ ზიანი, რასაც ჩერტკოვი მათ აყენებდა, ხოლო ყველა ის მავნებლობა, რასაც გუსევი ჩადიოდა, კრაპივენის მაზრიდან ჩერდინის მაზრაში გადაეტანათ; მიზანი ერთი უნდა ყოფილიყო და იყო კიდევ ერთი: შეემცირებინათ, ან სულ მოესპოთ ის ვნება, რაც ტოლსტოისაგან მოდიოდა.

აი, აქაა განსაკუთრებით განსაცვიფრებელი შეუსაბამობა ჩემს მიმართ გამოყენებული ზომებისა. შეუსაბამობა იმიტომ, რომ ჯერ ერთი, როგორც არ უნდა უყურებდეს ხალხი ჩემს შეხედულებებს, მე ისინი მაინც ჭეშმარიტებად, საჭიროდ მიმაჩნია და, რაც მთავარია, ჩემი სიცოცხლის აზრს მარტოოდენ იმაში ვხედავ, ეს შეხედულებანი გამოვთქვა. ამიტომ, როგორც უკვე განვაცხადე, ვიდრე ცოცხალი ვარ, მუდამაც გამოვთქვამ ჩემს აზრებს და ჩემგან ჩერტკოვისა და გუსევის მოცილებას არაფრით შეუძლია ეს ჩემი მოღვაწეობა შეცვალოს.

ისევე, როგორც გუსევის მეშვეობით (რაც მას ბრალად ედება) ვაძლევდი და ვუგზავნიდი ჩემს წიგნებს იმათ, ვისაც ამის სურვილი ჰქონდა, კვლავაც გავცემ და გავაგზავნი ამ წიგნებს სხვების დახმარებით, რომლებიც ათეულობით მთავაზობენ თავიანთ სამსახურს, ხოლო თუ ამათაც გადაასახლებენ ჩერდინში თუ კიდევ სადმე, თავად მე მივცემ და გავუგზავნი წიგნებს იმათ, ვინც კი ამის სურვილს გამოთქვამს. ის, რომ არ მივცე ან არ გავუგზავნო ჩემი წიგნები ყველას, ვისაც კი სურს ეს წიგნები, ისევე არ შემიძლია, როგორც არ შემიძლია სიტყვიერი პასუხი არ გავცე ადამიანებს, რომლებიც მეკითხებიან იმას, რაც ვიცი.

მიზანშეუწონელია ეს ზომები კიდევ, და უპირატესად, იმიტომ, რომ ბომბებისა და ბომბის მსროლელთა მოცილება შეიძლება ბომბების ჩამორთმევითა და ბომბის მსროლელთა ციხეში ჩასმით, ან მათი გაწყვეტით; მაგრამ ვერაფერს ამდაგვარს ვერ ვუზამთ შეხედულებებსა და რწმენას. ძალადობა კი, რომელიც შეხედულებათა და მათ მატარებელთა წინააღმდეგაა მიმართული, არათუ ასუსტებს, არამედ მუდამ აძლიერებს მათ ზემოქმედებას.

ამიტომაც, და ეს ჩემი განცხადების მთავარი მიზანია, კვლავ ვთხოვდი ადამიანებს, რომელთათვისაც არასასიამოვნოა ჩემი აზრების გავრცელება და ჩემი მოღვაწეობა: უკეთუ აწ არაფრით აღარ შეუძლიათ დაწყნარება და, რადაც არ უნდა დაუჯდეთ, სურთ ძალადობრივი ზომები გამოიყენონ ვისიმე წინააღმდეგ, მაშინ გამოიყენონ ეს ზომები სულაც ჩემი მეგობრების წინააღმდეგ კი არა, არამედ ჩემს წინააღმდეგ — ერთადერთი და მთავარი დამნაშავის წინააღმდეგ, ვინც შექმნა და გაავრცელა მათთვის მიუღებელი ეს შეხედულებანი.

ეს ყველაფერი ვთქვი გუსევისა და ჩემთვის, მაგრამ საქმეს, რომელმაც გამოიწვია ეს ჩემი განცხადება, კიდევ სხვა, უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს და იგი გუსევისა და მე კი არა, იმ სულიერ მდგომარეობას ეხება, რომლითაც შეპყრობილია იმ საქმის მქნელი ხალხი, რაც გუსევის მიმართ აღსრულდა.

ყველამ ვიცით, რაც ამ ბოლო წლებში ხდებოდა და კვლავაც ხდება რუსეთში. ყოველივე ეს მეტად საშინელი რამ არის და არც მინდა ამაზე ლაპარაკი. მეცოდება ყველა, ვინც დაიღუპა და კვლავაც იღუპება, ვინც გაბოროტდა გადასახლებასა თუ ციხეებში, ვინც გაავებული და სიძულვილით აღსავსე კვდება სახრჩობელებზე, მაგრამ არ შეიძლება არ შეიბრალო ის უბედურებიც, რომლებიც ამ საქმეს სჩადიან და, რაც მთავარია — მათ აღსრულებას ბრძანებენ.

რაც არ უნდა დააჯერონ თავიანთი თავი ამ ადამიანებმა, რომ ყოველივე ამას საერთო კეთილდღეობისათვის სჩადიან, რაც არ უნდა მოუწონონ და შეუქონ მათ ჩადენილი საქმენი ისეთივე ადამიანებმა, როგორებიც თვითონვე არიან, როგორც არ უნდა ეცადონ და თავი გაიბრუნონ ათასი საზრუნავითა და გასართობით, ისინი მაინც ადამიანები, ძირითადად — კეთილი ადამიანები არიან და სულის სიღრმეში გრძნობენ, იციან კიდევ, რომ ცუდსა შვრებიან, რომ ასეთი მოქმედებით ღუპავენ იმას, რაც ყველაზე ძვირფასია ამქვეყნად — თავიანთ სულს, და რომ თვითონვე იკეტავენ კარს ცხოვრების ყოველ ჭეშმარიტ და უკეთეს სიამეთაგან.

და აი, ჩემთვის და გუსევისათვის ამ უმნიშვნელო შემთხვევის გამო, მინდა ვუთხრა ამ ადამიანებს: იფიქრეთ თქვენს თავზე, თქვენს ცხოვრებაზე, იმაზე, რად ფლანგავთ ღვთის ბოძებულ სულიერ ძალებს, ჩაიხედეთ თქვენს სულებში, შეიბრალებთ თავი თქვენი.*

* ლ. ნ. ტოლსტოი, ტომი მეორე, 1911 წ. მოსკოვი.

რუსულიდან

თარგმნა ედიშერ გიორგაძემ

ლევ ტოლსტოის წინათქმა წამკლვარეობული გლახთა ყოფაზე დაწერილ სემიონოვის მოთხრობებისადმი

რა ხანია წესად დავიდე ნებისმიერი მხატვრული ქმნილების ავ-
კარგი სამი თვალსაზრისით განვსაჯო: 1. შინაარსის მხრივ; თუ ხალ-
ხისათვის რამდენად მნიშვნელოვანია და საჭირო ის, რაც ახლებური
კუთხით მოიხილება მხატვრის მიერ, ვინაიდან ყოველი ნაწარმოები
მხოლოდ მაშინ ჩაითვლება ხელოვნების ქმნილებად, თუკი ის ცხოვ-
რების ახალ მხარეებს გაგვაცნობს. 2. რაოდენ ვარგისია, მშვენიერი
და შინაარსის შესატყვისი, ფორმა ნაწარმოებისა. 3. რამდენად გულ-
წრფელია ხელოვანის მიმართება თავის საგანთან, ანუ რაზომ სწამს
ხელოვანს ის საგანი, რომელსაც გამოსახავს. ეს უკანასკნელი ღირსე-
ბა მიმაჩნია მხატვრული ქმნილებისათვის ყველაზე მნიშვნელოვნად.
იგი ანიჭებს ნაწარმოებს ძალმოსილებას, უნარს გადაეცეს მაყურე-
ბელს, მსმენელს თუ მკითხველს, აშალოს მხატვრის განცდების თა-
ნაგვარი გრძნობები.

სწორედ ასეთი ღირსება მომადლებია სემიონოვს.

მაგონდება ტურგენევის მიერ თარგმნილი ფლობერის ერთი
მოთხრობა — ივლიანე მოწყალე. წესით ეს ნაწარმოები გრძნობათაღ-
მძვრელი უნდა ყოფილიყო. მოთხრობის შინაარსი ასეთია: ივლიანე
საწოლში ჩაუწვება კეთროვანს და თავისი სხეულით ათბობს. ეს
კეთროვანი ქრისტე გამოდგება და ივლიანეს თავისთან ერთად აზი-
დავს ცად. მთელი ეს ამბავი აღწერილია დიდის ოსტატობით, მაგრამ
რამდენჯერაც არ წამიკითხავს, არც სულს მოხვედრია და არც გულს.
ვგრძნობდი, ავტორი არ მოიქცეოდა ასე და არც ისურვებდა ივლია-
ნეს ადგილას ყოფილიყო. ამიტომ მეც სულაც არ მალეღვებს მოთხრო-
ბა და არც სურვილი მიჩნდება მივბაძო ნაწარმოების გამირს.

სემიონოვის მონათხრობი თუნდაც უბრალო ამბავი კი ყოველ-
თვის შემძრავს ხოლმე.



მოსკოვს ჩამოდის ერთი სოფლელი ჯეელი და ეძებს სამუშაოს. ამ საქმეში მისი კუთხის მკვიდრი დაეხმარება, რომელიც მეეტლედ უდგას შეძლებულ ვაჭარს. იგი ჩააგონებს ბატონს მოხუცი მეეზოვე დაითხოვოს და მის ნაცვლად ახალგაზრდა დაიყენოს ეზო-გარემოს მიმხედავად. საღამოთი ყმაწვილკაცი შეაღებს ვაჭრის სახლის კარს და მოსამსახურეთა სადგომიდან მოესმის ბერიკაცის ხმამალაღი ჩივილი. რა დავაშავე განა ასეთი, მოხუცი რომ ვარ ამიტომ უნდა დავიჩაგრო, გოდებს გაძევებული მეეზოვე. ყმაწვილი ჩაფიქრდება, ერთხანს ჭოჭმანობს, დაბოლოს გადაჭრით უარს ამბობს მისთვის აგრერიგად სასურველ ადგილზე.

ყველაფერი ეს მოთხრობილია ისეთნაირად, რომ ირწმუნებ ავტორიც ამასვე იფიქრებდა უთუოდ და უფრო მეტიც, სწორედ ასე გაირჯებოდა კიდევცო. იმგვარი საამო გრძნობა მომიცავს, თითქოს უკვე ჩამედინოს სიქველე, ანდა ასე მგონია საცაა მოვიმოქმედებ-მეთქი რასმე კარგს.

გულწრფელობა სემიონოვის მთავარი ღირსებაა. მისი მოთხრობების შინაარსი ყოველთვის საგულისხმოა, რამეთუ ისინი ეხება რუსეთის ყველაზე მნიშვნელოვან ფენას — გლეხობას, რომელსაც სემიონოვი ისევე კარგად იცნობს, როგორც თვით მოყალნე ცხოვრებას მიღვევებული სოფლის მკვიდრი. მისი ნაწარმოებები მნიშვნელოვანია იმიტომაც, რომ მათში ნაკლებად სჭვივის ინტერესი თუნდაც ყოფითი თავისებურებებისადმი. სემიონოვის მოთხრობები დაწერილია ქრისტიანული ჭეშმარიტებისადმი ადამიანის მიახლოებისა თუ დაცილების თვალსაზრისით, იმ ჭეშმარიტებისა, რომელიც მტკიცედ და ცხადლივ დაფუძნებულია ავტორის ხელში და ადამიანთა საქციელისა თუ ღირსების ერთადერთ სახდო საზომად ქცეულა.

მოთხრობების სადა და სერიოზული ფორმა ზედმიწევნით ესადაგება მათსავე შინაარსს. წვრილმანები ყოველთვის ცხოვრებისეულია. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ძალზე ხშირად ახლებური გამომსახველობითი ხერხებით სავსე, მაგრამ ყოველთვის არახელოვნური, გასაოცრად მძლავრი ხალხური ენა, რომელზეც მეტყველებენ სემიონოვის ნაწარმოებთა გმირები.

I

სოფელ ანდრეევკაში ორი სახლიკაცი ცხოვრობდა, ალექსეი და გრიგორი. მიწისმუშები იყვნენ, ხელობაც იცოდნენ ყოველგვარი. უფროსი მჭედელი იყო. უმცროსი კი — თერძი. მართალია, უღვინოდ ლუკმას არ გასტეხდნენ, მაგრამ საქმეს როდი ღალატობდნენ. მეურნეობა საათივით ჰქონდათ აწყობილი და ფულიც შემოსდიოდათ. ნათესაობაც ბლომად მოეძეებოდათ, ღარიბები თუ მდიდრები, სოფელშიც, მოსკოვშიც. ერთხელ ძმებმა შეიტყვეს, დეიდა მოჰკვდომოდათ მოსკოვში. ქვრივი იყო ეს დედაკა-

ცი. უშვილოდ გადაეგო. ქალაქგარეთ სახლი ედგა. შეძლებულად ცხოვრობდა. ძმებმა იფიქრეს, ახლა ჩვენა ვართ მემკვიდრეებიო და მოსკოვს დააპირეს წასვლა. ბევრი აღარ დაუხანებიათ, დედაქალაქში ამოყვეს თავი. მიუნოს-მოუნოსის იქაურობა. შეიტყვეს იმ ქალს თავისი დის, ალექსისა და გრიგორის მეორე დედის ხელში დაელია სული. იმას კი მთელი ქონება გაეზიდა. მარტო ცარიელი სახლი დაუხვდათ ძმებს.

შიადგნენ მეორე დეიდას, ბევრი ეხვეწნენ, ცოდვას ნუ დაიდებ, ქონება გაგვიყავი, შენი სისხლ-ხორცი ვართ, განათუ უცხონი, მიცვალებულს სული ხომ უნდა ვუხსენოთო. შეიცხადა დეიდამ, განა რა მახადია, თქვენ რომ გიწილადოთო. რაღაც ბარგი-ბარხანა დარჩა, თქვენთვის დამითმია, სოფელში გამოგადგებათ, სახლი კი ჩემმა დამ მე დამიმტკიცა მოწმეების თანდასწრებითო.

სახტად დარჩნენ ძმები. ვერ გაეგოთ, რა ეღონათ. მისჩერებოდნენ ერთმანეთს უსიტყვოდ, კეფას იქეჩავდნენ. მერე ტრაქტირში წაეხეტნენ ჩაის დასალევად.

II

წრუპავენ ძმები ჩაის, ბჭობენ და სჯიან, რა უხერხონ ამ საქმეს.

მიაყურადა მათ საუბარს მეზობელ მაგიდასთან მჯდომმა ადამიანმა. ხნიერი კაცი იყო, თავადური ძველმანები ეცვა. ლუდსა სვამდა. უსმინა, უსმინა ძმებს ამ კაცმა და მერე მიუბრუნდა:

— მე ვხედავ, სადავო საქმე გაგჩენიათ. სამემკვიდრეო არა?

— სწორედ რომ სამემკვიდრეო, — მიუგო ალექსეიმ.

— აბა ერთი დაწვრილებით მიამბეთ ყველაფერი.

ალაპარაკდნენ ძმები. უთხრა უცნობმა:

— რახან ანდერძი არ დაუტოვებია, სახლი თქვენია.

— ნუთუ მართლა?

— წყალი არ გაუვა. რაკი თქვენ დეიდას არ უნდა საქმე მშვიდობიანად მოთავდეს, იჩივლეთ. მაგ საქმეს უთუოდ არაფერი დაუდგება წინ.

თავები გადააქნიეს ძმებმა.

— გაგონილა ჩვენი სასამართლოში ყიალი? უქმად რომ დავსხდეთ და კარმიდამო ბედის ანაბარა მივაგდოთ, ღმერთმანი, კარგი დახლი დაგვიდგება.

უცნობს გაეცინა.

— სულაც არ არის საჭირო თქვენი აქ ყოფნა.

— ეს როგორ?

— როგორ და ისე. დაწერეთ მინდობილობა. მე გავჩარხავ ყველაფერს.

— შენ კი გაგეგება ამ ამბებისა?

— მე მაგის მეტს რას ვაკეთებ. მთელი კანონები ხუთი თითივით ვიცი. ახლახან ისეთი საქმე მოვიგე საოლქო სასამართლოში, ექვსასი ჩამიკეცეს.

გაიოცა ალექსეიმ.

— უყურე ერთი, მე კი შენ ერთი ვილაც მსახური მეგონე.

განაწყენდა უცნობი.

— ვინა გგონივართ, რაზე კადრულობთ?

— ჩაცმულობა არ გივარგა...

— ეგ რა სახსენებელია. არ იკითხავთ რად მაცვია ასე? მივიღე ფული თუ არა, მოდი აღვნიშნავ-მეთქი, ვიფიქრე. ჰოდა, ისე შევუტეე, პოლიციაში

ამოწყავი თავი. დილით გავიღვიძე და რა ვნახე: ტანისამოსიც წაუღიათ და ფულიც. მაშ...

დაითათბირეს სახლიკაცებმა, — მინდობილობა დაწერეს, ფულიც მისცეს სახარჯოდ, ორი წითელი თუმნიანი.

— გზა მშვიდობისა, — გამოეთხოვათ უცნობი, — დარდი არაფრისა გქონდეთ. ყველაფერი რიგზე იქნება. — და გაუყვნენ ძმები გზას შინისაკენ.

III

გზაში გრიგორიმ უთხრა ალექსეის.

— საქმე კი წამოვიწყეთ, ჩემო ძმაო, მაგრამ გამოვა რამე?

— რახან აღუნკატი ვიშოვეთ, გამოვა, მა რა იქნება.

— აღუნკატი თავის სარგებელს ეძებს, მაგას რა. ჩვენ ვიკითხოთ. გაგვფცქვნის ეგ კაცი.

გაბრაზდა ალექსეი.

— შენთან საქმის დაჭერა არ შეიძლება. ოხერ-ტიალს მუქთად ვინ რას გაგიკეთებს. რასაც დასთეს, იმას მომკი. ას-ნახევარი გავიღოთ, ნუ დავინანებთ. თითოზე სამას-სამასი მოგვივა.

— რომ არ გაგვიმართლოს?

— ჯანდაბას შენი თავი. რას ინავსები. გითხრეს ნაღდი საქმეაო და რაღა გინდა მეტი.

— გისმინოს გამჩენმა. ნეტავ ჩვენმა ხბომ მგელი დაგლიჯოს!

დაბრუნდნენ სახლში ძმები, შეუდგნენ ძველებურად მუშაობას. ოღონდ არაყს შეეჩვივნენ. ოჯახი უძირო ქვევრია. ხან რას ითხოვს ხან რას. ესენი კი ყურს აღარ იბერტყავდნენ. არაყს ხუხავდნენ მალიმალ.

ბეზარს მოვიდნენ ცოლები:

— შეგარცხვინათ ღმერთმა, თქვე უნამუსოებო, აღარც ღმერთისა გერიდებათ, აღარც კაცის. სახლში ათასი გასაჭირია. ამათ კი დარდი არაფრისა აქვთ.

ხმას არ იღებდნენ ძმები. გულში ფიქრობდნენ, მოიცათ ცოტა ხანი, ერთი გავინაღდოთ, მერე ჩვენ ვიცითო.

სოფელში ხმა დაირხა ალექსეის და გრიგორის ქონება ერგოთო. შეშურდა ხალხს ძმებისა.


ვინ იცის სიცოცხლეში მაგათ დეიდას თვალითაც არ უნახავს დისშვილები. ქონება კი ამათ დარჩათ. ბედიც ამას ჰქვიაო, გაიძახოდნენ სოფლელები.

IV

გავიდა თვე, მიჰყვა მეორე — ბარათი მოსდით სახლიკაცებს მოსკოვიდან. ადვოკატი იტყობინება, საქმე ამა და ამ სასამართლოს გადაეცა, ქალაღების, მარკებისა და სხვა ხარჯების თანხა მე გავიღე, ახლა ფული შემომაკლდა და საჩქაროდ მომაშველეთო.

რას გააწყობდნენ. ჩამოვიდნენ თავთავიანთ წილს. გაუგზავნეს. სხედან შინ და ელიან ამბავს.

გაზაფხულისთვის ადვოკატმა კვლავ გამოგზავნა ბარათი: იწერებოდა — მოსკოვში ჩამოდით და ფულიც ბლომად წამოიძღვანეთო.



ჩავიდნენ ძმები მოსკოვში. მოინახულეს ადვოკატი. ჰკითხეს, რაშია საქმეო.

— თქვენი საქმე იმ სასამართლომ არ გაარჩია, ახლა სხვა უწყებას უნდა გადავცეთ. ფულია საჭირო.

— კიდევ ფული? — ამრიზა ალექსეი. — ეს აღარ მომწონს. რომ ჩავლავდეს საქმე, ანდა ხარჯი მოგებაზე მეტი რომ მოგვივიდეს?

— კაპიკს არ დაკარგავთ, — დააიმედა ადვოკატმა, — ყველაფერს უკან ამოიგებთ.

დამშვიდდნენ ძმები. დაუტოვეს ფული ადვოკატს, სოფელში დაბრუნდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ ისევ მიიღეს ბარათი. ფული არ მეყო საჩქაროზე მომავლდინეთო, იწერებოდა ადვოკატი.

საგონებელში ჩავარდნენ ძმები. აღარ იცოდნენ რა ექნათ. მოშვებოდნენ ამ დავიდარაბას? ამდენი ფულის წყალში გადაყრა ენანებოდათ. არადა, საქმის მსვლელობას კვლავ თანხები სჭირდებოდა... ხარჯი მაინც ავინაზლაუროთო იფიქრეს და ერთხელ კიდევ გაიმეტეს წვითა და დაგვით ნაშოვნო ფული. მოხდეს რაც მოსახდენიაო.

ხელი ააღეს ძმებმა მეურნეობას. ნივთები დააგირავეს. ვალში ჩავარდნენ.

— აკი ამბობდი, საქმე ალჩუზეაო, — უთხრა გრიგორიმ ალექსეის.

ჩუმი არ გაიღო ალექსეიმ. ხელი ჩაიქნია. დიდხანს დუმდა. მერე ამოღერდა:

— რაკი საქმე წამოვიწყეთ, მივდიოთ კიდევ ბოლომდე. სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენი.

V

შეიტყო დეიდამ რომ დისშვილებმა საქმე აღძრეს მის წინააღმდეგ და დაფრთხა.

მართლა არ წამართვან სახლიო, იფიქრა.

ადგა და წერილი მისწერა: ჩამოდით მოსკოვში. თუ საჩივარზე უარს იტყვით, ფულს გავიღებო.

გაუხარდათ ძმებს. ასე თუ ისე მაინც გაგვიმართლაო. ენა აიდგეს.

ოღონდ ვერა და ვერ დაიძრნენ ადგილიდან. გახურებული კალოობა იყო და სელსაც აღება უნდოდა. არც ადვოკატისაგან ისმოდა რაიმე. დაზამთრებამდე ვერ ჩავიდნენ მოსკოვს.

დედაქალაქში ჩააღწიეს თუ არა, ადვოკატისაკენ გაეშურნენ.

გაყოყოჩებულიყო ადვოკატი. მამალ ბუზს აღარ ისვამდა თავზე. ცხვრის ბეწვის საყელოთი გაწყობილი პალტო ეცვა. ჩექმები და კალოშები. ბინაც უკეთესი ეშოვნა. ზედაც არ უყურებდა ჩვენს გლეხუჭებს.

— როგორ არის საქმე? — ეკითხებიან ძმები.

— აქ არაფერი გამოდის, ახლა საოლქოში უნდა გადავცეთ, თანაც თქვენ უნდა დაიმტკიცოთ მემკვიდრეობის უფლება.

— ეს როგორ?

— როგორ და წეს არს. თორემ არ მიიღებენ საქმეს გასარჩევად.

— აღრე გეთქვა, შე დალოცვილო...

— გეტყოდით, მაგრამ ფული მჭირდება კარგა ბლომად, თანაც ვიფიქრე ისე მოვახაზირებ-მეთქი და არ გამომივიდა.

სახეები დაუგრძელდათ ძმებს. წარსული და მომავალი ხარჯებიც იანგარიშეს. ვაი, რომ მემკვიდრეობა ვერ ანაზღაურებდა გაღებულ თანხას. ცხვირი ჩამოუშვეს ჩვენმა გლეხკაცებმა.

ითათბირეს, ითათბირეს და გადაწყვიტეს დეიდასთან მისულიყვნენ.

ადვოკატს უთხრეს, — წავალთ დეიდასთან, იქნებ დავის გარეშე მოვაგვაროთ საქმე.

— მშვიდობით გველოთო, გზა დაულოცა ადვოკატმა.

VI

მიადგნენ ძმები დეიდას.

— თქვენ თურმე საჩივარი აღვიძრავთ! — უსაყვედურა მან.

— ჰო, თქვა ალექსეიმ, — საოლქო სასამართლოში უნდა გადავცეთ. ჩვენ ადვოკატი გვეხმარება.

— სულ ტყუილად წამოიწყეთ ეს საქმე, ძვირფასებო. მეც მაწყენინებთ და თქვენც ბევრს ვერაფერს მოიგებთ.

— როგორ თუ ვერა, სახლი ხომ ათასი მაინცა ღირს. აბა ჩამოყარე ანგარიში, რამდენი გვერგება.

— მარტო თქვენ ხომ არა ხართ? მიცვალებულს დებიცა ჰყავს და ნათესაობაც ჩვენს გარდა. აბა ერთი სახლს გაეკარეთ, ყვავებივით დაგაცხრებიან თავზე.

— რაც უნდათ ისა ქნან, ჩვენ წილს წავიღებთ.

იფიქრა, იფიქრა დეიდამ და დაბეჭდა სიტყვა.

— რა გითხრათ იცით, ყმაწვილებო, შეწყვიტეთ ეს საქმე და ხელი მოაწერეთ საბუთს, რომ უარს ამბობთ სახლზე. მე კი ჯანი გავარდეს, ერთი ასიანი შემომიწირავს.

იცოტავეს ძმებმა შეძლეული.

— მეტს მაინც ვერ მიიღებთ, საქმე კიდევ რომ მოიგოთ, უფრო მეტად კი გაჯახირდებით.

— ყაბულსა ვართ! — თქვა ალექსეიმ — ორი წითელი თუმნიანიც დაასართე და ამით მოვრჩეთ.

დათანხმდა დეიდა. დაწერეს ძმებმა, უარს ვამბობთო მემკვიდრეობაზე, ფული გამოართვეს და ადვოკატთან მივიდნენ.

— რაო? — იკითხა ადვოკატმა.

— მოვრიგდით. უარი ვთქვით სახლზე.

— რამდენი მოგცათ?

— ას ოცი მანეთი.

— მაშ შევწყვიტოთ საქმე?

— ასე გამოდის. შენ... ისა... იხლაფორთე ამაზე.


— კეთილი. ახლა კი გასამრჯელო მეკუთვნის თქვენგან.

— რომელი გასამრჯელო.

— აი, ჩემი შრომისა.

— კი მაგრამ ფული ხომ მიიღე...

— ეს სასამართლოს ხარჯების დასაფარავი იყო. საქმის წარმოებისა ცალკე მეკუთვნის.



— ეგ რა გამოდის?

— სწორედ რომ ასეა. თუ არა გჯერათ, ყველა საბუთებს განახვებთ ხარჯებისას.

დაიბნენ ძმები, აღარ იციან რა იღონონ.

— რა თვალებს კარკლავთ. მოიტათ ფული! მუქთად გინდათ მამუშავოთ.

— რამდენი გეკუთვნის?

— ეჰ, თქვენ ბევრს ვერ გამოგართმევთ. ექვსი წითელი თუმნიანი მომეცით და კარგად გამყოფოთ ღმერთმა.

— ცოდვა-მადლს ნუ გაიწყვეტ, ეს ხომ ძარცვა-გლეჯაა. შეჰვედრეს ძმებმა.

— რაო? იყვირა ადვოკატმა. — აი, თქვე მუდრეგებო თქვენა. არ იხდით? სასამართლოს ძალით ორჯერ მეტს აგაღლეტო. მე შევწყვიტე საქმე თუ თქვენ? ამათ უყურე ერთი. გვძარცვავო. რამდენი ვიჯაფე, ვიხლაფორთე, რამდენი დრო დავკარგე. წელში გავწყდი, ესენი კი — გვძარცვავო. აი, შეურაცხყოფისათვის გიჩვენებთ სეირს,...

შეშინდნენ გლეხკაცები, დაყაჭეს ფულები.

— ადრე გექნათ ეს! — თქვა ადვოკატმა. — ასე არა სჯობს?! მადლობა მომიხსენებია. თუ რამე გაგიჭირდეთ მომაკითხეთ.

კრინტი აღარ დაუძრავთ, ისე გაიხურეს ძმებმა კარი.

VII

როცა ფუნდუკში მივიდნენ, იქ ქალი დაუხვდათ და ერთი ცუმაწვილი. ის ქალი მათი რძალი გამოდგა, ცოლი, სალდათში მკვდარი ღვიძლი ძმისა, ცუმაწვილი კი მეორე, ასევე გარდაცვლილი ძმის შვილი აღმოჩნდა.

— რა გინდათ? — შეეკითხნენ ძმები.

— შევიტყვეთ, დეიდასაგან ფულები მიგიღიათ. ჩვენც გვიწილადეთ. უცხონი ხომ არა ვართ. მოისხით მადლი, — არატრატდა ქალი.

გაბრაზდა ალექსეი.

— აი, თქვე მამაძალღის შვილებო. ჩვენ თვითონ ვიზარალეთ ორასი მანეთი. ოხრიშვილებო თქვენა, საიდან მოგცეთ? ამ მემკვიდრეობამ კინალამ შარაზე დაგვტოვა.

— ეგ ჩვენ არ გვესაქმება, — არ იშლის დედაკაცი, — მოგვეცით წილი. ღმერთი არა გწამთ?

— არაფერიც არ გერგებათ — მიაძახა ალექსეიმ და და ცხენების შესაბამელად გაეშურა.

— აგრე არ ივარგებს, ბიძიკო! — ჩაერია საქმეში ცუმაწვილი, — პოლიციაში ამოგაყოფინებთ თავს. ასე არ დავტოვებთ ამ საქმეს, იცოდეთ.

ბევრი იომეს ძმებმა, მერე მიხვდნენ რომ ამათგან საშველი არ იყო. ხუთიანები მიაშავეს.

მახლას, დედაქალაქს დავემშვიდობოთო, ისურვეს და სამიკიტნოში შეუხვიეს. გემოზე გამოთვრნენ და გვიანობამდე ჩარჩნენ მოსკოვში. ბნელოდა როცა ქალაქიდან გავიდნენ. სამი დღის სავალს ერთი კვირა მოანდომეს სახლიკაცებმა. მთელი გზა ილოთეს და ცარიელ-ტარიელნი დაბრუნდნენ შინ.



„მეჯლისის სამუშაო“
 მხატვარი ბ. მ. კუსტოდოვი, 1926
 ბიზლიჩის ქუჩა



„კორნეი ვასილიევი“
 ი. ი. ბილიბინის ილუსტრაცია.
 ფრანგი მხატვრის დ'ოსტოის გრავიურა

რუსულიდან

თარგმნა თეოდო ბეჰიშვილმა

ტოლსტოი

(ნაწყვეტი კომედიდან „ყაზანის უნივერსიტეტი“)

ეს ესაა წავიკითხე ტოლსტოის ახალი დრამა და შეძრწუნებისაგან აზრზე ვერ მოვსულვარ. ნუთუ ასეთია ჩვენი ხალხი, როგორადაც ტოლსტოი გვიხატავს? ან რა გამოხმაურება ექნება რუსული ყოფის ამგვარ სურათებს საზღვარგარეთ, უცხოეთში, სადაც მთელი პრესა რუსეთის სიძულვილით სუნთქავს? ხარბად ესხმიან ხოლმე ყოველ ჩვენებურ მოვლენას და ავრცელებენ რუსული უგვანობის შეთითხნილ ფაქტებს. აბა, ახლა მიეცემათ სალაპარაკო! იტყვიან, ნახეთ, თვითონ რუსები როგორ ხატავენო თავიანთი ხალხის ყოფა-ცხოვრებას.

კ. პობედონოსცევი — ალექსანდრე III-ს
18/II-1887 წ.

ახალგაზრდული მზერა ზვიადი,
ვით სუფთა ქალაქი — დასცქერის ბილეთს;
ტოლსტოის ცდიან ისტორიაში,
თვით ისტორიის მომავალ იმედს.

ჯერ კი მარტოდენ ის გახლავთ გრაფი,
და ჰკლავს სურვილი სამყაროს შეცვლის.
ცნობენ იმით, რომ ამაყად დადის,
და ყელს უმშვენებს ძვირფასი ბეწვი.

მდუმარებს გრაფი, კრინტსაც არა სძრავს,
შეკრულა რისხვად, როგორც მგლის ლეკვი,
ფუყე პროფესორს, ივანოვს გვარად,
ვითარცა მტარვალს — არაფერს ეტყვის.

სწავლული იგი ბოლმასა ფარავს,
მოწამლულია შურით და გესლით.
ცბიერ სახეზე ღიმილი ფარად —
ასეა მათი ჯიში და თესლი.

ზის გრაფი კუშტად, როგორც ტყიერი.
სულ სხვაგანაა ფიქრით და განცდით...
ოდეკოლონის, შამპანიურის
და თავლის მძაფრი სურნელი ასდის.

სწორედ ამ ველურ სურნელის გამო
ავსებულია სწავლული შურით:
„აბა, რა იცი? — დაცინვას ლამობს, —
მე უკვე მზად ვარ, დაგიგდო ყური“.

ხოლო ტოლსტოი, როგორც კლდის ლოდი,
კიდევ მდუმარედ იჯდება დიდხანს.
„დიადი ხანა ნიკოლოზის“, —
აი, ბილეთის მთავარი კითხვა.

რა უპასუხოს კითხვას უკბილოს.
ცხადია კითხვა პასუხად არ ღირს.
ის ხელში იღებს მეორე ბილეთს,
მშვიდად, სახეზე არ უთრთის ძარღვიც.

სასაცილოა და საკვირველი,
კაცს ეგონება დაცინვა ბედის —
ბილეთი იგი ისე ჰგავს პირველს,
ვით ჰგავს ერთმანეთს წყლის ორი წვეთი!

ანა დედოფლის კეთილ საქმეთა
წვრილად ჩამოთვლას თხოულობს იგი,
მაშინ, როდესაც დღემდე ამ ქვეყნად
სიავე სდევდა მეფეთა გვირგვინს.

ვინ შეადგინა ეს ბილეთები?
ვის სურს სიმართლის დაფარვა ჩრდილით?
მადლის, სიკეთის მიწერას ცდილობთ,
ბოროტება კი ძვალ-რბილში გივლით.

თქვენ გსურთ შეპუდრულ-შეპომადული
დრო, რომ სულელებს თვალი აუბათ,
ტკბილად ღიღინებს თქვენი ფანდური
და ყურს უყრუებთ მართალ საუბარს.

ცრუ ისტორიის ყალბი ფურცლებით
ჩანს, რომ ცხოვრება უფრო მყუდროა,
თქვენ გააბრუეთ დედა რუსეთი,
ვით კატიუშა — ნესლიუდოვმა...



მაგრამ იმედად ჩვენ პუშკინს ვზრდიდით,
ვარსკვლავს, რომელიც ფანტავდა წყვილად,
მადლობა უფალს, მწერლობას ვქმნიდით,
ისტორიაზე წრფელსა და დიადს!

ცმუკავს სწავლული, მოელის პასუხს,
„აბა, რას იტყვის ნეტავი გრაფი?“
გრაფს კი პასუხის გაცემა არ სურს.
ის მშვიდად დგება და კარში გადის.

პროფესორს მეტი აბა რა უნდა,
მსუქან ნულიანს უწერს ხალისით:
„გამომივიდა რაღა რაინდი,
ესეც შენ, შენი სიამაყისთვის“!

„ნული ტოლსტოის! შეხეთ გენიას,
იაროს ახლა რიხით, ხმაურით“...
უსაზღვროებას ნულს რომ უწერენ,
ეს გახლავთ ნულის დღესასწაული.

გრაფი კი უკვე ქუჩას მიჰყვება,
მიდის არწივულ, ამაყ იერით,
მიაშრიალებს ფოთოლთა წყებას
მაღალი, მძლავრი და ზეციერი.

მერე იქნება დიდებაც, რისხვაც,
ჩამოაწვება შენს ცას ღრუბლები...
მაგრამ დრო მოვა, ყველა კითხვაზე
რუსეთს გულდაგულ ესაუბრები...

დღეს კი ვილაცა მთვრალი ბანცალით
ქოქოლას გაყრის გაუთავებლივ:
„გიჩვენებთ სეირს, ცოტა გვაცალე“,
მაგრამ ბრიყვს როგორ შეედავები...

გვყავდნენ რჩეულნი რჩეულთა შორის,
დაძმარებულნი ხალხზე ნაღველით.
დუელიანტთა მათ ერგოთ როლი,
ზოგს კი მსმელის და ლოთის სახელი.

დარდიმანდულად მოსაუბრენი,
მათ ხშირად წიგნი ედოთ უბეში,
შუბლდადაფნული ოცი წლის ბრძენნი,
დაკაცებულნი სიჭაბუკეში.

ფრანგულად ბჭობდა დიდკაცთა გვარი,
მაგრამ რუსული ენა მდიდრული
როგორც ძვირფასი და წმინდა ჯვარი,
ზედ გულზე ჰქონდათ ჩამოკიდული.

ელვარე მახვილს კოცნიდა ბევრი,
(არ დაგვკლებია მტერი ურიცხვი)
და უკეთესი შვილები ერის
თავსა სწირავდნენ ხალხის გულისთვის.


ის სული დღემდე არ დაშრეტილა,
ჯარად აღსდგება სახრჩობელები.
თქვენს უხრწნულ გვამზე ჩამოსხლეტილი
აქამდის დაქრის ქარი ველები.

ყოფნა გიღირდათ მხოლოდ სახელად
და ხალხის ხსოვნას მიტომ შემორჩით,
თქვენი ცისფერი სისხლითა დელავს
დღეს ვოლგა რუსულ გარეშემოში.

არ დაეცემა თქვენს ხსოვნას ჩრდილი
შარავანდედის ნათლით შებურვილს.
უკეთეს შვილებს დედა-რუსეთის
ჩვენი სალამი მუშურ-გლესური!



უცნობი მხატვრის კარიკატურა პ. პ. პობედონოსცევსა და ჟმინდა სინოლზი
ლ. ნ. ბოლსტოის ეკლესიისაგან ბანდგომის გამო



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ბოსტონის უილიამი (მწერლის გმირთა სამყარო)
პოლონელი მხატვრის იან სტიპის ნახატის ფოტოკოპია